სამხედრო ხელოვნების ისტორია

V

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

სამხედრო ხელოვნების ისტორია
(დამხმარე სახელმძღვანელო იუნკერებისათვის)

ნაწილი V

გორი
2024

უაკ (UDC) 355(09)(075.8)
მ_983

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებისათვის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. მას რიდერის (ელექტროვერსიის) სახით ვიყენებდით სასწავლო პროცესში, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა სახელმძღვანელოს ნაბეჭდი წესით იუნკერებისთვის მიწოდების აუცილებლობა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში გავაერთიანეთ სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციები. აკადემიის სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოვახდინეთ ტექსტების რედაქტირება და ადაპტირება. ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს ცალკეულ პერიოდებს ანტკური ხანიდან მე-20 საუკუნის მიწურულამდე. წარმოდგენილი საკითხავი მასალა მეტად საინტერესოა როგორც საქართველოს, ასევე ევროპისა და აზიის სამხედრო ხელოვნების კუთხით. კერძოდ, სახელმძღვანელოში შეკრებილია ამ დარგის ქართველი და უცხოელი მკვლევარების ნაშრომები სამხედრო ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენებისა და სამხედრო ლიდერების შესახებ. წარმოჩენილია ამ უკანასკნელთა განსაკუთრებული როლი (პიროვნული თვისებები, აზროვნებისა და მართვის უნარები) ბრძოლებსა და სამხედრო კომპანიებში გამარჯვების ან დამარცხების საქმეში, რაც, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო იქნება იუნკერებისა და ზოგადად მკითხველისათვის.

საკითხავი მასალის მოცულობიდან გამომდინარე, განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გამოცემა რამდენიმე ნაწილად. ამასთან, დიდი ინტერესით მივიღებთ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

შემდგენელი-რედაქტორი: ისტორიის დოქტორი ზურაბ მჭედლიშვილი
დამკაბადონებელი: ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი ქეთევან კვესელავა

მთარმგნელები: მანანა სეხნიაშვილი, მანანა ღუდუშაური

ISBN 978-9941-8-7051-4

წინასიტყვაობა

დამხმარე სახელმძღვანელოს მეხუთე ნაწილი შედგება სამი თავისაგან. კერძოდ, პირველ თავში განხილულია იმპერიალიზმის ეპოქის ერთ-ერთი პირველი სამხედრო კონფლიქტი-ინგლის-ბურების ომი. აქცენტი გაკეთებულია ამ ომში შემოტანილ ისეთ ტაქტიკურ და ტექნიკურ სიახლეებზე, როგორებიცაა: პარტიზანული ბრძოლა, ე. წ. ,,კომანდოს"(სწრაფი რეაგირების) რაზმების ჩამოყალიბება, ჯავშანმატარებელი, აეროსტატი და ა.შ.

განსაკუთრებით საინტერესოა სახელმძღვანელოს მეორე თავში წარმოდგენილი უცხოელი ავტორების(აშშ) გამოკვლევები I მსოფლიო ომის შესახებ. აღნიშნული სამხედრო კონფლიქტი თავისი მასშტაბით წარმოადგენდა პირველ დაპირისპირებას ევროპის კონტინენტსა და ახლო აღმოსავლეთში სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებს შორის. აღნიშნულმა ომმა სეიოზული ბიძგი მისცა სამხედრო ხელოვნების განვითარებას ყველა მიმართულებით; იქნება ეს ახალი სტრატეგიები და ტაქტიკები, შეიარაღება, დაგეგმარება, აღსრულება და ა.შ. გაკეთებულია საინტერესო დასკვნები ომის შედეგებთან დაკავშირებით (გერმანიის დამარცხების მიზეზები, ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ საომარი მოქმედებების ეფექტურად წარმოების მეთოდებისა და საშუალებების გაუმჯობესება, პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და ა.შ.).

სახელმძღვანელოს მესამე თავში გაანალიზებულია ჩვენი ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი: ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს დაპირისპირება ოსმალურ(თურქულ) ექპანსიასთან. კერძოდ, ტაქტიკური კუთხით განხილულია ჩოლოქისა და არდაგანის ოპერაციები, საქართველოს ისტორიული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის ქართული ჯარის მიერ წარმოებული საბრძოლო მოქმედებები. გამოკვეთილია გენერლების: გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის, როგორც ოპერაციების ხელმძღვანელების როლი გამარჯვების მიღწევის საქმეში.

შინაარსი

თავი I 6

იმპერიალიზმის ეპოქა - ინგლის-ბურების ომი 6

თავი II 33

I მსოფლიო ომი – ახალი ტექნოლოგიები და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარება 33

თავი III 103

საქართველოს შეიარაღებული ძალები 1918 წელს, ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ 103

საკითხავი ლეტერატურა 147



თავი I
იმპერიალიზმის ეპოქა - ინგლის-ბურების ომი

1. **თემის მოკლე შინაარსი:**

მოცემული თემაში განხილულია ახალი იმპერიალიზმის ერა - ეპოქა, როდესაც ევროპულმა ქვეყნებმა, მოგვიანებით კი იაპონიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გლობალური მასშტაბით დაიწყეს კოლონიური ექსპანსია. ქრონოლოგიურად ესაა პერიოდი, რომელიც იწყება საფრანგეთის მიერ ალჟირის დაპყრობიდან - 1830 წელს და სრულდება 1914 წელს - I მსოფლიო ომის დაწყებამდე. ამ ეპოქაში წარმოებული ომები სამხედრო ისტორიაში ,,იმპერიალისტური ომების" სახელითაა შესული. ე.წ. ,,იმპერიალისტური ომებიდან" ჩვენ შევისწავლით მხოლოდ ერთს, ინგლის-ბურების 1899 -1902 წლების ომს. თავად ტერმინმა ,,იმპერია" კი თავი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიმკვიდრა, რაც მოწინავე ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ დომინანტობასა და სუბორდინაციულ დამოკიდებულებას ნიშნავდა იმპერიის ცენტრსა და მის პერიფერიებს შორის.

იმპერიალისტური ეპოქიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1870-1914 წლების პერიოდი, რომელიც ევროპული ქვეყნების მიერ გლობალური მასშტაბის კოლონიური დაპყრობითი ომებით გამოირჩევა. 1914 წლისათვის დასავლური სამყარო უკვე გლობალურ დომინანტად გვევლინება მსოფლიოში. ძირითად მოთამაშეებად დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ამერიკის შეერთებული შტატები იქცნენ. არადასავლურ ქვეყნებს კი რუსეთი და იაპონია წარმოადგენდნენ.

სურ. 1 ბრიტანეთის არმიის ქვეითი ოფიცერი და ჯარისკაცები

მთელ ამ ხანას და აქ წარმოებულ კოლონიურ ომებს მისი განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი - მერკანტილიზმი განაპირობებდა. მერკანტილიზმი ეკონომიკური დოქტრინაა, სადაც მთავრობის მიერ საგარეო ვაჭრობის კონტროლი განიხილება, როგორც სახელმწიფოს კეთილდღეობისა და სამხედრო უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი პირობა. მერკანტილური პოლიტიკის ელემენტე-ბია:

- კომუნიკაციების განმტკიცება კოლონიებთან;
- კოლონიებისათვის სავაჭრო ურთიერთობების აკრძალვა სხვა ქვეყნებთან;
- შუალედურ პორტებში მარკეტინგის მონოპოლიზაცია;
- ოქროსა და ძვირფასი ლითონების დაგროვების ხელშეწყობა;
- სხვა ქვეყნის ხომალდების გამოყენება სავაჭრო გადაზიდვებისათვის;
- ექსპორტის სუბსიდირება;
- საკუთარი ნედლეულის ექსპორტის ზრდა.

სწორედ მერკანტილიზმი წარმოადგენდა დომინანტურ ფაქტორს XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ამ პერიოდის ხშირი ევროპული ომებისა და კოლონიური ექსპანსიის ძირითადი განმსაზღვრელი მიზეზიც იგი იყო.

მერკანტილური პოლიტიკის შემადგენელ ელემენტებად შეგვიძლია განვიხილოთ აგრეთვე XIX საუკუნის ახალგაზრდა მზარდი სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო

პოლიტიკის უმთავრესი კონცეფცია - ,,მონროს დოქტრინა” და ადმირალ მაჰენის ,,საზღვაო ბატონობის თეორია,” რამაც აშშ თანდათანობით გადააქცია ერთ-ერთ ძლიერ საზღვაო ქვეყნად.



სურ. 2 ჯეიმს მონრო, აშშ-ს პრეზიდენტი 1817-1825 წლებში. მისი დოქტრინით ევროპას აეკრძალა აშშ-ს შიდა და საგარეო პოლიტიკაში ჩარევა, რაც დღემდე გრძელდება



სურ. 3. ალფრედ ტაიერ მაჰენი (1840-1914). აშშ-ს ფლოტის კონტრ-ადმირალი, სამხედრო-საზღვაო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი

მაჰენის ,,საზღვაო ბატონობის თეორიის” ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობდა: ,,სახელმწიფოებრივი და ნაციონალური ძლიერების წყაროს წარმოადგენს ზღვაზე ბატონობა - მშვიდობიანობის დროს მისი გამოყენება კომ-ერციული დანიშნულებით, ხოლო ომის მსვლელობისას მისი კონტროლი.” ამ კონცეფციამ უდიდესი ზეგავლენა იქონია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიის სახელმწიფო და საზღვაო სტრატე-გიების ფორმირებაში. შედეგად - ეს ქვეყნები საკუთარი სამხედრო - საზღვაო ძალების გაძლიერებისა და გამალე-ბული შეიარაღების ესკალაციის გზას დაადგნენ.

ეპოქის მეტად საინტერესო ომი - ინგლის-ბურების ომია, რომელიც მრავალი თვალსაზრისით ახალი ტიპის კონფლიქტს წარმოადგენდა მსოფლიო ომების ისტორი-აში. აქ აღსანიშნავია ამ ომის ტექნოლოგიური, ტაქტიკუ-რი, მორალური, აღსრულებითი და გამოყენებითი მხა-რეები.

თემის შესწავლისას, ცხადია, განვიხილავთ ისტო-რიულ რაკურსს, ინგლისის სამეფოსა და ბურთა რესპუბ-ლიკებს შორის წარმოქმნილი დაპირისპირების გენეზისს, ომის მიზეზებს. სტატრეგიული კუთხით შევაფასებთ და-პირისპირებული მხარეების საომარ გამოცდილებასა და მათ მიერ წარმოებული ბრძოლების ტაქტიკებს, სამხედ-რო ორგანიზაციებსა და სისტემებს.

ინგლის-ბურების II ომი, რომელიც 1899-1902 წლ-ებში მიმდინარეობდა და სამი ფაზისაგან შედგებოდა, საინტერსოა იმით, რომ ამ ომში მთელი რიგი ახალი ტექ-ნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები (არა მხოლოდ საბრძოლო) იქნა მასიურად გამოყენებული, კერძოდ: უკ-ვამლო დენთი, მჭიდიანი ნახევრადავტომატური შაშხანა, ერთლულიანი ავტომატური იარაღი (უკვე ჰაირემ მაქსი-მის ,,ნამდვილი ტყვიამფრქვევი”), ჯავშნოსანი მატარებე-ლი. უფრო მნიშვნელოვანი კი ცხადია, დაპირისპირებულ მხარეთა მიერ გამოყენებული საომარი სტრატეგიები და საბრძოლო ტაქტიკები იყო.

სურ. 4 უკვამლო დენთის ფხვნილი

ბურების საბრძოლო ტაქტიკა პოზიციების შერჩევისა და ფლობის პრინციპზე იყო დამყარებული. მათ მიერ შერჩეული თავდაცვითი პოზიციები უზრუნველყოფდნენ მოწინააღმდეგის კარგად ხედვას. თუ პოზიციებს დაკარგვის საშიშროება ემუქრებოდათ, ბურები დაუყოვნებლივ ტოვებდნენ მათ და გადადიოდნენ ამისათვის წინასწარ მომზადებულ შემდეგ თავდაცვით პოზიციებზე.

ბურებისაგან განსხვავებით, ბრიტანელები ემხრობოდნენ მოწინააღმდეგის შენაერთებზე და არა მის პოზიციებზე შეტევის მიტანის ტაქტიკას. ეს მიდგომა გამართლებული იყო იმ საბრძოლო გამოცდილებიდან გამომდინარე, რასაც ბრიტანელები ატარებდნენ ყირიმის ომსა და ნაპოლეონის ეპოქის ომებში. ამჯერად, ჩასანგრებული, კარგად შენიღბული და თანამედროვე იარაღით აღჭურვილი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად ბრიტანელთა ეს ტაქტიკა არაეფექტური აღმოჩნდა. ახალმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, საცეცხლე ძალისა და ცეცხლის სიმკვრივის გაზრდამ ღია არეზე ფრონტალური შეტევებით, ბრიტანელთათვის შეუძლებელი გახადა ჩასანგრებული და კარგად ორგანიზებული მოწინააღმდეგის დამარცხება.



სურ. 5 ჯავშანმატარებელი

მეტად საინტერესოა ეს ომი ტაქტიკური და ტექნოლოგიური კურიოზებისა თუ შეცდომების განხილვის თვალსაზრისითაც. ჩვენი ეს დასკვნა არტილერიის ტაქტიკასა და ცეცხლის მართვას შეეხება.

მთელი ორი წლის განმავლობაში ბურები წარმატებით ებრძოდნენ მსოფლიოს უძლიერესი იმპერიის 400.000-იან არმიას და ომის II ფაზაში ისინი არაკონვენციურ ომის სტრატეგიასა და პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ. მანევრის ფორმები - ჩასაფრება, რეიდი, ბრძოლიდან სწრაფი გასვლა.

ომის III ფაზაში კი, ბურების მიერ წარმოებულ პარტიზანული ომს ბრიტანელებმა ,,გადამწვარი მიწის" სტრატეგია და საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა დაუპირისპირეს. იგივე სტრატეგიები იქნა გამოყენებული ექვსი ათეული წლის შემდეგ უკვე ამერიკელების მიერ ვიეტნამში, ვიეტკონგელი პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ინგლის-ბურების ომი იყო ომების ისტორიაში ყველაზე უფრო ხანგრძლივი პარტიზანული ომი, რომელსაც ,,დაპყრობილი" ქვეყნის სამხედრო ფორმირებები აწარმოებდნენ ,,გამარჯვებული" არმიის წინააღმდეგ. ამ ომმა ბრიტანულ არმიას ბევრი რამ ასწავლა თანამედროვე ომის შესახებ, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იმოქმედო კარგად შეიარაღებული და მაღალპროფესიული მსროლელებით დაკომპლექტებული მოწინააღმდეგის პირისპირ. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტიც, რომ ამ გამოცდილების გარეშე I მსოფლიო ომის მსვლელობა სულ სხვა სახეს მიიღებდა... ის ფაქტი, რომ ამ ომს სამი წელი, უზარმაზარი ხარჯი და ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ერთდროულად იგი ადამიანის სიხარბის და მერკანტილიზმის, ასევე სისტემის შეუპოვრობისა და ჯარისკაცის მოვალეობის გრძნობისადმი ერთგულების მაჩვენებელი გამოდგა.

2. სწავლების მიზნები:

სწავლების საბოლოო მიზანი

მოქმედება:

შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას ახალი იმპერიალიზმის ეპოქის ინგლის-ბურების ომი სამხედრო ხელოვნების თავლსაზრისით. ამ ომის პოლიტიკური წანამძღვრები, ომის წარმოების წესში გამოვლენილი სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დონის სიახლეები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბრძოლის წარმოების არაკონვენციური მეთოდების შეს-წავლას, პარტიზანული ომის იმ ტაქტიკას, რასაც ბურები იყენებდნენ ინგლისელთა წინააღმდეგ.

პირობა:

- აქტიური, საუდიტორიო დისკუსია;
- წაიკითხეთ მოწოდებული მასალა და მითითებული ლიტერატურა, შეისწავლეთ და გაიაზრეთ ახალი იმპერიალიზმის ეპოქისა და კოლონიალიზმის არსი, ინგლის-ბურების ომი სამხედრო ხელოვნების თავლსაზრისით.

სტანდარტი:

1. არსებული სამხედრო_პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
2. ინგლის-ბურების ომის პერიოდის სამხედრო ხელოვნების ძირითადი ასპექტების ანალიზი.

შესწავლის დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. იუნკერის დავალებები:

წაიკითხეთ:

- მაიკლ კოლი, ტაქტიკა ბურების ომში;
- გრეჰემ მორისი, საბრძოლო ანომალიები-ინგლის-ბურების მეორე ომი;
- დილან გრეიგი, ინგლის-ბურების მეორე ომის (1899-1902) იარაღები და ბრძოლები.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. ახალი იმპერიალიზმი და კოლონიური ომების ერა.
2. მონროს დოქტრინა.
3. რა არის მერკანტილიზმი?
4. ინგლის-ბურების ომის მიზეზები.
5. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ინგლისური კოლონიური ბრძოლების სამხედრო გამოცდილება.
6. კომანდო _ ბურების სამხედრო მოწყობის სისტემა.
7. ახალი ტექნოლოგიები და იარაღი.
8. ბურების საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკა.
9. სტრატეგიული თვალსაზრისით, რა შეცდომები იქნა დაშვებული ბურთა მიერ ინგლისელებთან წარმოებულ ომებში?
10. ახალი ფაზა _ არაკონვენციური ომი, ბურების პარტიზანული ბრძოლების ტაქტიკა.

ინგლის-ბურების მეორე ომის იარაღი (1899-1902)

დილან გრეიგი

„ჩვენი გენერალი მოკლეს ბრძოლაში; ახლა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი იყო ეს ჩვენთვის?"

გენერალ ლიდლტონის შიკრიკი უინ ჰილთან მომხდარი ბრძოლის შესახებ.

შესავალი

ინგლის-ბურების ომი (რომელსაც ეწოდება აგრეთვე ბურების ომი, სამხრეთ აფრიკის ომი და სხვა) ბევრი თვალსაზრისით ახალი ტიპის ომი იყო. ტექნოლოგიურად, ამ ომში პირველად გამოიყენეს გარკვეული თაობა იმ იარაღისა, რომელსაც დღესაც ვიყენებთ - ხელის ავტომატური იარაღი, სავაზნე კოლოფით აღჭურვილი შაშხანები და ტყვიამფრქვევები. ხოლო მორალური პრინციპების თვალსაზრისით, აქ პირველად იქნა გამოყენებული საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც დაიხოცა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე, თუმცა, შესაძლოა, თავიდან ბანაკის კონცეფცია ასე არ ყოფილა ჩაფიქრებული. ეს იყო აგრეთვე ომი, სადაც ადგილი ჰქონდა ყველაზე ხანგრძლივ პარტიზანულ საომარ მოქმედებებს „გამარჯვებული" არმიის წინააღმდეგ „დაპყრობილი" ქვეყნის სამხედრო ელემენტების მხრიდან. და ბოლოს, ფართოდ იქნა აღიარებული, რომ ბურების ომმა ბრიტანულ არმიას ბევრი რამ ასწავლა თანამედროვე ომის შესახებ, განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იმოქმედო კარგად შეიარაღებული და მაღალპროფესიული მსროლელებით დაკომპლექტებული მოწინააღმდეგის პირისპირ. უეჭველია, რომ ამ გამოცდილების გარეშე, დიდი ომი (1914-1918) სულ სხვა სახეს მიიღებდა.

შემდეგ თავებში ჩვენ ვაპირებთ შევეხოთ შემდეგ საკითხებს:

- ტექნოლოგიური სიახლეები მსუბუქ ცეცხლსასროლ იარაღში ომის წინ;
- სტანდარტული შეიარაღება, გამოყენებული ბრიტანული და ბურების ძალების მიერ;
- ორი არმიის სტრატეგიის შედარება (პრეტორიის დაცემამდე და მას შემდეგ, აგრეთვე პარტიზანული ომის დაწყებამდე და მას შემდეგ). ეს თავი შეეხება აგრეთვე ბურების დამარცხებისა და პარტიზანული ომის შეწყვეტის მიზეზებს.

ტექნოლოგიური სიახლეები

როდესაც მე-19 საუკუნის ბოლო რამდენიმე ათწლეულში მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში მომხდარ ცვლილებებს განვიხილავთ, სამი მათგანი განსაკუთრებით გამოიყოფა. ეს საეტაპო ცვლილებებია: უკვამლო დენთი, სავაზნე კოლოფიანი შაშხანა და თვითდამტენი (სახაზინო ნაწილიდან დასატენი, ნახევრად ავტომატური) შაშხანა.

უკვამლო დენთის გამოგონებას, რომელიც პირველად გამოიყენეს ფრანგულ ლებელის მოდელის სავაზნე კოლოფიან შაშხანაში 1886 წელს, დიდი გავლენა ჰქონდა თანამედროვე ომის წარმოების მეთოდებზე. ვისაც ნაპოლეონის ომების ან ამერიკის სამოქალაქო ომის დროინდელი ბრძოლების რეკონსტრუირებული მოდელი უნახავს, ის შეაფასებს, თუ რას ნიშნავს კვამლის გიგანტური ღრუბლები, რომლებიც ჩნდებოდა მხოლოდ ერთი ათეულის მიერ წარმოებული სროლების შედეგად, თუნდაც ერთი ზალპის შემდეგ. კვამლის გამო, რომელიც წარმოიშობოდა, როდესაც იარაღის შავი დენთის მუხტი აალდებოდა, სამიზნე სრულიად უხილავი ხდებოდა, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის მუშა ნაწილები ნამწვით იფარებოდა. თავის მხრივ, ეს ორ რამეს ნიშნავდა: პირველი, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ლულა და მუშა ნაწილები ინტენსიურ მოვლას საჭიროებდა, რათა იარაღი თითქმის იდეალურ მდგომარეობაში ყოფილიყო (ნამწვისგან გათავისუფლება დიდ დროს მოითხოვდა, მაგრამ წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამწვი მწყობრიდან გამოიყვანდა იარაღს); და მეორე, რომ კვამლის ღრუბლებისა და არაზუსტი დამიზნების გამო ინდივიდუალურ მსროლელებს დიდი დაბრკოლება ექმნებოდათ. იმ დროინდელი შეიარაღებული ძალები ამ პრობლემებს გვერდს უვლიდნენ საბრძოლო სტრატეგიების ჩამოყალიბებით, რომლებიც ძირითადად ერთსა და იმავე მეთოდებს მისდევდნენ. ეს იყო დამანგრეველი ზალპური ცეცხლი ახლო მანძილიდან, რომელსაც მოჰყვებოდა ხიშტებით შეტევა; როცა მთელი ათეული ისროდა პირდაპირი დამიზნებით, ჭურვების საერთო წონა უკვე ნიშნავდა იმას, რომ რამდენიმე მაინც მოხვდებოდა მიზანს.

არსებული, უკვე შეჩვეული მდგომარეობა უკვამლო დენთის გამოყენებამ შეცვალა, რაც სამ ფაქტში გამოიხატა: პირველი, ეს იყო ნამწვის არარსებობა, რაც ნიშნავდა იმას, რომ იარაღის ზუსტი გამიზვნა შეიძლებოდა ნამწვის გავლენით გადაცდომის დაშვების გარეშე, მაშასადამე, ქვეითების შაშხანები უფრო ზუსტი გახდებოდა. მეორე, დენთის დამკვამლიანებელი ეფექტი ხელს აღარ უშლიდა დამიზნებით სროლას ზედიზედ, სიზუსტის შენარჩუნებით. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ სნაიპერები, რომლებიც ისროდნენ საფარიდან ან დიდი მანძილიდან, აღარ იქნებოდნენ ისე ადვილად აღმოსაჩენი მათი იარაღიდან გამოსული კვამლის ქულის მიხედვით. ამ მოვლენას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა ინგლის-ბურების ომში, როგორც ამას მოგვიანებით ვნახავთ. მესამე, უკვამლო დენთი ბევრად უფრო შედეგიანი იყო აალების დროს; იმ დროს, როცა შავი დენთის გამომყენებელი იარაღიდან ტყვია იშვიათად გამოდიოდა წამში 450 მეტრზე მეტი სიჩქარით, უკვამლო დენთის გამოყენებით გასროლილი ტყვიების სიჩქარე წამში 1200 მეტრს აღწევდა.

ამას დიდი გავლენა ჰქონდა მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის სროლის მანძილსა და სიზუსტეზე, რადგან უფრო სწრაფ ტყვიებს უფრო ბრტყელი ტრაექტორია აქვს და ამიტომ, უფრო დიდი „სახიფათო სივრცე" (სივრცე ტყვიის ტრაექტორიის გასწვრივ, სადაც ის მოხვდება მისი ფრენის გზაზე მდგარ ადამიანს). ამის გარდა, უფრო სწრაფ ტყვიებს შეეძლოთ უფრო სერიოზული ჭრილობების გამოწვევა ჰიდროსტატიკური შოკის პროცესით. ამგვარად, ჯამში, უკვამლო დენთის შემოღებამ ცეცხლსასროლ იარაღს მეტი სიზუსტე მისცა, უფრო საშიში გახადა და მნიშვნელოვნად გაზარდა მისი ეფექტიანობა.

სურ. 6 სემუელ კოლტი (1814-1862). აშშ-ს
არმიის პოლკოვნიკი,
იარაღის გამომგონებელი

ხელით გადასატენი სავაზნე კოლოფიანი იარაღის შემოღება ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ყურადღებიდან, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის მნიშვნელოვანი განვითარების ეტაპი. ქვეითთა შაშხანები, რომელთაც ერთდროულად რამდენიმე ვაზნა ჰქონდათ, არ იყო ახალი მოვლენა; ჯერ კიდევ 1836 წელს, სემუელ კოლტმა გამოიგონა შაშხანა, რომელშიც შეიძლებოდა ექვსი ვაზნის ჩადება მბრუნავი ცილინდრიდან. გამოგონების ეს სკოლა განაგრძობდა განვითარებას და 1860-იანი წლები ჰენრის შაშხანის გამოგონებით აღინიშნა (ე.წ. ველურ დასავლეთში გავრცელებული, ცნობილი „ვინჩესტერის" წინამორბედი). ჰენრის შაშხანა და მისი მომდევნო თაობა იყენებდნენ ახალი კონცეფციის ცილინდრული ფორმის სავაზნე კოლოფს; ესე იგი ვაზნები იქ მწკრივში ისე ელაგა, რომ ერთის თავი მეორის ფუძეს ეხებოდა, ცილინდრი კი ლულის ქვედა ნაწილში მოძრაობდა და სახაზინე ნაწილიდან მიეწოდებოდა ხელის ბერკეტის საშუალებით. ფრანგული ლებელის შაშხანა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ამ მოდელს მისდევდა. მაგრამ ლებელის შემთხვევის გარდა, ცილინდრული სავაზნე კოლოფიანი შაშხანები კონტინენტურ არმიებში ფართოდ არასდროს გამოუყენებიათ. სახელგანთქმული ვინჩესტერიც კი, მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ომებში გამოიყენეს 1877-1878 წლებში. ოთხკუთხა სავაზნე კოლოფის კონცეფცია პირველად 1879 წლის შემდეგ განვითარდა. მისი ავტორი იყო ჯეიმს ლი (ლი-ენფილდისა და ლი-მეტფორდის სახელით). ოთხკუთხა სავაზნე კოლოფში იდებოდა ოთხი ან ხუთი ვაზნა ზამბარის საშუალებით, რომელიც სახაზინე ნაწილის ქვეშ იყო განთავსებული და სწრაფად მოქმედებდა. ტყვიები ჩადებული იყო ლითონის ჩარჩოში, რომელსაც ეძახდნენ ,,მჭიდის რგოლს" ან ,,ჩამტვირთავ მოწყობილობას;" ეს ჩარჩო იდგმებოდა ტყვიებთან ერთად, სახაზინე ნაწილის ქვემოთ, სავაზნე კოლოფში და ამოვარდებოდა უკანასკნელი გასროლისთანავე.

ამგვარად, ეს აძლევდა მებრძოლს საშუალებას, გაეკეთებინა ხუთი ან მეტი დამიზნებული გასროლა შეუჩერებლად, ან შეჩერებულიყო გადასატენად, იმ დროით, რაც დაჭირდებოდა ერთ გასროლას - დამიზნებითა თუ სხვაგვარად - ლულიდან დასატენი დარტყმითი კაფსულის მქონე იარაღიდან, რომელიც შეცვალა ვაზნების კოლოფიანმა შაშხანამ. შედეგები, რომლებიც ამ ცვლილებამ მოიტანა ქვეითების ტაქტიკაში, აშკარაა. ეს ნიშნავდა, რომ დიდ მანძილზე სროლა შესაძლებელი გახდა მეტი სიჩქარით, მეტი სიზუსტით და მეტი ეფექტით, ვიდრე ოდესმე.

სურ. 7 კოლტის სისტემის პისტოლეტი

სიახლე მოხდა კიდევ ერთ სფეროში. ეს იყო თვითდამტენი სახაზინე ნაწილი, ანუ უფრო ნაცნობი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სახაზინო ნაწილიდან დასატენი იარაღი, რომელიც შესაძლებელს ხდის იარაღის სახაზინე ნაწილში ტყვიების ავტომატურად ჩატვირთვას. ფაქტიურად, ეს იყო ავტომატი ან ტყვიამფრქვევი.

ჯონ გეტლინგის მიერ გამოგონილი მრავალლულიანი ტყვიამფრქვევი (1862) ჩვეულებრივ მოვლენად იქცა უშუალოდ ბურების ომამდე რამდენიმე წლით ადრე, მაგრამ 1899 წელს ეს უზარმაზარი, მოუხერხებელი იარაღი შეცვალა ერთლულიანმა, ვაზნების ლენტური მიწოდების ტყვიამფრქვევმა, მაგალითად, კოლტ-ბრაუნინგის 1895 წლის მოდელმა და ვიკერს-მაქსიმმა. ჯერ კიდევ 1869 წელს ცნობილი იყო, რომ ტყვიამფრქვევს შეეძლო გაეორმაგებინა, ან უფრო მეტადაც გადაეჭარბებინა დამიზნებული ზალპური ცეცხლის შედეგი. ერთი ტესტის დროს, რომელიც 1869 წელს გერმანიაში ჩატარდა, გეტლინგის უზარმაზარმა ქვემეხმა უკეთესი შედეგი აჩვენა ერთ წუთზე მეტ ხანს უწყვეტ სროლაში მუყაოს სამიზნეებზე 800 იარდის მანძილიდან, ვიდრე ქვეითი მსროლელების ასეულმა, რომლებიც დამიზნებით ისროდნენ. ამიტომ, ტყვიამფრქვევი გახდა მაღალშედეგიანი, ეფექტური საომარი იარაღი და 1899 წელს მისი გამოყენება საბოლოოდ დაინერგა. ამის გარდა, როგორც ეს მოტანილი მაგალითიდან ჩანს, მათ რამდენჯერმე გაზარდეს საცეცხლე სიძლიერე, რომლის წარმოება შეეძლო მცირერიცხოვან ძალას ორმხრივი სროლის დროს. როგორც შემდეგ ,,დიდმა ომმა" აჩვენა, ტყვიამფრქვევები საუცხოო იყო ადგილმდებარეობის ცეცხლით მოჩხრეკასა და ჩამხშობი ან დამაუძლურებელი ცეცხლის წარმოებაში მოწინააღმდეგის სანგრებზე. ინგლის-ბურების ომში ისინი გამოიყენეს, როგორც შემდეგ ვნახავთ, შეტევაშიც და თავდაცვაშიც.

განხილული სამი ტექნოლოგიური სიახლე, რომლებიც 1870-1890 წლებში მოხდა, ბრძოლის ველზე ჯერ ისევ არ იყო ფართოდ დანერგილი; უნდა გვახსოვდეს, რომ ლითონის ვაზნის გამოგონებამდე (რასაც დღეს ,,ტყვიას" ვუწოდებთ), ქვეითების შეიარაღება 200 წლის მანძილზე ერთი და იგივე რჩებოდა. ბრიტანული არმიის ბევრი ძველი ჯარისკაცი მიჩვეული იყო ერთგასროლიანი პრიმიტიული იარაღის ხმარებას (მარტინი-ჰენრის და სნილერის თოფები); ლი-მეტფორდის და ლი-ენფილდის შაშხანები მხოლოდ 1888 და 1895 წლებში გახდა ცნობილი. უარესიც, ბრიტანელი ვეტერანი ჯარისკაცები არასდროს მდგარან თანამედროვე შეიარაღების მქონე მოწინააღმდეგის პირისპირ. ის შეხვედრა, რომელიც მათ სამხრეთ აფრიკის ველებზე ელოდათ, ,,ტომისთვის" (,,ტომი" ან ,,ტომი ატკინს" - ბრიტანელი რიგითი ჯარისკაცის მეტსახელი) ნამდვილი შოკი აღმოჩნდა, ისევე როგორც ტაქტიკოსებისათვის.

ბრიტანელების და ბურების შეიარაღება

ბრიტანულ ძალებში, როგორც რეგულარულ არმიაში, აღჭურვილობაში სტანდარტული მოდელები იყო. მათი ქვეითების ძირითადი იარაღი იყო ლი-მეტფორდის და ლი-ენფილდის შაშხანები. შოტლანდიური წარმომავლობის კანადელი გამომგონებელი ლი 1880 წელს ევროპაში მოგზაურობდა და თავისი იდეისადმი ინტერესს უღვიძებდა სხვადასხვა ერებს, მათ შორის, დანიელებს და აგრეთვე ბრიტანული არტილერიის ტექნიკური და სანივთე მომარაგების ბიუროს, რათა მათ დაენერგათ მისი სისტემა. მეტფორდისეული ნაჭდევებიანი ლულების სისტემასთან ერთად, შექმნილ სისტემას ეწოდა ლი-მეტფორდის იარაღი 1888 წელს; მისი სავაზნე კოლოფის მოცულობა გაიზარდა 303 კალიბრის რვა ტყვიამდე (7.69მმ). თუმცა ლი-მეტფორდის სხვადასხვა მახასიათებელი მიუთითებდა, რომ სხვა იარაღზე ნაკლებად უწყობდა ხელს ჯარისკაცის მძიმე ყოფის შემსუბუქებას. ამიტომ, ის 1895 წელს გააუმჯობესეს მისი უფრო ძლიერი ნაირსახეობით-ლი-ენფილდის იარაღით. სახაზინე ნაწილის არქიტექტურაში და ლულის დაკუთხვაში მომხდარი ცვლილებების გამოკლებით, ეს ორი იარაღი ძალიან გავდა ერთმანეთს და ტაქტიკური ანალიზის დროს შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ერთი და იგივე იარაღი.

სურ. 8 ვილჰელმ მაუზერი (1834-1882). გერმანელი ინჟინერი, იარაღის გამომგონებელი

სურ. 9 პაულ მაუზერი (1838-1914). გერმანელი ინჟინერი, იარაღის გამომგონებელი

ლის სერიის დანერგვა მიმდინარეობდა ორი სხვა მნიშვნელოვანი ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებასთან ერთდროულად: მაუზერთან, რომელიც შემუშავდა 1888 წელს და განახლდა 1898 წელს, და დანიურ კრაგ-იორგენსონთან ერთად. ეს ორი იარაღი ფართოდ გამოიყენებოდა ბურების მიერ და მისცა მათ ბრიტანელების ეკვივალენტური საცეცხლე სიძლიერე. მაუზერის ტყვიები ოდნავ უფრო მძიმე იყო (317 კალიბრის ანუ 7.92 მმ) და უფრო სწრაფი (777 მ/წმ) ლი-მეტფორდთან შედარებით (607მ/წმ), რის გამოც უფრო სერიოზულ ჭრილობებს იწვევდა. ამის გარდა, მაუზერის სამიზნე უფრო დეტალურად იყო დამუშავებული და დაყოფილი (რანჟირებული) 2000 მეტრამდე,

ხოლო ლი-მეტფორდის სამიზნის დანაყოფები იყო 1829 მეტრამდე; ეს ნიშნავდა, რომ მაუზერს ლი-მეტფორდზე უკეთესი შორსმსროლელობა ჰქონდა.

ქვეითები აღჭურვილნი იყვნენ აგრეთვე 12-ინჩიანი ხიშტ-დანით. ეს შიშისმომგვრელი იარაღი იმ დროისთვის უკვე მუშკეტერების დროიდან შემორჩენილი რელიქვია იყო და მისი ჩამოცმა იარაღზე, რომლის სრულად გადატვირთვა შეიძლებოდა სულ რაღაც რამდენიმე წამში, იმის მაჩვენებელი იყო, რომ ბრიტანული ტაქტიკური აზროვნება ჯერ ისევ ვერ ჩაწვდა სავაზნე კოლოფიანი შაშხანის გავლენას ბრძოლის შედეგზე. ხიშტი ერთ ფუნტს (15 უნციას) იწონიდა და ალბათ ისედაც დატვირთული ბრიტანელი ჯარისკაცები მის მომგონს წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ, მაგრამ ხიშტებით იერიშს თავისი ფსიქოლოგიური ეფექტი ნამდვილად ჰქონდა. როგორც კი გაიგებდნენ შეძახილს ,,ჩამოაცვით ხიშტები!" ბურები თითქმის მაშინვე ნებდებოდნენ. იგივე შეიძლება ითქვას ცნობილ ისტორიულ იარაღზე, ცხენოსნის შუბზე. შუბით შეიარაღებული ცხენოსნების (ულანების) შეიარაღებაში შედიოდა ლი-ენფილდის კარაბინი, მაგრამ ისინი შიშს გვრიდნენ მოწინააღმდეგეს უფრო მეტად სწორედ შუბით, რადგან არავის სურდა შუბზე წამოგება.

სურ. 10 მაუზერის სისტემის შაშხანა ხიშტდანით

სურ. 11 მაუზერის სისტემის პისტოლეტი

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანობა, ერთგვარობა იყო ძირითადი ლოზუნგი ბრიტანული არმიის შეიარაღების საქმეში, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო. მაგალითად, კანადის ქვედანაყოფები სხვაგვარად იყვნენ შეიარაღებულნი; ბევრს ჰქონდა ამერიკული წარმოების იარაღი, მაგალითად კოლტის რევოლვერები (რომელიც სტანდარტული ინდივიდუალური იარაღი იყო იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში), ლი-ენფილდებთან ერთად.

ბურების ცეცხლსასროლი იარაღი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ბრიტანელების იარაღისგან. ისინი იყენებდნენ მაუზერსაც, მარტინ-ჰენრისა და კრაგ-იორგენსონსაც, მაგრამ მათ აგრეთვე ჰქონდათ სხვადასხვა მოდელის პირადი სანადირო თოფები და სხვა იარაღი. ამონარიდში ბრიტანული არმიის სამხედრო ექიმის დღიურიდან კარგად ჩანს, რომ ბურები საფანტის თოფებსაც იყენებდნენ; ეს სრულიად დასაჯერებელია, თუ გავითვალისწინებთ ჩანაწერს, რომ გაწვევის ჩამტარებელი ოფიცერი ბურ მოქალაქეებს ურჩევს შეკრების ადგილას თან იქონიონ თოფები: ,,თოფი, ტყვიები, ცხენი უნაგირით და ლაგამით და რვა დღის სამყოფი საკვები...” ბური მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობას მისდევდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველას ექნებოდა სათანადო კალიბრის თოფი, რომელიც ბრძოლაში გამოადგებოდა. აქედან გამოდის, რომ ბევრს თან ჰქონდა ის, რაზეც ხელი მიუწვდებოდა. იგივე სურათია ყველგან, სადაც არმიები შედგება სასწრაფოდ გაწვეული ადგილობრივი მოსახლეობისაგან; ყველაზე მეტად ეს შეიძლება ითქვას ამერიკის ომზე დამოუკიდებლობისათვის. ბურების რესპუბლიკების მთავრობები იარაღის დიდ პარტიას საზღვარგარეთ, უმეტეს წილად, გერმანიაში ყიდულობდნენ. გარკვეულ ძალისხმევას ჰქონდა ადგილი, რომ ეს იარაღი გადანაწილებულიყო მთელ ჯარზე, თუმცა უმეტესობა დარჩა მარაგში, დაპყრობილ ტერიტორიებზე ამბოხებისადმი თანაგრძნობით განმსჭვალული ხალხის შეიარაღების მიზნით. ბურების შეიარაღებული ძალების დამახასიათებელი თვისება იყო კარგი მსროლელობა, რომელიც ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგი იყო და არა სამხედრო წვრთნისა. მთელი ომის განმავლობაში, რა თქმა უნდა, და განსაკუთრებით კი პარტიზანული ომის ეტაპზე, როცა მარაგების შევსება მათთვის შეუძლებელი გახდა, ბევრი ბური იყენებდა ბრიტანელებისთვის წართმეულ იარაღს. მათი საბრძოლო მასალა უნდა მოეპარათ, ან ხელთ უნდა ეგდოთ და თუმცა მათი შეიარაღება იდეალურისგან შორს იყო, თავიდანვე სნაიპერებად დაბადებულებისთვის მაინც უკეთესი იყო, ვიდრე არაფერი.

ორივე მეომარი მხარისთვის კიდევ ერთი პოპულარული იარაღი იყო გერმანული 1896 წლის მოდელის მაუზერი, თვითდამტენი ავტომატური პისტოლეტი, რომელიც ცნობილი იყო აგრეთვე ,,ცოცხის ტარის” მეტსახელით. ეს პისტოლეტი, რომელიც მე-2 მსოფლიო ომისადმი მიძღვნილ ბევრ ფილმში ჩანს, როგორც მთავარი იარაღი, მისი უცნაური გარეგნული სახის გამო, იტენებოდა ათი 7.63მმ-იანი ტყვიით თავისი კოლოფიდან, და ამგვარად, თითქმის აორმაგებდა ტყვიების რაოდენობას, ჩვეულებრივ 6 ტყვიან უებლის პისტოლეტთან შედარებით. ეს იარაღი ნაკლებად გამოიყენებოდა ჩვეულებრივ ბრძოლებში, მაგრამ ხშირად იყენებდნენ მას რეიდების დროს და როგორც ინდივიდუალურ იარაღს.

არტილერიის მხრივ, ინგლის-ბურების ომში პირველად იქნა გამოყენებული ავტომატური მსუბუქი საარტილერიო იარაღი მეტსახელად ,,პომ-პომი.” ეს იარაღი იყო მაქსიმის ტყვიამფრქვევის სახეცვლილება. მას ფართოდ იყენებდნენ ბურები. მისი საბრძოლო მასალა იყო ერთფუნტიანი დარტყმითი მოქმედების ჭურვი. ეს იარაღი იყო წინამორბედი მუხლუხებიანი 20მმ-იანი ,,ტანკების გამანადგურებლისა,” რომელსაც იყენებდნენ მე-2 მსოფლიო ომში, ძირითადად მოწინააღმდეგის

განლაგების ადგილებისა და გამაგრებული პოზიციების წინააღმდეგ, და აგრეთვე, ჯავშან-ლოკომოტივებისა და ვაგონების წინააღმდეგ.

ანგარიშებში იარაღის გამოცდის შესახებ სწრაფად მსროლელი მცირე საარტილერიო ქვემეხი ,,პომ-პომი" აღწერილია, როგორც ძალზე ეფექტიანი იარაღი; სტანდარტული საარტილერიო იარაღისთვის თავის არიდება და თავშესაფრის პოვნა, ასე თუ ისე, შეიძლებოდა დროის იმ მონაკვეთში, რომელიც არსებობდა გასროლის მანიშნებელ გაელვებასა და ჭურვის ადგილზე მიღწევას შორის. პომ-პომს კი შეეძლო შეუჩერებლად ეწარმოებინა დამანგრეველი ცეცხლის ნაკადი.

სურ. 12 ბური არტილერისტები საბრძოლო პოზიციაზე

უფრო ჩვეულებრივი არტილერიის თვალსაზრისით, ბრიტანელებმა ომი დაიწყეს ძალიან ცუდად შეიარაღებულებმა. ომის დასაწყისში მათ ბრძოლის ველზე მხოლოდ მცირე არტილერიის განლაგება შეძლეს და ბურებთან პირველი შეტაკებების დროს ბევრი ქვემეხი ბურებმა ჩაახშეს ან ,,თავისუფალ სროლას" აწარმოებდნენ მათ წინააღმდეგ (ჯგუფეულები დახოცილი იყო), ხოლო შემდეგ მათ ხელში იგდებდნენ. ეს ხშირად ის შემთხვევა იყო, როდესაც არასათანადოდ ორგანიზებული და კოორდინირებული ქვედანაყოფები, მობილური მოწინააღმდეგის პირისპირ, ერთმანეთისგან იზოლირებულნი აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ბრიტანელების არტილერიის ჩვეულებრივი იარაღი იყო 12 და 15 ფუნტიანი საველე ქვემეხები, რომელთა სროლის მანძილი დაახლოებით 5.000 იარდი იყო და აგრეთვე, 5-ინჩიანი ჰაუბიცები, რომელთაც შეეძლოთ 50 ფუნტიანი ჭურვი ამავე მანძილზე გაეტყორცნათ. ბრიტანელებმა ბრძოლაში გამოიყენეს აგრეთვე საზღვაო ზარბაზნები, როდესაც უკიდურეს სასოწარკვეთამდე მივიდნენ. ისინი მოხსნეს კრეისერებიდან: ,,საშინელი," ,,ძლიერი," ,,მონარქი" და ,,დორისი." ამ ზარბაზნებს მეტი შორსმსროლელობა ჰქონდათ (4.7-ინჩიანი ქვემეხის სროლის მანძილი იყო დაახლოებით 1.000 იარდი). საკუთარი წარმოების საარტილე-



სურ. 13 ჰაირემ სტივენს მაქსიმი (1840-1916). ბრიტანეთის არმიის პოლკოვნიკი, იარაღის გამომგონებელი

რიო იარაღი გამოყენებულ იქნა აგრეთვე მეიფკინგისა და კიმბერლის ალყის დროს; ამის გამო მათ მეტი პოპულარობა მოიპოვეს, ვიდრე მათი ეფექტიანობა ამას იმსახურებდა. ბრიტანული ზარბაზნების საბრძოლო მასალა ხშირად იყო ლიდიტის ჭურვები. ეს ბრიზანტული ნარევი უფრო ეფექტიანი იყო, ვიდრე სტანდარტული ფეთქებადი ნივთიერებები და გამოიყენებოდა საშინელი ეფექტის მოსახდენად სხვადასხვა საარტილერიო ბრძოლაში ომის ბოლო ეტაპზე, როცა ბრიტანეთის საარტილერიო სექციები დაკომპლექტდა და უფრო მეტი რაოდენობის ქვემეხები გადაისროლეს ზღვით, სამხრეთ აფრიკის საბრძოლო მოქმედებების თეატრზე.

მეორე მხრივ, ბურების არტილერია დიდ წილად შედგებოდა ქვემეხებისგან, რომლებიც კრუპისა და კრეზოს მასიური იარაღის მწარმოებელი ქარხნებიდან იყო იმპორტირებული. ზევით ჩვენ ვახსენეთ მცირე, ავტომატური საარტილერიო იარაღი ,,პომ-პომი"; უფრო მძიმე ჭურვების დასაშენად ბურები ხმარობდნენ 75მმ-იან საველე ქვემეხებს. ამ იარაღმა მნიშვნელოვნად აჯობა ბრიტანელების არმსტრონგის მოდელის ქვემეხებს. მართლაც, ომის დასაწყისში, ბურების არტილერიის შედეგი ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. ციტირება ბრიტანელი ოფიცრის, ვიცე-პოლკოვნიკ როულინსონის დღიურიდან:

სურ. 14 მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევი

სურ. 15 ვიქტორია, დიდი ბრიტანეთის დედოფალი 1837-1901 წლებში. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე. მისი მმართველობის ეპოქაში ბრიტანეთის იმპერიამ მიაღწია ძლიერების უმაღლეს ნიშნულს

,,დილის 6.15 -ზე, 4.7 საზღვაო ქვემეხმა დაიწყო ცეცხლდაშენა ,,გრძელ ტომზე", რომელიც მანამდე კარგა ხანს გვიშენდა. 12 ფუნტიანმა საზღვაო არტილერიამაც გახსნა ცეცხლი, მაგრამ მანძილი სათანადოდ ვერ შეარჩიეს და ბევრმა ჭურვმა მიზნამდე ვერ მიაღწია. სიმართლე უნდა ითქვას, მოწინააღმდეგის ქვემეხი უნაკლოდ ისროდა. ორი ჭურვი ზუსტად ჩვენი 4.7 ქვემეხის ახლოს დაეცა, მათგან ერთი - მარჯვენა ქვემეხის საყრდენთან და საბრალო ევერტონს ერთი ფეხი მუხლამდე მოაგლიჯა, მეორე ფეხის ტერფი კი სულ დაუმსხვრია..."

ბურებს ჰქონდათ აგრეთვე რამდენიმე მასიური 115 მმ-იანი კრეზოს საველე ქვემეხი, რომელიც ისროდა 88 ფუნტიან ფუგასურ ჭურვებს. ზუსტად შერჩეული მეტსახელით - ,,გრძელი ტომი" - ცნობილმა ამ იარაღმა პოპულარული მითეზის სამყაროში დაიმკვიდრა ადგილი, დიდი ომის (I მსოფლიო ომის) დროინდელ ,,დიდ ბერტასთან" ერთად. თუმცა, მართლაც რეალობას შეესაბამება ის ფაქტი, რომ 1000 იარდის ეფექტიანი სროლის მანძილის მქონე ამ უზარმაზარ ქვემეხს უპირატესობა ჰქონდა ბრიტანელების ნებისმიერ საველე ქვემეხთან შედარებით.

სამწუხაროდ, ამ ქვემეხებმა სხვადასხვა პუნქტებისთვის მოწყობილ ალყებში ვერ გაამართლა და იმ პერიოდიდან, ბრიტანული არტილერიის გაძლიერებამ ნათელი გახადა, რომ ბრიტანელებს, და არა ბურებს, ჰქონდათ უპირატესობა ბრძოლის ველზე. 1900 წლის თებერვალში უინ ჰილისთვის ბრძოლაში თავდაცვაში მყოფმა ბურებმა ბრძოლის ველზე მხოლოდ რვა ქვემეხის გამოყვანა შეძლეს, ინგლისელებმა კი მათ 50 ქვემეხი დაუპირისპირეს. ამის გარდა, ბრიტანელებს ჰქონდათ სათვალთვალო აეროსტატების გამოყენების საშუალება, რომელთა მიხედვით შეიძლებოდა ცეცხლის მართვა. ბურებისთვის ეს მიუწვდომელი ფუფუნება იყო.

ამგვარად, ბრიტანეთის არმიები გაძლიერდნენ და ბრძოლები უფრო ხშირად ვითარდებოდა ათეულების დონეზე, რის გამოც ბურების მიერ არტილერიის გამოყენება თითქმის მთლიანად შეწყდა.

ომის სტრატეგია

ინგლის-ბურების ომის ტაქტიკის შეფასებებში აუცილებლად გამოჩნდება მეტი ინიციატივა ბურების მხრიდან. თუ ამ ომის თაობაზე გაცხარებულ კამათში ერთ საყოველთაო თემას გამოვყოფდით, ეს იქნებოდა ,,ბურების მოძრაობა, ბრიტანელების პასუხი". საწყის ეტაპზე მაინც, ეს იყო ნაწილობრივ ბურების მხრიდან უფრო სწორი ტაქტიკური აზროვნების შედეგი და ნაწილობრივ, ბრიტანელების არამყარი, ცარიელ განცხადებებზე დაფუძნებული პოზიციის შედეგი. ბრიტანეთს

ჰქონდა უზარმაზარი სამხედრო და ეკონომიკური რესურსები, რომელთა მასიური გამოყენება ბურების ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკის (ტრანსვაალი და ორანჟი) წინააღმდეგ აუცილებლად გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ბურების ერთადერთი შანსი იყო სწრაფი დარტყმა და ბრიტანელებისთვის ინგლისიდან მარაგების შევსების გზების მოჭრა - კერძოდ, საზღვაო პორტების იზოლირება. სტრატეგიულად, ეს მოსაზრება ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ როდესაც ომი გამოცხადდა, ბურები რიცხობრივად ოდნავ აღემატებოდნენ ბრიტანელებს. ეს ნიშნავდა, რომ გარემოების გამო, ბრიტანელები იძულებული იყვნენ მიემართათ შემაკავებელი სტრატეგიისთვის - დაპირისპირებოდნენ ბურების შეჭრას კეიპ კოლონიში და ნატალში, შეეკავებინათ ისინი და თუ შეძლებდნენ, უკუეგდოთ.

სურ. 16 ტრანსვაალის
რესპუბლიკის გერბი

სურ. 17 ორანჟის რესპუბლიკის გერბი

ამის გარდა, ბრიტანეთის იმდროინდელი სამხედრო თეორიის ზოგი ასპექტი ეფუძნებოდა შეტევას უფრო მოწინააღმდეგის სამხედრო ქვედანაყოფის წინააღმდეგ, ვიდრე პოზიციების წინააღმდეგ, რაც მიიღწეოდა ფლანგიდან შემოვლითი მანევრით ცხენოსანი ძალებით, აგრეთვე კავალერიის იერიშით მოწინააღმდეგის პოზიციებზე და სხვა ამგვარი; ამ სტრატეგიას შედეგი მოჰქონდა ყირიმის ომისა და ნაპოლეონის ომებისთვის დამახასიათებელ გიგანტურ ბრძოლებში; მაგრამ სანგრებში გამაგრებული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ, რომლის პოზიციები იყო უხილავი (დენთის კვამლის არარსებობის წყალობით), შენიღბული (როგორც მეიჯერსფონტეინთან ბრძოლის დროს, როდესაც კრონჟემ შენიღბული სანგრებიდან ათჯერ შეამცირა შეტევაზე გადმოსული ბრიტანელების ძალები) ან რომელიც იყო ძალიან მობილური, ეს სტრატეგია აბსოლუტურად უშედეგო გამოდგა. საცეცხლე საშუალებებში მომხდარი ტექნოლოგიური წინსვლა, რომელიც ზევით განვიხილეთ, ნიშნავდა, რომ სრულიად შეუძლებელი იყო ჩასანგრებული ხაზის აღება ქვეითების მიერ ღია ადგილზე.

სურ. 18 ბრიტანელთა ქვეითი ასეული საბრძოლო პოზიციაზე

კვლავ და კვლავ, უსასრულო შეტევები ბურების სანგრების წინააღმდეგ ძალას აცლიდა ბრიტანელებს და აჩერებდა მათ მიზნებისგან 500-800მ მანძილზე, რადგან ბურების ზუსტი გასროლები შაშხანებიდან პირდაპირი დამიზნებით, არ აძლევდა მათ გადაადგილების საშუალებას. საწყის ეტაპზე ბრიტანული ქვემეხების ჩამორჩენა, სროლის სიშორის თვალსაზრისით, ქვეითების მხარდასაჭერად კონტრ-ბატარეის ცეცხლის წარმოებას შეუძლებელს ხდიდა, რადგან დიდი იყო ქვემეხების დანაკარგის მიღების რისკი. ბრიტანელებისგან განსხვავებით, ბურების ტაქტიკა იყო შეტევა პოზიციაზე. მცირე გორაკების (კოპიების) შერჩევა ხდებოდა წინასწარ, რადგან იქიდან გარანტირებული იყო კარგი დამიზნების ხაზი შემტევ ძალებზე (თავდაცვითი ბრძოლების შემთხვევაში), ან ასეთ გორაკებს იკავებდნენ, როგორც პრიორიტეტულ ადგილს (შეტევითი ბრძოლების შემთხვევაში). ამ ხელსაყრელი წერტილებიდან ბურებს შეეძლოთ ქვევით მყოფ ბრიტანელების რიგებში ქაოსის გამოწვევა. როცა მათ პოზიციებს საფრთხე ემუქრებოდა, მაღალი მობილურობის მქონე ბურების რაზმები უბრალოდ გაეცლებოდნენ ხოლმე იქაურობას, და როგორც წესი, გადადიოდნენ სხვა წინასწარ მომზადებულ პოზიციებზე. ბურების კიდევ ერთი ტაქტიკა იყო სროლის მანძილის მონიშვნა თეთრი ქვებით, საორიენტაციო ნიშნების სახით, ბრიტანელების შეტევის დაწყებამდე. ამ გამოყოფილი მანძილების დახმარებით ისინი ახდენდნენ შაშხანებიდან და საარტილერიო იარაღიდან ცეცხლის კორექტირებას და ზრდიდნენ მის ეფექტიანობას. ,,ერიდე ოფიცრებს და თეთრ ქვებს" - ასე ასწავლიდნენ ახლადჩასულ ბრიტანელ ჯარისკაცებს.

სურ. 19 ბრიტანელი ქვეითები მარშზე

რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უპირატესობა მთლიანად ბურების მხარეს იყო (,,ყველა ტუ-ზი" მათ ხელთ იყო). ისინი უკეთ იყვნენ აღჭურვილი, უფრო ძლიერი და უფრო გამოცდილი ლიდერები ჰყავდათ და უკეთ იყვნენ მიჩვეული ველებზე ბრძოლას, ვიდრე მათი მოწინააღმდეგე. ამის გარდა, ბრიტანელები იძულებული იყვნენ უშუალოდ ბრძოლის პროცესში შეექმნათ თანა-მედროვე ომის წარმოების წესები, ნაცვლად იმისა, რომ ომი დაეწყოთ თუნდაც როგორღაც ჩამოყა-ლიბებული იდეით იმის შესახებ, თუ რა იყო მოსალოდნელი და როგორ უნდა მიეღწიათ გამარჯ-ვებისთვის. ბევრ ბრიტანელ სამხედროს ეგონა, რომ ბურები საერთოდ ვერ შეძლებდნენ ბრძოლას, ასე რომ, ომის დაწყებისთანავე ისინი მცდარ გზაზე აღმოჩნდნენ. არმიები, რომლებიც გაგზავნეს იმისთვის, რომ ბრიტანულ კოლონიებში ბურების შეჭრა შეეჩერებინათ, მალე განადგურდნენ და დარჩენილი ნაწილები იძულებულნი გახდნენ უწესრიგოდ გამოქცეულიყვნენ იქიდან. მოდერ რი-ვერთან ბრიტანელების დამარცხების შემდეგ (28 ნოემბერს), შტორმბერგთან და მეიჯერსფონტეინ-თან (9-11 დეკემბერს) და კოლენსოსთან (16 დეკემბერს) ბურების წინსვლა შეჩერდა და მათ ბაზი-რება მოახდინეს ქალაქებთან: ლეიდისმიტი, კიმბერლი და მეიფკინგი. იმ დროისთვის ყველაზე შე-საფერისი ადგილი ბრძოლისთვის იყო ე. წ. ნიკოლსონის ქედი ლეიდისმიტთან. თუმცა ეს ბრძოლა ბრიტანელების თითქმის სრული განადგურებით დასრულდა, ბურების ბევრი ლიდერი (მაგალი-თად, დე უეტი) მიხვდა, რომ მათი თუნდაც მცირე ნაწილისთვის უკან დახევის შესაძლებლობის დატოვება უდიდესი შეცდომა იყო. ეს ნიშნავდა, რომ ბრიტანული კოლონები მობრუნდებოდნენ, ბურებს კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ლეიდისმითის ალყა რჩებოდათ, რაც თავის მხრივ, გამორიც-ხავდა სწრაფი წინ წაწევის შესაძლებლობას სანაპიროს გაყოლებით. ბურების ერთ-ერთი ოფიცერი რეიცი, როგორც ბრძოლის მონაწილე, ასე აღწერს ამ შეცდომას:

სურ. 20 ბური ქვეითები

,,... გავიგონე ერთმა მათგანმა როგორ წამოიძახა: ,,ღმერთო, შეხედეთ ამას!"; ჩვენ მოვტრიალდით და დავინახეთ, რომ ბრიტანელების ჯარი, რომელიც დაბლობზე დილით ჩვენ გვებრძოდა, სრული შემადგენლობით იხევდა ლეიდისმითისკენ. მტვრის დიდი ღრუბლები ზვავივით ეფინებოდა ველს და მათი უკან დახევის მანერა ძალიან ჰგავდა გაქცევას. იქნებოდა დაახლოებით 10.000 ჯარისკაცი, მაგრამ გენერალ ჟუბერს თავის განკარგულებაში ამ რაოდენობაზე გაცილებით მეტი ცხენოსანი ჰყავდა. ყველა მოუთმენლად ველოდით, რომ ის მათ მტერზე მიუშვებდა. გავიგონე, როგორ ბუტბუტებდა ქრისტიან დე უეტი: ,,ლოს გოუ როიტერს! ლოს გოუ როიტერს" (გამოუშვი შენი კავალერია, გამოუშვი!"), მაგრამ მეთაურმა გენერალმა ეს შესანიშნავი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა და სულ რაღაც რამდენიმე დღეში ეს შეცდომა ძალიან ძვირად დაგვიჯდა."

მოგვიანებით, რეიცი აღწერს შემთხვევას, როცა დაქვემდებარებული მეთაურები მოითხოვდნენ მოწინააღმდეგეზე ენერგიული შეტევით ზეწოლას, ჟუბერმა მაგალითად მოიყვანა ერთი ანდაზა: ,,როდესაც ღმერთი თითს გამოგიშვერს, მთელ ხელს ნუ წაეპოტინები." რეიცი ხაზს უსვამს, რომ ასეთი სიფრთხილე ომში უადგილოა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სწრაფად გამარჯვებას, რათა თავიდან ავიცილოთ სრული მარცხი.

მეიფკინგის ცნობილი ალყის დროს იგივე მოხდა - მცირერიცხოვანმა და ცუდად აღჭურვილმა გარნიზონმა შეძლო შეებოჭა მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის ბურების ძალები, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ნაკლები ქვემეხი ჰქონდათ, ცოცხალი ძალის რაოდენობითაც ჩამორჩებოდნენ და იყვნენ მთლიანად ალყაშემორტყმულები. რატომ დაუშვეს ბურებმა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული უპირატესობის დაკარგვა?

სურ. 21 ბური პარტიზანები

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანი იქნება განვიხილოთ 1881 წლის ინგლის-ბურების I ომი. იმ სიჩქარეს, რომლითაც ბრიტანელები დათანხმდნენ ხელის მოწერას, საფუძვლად ედო ის, თუ რამდენად შემაწუხებელი იყო მათთვის ბურების პრობლემა და რამდენად არ ჰქონდათ არავითარი სტიმული მასში ჩაბმისა. ბურებისთვის კი, როგორც ჩანს, ეს იყო მინიშნება, რომ ბრიტანელები გატეხა სწრაფმა, გადამწყვეტმა შეტევებმა მტკიცედ მოტივირებული მოწინააღმდეგისა-

გან. საკამათო არ არის, რომ ომის პირველ თვეებში ბურების შეტევები გამოირჩეოდა გაბედულებით და იყო გადამწყვეტი; მაგრამ ნამდვილად საეჭვოა, ბურების სტრატეგია საზღვაო პორტების აღების შესახებ ნამდვილად იყო მათი მიზანი, თუ უბრალოდ მოწოდება. უფრო საფიქრალია, რომ ბურები ბრიტანელების კიდევ ერთ სწრაფ კაპიტულაციას ელოდნენ, რომელსაც მოჰყვებოდა ,,ზავი მისაღები პირობებით". როცა აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო მოსალოდნელი, ,,შავი კვირის" (11-15 დეკემბერი) შემდეგაც კი, სავსებით გასაგებია, რომ ბურების შეტევები სტაგნაციის ფაზაში შევიდა. ანალიზი რომ დავასრულოთ, უნდა ვთქვათ, რომ ისინი შეეცადნენ შეცდომაში შეეყვანათ ბრიტანელები და შემდეგ უკუექციათ, მაგრამ მათი წინსვლის ტემპის შენელებამ ასეთი გამბიტის წარმატება შეუძლებელი გახადა. დამატებით უნდა ითქვას, რომ ბრიტანელებს ომში ჩაბმის სტიმული, რომელიც მანამდე ნაკლებად ჰქონდათ, ოქროს მოპოვების აყვავებისთანავე გაუჩნდათ; რეტროსპექტული ანალიზით, გასაკვირია, რატომ არ მიაქციეს ბურებმა ყურადღება ამ ფაქტს, რატომ მოადუნეს სიფხიზლე და ვერ მიხვდნენ, რომ ამჯერად ბრიტანელები ასე ადვილად არ დანებდებოდნენ.

სურ. 22 აფრიკული კომანდოს ბრიტანელი ჯარისკაცები

დრო გადიოდა, ბრიტანელების სამხედრო ძლიერება და ცოცხალი ძალა სამხრეთ აფრიკის რეგიონში იზრდებოდა და ქვეითებისთვის საცეცხლე მხარდაჭერის აღმოსაჩენად ქვემეხების რაოდენობის გაზრდასთან ერთად, ბურების თავდაცვის ხაზები თანდათან დასუსტდა, შედრკა და დაეცა. სულ რაღაც ექვს თვეში, ბურებმა ხელიდან გაუშვეს ომის პირველ თვეებში ასე ადვილად მოპოვებული გამარჯვებები; 1900 წლის დასაწყისში დაეცა პრეტორია და ბლუმფონტეინი. ცოტა ხანში, დონკერშუკთან მომხდარ ბრძოლაში, ბრიტანელების არტილერიის სიძლიერემ გენერალი

დე ლა რეი აიძულა დაეტოვებინა პოზიცია, სადაც მას ალყაში ჰყავდა ბრიტანელთა კავალერიის რაზმი, რომელსაც ამჯერად არ გაუმართლა, და ანადგურებდა მას.

სურ. 23 პაულ კრიუგერი (1825-1904). ბურების არმიის გენერალი და ტრანსვაალის პრეზიდენტი ომის დროს

სურ. 24 პიტერ ჟუბერი (1831-1900). ბურების არმიის გენერალი და ტრანსვაალის ვიცე-პრეზიდენტი ომის დროს

გზავნილი სავსებით ცხადი იყო: ბურების ოსტატური მსროლელობა და გამბედაობა ბრძოლის ველზე მთავარ ძალას აღარ წარმოადგენდა. ამ ეტაპის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლის-ბურების ომი აქ დამთავრდა. ამ აზრს, რა თქმა უნდა, არ გაიზიარებს ათასობით ადამიანი, ვისაც ახსოვს, როგორ გაატარეს ბურებმა მომდევნო ორი წელი ბრიტანელი დამპყრობლების წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლებში, ან მეორეს მხრივ, ბრიტანელი ჯარისკაცები როგორ წმენდდნენ უკიდეგანო ველებს ბური მებრძოლებისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერნირებულებზე და მათზე, ვინც საკონცენტრაციო ბანაკებში დაიხოცა. მაგრამ ამ დასკვნამდე უცილობლად მივდივართ ანალიზის შედეგად. ბურებს ამ ეტაპის შემდეგ აღარ გამოუყვანიათ რაიმე ძალა ჩვეულებრივ (კონვენციურ) ბრძოლაში, ისეთი მასშტაბის ბრძოლაში, როგორებსაც ომის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. ბურების რაზმები (კომანდოსები) ოთხ ნაწილად დაიყო და არც ერთს თითქმის არ ჰქონდა მძიმე შეიარაღება ან რაიმე სახის მარაგი. ამან მკვეთრად შეასუსტა მათი ეფექტიანობა. რეიცი აღწერს შეხვედრას ამბოხებულთა რამდენიმე ასეთ სუსტ, ძალაგამოლეულ ჯგუფთან; უმეტესობას მხოლოდ ის აინტერესებდა, რომ ბრიტანელებს როგორმე ხელში არ ჩავარდნოდა და არა მათზე რაიმე სახის დარტყმის განხორციელება. რა თქმა უნდა, არსებობდა მნიშვნელოვანი გამონაკლისებიც. მაგალითად, გენერალმა დე უეტმა მოახერხა შეენარჩუნებინა რამდენიმე ათასი კაცი საბრძოლო მზადყოფნაში, რომლებიც შედარებით აქტიურნი იყვნენ თავისუფალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აგრეთვე მეთაურმა სმუტსმა, მიუხედავად კეიპ კოლონიში და ნატალში შეჭრის ოპერაციების ჩაშლისა, შეძლო დაახლოებით სამი ათასი კაცი ორგანიზებულად შეენარჩუნებინა ამ რაიონებში. მაგრამ ამ ძალებით რის მიღწევა შეიძლებოდა? ტერორისტული აქტები, მატარებლების აფეთქება და ჩასაფრებები, პრაქტიკულად, სხვა არაფერი. საბოლოოდ, ამ დაუმორჩილებლებს ერგოთ,

ომის წაგების შემდეგ, დანებებულიყვნენ და ეცადათ ,,მოეგოთ მშვიდობა;" მუდმივ ბრძოლას, როგორც ჩანდა, აზრი არ ჰქონდა. ბრიტანელების ოკუპაცია იმდენად მტკიცედ იყო გამაგრებული, რომ მას ვეღარ გააგდებდა თუნდაც საკმარისი რაოდენობით შეგროვილი და აღჭურვილი სამხედრო ძალა, რომელიც ბურებს არც ჰყავდათ.

ბოლოს და ბოლოს, ბურებმა ომი წააგეს.

სურ. 25 ბური კომანდოსები

დასკვნა

ინგლის-ბურების ომსა და დიდ ომს (პირველ მსოფლიო ომს) შორის მხოლოდ ცამეტი წელი გავიდა. ამ ორ კონფლიქტს ბევრი მსგავსება აქვს. შეიარაღებაში მომხდარმა ტექნოლოგიურმა სიახლეებმა იგივე გავლენა იქონიეს საფრანგეთის, ავსტრიის და ევროპის სხვა ქვეყნების ძველი ტიპის არმიებზე, როგორც ბრიტანეთის არმიაზე ბურებთან ომის დროს. მაგრამ ინგლის-ბურების ომის დროს გაოცებას იწვევს, რამდენად სწრაფად მოხდა ყველაფერი (,,მაგიდაზე სწრაფად დაიდო ყველა კარტი"). საომარი მოქმედებების დაწყებიდან ექვს თვის განმავლობაში, ძალიან აშკარა გახდა საბოლოოდ ვის დარჩებოდა გამარჯვება. დანარჩენი მხოლოდ დროის ამბავი იყო. ამას იმიტომ არ ვამბობთ, რომ ბურების მიღწევებს უგულვებელვყოფთ. ისინი მთელი თავისი ძალით აღუდგნენ წინ მსოფლიოს უდიდეს კოლონიურ სახელმწიფოს, სამი წელი ეომებოდნენ და საკვირველი ის არის, რომ თავიდან, ძალიან მცირე დროში იმდენს მიაღწიეს, რომ ბევრს ეგონა, რომ საბოლოოდ ისინი გაიმარჯვებდნენ.

სურ. 26 სამხრეთ აფრიკის თანამედროვე რესპუბლიკა, ცენტრში-
ორანჟის ყოფილი რესპუბლიკა

ძალიან მაცდუნებელია განხილვის აგება ვარაუდებზე, ,,ომის შებრუნებებით" განხილვა. წარმოვიდგინოთ, რა მოხდებოდა ჟუბერს რომ ენერგიული შეტევა განევითარებინა კოლენსოსთან? რა მოხდებოდა მეიფკინგი და ლეიდისმითი რომ დაცემულიყო? ეს საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ მცირე დაკვირვების შემდეგ რამდენად ცხადი იყო, ვინ წააგებდა ომს, რაც კიდეც მოხდა. მაგრამ ამ სურათისგან განსხვავებით, ბურების წარმატებების ზოლი აუცილებლად გამარჯვებით ვერ დასრულდებოდა. როგორც დიდი ბრიტანეთის დედოფალმა ვიქტორიამ ბრიტანელების დიდი საბრძოლო დანაკარგების (,,შავი კვირის" შედეგად) თაობაზე განაცხადა: ,,ამ სახლში არავინაა დათრგუნული. ჩვენ არ გვაინტერესებს ლაპარაკი დამარცხებაზე; ასეთი ალბათობა უბრალოდ არ არსებობს."



სურ. 27 იაკობ დე ლა რეი (1847-1914).
ბურების არმიის გენერალი
და მამაცი მეომარი

ასეთი იყო ბრიტანელების განწყობა ომისადმი - ისინი იდგებოდნენ მანამდე, სანამ ,,კრიუჯერი" (პრეზიდენტი კრიუგერი) და მისი ,,ჩამოძონძილი ბანდა" დანებდებოდნენ, რამდენი ხანიც იქნებოდა საჭირო. სხვაგვარად მოქმედება მათ უბრალიდ არ შეეძლოთ - მთელი მსოფლიოს ყურადღება და მათ შორის ბრიტანეთის ძველი მეტოქის - გერმანიისა, მიპყრობილი იყო რენდის ოქროს საბადოებზე და თუ მათ ბრიტანეთის იმპერია არ დაეუფლებოდა, ამას ვინმე სხვა გააკეთებდა. ის, რომ ამას სამი წელი, უზარმაზარი ხარჯი და ათასობით სიცოცხლე დაჭირდა, იმდენადვეა ადამიანის სიხარბისა და მერკანტილიზმის მაჩვენებელი, რამდენადაც შეუპოვრობისა და მოვალეობის გრძნობისა.

ბრიტანელების ტაქტიკა ბურების ომში

მაიკლ კოლი

ყველაზე ადრინდელი დადასტურება იმისა, თუ როგორი უნდა გამხდარიყო თანამედროვე სამხედრო დოქტრინა მნიშვნელოვანი დახვეწის შემდეგ, გამოჩნდა სწორედ ბურების 1899-1902 წლების ომში და არა 1850-1870 წლებში მომხდარი ბრძოლების დროს. ქვეითების ცეცხლსასროლი იარაღის სწრაფსროლამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახალი ტაქტიკის განვითარებაზე მე-20 საუკუნეში. გამოცდილება, რომელიც ბრიტანელებმა ბურების ომში მიიღეს, ამის ნათელი დადასტურებაა. ბრიტანელი და ბური ქვეითები შეიარაღებულნი იყვნენ თანამედროვე სრიალასაკეტიანი თოფებით. სიმართლეა ის, რომ ბრიტანელი ჯარისკაცები გაწვრთნილნი იყვნენ საბრძოლო წყობის გამოყენებაში ახლო მიჯრილ კოლონებად, ბატალიონის სიდიდის ქვედანაყოფებში და ამის გამო იოლ სამიზნეს წარმოადგენდნენ. მაგრამ ამით ვერ ავხსნით ბურების მიერ გაცილებით მაღალი სიმჭიდროვის ცეცხლის წარმოებას, მაშინ როცა მათი ცოცხალი ძალის რიცხობრიობა ბრიტანელებისაზე ბევრად ნაკლები იყო. როგორ დაამარცხეს მცირერიცხოვანმა ძალებმა მრავალრიცხოვანი პროფესიონალი ჯარები, რომლებიც ბრძოლაში თავისთვის ჩვეულ საბრძოლო წყობას იყენებდნენ? ეს დიდ წილად მოხდა იმიტომ, რომ მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ბურებმა შეძლეს იმ სიმჭიდროვის ცეცხლის წარმოება, რომლის ეკვივალენტი ვერ შეძლეს ბრიტანელებმა - რატომ? არსებობს ორი მიზეზი. პირველი - ბრიტანელები დამოკიდებული იყვნენ ძირითადად ზალპურ ცეცხლზე, დახელოვნებული ბური მსროლელები კი დამოუკიდებლად ისროდნენ. მეორე - ბურებს ვაზნები მჭიდში ჰქონდათ ჩალაგებული. ხუთგასროლიანი მჭიდის თოფში ჩადგმა ძალიან სწრაფად შეიძლებოდა ცერა თითის მიჭერით. ბრიტანელების თოფებს სავაზნე კოლოფიდან ერთ ჯერზე ერთი ვაზნა მიეწოდებოდათ და ჯარისკაცებს ტყვიები სატყვიაწამლე ჩანთაში პირდაპირ ჩაყრილი დაჰქონდათ. თუ ბრიტანელ ჯარისკაცს შეეძლო ხუთი გასროლის გაკეთება იმავე სიჩქარით, როგორც ბურ ჯარისკაცს, ბურებს 50 გასროლის გაკეთება უფრო სწრაფად შეეძლოთ, ვიდრე ბრიტანელებს ოცისა, იარაღის გადატენის უფრო მაღალი სისწრაფის გამო. სწრაფად მსროლელი მაუზერების უპირატესობა იყო სწორედ გადამწყვეტი განსხვავების განმაპირობებელი ბრძოლის ველზე. ცეცხლის სიმჭიდროვემ ძველი ტაქტიკის არაეფექტურობა დაადასტურა.

სურ. 28 ლუის ბოტა (1862-1919). ბურების არმიის გენერალი. ომის შემდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრი

ბრიტანელი ოფიცრის მონათხრობი ბურების კამპანიის დროს მიღებული ჯარისკაცის გამოცდილების შესახებ: ,,ქვეითი ჯარისკაცი ვერაფერს ხედავს მის აქეთ-იქით მდგომი ადამიანებისა და პირისპირ მდგომი მოწინააღმდეგის გარდა. ესმის მოწინააღმდეგის იარაღის გრუხუნი - ვერც ხვდება საიდან - და ესმის ტყვიების სტვენა. ყოველ წუთს გრძნობს, რომ ეს ტყვია ვიღაცას ხვდება მის გვერდით. ყნოსვით გრძნობს დენთის სუნსა და საკუთარი თოფის ზეთოვან სუნს. ისვრის იმ მანძილზე, რომელიც განსაზღვრულია, იმ მიმართულებით, რაც მიუთითეს და ყოველ წუთს ესმის: ,,წინ!" ის დგება და მიდის და უკვირს, რატომ არ მოხვდა ტყვია, როდესაც წამოდგა? აი სულ ეს არის."

ცხადია, რომ 1890-იან წლებში ევროპელი და ამერიკელი ჯარიკაცების გამოცდილება, რომლებიც ახლო მიჯრილი წყობით იბრძოდნენ, ნაკლებად იყო შეცვლილი 1800-იანი წლების დასაწყისიდან.

ერთ-ერთი ლონდონური ჟურნალი წერდა: ,,ბრიტანელი ჯარისკაცის დისციპლინა მაღალი იყო, მაგრამ ის ცუდად იყო გაწვრთნილი." თუმცა ბრიტანული არმია მიჩნეული იყო ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ, მისი გაწვრთნა მიჯრილი საბრძოლო წყობის ტაქტიკის გამოყენებით და ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ჯარისკაცი, უპირველეს ყოვლისა, დისციპლინირებული უნდა ყოფილიყო, ხელს უშლიდა ახალ ტაქტიკასთან მორგებაში და ანელებდა შეგუებას სიახლეებთან. ბურებთან შედარებით მათ ცუდი მსროლელობა გამოავლინეს; ,,საფარს არ ეძებდნენ, ცუდად აღიქვამდნენ რა ხდებოდა საერთოდ, ვერ ხვდებოდნენ მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობას, მოწინააღმდეგის მოქმედება მათთვის ყოველთვის მოულოდნელი იყო, იბნეოდნენ. ოფიცრების ბრძანებების გარეშე უსუსურობას ავლენდნენ"-ასეთი აღწერა არ შეესაბამება განაცხადს ,,ტაქტიკაში რევოლუციის" შესახებ. მიჯრილი საბრძოლო წყობით მოქმედებაში გაწვრთნილ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ თანამედროვე ჯარისკაცების უნარ-ჩვევები.

სურ. 29 სერ უინსტონ ჩერჩილი (1874-1965). ბრიტანეთის არმიის ლეიტენანტი, ინგლის-ბურების ომის მონაწილე

ბრიტანეთის არტილერიაში 1899 წლისთვის ის-ის იყო დაასრულეს ცვლილება სახაზინო ნაწილიდან დასატენ ქვემეხებზე გადასვლასთან დაკავშირებით. ეს ცვლილება დააჩქარა ლულიდან დასატენი დიდი ქვემეხების არაპრაქტიკულობამ თავდაცვით ზღუდეებზე მათი დადგმის თვალსაზრისით. ბურების წინააღმდეგ ბრიტანელების არტილერიის ტაქტიკა მოძველებული და ცუდად მოფიქრებული იყო. მათ ქვემეხები ხშირად მოჰყავდათ მოქმედებაში ექვსი ქვემეხისგან შემდგარი სწორი მწკრივების სახით და სავარჯიშოების ჩანაწერების რვეულის მიხედვით დადგენილი დაშორებებით. თვალშისაცემი ღია პოზიციები ბრიტანელ არტილერისტებს მაგნიტივით იზიდავდა ბატარეების მოსაწყობად, იმის მიუხედავად, რომ ასეთ პოზიციებზე მათ ხშირად ანადგურებდნენ, სანამ ისინი მოქმედებას დაიწყებდნენ. მათგან განსხვავებით, ბურები ოსტატურად ირჩევდნენ ადგილებს თავისი სულ რამდენიმე ქვემეხისთვის და კარგად ნიღბავდნენ მათ. ბური არტილერისტები თხრიდნენ საფარს ქვემეხებისთვის ორასი იარდით წინ

დაბალ გორაკებამდე და ალტერნატიული საფარიც გათხრილი ჰქონდათ, რომ ქვემეხების სწრაფად გადაადგილება შეძლებოდათ, თუ მათ პოზიციებს აღმოაჩენდნენ.

მეიჯერსფონტეინთან, სტორმბერგთან და კოლენსოსთან ბრძოლებში ბრიტანეთის ქვეითი ჯარის მეთაურებმა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო არმია გაუშვეს წინასწარ განწირულ ფრონტალურ შეტევაზე, კარგად დაგეგმილი და მოწყობილი პოზიციების წინააღმდეგ, ისეთი საბრძოლო წყობით, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა ვატერლოოსთან იმპერიული გვარდიის მიერ გამოყენებული წყობისაგან. ბრიტანეთის გენერალური შტაბის 1890-იანების დოქტრინაში ვკითხულობთ: ,,ფორმალური მხარის ზედმიწევნით დაცვით და სათანადოდ, სრულად მომზადებული რეგულარული ჯარის მიერ გახორციელებული იერიში უეჭველად აჯობებს მოხალისეების ან ახალწვეულების მიერ განხორციელებულს. პირველხარისხოვანი ქვეითების გაწვრთნა სანგრების გათხრაში ხელს შეუწყობს ჯარისკაცებში თავდაცვაზე ორიენტირებული აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც გაანადგურებს საბრძოლო სულისკვეთებას". აქ ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ ,,თანამედროვე" მეთაურები არ მიესალმებიან სანგრებში გამაგრების იდეას, როგორც ტაქტიკურ სიახლეს, წინსვლას. მეიჯერსფონტეინთან ბრძოლაში ,,ბრიტანელი ჯარისკაცები გადადიოდნენ შეტევაზე მაქსიმალურად შემჭიდროებული რიგებით, კოლონის მეოთხედებად, შეკავშირებულობისა და მიმართულების შენარჩუნების მიზნით. პოლკები დაწყობილნი იყვნენ კოლონებად, მარცხენა ფლანგზე მიდიოდნენ გამყოლები თოკებით, რათა ხაზის სისწორე შეენარჩუნებინათ". მდ. მოდერთან ბრძოლაში 1899 წლის 28 ნოემბერს გვარდიის ბრიგადა და მე-9 ბრიგადა ,,ორივე შებოჭილი აღმოჩნდა დაბლობზე, ბურების უხილავი მაუზერების ცეცხლისაგან". აქ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ვხედავთ ომის მიუკერძოებელ აღწერას, რომელიც შემოგვთავაზეს სამოქალაქო პირებმა.

1914 წელს არც ერთ ,,თანამედროვე" ევროპულ არმიას არც გაუგია ან არც უცდია ტაქტიკისა და დოქტრინის რეალობასთან მისადაგება ახალი შეიარაღებისა და მასიური ძალების გამოყენების თვალსაზრისით. ფრანგული ომის თეორია 1914 წლამდე მნიშვნელოვნად წავიდა წინ იმ სტრატეგიული და ტაქტიკური პრინციპებისგან, რომლებიც ნაპოლეონისა და მისი მარშლების მიერ წარმოებულ ოპერაციებს მართავდნენ. ნაპოლეონის პრინციპი, რომ სტრატეგიასა და ტაქტიკაში საბრძოლო სულისკვეთება უმთავრესი იყო, დომინანტური დარჩა ფრანგული უმაღლესი მთავარსარდლობისთვის 1914 წლამდე. 1914 წლის შეტევაზე წინსვლის დროს, გერმანულმა არმიამ საფრანგეთი გაიარა და გამოიყენა ტაქტიკური წყობა, რომელიც ოდნავ თუ იყო შეცვლილი ნაპოლეონის დროიდან და აშკარად არ იყო შეცვლილი მოლტკეს დროიდან. 1914 წლის 22 აგვისტოს გერმანელების 53-ე ბრიგადამ თავისი 124-ე და 127-ე პოლკებით, რომლებიც ექვსი ბატალიონისგან შედგებოდა და სულ 6.800 ადამიანს ითვლიდა, შეტევა მიიტანა ბლეიდზე დაახლოებით 3.500 იარდი სიგანის ფრონტზე, სადაც ორი ადამიანი მოდიოდა ერთ იარდ მანძილზე; შეტევა მიმდინარეობდა გაშლილ დაბლობზე, სადაც მოწინააღმდეგე არ იყო სანგრებში გამაგრებული. ეს იყო შეტევა მიჯრილი წყობით, რომელიც სრულად შეესაბამებოდა წინა საუკუნეში გამოყენებულ ხაზოვან ტაქტიკას.

სამხედრო ისტორიკოსი დიუპუი სამხედრო ისტორიის ენციკლოპედიაში იძლევა მნიშვნელოვან თვალსაჩინოებას ტაქტიკის ევოლუციის შესახებ ტრადიციული ხაზოვანი ტაქტიკიდან თანამედროვე ინფილტრაციულ ტაქტიკამდე. ის ახსნას აძლევს ბრიტანულ გამოცდილებას ბურებთან ომში სამხრეთ აფრიკაში და იმას, თუ რატომ დაჭირდა თანამედროვე, მრავალრიცხოვან, დაახლოებით 500. 000-იან არმიას ორი წელი, რათა დაემორჩილებინა მოხალისეები, ფერმერები და არაპროფესიონალი სამხედროები, რომელთა მოქმედი არმიის რიცხობრიობა არასდროს აჭარბებდა 40.000.

დაახლოებით 85 წლიანი სრულმასშტაბიანი და მცირე ომების გამოცდილება ევროპაში და დანარჩენ მსოფლიოში საბოლოოდ შესუსტდა და გაჩნდა სრულიად ახალი სისტემა ტაქტიკური პრინციპებისა და მათი გამოყენების მეთოდებისა ბრძოლის ველზე.

სურ. 30 სერ ჰორაციო ჰერბერტ კიტჩენერი (1850-1916). ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი, გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, გამარჯვებით დაამთავრა ინგლის-ბურების ომი

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ტაქტიკაში არ მომხდარა რაიმე რევოლუცია 1900 წლამდე. ფაქ-ტობრივად, ნამდვილი ცვლილება ტაქტიკაში მე-20 საუკუნის პირველ წლებში ის-ის იყო დაიწყო და დაჭირდა წლები, დაახლოებით, 1900-დან 1917-მდე, რათა დანერგილიყო ინფილტრაციული ტაქტიკისთვის დამახასიათებელი პირველი ნიშნები.

სურ. 31 ფელდმარშალ ჰორაციო კიტჩენერის საფლავი ლონდონის წმინდა პავლეს სამეფო ტაძარში

თავი II
I მსოფლიო ომი – ახალი ტექნოლოგიები და სამხედრო ხელოვნების შემდგომი განვითარება

1. თემის მოკლე შინაარსი

მოცემულ თემაში შევისწავლით I მსოფლიო ომთან დაკავშირებულ საკითხებს პოლიტიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ჭრილში. გაანალიზებულ იქნება დაპირისპირებულ მხარეთა ძირითადი სტრატეგიები, ახალი ტექნოლოგიები, სამხედრო ხელოვნების კუთხით მნიშვნელოვანი ტაქტიკური სიახლეები.

განხილული იქნება I მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და მასში მონაწილე მთავარი მოთამაშეების როლი და ადგილი. კერძოდ, XIX საუკუნის ბოლოდან დაწყებული, კაცობრიობა მეთოდურად და დაჟინებით მიიწევდა I მსოფლიო ომისაკენ. XX საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში და მსოფლიოში არსებულმა ძალთა ბალანსმა რღვევა დაიწყო. თითოეულ დაპირისპირებულ მხარეს და გლობალურ კონფლიქტში ჩართულ ქვეყნებს საკუთარი მიზნები და გეგმები გააჩნდათ. ახლადშექმნილმა, მზარდმა და მეტად ამბიციურმა კაიზერის გერმანიამ თავისი ადგილი მოითხოვა ,,მზის ქვეშ", საფრანგეთი კი პრუსია-საფრანგეთის 1870-1871 წლების ომში დაკარგული ელზას-ლოტარინგიის დაბრუნებას ესწრაფვოდა, დიდი ბრიტანეთი საკუთარი კოლონიების კიდევ უფრო გაზრდას, ხოლო რუსეთს პანსლავისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული სამხრეთული და ბალკანური ინტერესები გააჩნდა. იგი ბოსფორ-დარდანელის სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის

ფლობაზე აცხადებდა პრეტენზიებს. ავსტრია-უნგრეთი გერმანიასთან ალიანსში იმპერიის განმტკიცებისათვის ზრუნავდა და ამ თვალსაზრისით ბალკანეთზე რუსეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა, ხოლო ოსმალთა იმპერია XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთთან წარმოებულ ომებში დაკარგული მიწების დაბრუნებაზე აკეთებდა გათვლებს. იმპერიებზე დამოკიდებული სხვა მცირე ქვეყნები და სახელმწიფოები თავისთავად აღმოჩნდნენ ჩართულნი ამ გლობალურ კონფლიქტში.

ფაქტია, რომ ყველა ძირითად მოთამაშეს ამ ომში ჩართვისათვის საკუთარი იმპერიული ინტერესები გააჩნდა, ამისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა, რაც ომის დასაწყისისათვის, საბოლოოდ ორი დაპირისპირებული ბანაკის - ,,ანტანტისა" და ,,ოთხთა კავშირის" ჩამოყალიბებით დასრულდა.

სურ. 32 ევროპის მონარქები, ლონდონი-1910 წელი. დიდი ეპოქის დასასრული

I მსოფლიო ომი 4 წელი, 3 თვე და 10 დღე მიმდინარეობდა. მასში მონაწილეობდა მსოფლიოს 34 სახელმწიფო, რომლის მოსახლეობაც (კოლონიების ჩათვლით) დედამიწის მთელი მოსახლეობის 67%-ს შეადგენდა. მეომარმა ქვეყნებმა 70 მილიონი ადამიანის მობილიზაცია მოახდინეს. მათი შეიარაღებისათვის წარმოებულ იქნა 327.6 მილიონი შაშხანა, 107.5 მილიონი ტყვიამფრქვევი, დაახლოებით 152 ათასი ქვემეხი, 182 ათასი თვითმფრინავი, 9.200 ტანკი და მრავალი სხვა სახის შეიარაღება. ფრონტებზე დაიღუპა 10 და დაიჭრა 20 მილიონი კაცი.

სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო გერმანიის ინტერესები, მისი გენერალური შტაბის მუშაობა და მისი სტრატეგიული თავდასხმის კონცეფცია, ე.წ. ,,შლიფენის გეგმა" იყო, რომელიც კონცეპტუალურად ჯერ კიდევ ჰელმუტ ფონ მოლტკეს მიერ შემუშავებული საალყო ბრძოლის - ფლანგური სტრატეგიული გარშემოვლის მანევრის შემდგომ განვითარებას წარმოადგენდა.

სურ. 33 ვილჰელმ II, გერმანიის იმპერატორი (კაიზერი) 1888-1918 წლებში

სურ. 34 ალფრედ ფონ შლიფენი. გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1891-1906 წლებში

ფელდმარშალი ალფრედ ფონ შლიფენი, გერმანიის გენშტაბის უფროსი, ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბერში უხსნიდა საკუთარ შტაბს ამ გეგმის არსს და გაიხსენა ნაპოლეონისეული ე.წ. „battalion kare.“ იგი ამბობდა, რომ მისი დაგეგმილი გარშემორტყმა იგივე პრინციპს ემყარებოდა, „მხოლოდ უფრო მეტად კონცენტრირებული, მასირებული და ძლიერი ფორმით”. ეს გეგმა არსებითად ჯერ კიდევ კანეს ბრძოლაში ჰანიბალის მიერ გატარებული ტაქტიკის დიდ სტრატეგიულ დონეზე გამეორებას წარმოადგენდა, რომლის განხორციელებისთვისაც ხელი უნდა შეეწყო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის სფეროში არსებულ ტექნოლოგიურ გარღვევას.

1911 წლის ნოემბრის ბოლოს გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-პოლკოვნიკი მოლტკე, ფელდმარშალ მოლტკეს ძმისშვილი, წერდა, რომ მომავალ ომში გერმანელი ხალხი ,,ერთსულოვანია და იგი შთაგონებით აიღებს იარაღს ხელში.” ხოლო ,,მთელი ერის იარაღისაკენ მოწოდება, მისი ბრძოლისუნარიანობა, სიმამაცე, თავგანწირვა, დისციპლინა, მართვის ხელოვნება, შიშველ ციფრებზე მეტად უნდა შეფასდეს.” გეგმაში მოლტკე უმცროსის მიერ შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები და დაშვებულ იქნა გარკვეული დაშვებებიც. კერძოდ:

- ბელგიის რკინიგზის ქსელი დაპყრობილ იქნება დანაკარგების გარეშე;
- ბრიტანელების დახმარება კონტინენტზე არაეფექტური იქნება;
- რუსები ვერ ჩაერთვებიან საომარ მოქმედებებში მობილიზაციის დასრულებამდე ანუ რუსულ მობილიზაციას ჭირდება დიდი დრო;
- მარჯვენა ფლანგი შეინარჩუნებს შეტევითი მოქმედებების მაღალ სიჩქარეს;
- ფრანგები ვერ გადაისვრიან თავიანთ ძალებს ელზას-ლოტარინგიიდან გერმანელების მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ.

პირველმა მსოფლიო ომმა მრავალ ასპექტში შეცვალა XX საუკუნის ომების წარმოების წესი. გაჩნდა ჯარების ახალი სახეობები და გვარეობები. ომმა მოიტანა სატანკო და ტანკსაწინააღმდეგო დუელი, საჰაერო ბრძოლები, სტრატეგიული დაბომბვა, საჰაერო დაზვერვა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა, დიდი სახაზო ხომალდები და კრეისერები, წყალქვეშა ნავები, საზღვაო დესანტი და სახმელეთო ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერა... საომარ სივრცეს ახალი, მესამე განზომილება დაემატა.



სურ. 35 ე.წ. შლიფენის გეგმა

ლოგისტიკა დაეფუძნა შიგაწვის ძრავას, ხოლო ჯარების ოპერატიული და ტაქტიკური მართვა - ელექტრონულ კომუნიკაციებს. ქიმიური იარაღის საშინელებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პოლიტიკურმა და ეთნიკურმა ფანატიზმმა, აგრესიამ და მზარდმა სახელმწიფოებრივმა ინდუსტრიებმა ხალხების არნახული მობილიზაცია მოახდინეს და ისინი თავადვე იქცნენ ცოცხალი ძალის წარმოების გიგანტურ შეჯავშნულ ქარხნებად. ჯარების ორგანიზაციის თვალსაზრისით ჩნდება ისეთი მასიური საჯარისო გაერთიანებები, როგორებიცაა არმია და ფრონტი (არმიათა ჯგუფი). 150.000-იანი საჯარისო გაერთიანებები აქამდე ომების ისტორიას არ ახსოვდა.

სურ. 36 ჰელმუტ ფონ მოლტკე (უმცროსი). გენერალ-პოლკოვნიკი, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1906-1914 წლებში

ომის დასაწყისში კავალერია გამოიყენებოდა მტრის ტერიტორიაზე შესაჭრელად, ღრმა დაზვერვის წარმოებისა და იერიშის მისატანად. პოზიციური ბრძოლებისა და ქვეითთა საცეცხლე ძალის გაზრდის პირობებში მან, როგორც ერთ-ერთმა ძირითადმა გვარეობამ, დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ომის დასასრულისათვის რიცხობრივადაც ორ-სამჯერ შემცირდა.

სურ. 37 რაიმონდ პუანკარე, საფრანგეთის პრეზიდენტი 1913-1920 წლებში

ტექნოლოგიური დონით, საცეცხლე ძალითა და ცეცხლის მართვის კუთხით I მსოფლიო ომის საომარ მოქმედებებში არტილერია იქცა ბრძოლის წარმოების დომინანტ საშუალებად, ხოლო არაპირდაპირი ცეცხლი - ცეცხლის წარმოების დომინანტ სახედ არტილერიაში. 1916 წლიდან შემუშავებულ იქნა ე.წ. ,,მოძრავი გადამღობი ცეცხლი", რომელიც პირველად იქნა გამოყენებული სომის კამპანიის დროს; იგივე ეხება ბრძოლის ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა ტანკი და ქიმიური იარაღი, რომლებიც სწორედ I მსოფლიო ომის თეატრებზე იქნენ პირველად საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებულნი. აღსანიშნავია, რომ I მსოფლიო ომში არტილერია ყველაზე დიდ მკვლელად შეიქმნა ბრძოლის ველზე - მოწინააღმდეგის მსხვერპლისა და საბრძოლო დანაკარგების 75% სწორედ არტილერიაზე მოდიოდა.

თემაში წარმოდგენილი იქნება ის ძირითადი ტექნოლოგიური და ტექნიკური სიახლეები, რომელთა დანერგვითაც შეხვდნენ ევროპული ქვეყნები ამ თვისობრივად ახალ გლობალურ ომს. შევისწავლით ახალი ტექნოლოგიების როლს საბრძოლო მოქმედებების შემდგომ განვითარებაზე, ტექნოლოგიური ცვლილებების ზეგავლენას ომის წარმოების წესზე.

ომის წარმოების პირველ ეტაპზე, 1914 წელს, დაპირისპირებულ მხარეთა ძირითად სტრატეგიას არსებული პოზიციების შენარჩუნება წარმოადგენდა. სტრატეგიული შეტევითი მოქმედებების განხორციელება მოწინააღმდეგის პოზიციების გარღვევით უნდა დაწყებულიყო, რასაც მისი შემდგომი განვითარება უნდა მოჰყოლოდა და დასახული ამოცანების შესრულებით უნდა დასრულებულიყო.… ამბიციურ სტრატეგიას კი წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ძალების განადგურება ერთ გადამწყვეტ გენერალურ ბრძოლაში. ომის დასაწყისისათვის ბრძოლის წარმოების ძირითად სახეს შეტევა წარმოადგენდა. სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეებზე შეტევის წარმოების თვალთახედვა შესაბამისად აისახებოდა ტაქტიკაზე და გაწერილი იყო საბრძოლო წესდებებსა და დარიგებებში. აქ მთავარი მნიშვნელობა შეტევის საბრძოლო სულისკვეთებით წარმართვას შეეხებოდა. მაგალითად, გერმანიაში ყველა მოქმედება დაწყებული არმიიდან და დამთავრებული ოცეულით, ითვალისწინებდა შეტევითი მოქმედებების წარმოებას ნებისმიერი გზებითა და საშუალებებით.

მაგრამ ომის დაწყებიდან ძალიან მალე დაპირისპირებულმა მხარეებმა თავისი მატერიალური, ფინანსური, ტექნოლოგიური და ტექნიკური რესურსები ამოწურეს, შეტევითი მოქმედებები ჩიხში შევიდა და ბრძოლებმა პოზიციური ხასიათი მიიღეს. დაწყებული 1915 წლიდან I მსოფლიო ომი ,,ტრანშეების ომად" გადაიქცა. ,,შლიფენის გეგმა" ჩაიშალა, გერმანელებმა ვერ მოახერხეს დასახულ დროში დასავლეთის ფრონტზე ფრანგთა სტრატეგიული გარშემორტყმის განხორციელება და განადგურება... ასეთივე ბედი ეწიათ სხვა ქვეყნების მიერ შემუშავებულ ომის სტრატეგიულ გეგმებს.



სურ. 38 გერმანელთა ტრანშეების სისტემა. საფრანგეთი

სამხედრო ხელოვნების მთავარ პრობლემას I მსოფლიო ომში წარმოადგენდა პოზიციური ფრონტის გარღვევა. გამოიყენებოდა გარღვევის რამდენიმე სახე: გარღვევა ცალკეულ ვიწრო (12-15კმ) უბანზე (ვერდენი, კამბრე და სხვა); გარღვევა ერთიან ფართო ფრონტზე (სომა); დამანაწევრებელი დარტყმები გამაგრებული ფრონტის რამდენიმე უბანზე (სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი)...

გამოცდილებამ აჩვენა, რომ პოზიციური თავდაცვის გარღვევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ძალებისა და საშუალებების მასიური თავმოყრით, მოულოდნელობით, ყველა სახეობის ჯარების მყარი ურთიერთქმედებითა და ძალის სიღრმიდან გაშლით. ომის დასასრულისთვის ტაქტიკური ზონის გარღვევა ძირითადში მიღწეულ იქნა არტილერიის, ავიაციისა და ტანკების მასობრივი გამოყენების გზით არჩეულ მიმართულებებზე.

სურ. 39 მოიერიშეთა სამთო ათეული

სწორედ ამ სტარტეგიული დილემის გადასაჭრელად შემუშავდა გერმანიის გენერალური შტაბის მიერ ინოვაციური ტაქტიკური სიახლეები - ,,ელასტიური თავდაცვა” და ,,ინფილტრაცია.” ინფილტრაციის ტაქტიკის შემუშავებამ შვა ისეთი სამხედრო ერთეული, რომელმაც შემდგომ პერიოდებში ფართო განვითარება და გამოყენება ჰპოვა სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების სტრუქტურებში. ესაა ,,მოიერიშე” ან ,,საცეცხლე ჯგუფი”, ჯარისკაცთა მცირე ქვედანაყოფი, კარგად აღჭურვილი, შეიარაღებული და სპეციალურად მომზადებული, ავტონომიის მაღალი ხარისხით, რომელსაც ევალებოდა მტრის ტერიტორიაზე შეღწევა, დივერსიების განხორციელება და კონკრეტული დავალებების შესრულება - ძირითადი შენაერთებისათვის შეტევის მომზადება.

I მსოფლიო ომში პირველად მოხდა მნიშვნელოვანი საჰაერო ბრძოლები. ავიაცია არნახული სისწრაფით განვითარდა, მაგრამ 1918 წლისათვის ის ჯერ ისევ ჩამოყალიბების სტადიაში იყო. საზოგადოებისა და პრესის მთელი ყურადღება მფრინავ-გამანადგურებლებზე იყო გადატანილი, რომელთა მთავარ ამოცანას ადგილობრივი საჰაერო უპირატესობის მიღწევა წარმოადგენდა. იმდროინდელ პრიმიტიულ თვითმფრინავს საშუალება ჰქონდა შეესრულებინა თავისი ძირითადი ფუნქცია - რეკოგნოსცირება და საარტილერიო ცეცხლის კორექტირება.

1917 წლამდე გერმანელები და ბრიტანელები ოფიციალურად არ აღიარებდნენ ხმელეთზე შეტევების განვითარების შესაძლებლობას მოიერიშე თვითმფრინავების დახმარებით მეწინავე რაიონში. ორივე მხარეს მიაჩნდა, რომ ასეთი სახის დარტყმის მთავარი ეფექტი ჯარის დემორალიზება უფრო იყო, ვიდრე განადგურება.

საერთო ჯამში, მრავალი განზომილებით, პირველი მსოფლიო ომი XX საუკუნეში განვითარებული მოვლენების გარკვეული წყალგამყოფი იყო. ,,დიადმა ომმა" გაანადგურა ოთხი იმპერია, შვა უამრავი ახალი სახელმწიფო და დაამსხვრია დასავლეთ ევროპის, როგორც პროგრესის განმსაზღვრელი ფენომენის როლი სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში... უფრო მეტიც - მისი შედეგები დღესაც გვახსენებენ თავს მსოფლიოს ისეთ ადგილებში, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი და ბალკანეთი.

სურ. 40 ფრანც იოსებ I, ავსტრიის იპერატორი და უნგრეთის მეფე 1848-1916 წლებში

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა ოთხი იმპერია: გერმანიის, რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის. ამ ქვეყნებში მომხდარი რევოლუციების გამო არსებობა შეწყვიტა მონარქიულმა ხელისუფლებამ, ამასთან ამ სახელმწიფოებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ეკონომიკურად საკმაოდ დასუსტდნენ. ხოლო ოსმალეთისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიები დაიშალა და დანაწილდა. დამოუკიდებლობა მოიპოვეს უნგრეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ფინეთმა, იუგოსლავიამ და ა. შ. დაარსდა ვაიმარისა და ავსტრიის რესპუბლიკები.

I მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები ზესახელმწიფო გახდა, ხოლო გერმანიის რევანშისტულმა განწყობამ საფუძველი შეუმზადა მეორე მსოფლიო ომს.

I მსოფლიო ომის პოლიტიკური შედეგი იყო ისიც, რომ 1917 წლის ბოლოდან რუსეთის იმპერია დაიშალა და ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოები - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკები გაჩნდნენ.

2. სწავლების მიზნები:

სწავლების საბოლოო მიზანი

მოქმედება: შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას XX საუკუნის დასაწყისის სამხედრო აზროვნების განვითარების ძირითადი ტენდენციები, I მსოფლიო ომში გამოყენებული ტექნოლოგიური სიახლეები და სამხედრო ხელოვნება.

პირობა:

- აქტიური, სააუდიტორიო დისკუსია.
- წაიკითხეთ მოწოდებული მასალა და მითითებული ლიტერატურა, შეისწავლეთ და გაიაზრეთ ახალი ტექნოლოგიებისა და დოქტრინების ზეგავლენა ომის წარმოების წესზე, ძირითადი მიმართულებები და მათი როლი სამხედრო ხელოვნების ევროპული გზის შემდგომ აღმავლობაში.

სტანდარტი:

1. არსებული სამხედრო_პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
2. სამხედრო ხელოვნების ძირითადი ასპექტების ანალიზი.

სწავლების დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. იუნკერის დავალებები:

წაიკითხეთ:

1. ჯონათან ბეილი. პირველი მსოფლიო ომი და თანამედროვე ომის დაბადება.
2. ჯონათან ჰაუსი. გზა საბრძოლო მოქმედებებისაკენ საერთო-საჯარისო ძალების გამოყენებით, I მსოფლო ომი.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. მსოფლიოს ძალთა ბალანსი XX საუკუნის დასაწყისისათვის.
2. I მსოფლიო ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზები.
3. ,,შლიფენის გეგმა".
4. დაპირისპირებულ მხარეთა სტრატეგიული გეგმები და ამოცანები.
5. თქვენის აზრით, რაში მდგომარეობდა ,,შლიფენის გეგმის" ძლიერი და სუსტი მხარეები?
6. I მსოფლიო ომში გამოყენებული ტექნოლოგიური სიახლეეები.
7. ორგანიზაციულ-დოქტრინული ცვლილებები.
8. თავდაცვის ახალი ტაქტიკა _ ელასტიური თავდაცვა ანუ თავდაცვა სიღრმეში.
9. ახალი შეტევითი ტაქტიკა _ ინფილტრაცია.
10. მოიერიშე ქვედანაყოფები.
11. არტილერია, მისი როლი და ადგილი I მსოფლიო ომის თეატრებზე.
12. მსოფლიო ომში გამოყენებული არტილერიის ცეცხლის ტიპები.
13. არტილერია _ ბრძოლის წარმოების დომინანტი საშუალება.
14. არტილერიის არაპირდაპირი ცეცხლი.

15. მოძრავი გადამღობი ცეცხლი.
16. ავიაციის როლი და ადგილი I მსოფლიო ომში.
17. ქიმიური იარაღი.
18. I მსოფლიო ომის შედეგები და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა.

პირველი მსოფლიო ომი და თანამედროვე ომის დაბადება

ჯონათან ბეილი

პირველი მსოფლიო ომისდროინდელი სამხედრო რევოლუცია ინდუსტრიულ ომსა და იდეოლოგიას აერთიანებდა სასტიკ და ულმობელ მთლიანობაში, რამაც მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის დროს (1939-45 წლებში), ფრონტის ხაზები და სამოქალაქო მოსახლეობა ცეცხლისა და ტერორის ერთ წრეში მოაქცია. ამ რევოლუციის ტექნოლოგიური მხარე, ,,ტექნიკური საშუალებების რაციონალური და შესაბამისი გამოყენება შეტევისა და თავდაცვისთვის'' - როგორც ამას ერთ-ერთი გერმანელი ავტორი აღწერდა - 1917-18 წლებში დასრულდა.

ამ განვითრების შედეგი იყო ,,ომის თანამედროვე სტილის" დაბადება: სამ-განზომილებიანი კონფლიქტის დადგომა, სადაც გამოიყენებოდა არტილერიის არაპირდაპირი ცეცხლი, როგორც დაგეგმვის ფუნდამენტი ომის ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე. სამგანზომილებიანი კონფლიქტი იყო ისეთი რევოლუციური, როგორიც იყო ჯავშანტექნიკისა და სამხედრო-საჰაერო ძალების განვითარება 1939-45 წლებში და საინფორმაციო ეპოქის დადგომა მომავალ ათწლეულებში, რასაც მოჰყვა სამხედრო სფეროების(შეიარაღება, სამხედრო მრეწველობა, ტაქტიკა და ა.შ.) დამატებითი და თანდათანობით მზარდი განვითარებები იმ კონცეფტუალური მოდელის საფუძველზე, რომელიც შეიქმნა 1917-18 წლებში.

ამ რევოლუციის მრავალმა ტექნოლოგიურმა და ტაქტიკურმა კომპონენტმა დააჩქარა პირველი მსოფლიო ომი, ხოლო 1914 წლის შემდეგ საჭირბოროტო ტაქტიკური პრობლემების გადაწყვეტით გამომჟღავნდა მოულოდნელი შესაძლებლობა, რომ სიღრმისეული შეტევის ახალ ხერხებს შეეძლოთ სრულიად ახალი სტილის ოპერაციების შექმნა. და რადგან სიღრმისეული ბრძოლის წარმართვის საშუალებები შემდგომში გახდა უფრო მეტად თანამედროვე და ძლევამოსილი, სწრაფად განვითარდა სტრატეგიული დონეც.

ომი სამ განზომილებაში

ომის თანამედროვე სტილი გულისხმობს ფართომასშტაბიან მაღალი ინტენსივობის კონფლიქტს. ეს სტილი შეესაბამება მთელი კონვენციური ომის მოთხოვნებს, რადგან პირველი მსოფლიო ომი არის სწორედ სამგანზომილებიანი ომი. ამ სტილს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

ა. ის მოიცავს ვრცელ საომარ მოქმედებათა თეატრებს და არის სრულიად სამგანზომილებიანი;
ბ. დროს აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, ტემპის თვალსაზრისით - მოქმედებს სწრაფი ტემპი და ერთდროულობა. სიჩქარე და საომარი მოქმედებების კომბინაცია დროსა და სივრცეში უსწრებს და ზედმეტად ტვირთავს ოპონენტის გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას;
გ. დაზვერვა არის მთავარი მიზანში ამოღებისა და მანევრისათვის;
დ. არსებულ სამხედრო ტექნიკას შეუძლია მაღალი ღირებულების მიზნებზე ცეცხლის გახსნა ზუსტად მოწინააღმდეგის მთელ სივრცეში, ან იმ სახმელეთო ჯარებისგან დამოუკიდებლად ან მათთან სინქრონიზებით, რომლებიც იმყოფებიან მოწინააღმდეგესთან შეხებაში;

ე. მეთაურებს შეუძლიათ საცეცხლე სიძლიერის სიჩქარის განსაზღვრა ეფექტის კონკრეტული ტიპის მისაღწევად;
ვ. მართვის, კონტროლისა და კავშირის სისტემებსა და მართვის სტილებს, რომლებიც აერთიანებენ ზემოთ მოცემულ მახასიათებლებს შეუძლიათ მოწინააღმდეგის ერთიანობისა და ნებისყოფის დანგრევა კატასტროფული შედეგებით.

ბრძოლის ველის დაგეგმვასთან ერთად თავდასხმითი ბრძოლა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:
ა. პირადი შემადგენლობა აგროვებს ინფორმაციას მოწინააღმდეგის განლაგების შესახებ საჰაერო, ელექტრონული და ოპტიკური საშუალებების მეშვეობით;
ბ. ისინი გარდაქმნიან ამ ინფორმაციას სადაზვერვო ინფორმაციად, რომელიც ეხება მოწინააღმდეგის განზრახვებსა და პოტენციურ მიზნებს მოწინააღმდეგის პოზიციების მთელ სიღრმეში;
გ. მეთაურები და შტაბი ქმნის გეგმას მანევრის ძალების მიერ სწრაფი შეღწევის ან გარღვევის მისაღწევად, რაც განაპირობებს მოწინააღმდეგის განეიტრალებას ან განადგურებას გზად წაწყდომისას ბრძოლის ველის მთელ სიღრმეში;
დ. ცეცხლი სინქრონიზებულია საჰაერო ოპერაციებთან და მანევრის სქემასთან მაქსიმალური ერთობლივი მოქმედებების ეფექტის მისაღწევად. ცეცხლის გეგმა ქმნის შოკსა და დისლოკაციის ცვლილებებს, რაც მოწინააღმდეგეს მაშინვე შეუქმნის ისეთ ბევრ პრობლემას, რომ მისი მართვის, კონტროლისა და კავშირის სიტემა პარალიზდება. დასაზიანებელ მიზნებში შედიან: მოწინააღმდეგის შტაბი, დაკავშირების სისტემები, არტილერია, ლოგისტიკა, ხიდები და საწყობები. ცეცხლის მეშვეობით ხდება მოწინააღმდეგის მეთვალთვალისთვის მხედველობის შეზღუდვა და საყრდენი პუნქტებისა და საველე თავდაცვის შეიარაღების განადგურება. არტილერია უტევს მოწინააღმდეგის პოზიციებს სიღრმეში, განსაკუთრებით ხდება მოწინააღმდეგის რეზერვზე შეტევა მანამ, სანამ ისინი შეძლებენ ფრონტის მოწინავე ხაზზე მყოფ ძალებთან შეერთებას. არტილერია ახდენს ბრძოლის ველის იზოლირებას. არტილერია ანადგურებს ყველას, ვინც გარბის. არტილერია თავისი ცეცხლით აგრეთვე უზრუნველყოფს შეტევაზე გადასულ მეწინავე მანევრის ძალების უშუალო მხარდაჭერას;
ე. მეთაურებს შეუძლიათ ზალპის ზომის რეგულირება მოწინააღმდეგის განეიტრალების ან განადგურების მიზნით. აგრეთვე შეუძლიათ განსაზღვრონ ხანგრძლივობა და ინტენსივობა შესაბამისი ტიპის იარაღებისა-საბრძოლო მასალისა და ცეცხლის ტემპის გამოყენებით, იმის შესაბამისად სურთ თუ არა მათ შოკის ეფექტის მოხდენა ან მოწინააღმდეგის მორალური მდგომარეობის მუდმივი გამოფიტვა;
ვ. ხრიკები და შეცდომაში შეყვანა, აგრეთვე საჭიროებისამებრ იგულისხმება სრული ცრუ ცეცხლის გეგმა, რომელიც თან ახლავს ამ ზომებს;
ზ. მაღალი დონის ცენტრალიზებულ დაგეგმვაში აღწერილია ეს ოპერაციები, თუმცა მეთაურები ცდილობენ დამატებით ისეთი გეგმის შედგენას, რომელსაც ექნება მოულოდნელ ეფექტზე რეაგირების უნარი.

ეს ზოგადი მოდელი იყო იმ მოდელების მსგავსი, რომლებიც შემდგომში დაფიქსირდა ცივი ომის დროინდელ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ჯარების დოქტრინებში. ამის კიდევ ერთი მაგალითია 1967 წელს ეგვიპტელების მიერ სუეცის არხის გადაკვეთის ოპერაციის გეგმა. ეს იყო აგრეთვე ბრძოლის გეგმა, რომელიც გამოსცადა ბრიტანეთის არმიამ კამბრეში 1917 წლის ნოემბერში და წამოიჭრა უფრო მეტად სრული ფორმით 1918 წლის გაზაფხულზე გერმანიის თავდასხმების დროს და იმავე წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მოკავშირე ძალების კონტრთავდასხმების დროს.

თანამედროვე ომის მრავალი მახასიათებელი, რომლებიც ჩამოთვლილი იყო ზემოთ, თავისთავად არ არის ახალი: მეთაურებს ყოველთვის ესმოდათ დროის, მოწინააღმდეგის მომზადების, უკეთესი საცეცხლე სიძლიერის მნიშვნელოვნება და გადამწყვეტი მანევრის როლი. შეღწევის ტაქტიკა, მოწინააღმდეგის შოკისა და დაშლის გამოწვევის მიზნით, არის ისეთივე ძველი როგორც ომი. ის გამოიყენებოდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ გავგამელაში ძვ.წ. 331 წელს, ჰერცოგ მარლბოროს მიერ ბლენემში 1704 წელს და ნაპოლეონის მიერ აუსტერლიცში 1805 წელს. თუმცა 1917-18 წლამდე ტექნოლოგია არ იძლეოდა საშუალებას და ტაქტიკა არ მოითხოვდა, რომ ამ მახასიათებლებისთვის თავი მოეყარათ ახალ სამგანზომილებიან ,,თანამედროვე'' კონცეფციაში, რომელიც ჭეშმარიტად რევოლუციური იყო. ძირითადი სიახლე იყო ახალი მიდგომის შექმნა იმ ბრძოლისთვის, რომელიც არაპირდაპირ ცეცხლს ეფუძნებოდა. ტექნოლოგიური განვითარების მრავალფეროვნებამ, რომელიც გაერთიანებული იყო განსაცვიფრებელ ტაქტიკურ ორიგინალურობასთან და რომელიც თავის მხრივ იმართებოდა სტრატეგიული აუცილებლობით, ეს შედეგი შესაძლებელი გახადა.

სურ. 41 ნიკოლოზ II, რუსეთის იმპერატორი 1894-1917 წლებში

1917-18 წლების მოდელი უკვე მოძველებულად მიიჩნევა ოთხმოცი წლის შემდეგ. თუმცა 1914 წელს ის ალბათ სრულიად უცნობი იყო. ომი 1914 წელს იყო ხაზოვანი, გამოიყენებოდა ყველაზე გავრცელებული დოქტრინები, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იყო ფლანგურ შეტევაზე, გარშემორტყმასა და განადგურებაზე. ის კონცენტრირებული იყო ისეთ კონტაქტურ ბრძოლაზე, რომელიც გულისხმობდა მოწინააღმდეგესთან მოულოდნელ შეხვედრას: ქვეითებისა და კავალერიის მასების მანევრირებას, რომელთაც მხარს უჭერდა არტილერიის პირდაპირი ცეცხლი, ძირითადად ახლო მანძილზე. ამ ცეცხლის გახსნა ხდებოდა ქვემეხებიდან, რომლებიც გაშლილი იყო ღია სივრცეში. რამდენიმე არსებულ საფრენ აპარატს შეეძლო რეკოგნოსცირების ჩატარება, თუმცა არტილერიას არ ჰქონდა საკმარისი საშუალებები სიღრმეში მიზნების ადგილმდებარეობის დასადგენად, და მხოლოდ რამდენიმე ჰაუბიცის გამოყენება იყო შესაძლებელი მკვდარ სივრცეში მიზნებზე ცეცხლის გასახსნელად. ცეცხლის კორექტირება იყო პრიმიტიული და ძირითადად ფას-

დებოდა თავად ქვემეხის საცეცხლე პოზიციით. მეთვალთვალესა და ქვემეხის მსროლელს შორის კავშირის დამყარება ეყრდნობოდა სემაფორს, მეგაფონს და ტელეფონების მცირე რაოდენობას. ბრიტანეთის საველე არმიაში არტილერიის მთელი საბრძოლო მასალა იყო შრაპნელი, რომელიც არაეფექტური იყო სანგრებში კარგად განლაგებული ჯარის წინააღმდეგ. ველზე მყოფი მანევრის ძალების დიდი რაოდენობის საარტილერიო საბრძოლო მასალით მომარაგების საშუალებები იყო არასაკმარისი; ნაწილობრივ ამ ფაქტის გამო, არმიას ჰქონდა მცირე რაოდენობის საბრძოლო მასალა მარაგში. ბოლოს, არტილერიის მოქმედებების დაგეგმვა ოპერატიულ დონეზე (გამონაკლისია მხოლოდ ალყაზე ორიენტირებული ომი) არ არსებობდა - არც ბრიტანეთის საექსპედიციო ძალებს, რომლებიც გაგზავნილნი იყვნენ საფრანგეთში, არ ჰყოლიათ არტილერია დივიზიის დონის ზედა ქვედანაყოფებში. ოპერაციები იყო ისეთი სწრაფი და მიზანმიმართული, რომ არტილერიის მოქმედებების დამგეგმავი შტაბი წარმოდგენილი იყო მცირე რაოდენობით.

სურ. 42 სამხედრო აღლუმი პრაღაში-1914 წ.

1914 წელი: დამხმარე საშუალებები და არაპირდაპირი ცეცხლი

არაპირდაპირი ცეცხლის რევოლუციის მრავალი კომპონენტი ახალი სულაც არ იყო. შეუმჩნეველ მიზნებზე ცეცხლის გახნის შესაძლებლობის ქონის მნიშვნელოვნება ნათელი იყო ანტიკურ ხანაშიც. კატაპულტის დანიშნულება იყო ჭურვების მოუქნელად გადასროლა თავდამცველების მიმართულებით, რომლებიც იმალებოდნენ კედლების უკან; იგი ნაღმმტყორცნის წინამორბედი იყო. ამგვარად, საუკუნეების განმავლობაში არაპირდაპირი ცეცხლი დამახასიათებელი იყო ალყაზე ორიენტირებულ ომში, თუმცა მეთვალთვალეებს ზოგადად არ შეეძლოთ ჭურვის მოხვედრის ადგილის განსაზღვრა, ხოლო სიზუსტე იყო შედარებით არამნიშვნელოვანი.

არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენება ბრძოლის ველზე პირველად მოხდა პრუსიაში ე. წ. შვიდწლიანი ომის დროს, 1759 წლის ივლისში: რუსეთის არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა პრუსიელებს ხეების ზემოდან. 1840 წლისთვის ბრიტანელებმა ჰაუბიცა გამოიყენეს საფარიდან მოწინააღმდეგის არტილერიაზე ცეცხლის გასახსნელად, თუმცა დამიზნება გამოთვლის გარეშე, პირდაპირი მნიშვნელობით, იყო გარტყმის ან აცდენის საკითხი. პრიმიტიული არაპირდაპირი ცეცხლის სის-

ტემები ეყრდნობოდა საორიენტაციო ნიშნების ხაზს ქვემეხიდან იმ წერტილამდე, რომლიდანაც მიზნის დანახვა შესაძლებელი იყო; ამან ქვემეხები შედარებით უმოძრაო გახადა და ამიტომ, მათი გამოყენება შეუძლებელი იყო ნებისმიერ ტაქტიკურად ცვლად სიტუაციაში.

სურ. 43 გერმანული საარტილერიო ბატარეა
არაპირდაპირი დამიზნებით ცეცხლის წარმოების დროს

გერმანელებმა საფრანგეთ-პრუსიის ომიდან მიიღეს გაკვეთილი, რომ არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებას შეეძლო ქვემეხის მსროლელები დაეცვა ტყვიამფრქვევისაგან. შემდეგ რუსმა ოფიცერმა კარლ გუკმა 1882 წელს გამოაქვეყნა ნაყოფიერი ნაშრომი თემაზე ,,არაპირდაპირი ცეცხლი საველე არტილერიისთვის,'' რომელშიც აღწერილი იყო დამიზნების წერტილების, უმცირესი სამიზნისა და კორექტირების ყველა საფეხური (მოქმედება) მეთვალთვალის მიერ ცეცხლის გასახსნელად. გერმანელებმა ყურადღება გაამახვილეს ამ განვითარებებზე და შექმნეს მოწყობილობა არაპირდაპირი ცეცხლის გასაადვილებლად ანუ სამიზნე. 1904 წლისთვის რუსეთის არტილერია აღჭურვილი იყო არაპირდაპირი ცეცხლის სამიზნით; რუსებმა ეს სამიზნე ფართო მასშტაბით გამოიყენეს იაპონიასთან ომში 1904 წლის აგვისტოში. ამის შემდეგ არაპირდაპირი ცეცხლი გახდა სტანდარტი ამ ომში. აშშ-ის არმიამ დაუყოვნებლივ მხედველობაში მიიღო ეს განვითარება და ჩაწერა ის საკუთარ 1907 წლის არტილერიის ,,სამწყობრო წესდებაში.''

ბრიტანელებმა არაპირდაპირი ცეცხლი გამოსცადეს ბურებთან ომის დროს და დაასკვნეს, რომ მისი გამოყენება არაპრაქტიკული იყო მობილურ ბრძოლაში. ამიტომ, ის რჩებოდა უგულებელყოფილ ხელოვნებად, ხოლო სამეფო საველე არტილერიას არ ჰქონდა ეფექტური არაპირდაპირი ცეცხლის სამიზნე 1913 წლამდე. ალყაზე ორიენტირებულ ბრძოლაში გარნიზონთან და სანაპირე არტილერიასთან ერთად ზუსტ საარტილერიო დაზვერვასთან დაკავშირებული პრობლემები იყო ნაკლებად აქტუალური.

სურ. 44 ბრიტანული მძიმე შორსმსროლელი არტილერია

მრავალი კომპონენტის არსებობის მიუხედავად, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გაერთიანდნენ არაპირდაპირი ცეცხლის რევოლუციის შესაქმნელად, არმიებმა განიცადეს მარცხიმათ აირჩიეს არ მოეხდინათ საკუთარი პოტენციალის რეალიზება. ერთი შეხედვით არტილერიის არაპირდაპირი ცეცხლის აშკარა ტაქტიკური აუცილებლობა არც არსებობდა. 1914 წელს ყველა არმია გეგმავდა სწრაფად გადაადგილების ოპერაციების ჩატარებას, რაც ალბათ უკან ჩამოიტოვებდა არტილერიას. მაგალითად, საფრანგეთის არმიამ ყურადღება გაამახვილა ქვემეხების სწრაფად გაშლისა და მაღალი ცეცხლის სიმჭიდროვის სწრაფად მიტანის საჭიროებაზე ქვეითი ძალების მხარდასაჭერად. თუმცა მაღალი ტემპისა და სისწრაფის დოქტრინაში მოცემული იყო, რომ ქვეითებს მანამდე უნდა მიეტანათ შეტევა მოწინააღმდეგეზე ვიდრე ფრანგული არტილერია გაიშლებოდა.

ნებისმიერი აშკარა ოპერატიული აუცილებლობა არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებისათვის არ არსებობდა - საველე არტილერიის გამოყენების კონცეფცია ოპერატიულ დონეზე მოწინააღმდეგის ხაზების გასარღვევად - მომავლის საქმე იყო. ამ განზოგადების ერთადერთი გამონაკლისი იყო საფორტიფიკაციო ნაგებობებზე შეტევა, როგორებიც იყო მაგალითად ლიეჟში, რომელთაც გადააწყდნენ გზად მანევრირებისას. 1914 წლის აგვისტოში არსებულმა ვითარებამ მოითხოვა ალყის დროს გამოსაყენებელი ზემაღალი სიმძიმის გერმანული და ავსტრიული ქვემეხების გართულებული გაშლა.

ზოგადად, ევროპის არმიებმა შესაბამისი ქვემეხებისა და საბრძოლო მასალის ველზე გამოცდისას განიცადეს წარუმატებლობა. რადგან პირდაპირი ცეცხლის გამოყენება ნორმა იყო, მათ ქვემეხებს ჰქონდათ შედარებით მოკლე მოქმედების რადიუსი და არ იყვნენ შექმნილები არაპირდაპირი ცეცხლის განსახორციელებლად. უფრო შორ მანძილზე მოქმედი ქვემეხები ალბათ იქნებოდა უფრო მძიმე, ნაკლებად მობილური და ამგვარად პირდაპირი ცეცხლის ფართოდ გავრცელებული კონცეფციის ნაკლებად შესაბამისი. ეს კონცეფცია იყო მნიშვნელოვნად სტაბილური: 1917 წელს, სამწლიანი ომის დამამტკიცებელი ფაქტების მიუხედავად, აშშ-ის არმიაში ჯერ-კიდევ სწამდათ მსუბუქი ქვემეხების უპირატესობისა მობილურ ოპერაციებში, ამიტომ თითოეული უფრო მსხვილ კალიბირიანი საცეცხლე საშუალების ნაცვლად მათ დანერგეს ერთი სამდუიმიანი ქვემეხი.

რადგანაც არტილერიის უმთავრესი როლი არ იყო ბატარეათშორისი ცეცხლის გახსნა და რადგან არტილერისტები ბატარეათშორის ცეცხლს განიხილავდნენ როგორც პირდაპირი ცეცხლის ამოცანას, ჰაუბიცები წარმოდგენილი იყო შედარებით მცირე რაოდენობით. არმიებმა, განსაკუთრებით გერმანელებმა, 1914 წელს დანერგეს არაპირდაპირი ცეცხლის საშუალებები, თუმცა შედარებით მცირე რაოდენობით; მათი დანიშნულება იყო საფარიდან მაღალ კუთხეებში მოწინააღმდეგის შენიღბული ქვემეხებისთვის ცეცხლის გახსნა. ირონიულად რომ შევნიშნოთ, რუსეთის არტილერიამ, რომელმაც გააკეთა ძალიან ბევრი რამ არაპირდაპირი ცეცხლისთვის გზის გასაკაფად, აღ-

მოსავლეთ ფრონტზე უმთავრესად განალაგა მოკლე მანძილზე მოქმედი პირდაპირი ცეცხლის ქვემეხები მაშინ, როცა გერმანელებმა განალაგეს უფრო მეტი რაოდენობის მძიმე ჰაუბიცები.

სურ. 45 გეორგ V, დიდი ბრიტანეთის მეფე 1910-1936 წლებში

გარდა ამისა, რუსებმა ზოგადად შექმნეს არტილერიის საბრძოლო მასალა ღიად განლაგებული ჯარების წინააღმდეგ გამოსაყენებლად. ბრიტანეთის შემთხვევაში კი საველე არმიას არ ჰქონდა არც ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვები საველე თავდაცვითი პოზიციების, თავშესაფრებისა და დაბრკოლებების გასანადგურებლად, არც ქიმიური ჭურვები, რომლებიც პირველად გამოიყენეს გერმანელებმა 1915 წელს პოზიციების გასანეიტრალებლად. სათაო ამფეთქი, მთავარი ფაქტორი ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერების ეფექტიანობაში, არ იყო ჯერ ხელმისაწვდომი, არც საბრძოლო მასალის მარაგი იძლეოდა იმ ცეცხლის გეგმის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც ასე ნაცნობი იყო სამი წლის წინ. ომამდელ დოქტრინაში გათვალისწინებული არ იყო საბრძოლო მარაგების ნაკლებობა, რაც მალე მოხდა. 1913 წელს ბრიტანეთის სამხედრო ორგანიზაციამ გამოყო 1.000 ჭურვი თითოეული 18 გირვანქიანი ჭურვების მქონე ქვემეხისთვის, აქედან 300 ჭურვი რჩებოდა გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო შემდგომი 500-ის უზრუნველყოფა იარაღის ფაბრიკებიდან მოხდებოდა ექვსი თვის განმავლობაში. ბატარეებს ჰქონდათ 1.000 ჭურვიდან მხოლოდ 176, რაც საკმარისი იყო ცეცხლის უზრუნველსაყოფად ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში წუთში 4 ჭურვის გასროლით. ექვსი ასეთი პერიოდი გაანადგურებდა ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების მთელი საბრძოლო მასალის მარაგს, თუმცა სამოცდათხუთმეტი წუთის სროლის მარაგი რჩებოდა გაერთიანებულ სამეფოში, ხოლო სხვა სამოცი წუთის მარაგი თეორიულად ხელმისაწვდომი იქნებოდა ექვსი თვის განმავლობაში. შედარებისას 1918 წლისთვის მეთაურები ორივე მხარეს მოელოდნენ დაახლოებით 600 ჭურვის გასროლას დღეში თითოეული მსუბუქი ქვემეხიდან.

ვინაიდან არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენების მრავალი საშუალება არსებობდა გარკვეული ფორმით, 1914 წელს არმიები არაპირდაპირ ცეცხლს განიხილავდნენ, როგორც ტაქტიკური დაცვის მეთოდს და არა როგორც შეტევის გაუმჯობესებულ ფორმას, ხოლო სიზუსტე რჩებოდა პრობლემურად. სიღრმეში მიზნების ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად, სროლის საშუალებები არ იყო საკმარისი, აგრეთვე არსებობდა რეკოგნოსცირების, რუკაზე დატანის, საარტილერიო დაზვერვის, კალიბრირების, ბალისტიკური გამოთვლისა და ცეცხლის კორექტირების, აგრეთვე დაკავშირების საჭირო საშუალებების ნაკლებობა. თუმცა საკითხი არ იყო უბრალოდ ტექნიკური. არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენების წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი, თუ გავითვალისწინებთ რომ საშუალებების უმეტესობა ხელმისაწვდომი იყო, გახლდათ წარმოსახვის ნაკლებობა, დოქტრინის არცნობა და არასწორი გამოთვლა. 1890 წლის ადრეულ პერიოდში მოლტკემ გამოხატა ხანგრძლივი ომის ალბათობის მიმართ ინტერესი. 1900 წელს პოლონელმა ფინანსისტმა იან ბლოხმა განჭვრიტა, რომ თავდაცვითი საცეცხლე სიძ-

ლიერის ლეტალურობა გაანადგურებდა მოიერიშე ქვეითებს. ლორდმა კიტჩენერმა კი იწინასწარმეტყველა, რომ პირველი მსოფლიო ომი გაგრძელდებოდა წლების განმავლობაში. თუმცა, მათ, რომლებიც ჩაძირულები იყვნენ იმდროინდელ კონსერვატიულ სამხედრო კულტურებში, უბრალოდ უარყვეს საკუთარი შეხედულებები, რადგან დასკვნები და შედეგები, რომლებიც მათგან მომდინარეობდა იყო მიუღებელი სამხედრო ელიტებისთვის.

სურ. 46 ბრიტანული მსუბუქი არტილერია
დასახლებულ პუნქტში ბრძოლის დროს

რუსეთის არმია საკუთარ არტილერიას_ პროფესიული თვალსაზრისით დიდად აფასებდა. თუმცა, რუსეთის სამხედრო სამსახურს ეჭვი შეჰქონდა მის ტექნიკურ უნარში და შედეგად რუსი ოფიცრები ხშირად წარუმატებლობას განიცდიდნენ რაიმე ფასეულის შექმნისას. რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ერთ-ერთმა რუსმა გენერალმა, დაინახა რა, რომ ბატარეამ დაიკავა პოზიცია საფარის უკან, უბრძანა არტილერისტებს გამოსულიყვნენ ღია სივრცეში, რადგან მას არ სჯეროდა, რომ შეუძლებელი იყო მოწინააღმდეგისთვის ცეცხლის გახსნა, რომელსაც ის ვერ ხედავდა. ხოლო ზოგიერთ იაპონელ ოფიცერს სჯეროდა, რომ მკვდარ სივრცეში ქვემეხების შენიღბვა სიმხდალის ტოლფასი იყო.

ბრიტანეთის არმიაში ცხენის წევის არტილერიისადმი ერთგულება აძლიერებდა ქვემეხის მსროლელის მრწამსს; საარტილერიო დაზვერვა, გამოთვლა და სტატიკური ოპერაციები გარნიზონისა და სანაპირო არტილერიისთვის ხელმიუწვდომელი იყო. არტილერიის ოფიცრების მიერ მიზნების განსასაზღვრად რუკების გამოყენება მიუღებლად მიიჩნეოდა, რადგან ის აუფასურებდა თვალით მანძილის შეფასების უნარს, რაც საუკუნეების განმავლობაში იყო აღიარებული. სამხედრო სამსახური აშკარად ეწინააღმდეგებოდა ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებების შემოღებას ნაწილობრივ ჭორების გამო, რომ ის თითქოს გამოჰყოფდა მომწამვლავ კვამლს. 1914 წლის მაისში სამეფო გარნიზონის არტილერიის კაპიტანი ჯორჯ ჰილი სამეფო არტილერიის ინსტიტუტში გამოვიდა მოხსენებით არაპირდაპირი ცეცხლის საკითხთან დაკავშირებულ თემაზე. აუდიტორია მის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ომის გაჩაღებიდან ორი თვის ფარგლებში საველე არტილერია შესწორებებს გააკეთებდა მეტეოროლოგიურ ვარიანტებში, შეხვდა ხმამაღალი ხარხარით.

ფრანგები, გერმანელები და ამერიკელები უკეთესები არ იყვნენ. არტილერია დიდად არ ფასობდა გერმანიის არმიაში: თანამედროვე სტილის ომის ყველაზე გავლენიანი გერმანელი ინიციატორი, არტილერისტი გეორგ ბრუხმიულერი იყო მოქმედ სამხედრო სამსახურში და საბრძოლო მოქმედებებშიც იღებდა მონაწილეობას. მან ბოლოს მიიღო ,,დამსახურების'' ორდენი გერმანელების წარმატებების სერიებში მონაწილეობისთვის, თუმცა არასოდეს არ მიუღია დაწინაურება პოლკოვნიკის წოდების ზემოთ და ის პენსიაზე გავიდა ვიცე-პოლკოვნიკის ჯამაგირით. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის არმიის 1907 წლის წესდებაში აქცენტი გაკეთდა არაპირდაპირ ცეცხლზე, 1916 წელს ერთ-ერთი არტილერისტი ოფიცერი შენიშნავდა, რომ არმიის საცეცხლე მომზადების სკოლის ყველაზე გამოცდილი კურსდამთავრებულებიდან ზოგიერთს არ შეეძლო არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებით ამოცანის შესრულება. აშშ-ის არმიას ჰქონდა აღჭურვილობა და თეორია არაპირდაპირი ცეცხლის გამოსაყენებლად, თუმცა მას არ ჰყავდა საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური პირადი შემადგენლობა და სავარაუდოდ არმიის ხელმძღვანელობას არც ჰქონდა იმის სურვილი, რომ ჰყოლოდა შესაბამისი სპეციალისტები.

სურ. 47 გერმანული მძიმე შორსმსროლელი ქვემეხი

1914 წელი: პრობლემის შეფასება

1914 წლის ზაფხულის ბრძოლებში მეომარ მხარეთა არტილერია ჩვეულებრივ გაშლილი იყო ღია სივრცეში, მათ სწრაფად დახარჯეს საკუთარი საბრძოლო მასალა და დაიღუპნენ. მაგალითად, ლა კატოში ფრანგების მე-5 დივიზიის არტილერია გაშლილი იყო იმ ქვეითებიდან 500 მეტრის მანძილის დაშორებით, რომლებსაც ის მხარს უჭერდა; მოწინააღმდეგის ცეცხლმა გაანადგურა ეს არტილერია ქვეითებთან ერთად. იგივე ბედი გაიზიარეს გერმანელებმაც მრავალ ბრძოლაში. ტყვიამფრქვევი და სწრაფმსროლელი შაშხანა გამოიყენებოდა მხოლოდ თავდაცვაში. არტილერიის საცეცხლე სიძლიერე იყო შეუსაბამო თავდასხმისთვის გზის გასახსნელად; მალე გასაგები გახდა, რომ პრობლემამ მოითხოვა მთლიანად ახალი მიდგომა. გადაწყვეტილებას, მიუხედავად იმისა რომ იყო არასრულყოფილი, დასჭირდა ოთხი წელი განვითარებისთვის.

ტაქტიკური პრობლემა იყო ნათელი: მოიერიშე ძალას სჭირდებოდა დაბრკოლებების გარღვევა ან შესუსტება, შეძლებისდაგვარად იმ დიდი რაოდენობის ჯარის განადგურება ან განეიტრალება, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ ეს დაბრკოლებები; აგრეთვე, ბატარეათშორისი ცეცხლის გახსნა საკუთარი მოიერიშე ქვეითების დასაცავად, მოწინააღმდეგის სიღრმეში შეუმჩნეველ მიზნებზე ცეცხლის გახსნა და ა. შ. 1914-15 წლებში არტილერიას არ შეეძლო ამ ზემოთ ჩამოთვლილთაგან არცერთის გაკეთება. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევებში არტილერიას არ შეეძლო ამ მოქმე-

დებების გაკეთება სრულად; ქვემეხების მსროლელები უბრალოდ ცდილობდნენ თავის გადარჩენას.

1915 წლის ბრძოლებში: ნეუ ჩაპელთან, ფესტუბერტსა და ლუზთან ბრიტანელი დამგეგმავები გაერკვნენ საცეცხლე სიძლიერისა და ბრძოლის ველის გეომეტრიის ახალ საფუძვლებში ცდებისა და შეცდომების საშუალებით. ნეუ ჩაპელში 1915 წლის 10-12 მარტს ბრიტანეთის არმიამ განალაგა 354 საცეცხლე საშუალება 60 გერმანული საცეცხლე საშუალების წინააღმდეგ 1.200 მეტრის სიგანის სექტორზე. მათ შეეძლოთ მხოლოდ 200-400 ჭურვის სროლა თითოეული ქვემეხით, ხოლო გამიზვნა იყო არასრულყოფილი. ფესტუბერტში 1915 წლის 15 მაისს საცეცხლე მხარდაჭერა, რომლის ხანგრძლივობა იყო ორმოცდარვა საათი ნეუ ჩაპელის ოცდათხუთმეტ წუთიან გეგმასთან შედარებით, წინ უსწრებდა ქვეითების შეტევას. თუმცა გამანადგურებელი ეფექტი იყო ჯერ კიდევ შეუსაბამო, ხოლო საარტილერიო დაბომბვის ხანგრძლივობა თავიდან იცილებდა მოულოდნელობის ეფექტის ალბათობას. ლუზში - 1915 წლის 15 სექტემბერს - იერიშის სექტორი იყო რვაჯერ უფრო ფართო, ხოლო ქვემეხების სიმჭიდროვე იყო მხოლოდ ნეუ ჩაპელთან ბრძოლის დროს არსებული სიმჭიდროვის 1/5. ზალპის წონის მიღწევა მოითხოვდა (ქვემეხს მოუხდებოდა ცეცხლის წარმოება უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) კიდევ ერთხელ მოულოდნელობის ეფექტის შექმნას.



სურ. 48 ბრძოლა ნეუ ჩაპელთან, 1915 წლის 11 მარტი

ძირითადი საკითხები რჩებოდა გადაუჭრელი. კერძოდ, საჭირო იყო მოწინააღმდეგის დაბრკოლებებისა და ტრანშეების ფიზიკურად განადგურება ან ამ დაბრკოლებებისა და ტრანშეების დამცველი ჯარისკაცების განეიტრალება. რა სიმძლავრის ცეცხლით იქნებოდა შესაძლებელი სასურველი შედეგების მიღწევა და რა დროის განმავლობაში? ზოგიერთი უნივერსალური მათემატიკური ფორმულა განსაზღვრავდა თუ არა მოთხოვნილი ცეცხლის მოცულობას? და თუ ეს ასე იყო, ეს ფორმულა საუკეთესოდ გამოხატავდა თუ არა ფრონტის თითოეულ იარდზე ქვემეხების რაოდენობას თუ მოცემულ პერიოდში მოცემულ ფრონტზე მიტანილი ჭურვების რაოდენობას? რა კალიბრის უნდა ყოფილიყო ეს ქვემეხები? შესაბამისი კალიბრის ქვემეხების ცეცხლის პოტენციური ტემპი იყო მთავარი, ან ყოველი დღისთვის საჭირო საბრძოლო მასალა თუ იყო ხელმისაწ-

ვდომი? თუ არტილერიას შეეძლო ცეცხლის მაღალი ტემპის მიღწევა გადამწყვეტი მნიშვნელობის პერიოდის განმავლობაში, მნიშვნელობა ჰქონდა თუ არა იმას, რომ ის ვერ შეძლებდა ამ ტემპის უზრუნველყოფას? რა დროის განმავლობაში მოხდებოდა ცეცხლის გამოყენება მანევრის ფაზის დაწყებამდე? რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ბრძოლა - ხუთი დღე თუ ხუთი თვე?

ეს სირთულეები არ იყო უბრალოდ ტაქტიკური. ოპერატიული განზომილების გარეშე ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატება იწყებდა უბრალოდ კლებას. ორივე მხარისათვის ოპერატიული თავსატეხი იყო თუ როგორ მიეღწიათ მოწინააღმდეგის პოზიციებზე ძალით შეჭრისა და ამავე პოზიციებიდან ბრძოლით გამოსვლისთვის. მთელი ომის განმავლობაში გერმანელები ამაოდ ცდილობდნენ აღნიშნული პრობლემის გადაჭრას უფრო ღრმა და უფრო ძნელად დასაძლევი გამაგრებული ზონების შექმნით და ამ ზონებში უკან დახევით. ამ ზონების ფარგლებში მათი თავდაცვა იყო უფრო მოქნილი, მაგალითად ე.წ. ჰინდენბურგის ხაზი. მათ განალაგეს თავდაცვის ძირითადი ხაზები ისეთ სიღრმეში, რომ მოწინააღმდეგის ქვეითებს მიეღწიათ ამ ხაზებისთვის მას შემდეგ, რაც უკან ჩამოიტოვებდნენ ფართო სტატიკურ საარტილერიო მხარდაჭერას და მასიური თავდაცვითი ცეცხლისა და კონტრშეტევის მეშვეობით განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ. საველე წესდებაში ასევე ჩაიწერა, რომ რეზერვმა უნდა დაიკავოს ზურგიდან ცხრა კილომეტრი და უნდა შეეძლოს კონტრშეტევის განხორციელება ორი საათის ფარგლებში შეტევის დაწყებიდან. ამგვარად, არტილერიის მოქმედების რადიუსმა განსაზღვრა ბრძოლის ველის ფორმა. სიღრმეში მიზნების ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მათზე ცეცხლის გახსნა და იმ ქვემეხების სწრაფად წინ გადაადგილება, რომლებიც თან ახლდნენ ქვეითებს, გახდა ცენტრალური ოპერატიული მნიშვნელობის.

სურ. 49 დაპირისპირებული ბლოკები I მსოფლიო ომის დასაწყისში

თანამედროვე ომის დაბადება, 1916-18 წლები

ამგვარად, მკაცრმა აუცილებლობამ აიძულა არმიებს მიექციათ ყურადღება 1914 წლის ტაქტიკური და ოპერატიული პრობლემებისთვის. გადაწყვეტილება წამოიჭრა გარდამტეხი ბრძოლების სერიების მეშვეობით: 1916 წლის ბრუსილოვის გარღვევა, ბრიტანეთის არმიის ბრძოლები სომაზე იმავე წელს, 1917 წლის ნოემბრის კამბრეს შეტევა, 1918 წლის გაზაფხულზე გერმანელების შეტევები და პასუხად ბრიტანელთა კონტრიერიშები.

გორლიკ-ტერნოუსთან გერმანელების თავდასხმა 1915 წელს და რუსების შეტევა, რომელიც შემუშავდა ბრუსილოვის მიერ 1916 წლის ზაფხულში უკვე მოიცავდნენ თანამედროვე ბრძოლის ელემენტებს. ორივე შემთხვევაში მეთაურებმა დიდი აქცენტი გააკეთეს არტილერიის ცეცხლის სხვა ჯარების გადაადგილებასთან კოორდინირებაზე და ყურადღებით შერჩეულ და დაზვერილ მიზნებზე ცეცხლის კონცენტრირებაზე. რუსეთის მე-9 არმიის არტილერიის მეთაური იყო ვიცე-პოლკოვნიკი ვ.ფ. კირეი, ვისი წიგნებიც არტილერიის შესახებ ხელმეორედ გამოქვეყნდა 1926-1936 წლებში, როგორც სტანდარტული ნაშრომი. მან ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დაგეგმვა უნდა დაიწყოს არსებული ქვემეხებისა და ჭურვების რაოდენობის განსაზღვრით. შემდეგ უნდა მომხდარიყო გარღვევის ვიწრო სექტორის შერჩევა და ფრონტის სიგანის განსაზღვრა. რუსეთის მე-9 არმიის შემთხვევაში ფრონტი გადაჭიმული იყო თოთხმეტ კილომეტრზე, ხოლო გარღვევის სექტორი იყო 3.5 კილომეტრის სიგანის. კირეის ძირითადი ინტერესი იმდენად გარღვევის მიღწევა არ იყო, რამდენადაც შეტევის იმპულსის შენარჩუნება ღრმად შეღწევისას და ცეცხლით მხარდაჭერის გაგრძელება. კირეიმ ამას მიაღწია მსხვილკალიბრიანი ქვემეხების ბუნკერებში განთავსებით ფრონტის ხაზთან ახლოს, რათა ისინი ადვილად ,,მისაწვდომი'' ყოფილიყო ბრძოლაში. კირეიმ აგრეთვე უზრუნველყო მოსამზადებელი დაბომბვა მოულოდნელობის ეფექტის შესანარჩუნებლად და მოწინააღმდეგისთვის არსებული დროის შესამცირებლად, რათა შესაძლებელი გამხდარიყო რეზერვის გაშლა. საბრძოლო მასალის სიმცირე და რუსეთის ქვემეხების არასახარბიელო მდგომარეობა აგრეთვე მიუთითებდა ბრძოლის ხანმოკლეობაზე.

სურ. 50 ალექსი ბრუსილოვი (1853-1926). კავალერიის გენერალი

არაპირდაპირმა ცეცხლმა ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. 1916 წელს რუსებმა ჩაატარეს გასამიზნ რეპერზე პირველი სროლა: ცეცხლის გასწორება ერთ მიზანზე არა სიზუსტის დასადგენად, შემდეგ მეორეზე გადართვა მანამ, სანამ გამოიყენება ცნობილი შესწორება სიზუსტისა და მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად. თუმცა, მათ შეინარჩუნეს სიზუსტე არაპირდაპირი ცეცხლის კრიტიკულ სტადიაზე გახსნისას შემდგომში წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად. მართალია, მათ ჰქონდათ კარგად შედგენილი რუკები, მაგრამ როგორც ჩანს, მათ აკლდათ საშუალებები ამ რუკებიდან მიღებული მონაცემების გამოსათვლელად ან აეროფოტოგადაღების გამოსაყენებლად. შედეგად, სროლა წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად იყო არაზუსტი და მათ არ შეეძლოთ მიზნებზე ეფექტურად ცეცხლის გახსნა თვალთვალისა და ცეცხლის კორექტირების გარეშე. მიუხედავად ამისა, კირეიმ და მისმა ქვედანაყოფებმა განსაზღვრეს მიზნების ადგილმდებარეობა და მოახდინეს მათზე თვალთვალი და არტილერია ჯგუფებად დაყვეს კონკრეტული დავალებების შესაბამისად: როგორებიც იყო საყრდენი პუნქტების ჩახშობა და დაბრკოლებების გარღვევა. მეთვალთვალე ოფიცრები განთავსებულნი იყვნენ ფრონტის ხაზზე ცეცხლის კორექტირების მიზნით.

სურ. 51 ბრიტანული ტანკი საბრძოლო პოზიციაზე

ბრძოლაში გაშლილი ქვემეხების რაოდენობა და მათი სიმჭიდროვე იყო დაბალი დასავლეთის სტანდარტების მიხედვით, თუმცა რუსეთის არტილერია გასაოცრად ეფექტური იყო. რუსების საარტილერიო ცეცხლით აღფრთოვანებულმა ერთ-ერთმა ავსტრიელმა მეთაურმა კარლ ფონ პლანზერ-ბატლინმა თავის დღიურში ჩაწერა: ,,მოწინააღმდეგის დიდი უპირატესობა შორ მანძილზე მოქმედ არტილერიაში არის ... უპრეცენდენტოდ ეფექტური.'' კირეიმ აგრეთვე დაწერა ტანკსაწინააღმდეგო ტაქტიკის შესახებ, მართალია, მას არასოდეს უნახავს ტანკი, თუმცა წინასწარ განსჭვრიტა როგორ უნდა ებრძოლო ტანკს საზენიტო ქვემეხებით.

ბრუსილოვის თავდასხმა იყო კონცეფტუალური გარღვევა არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებაში, თუმცა მისმა ფორმულებმა წარუმატებლობა განიცადეს ძნელად დასაძლევი დაბრკოლებებისა და დასავლეთ ფრონტზე ავსტრიელების მიერ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის გამო. მათ დასამარცხებლად მოითხოვებოდა ზალპის უზარმაზარი წონა. არაპირდაპირი ცეცხლი ჯერ კიდევ იყო არაზუსტი, რადგან მიზნების ადგილმდებარეობის ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობა ჯერ კიდევ იყო არასრულყოფილი, ხოლო ბალისტიკური გამოთვლის არსებული სისტემები გულისხმობდნენ წინააღმდეგობებს. შესაბამისად, მიზნების განადგურება მოითხოვდა მიზნის ძირითად სიახლოვეს მიტანილი ზალპის დიდ წონას და ამგვარად ცეცხლის გეგმა გახდა ხანგრძლივი მოქმედების. გარდა ამისა, მოიერიშე ჯარების ფრონტზე ტრანშეებსა და დაბრკოლებებზე ზუსტი ცეცხლის უზრუნველყოფა მოითხოვდა მიზნის წინასწარ გამიზვნას. ქვემეხების, საბრძოლო მასალისა და ჯარისკაცების თავმოყრა, ქვემეხების მიზნების გამიზვნა და ცეცხლის გამოყენება კვირეებისა და თვეების განმავლობაში მოულოდნელობის ეფექტის მოხდენას საფრთხეს უქმნიდა, რაც მოწინააღმდეგეს საკუთარი პოზიციების გაძლიერებისა და რეზერვის პოზიციებზე განლაგების შესაძლებლობას აძლევდა. შედეგად, თავდაცვის გაფართოებულმა მომზადებამ გაზარდა ზალპის წონა, რასაც მოიერიშე მოითხოვდა.

ინიციატივა არ განხორციელდა ბოლომდე საკუთარი სიმძიმის გამო. ცეცხლის გეგმა გახდა ისეთი ვრცელი და კომპლექსური, რომ მხოლოდ ცენტრალიზებულ მაღალი დონის დაგეგმვას შეეძლო მისი შექმნა, თუმცა მოვლენების განვითარების შესაბამისად არ არსებობდა საშუალებები მათ შესასწორებლად. ქვეითებთან კოორდინაცია იყო სუსტი; შეტევის წარმატების დროს,

ქვეითები ხშირად გადაადგილდებოდნენ უძრავად გამაგრებული ფაზური ხაზის წინ, რაც მოცემული იყო გეგმაში. როცა წინააღმდეგობა ან დაბრკოლება შეაყოვნებდა ქვეითებს, ცეცხლის გეგმა აგრძელებდა მოქმედებას, რაც განაპირობებდა მათ გამომჟღავნებას და მოწინააღმდეგეს ცეცხლის გახსნისა და კონტრშეტევის მიტანის შესაძლებლობას აძლევდა.

სურ. 52 რუსების საარტილერიო პოზიცია.
აღმოსავლეთის ფრონტი

სომასთან ბრიტანელმა დამგეგმავებმა გამოიყენეს არტილერია როგორც გიგანტური ურო, რათა გაენადგურებინათ ყველაფერი რაც გზად შეხვდებოდათ. მათ კოორდინირება და მოქმნილობა შესწირეს გამანადგურებელ ეფექტს, რისი იმედიც დარწმუნებით ჰქონდათ, თუმცა რომელმაც ზოგადად წარუმატებლობა განიცადა გერმანელების განადგურების საქმეში. მიუხედავად ამისა, სომასთან ბრძოლა წარმოადგენდა შემდგომ წინ წაწევას არაპირდაპირი ცეცხლის შემუშავებაში. ამ ბრძოლის საფუძველზე ჩამოყალიბდა მაღალი დონის გამიზვნის, დაგეგმვისა და მართვის პრინციპი, და ის იყო წარმატება არტილერიის ახალი ლოგისტიკური ორგანიზაციისთვის. არტილერიის მეთაურებმა გამოიყენეს პროცედურები, თუმცა ჯერ-კიდევ არასრულყოფილი, რათა არაპირდაპირი ცეცხლი მეტად ზუსტი გამხდარიყო. მიზნის გამიზვნა გახდა ნორმა, თუმცა მან მოიტანა ის, რომ ოპერატიული მოულოდნელობის დარღვევა სიცოცხლის ფასად დაგიჯდებოდა.

ის, რაც აკლდა ამას ყველაფერს იყო მიზნის გამიზვნის გარეშე ზუსტი ცეცხლის გახსნის შესაძლებლობა: სროლა წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად. ამ შესაძლებლობამ მოულოდნელობის ეფექტი შეუძლებელი გახადა; სამაგიეროდ, ამან განაპირობა მიზნებზე ცეცხლის გახსნის შესაძლებლობა სიღრმეში მეწინავე მეთვალთვალის გამოყენების გარეშე, თუ ქვემეხების მსროლელები შეძლებდნენ მიზნების ადგილმდებარეობის განსაზღვრას სიზუსტით. სომასთან წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად სროლის ექსპერიმენტები ჩაიშალა, თუმცა არტილერისტებმა შეუპოვრობა გამოიჩინეს შემდგომი ბრძოლების დროს.

სურ. 53 ბრიტანელი არტილერისტები ფრონტის ხაზზე

1917 წლის 20 ნოემბერს ბრიტანეთის არმიამ დაიწყო შეტევითი ოპერაცია კამბრეში, რომელსაც ჰქონდა ორმაგი გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს იყო პირველი შემთხვევა, სადაც ბრიტანეთის არმიამ გამოიყენა დიდი რაოდენობით ტანკები - მოიერიშე ძალამ გამოიყვანა ბრძოლის ველზე მთლიანობაში 476 ტანკი. უფრო მეტიც, ეს იყო, წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად, ფართო მასშტაბიანი, არაპირდაპირი საარტილერიო სროლის გეგმის პირველი წარმატებული გამოყენება-ბრიგადის გენერალ ჰენრიხ ტიუდორის გამოგონება, რომელმაც გზა გაუკაფა ჯავშანტექნიკისა და არტილერიის ურთიერთმოქმედებას. ბოლოს და ბოლოს, შეტევამ კრახი განიცადა ბრიტანეთის წარუმატებლობის გამო, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ბრიტანელმა შტაბისტებმა წინასწარ ვერ განსაზღვრეს გერმანელების კონტრდარტყმის სისწრაფე და მძვინვარება. თუმცა, თავდაპირველი ცეცხლის გეგმა იყო წარმატებული. გერმანელების გადამწყვეტი კონტრშეტევის გასანეიტრალებლად ტანკების გამოყენების გადაწყვეტილებამ განაპირობა ამ დავალებიდან არტილერიის რესურსების გამოთავისუფლება, ცეცხლის გეგმის შემცირება და ამგვარად მოულოდნელობის ეფექტის გაზრდა. ზუსტი საჰაერო დაზვერვა და გეგმის გაუმჯობესებული შედგენა და ბალისტიკური გამოთვლა ქვემეხებს პროგნოზირებულ მიზნებზე ცეცხლის ეფექტურად გახსნის შესაძლებლობას აძლევდა. ათი კილომეტრის სიგრძის ფრონტის ხაზზე 1.003 საცეცხლე საშუალება მონაწილეობდა ცეცხლის წარმოებაში დეტალური და ცენტრალიზებული დაგეგმვის შესაბამისად. 150-მდე ბატარეა, რომელიც აძლიერებდა სექტორს შეტევამდე, იდგა უხმაუროდ და შენიღბული რეალური საარტილერიო დაბომბვის დაწყებამდე. ახლადჩამოტანილ ქვემეხებს უნდა გაესწორებინათ სამიზნეები ნებისმიერ ადგილზე გასვლამდე და გაეხსნათ ცეცხლი მიზნის გამიზვნის გარეშე. ცეცხლის გეგმა შედგებოდა სამი ნაწილისგან: მოძრავი გადამღობი ცეცხლი ქვეითებისა და ტანკების მხარდასაჭერად; საყრდენ პუნქტებზე, დაკავშირების საშუალებებსა და რეზერვზე ერთობლივი შეტევა მსხვილკალიბრიანი ქვემეხების გამოყენებით; ბატარეათშორისი ცეცხლის პროგრამა ცრემლსადენი გაზისა და შემდგომ ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერების გამოყენებით. ბატარეების გარკვეულმა რაოდენობამ აგრეთვე მიიღო წარმატების განვითარების დავალება კონტრშეტევების მოსაგერიებლად. მოგვიანებით გაკეთებულმა ანალიზმა გამოამჟღავნა, რომ ბრიტანულმა ქვემეხებმა, რომლებიც აწარმოებდნენ სროლას წინასწარ მომზადებული მონაცემების შესაბამისად, წარმატებით გაუხსნეს ცეცხლი მოწინააღმდეგის ბატარეების 90 პროცენტს. შემდგომი მნიშ-

ვნელოვანი წარმატება იყო საცეცხლე მხარდაჭერის გეგმის კოორდინირება სამხედრო-საჰაერო ძალებთან; ბრიტანელების მხრიდან 289 საფრენი აპარატი მონაწილეობდა ბრძოლაში, როგორც სადაზვერვო თვითმფრინავი, საარტილერიო ცეცხლის მაკორექტირებელი თვითმფრინავი, მოიერიშე თვითმფრინავი და ბომბდამშენი.

სურ. 54 სერ ჰენრიხ ტიუდორი (1871-1965). ბრიგადის გენერალი

გერმანელებმა დაუყოვნებლივ გასცეს პასუხი; 1917 წლის 30 ნოემბერს მათმა 23-ე სარეზერვო კორპუსმა კამბრეში განახორციელა მოსამზადებელი დაბომბვა ბრიტანეთის იმ მე-7 კორპუსის წინააღმდეგ, რომელიც შეიარაღებით უფრო უკეთესი იყო. ეს დაბომბვა იყო იმ დაბომბვის მსგავსი, რომელიც გერმანელმა პოლკოვნიკმა ბრუხმიულერმა შეიმუშავა და გამოიყენა რიგაში 1917 წლის სექტემბერში. ეს იყო აგრეთვე თვით ბრუხმიულერის პირველი გამოჩენა დასავლეთის ფრონტზე; გენერალური შტაბის უფროსმა ლუდენდორფმა ის მიამაგრა 23-ე კორპუსს, როგორც მრჩეველი. ბრუხმიულერის მიზანი იყო დასავლეთის ფრონტზე არმია გარდაექმნა იმ ხერხების შესაბამისად, რომლებიც პირველად გამოიყენეს გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე. 28 თებერვალს, მთავარსარდლობამ გამოსცა ტაქტიკური მითითებების ახალი ნაკრები, რომელშიც გაერთიანებული იყო ბრუხმიულერის მრავალი იდეა, თუმცა ის ჯერ კიდევ ებღაუჭებოდა მიზნის გამიზვნას და ეწინააღმდეგებოდა წინასწარ მომზადებული მონაცემების მიხედვით სროლის ახალ ხერხებს. მითითებების ავტორებმა აღიარეს ამოცანის შესაბამისად არტილერიის ორგანიზებისა და ბატარეათშორისი ცეცხლის ჯგუფების გაძლიერების საჭიროება გადამწყვეტი მნიშვნელობის მოსამზადებელი დაბომბვის დროს.

ბრუხმიულერის ტაქტიკურ სისტემას ჰქონდა ექვსი ძირითადი კომპონენტი: განეიტრალება, ძალთა სტრუქტურა, ბრძოლის ველის მომზადება, საერთო-საჯარისო ძალების კოორდინირება, უსაფრთხოება და მოულოდნელობის ეფექტი, საცეცხლე ზემოქმედების დაგეგმვა. 1918 წლის გაზაფხულზე ლუდენდორფის მიერ განხორციელებული ოპერატიული განადგურების დარტყმის საცეცხლე მხარდაჭერა ბრიტანელების წინააღმდეგ შეჟონვითა და დეცენტრალიზებული მართვის ხერხების გამოყენებით, ეყრდნობოდა ბრუხმიულერის მეთოდებს. გერმანიის უმაღლესმა სარდლობამ საჯაროდ გამოაცხადა ახალი მიდგომა პოზიციურ ომში შეტევასთან დაკავშირებით, რომელიც გამოქვეყნდა 1918 წლის იანვარში; მიზანი იყო ტაქტიკური ინფილტრაცია, რომელიც განაპირობებდა ოპერატიულ გარღვევას.

1918 წლის 21 მარტს, გერმანელებმა განახორციელეს შეტევა არასსა და ლა ფერეს შორის 6.608 ქვემეხის გამოყენებით; ამ ქვემეხებიდან დაახლოებით 2.598 იყო მსხვილკალიბრიანი და ზემძიმე, რომელთა საარტილერიო უპირატესობა ბრიტანელებთან შედარებით იყო 2.5:1. თავდასხმის პირველ დღეს, გერმანელების ქვემეხებმა გაისროლეს 3.2 მილიონი ჭურვი, რომელთა მესამედიც იყო ქიმიური. მოსამზადებელი ცეცხლის გეგმა მოიცავდა შვიდ ფაზას და რამდენიმე ქვეფაზას. მოგვიანებით განხორციელებულ თავდასხმებში დამგეგმავებმა ფაზები სამამდე შეამცირეს, რომელსაც მოჰყვებოდა მოძრავი გადამღობი ცეცხლი მოიერიშე ქვეითების წინ. შეტევამდე შვიდ კვირაში, გერმანიის არმიამ ხელმეორედ გაწვრთნა 6.000 ოფიცერი ახალი ხერხების შესაბამისად, ხოლო ყველა ახლად მოსულმა ბატარეამ გადააწყო ქვემეხები ისე, რომ მათ შორსმსროლელობას

მოწინააღმდეგის ზურგამდე მიეღწია. შედეგად, როცა ლუდენდორფმა 5 აპრილს დაამთავრა შეტევა, გერმანელებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ხმელეთის უფრო მეტი წილი, ვიდრე ყველა მოკავშირე ძალამ მთლიანობაში შესძლო მთელი ომის განმავლობაში.

სურ. 55 გეორგ ბრუხმიულერი (1863-1948). პოლკოვნიკი, არტილერიის ახალი ტაქტიკის შემქმნელი

თუმცა, ლუდენდორფის ტაქტიკური წარმატება იყო ოპერატიული და სტრატეგიული წარუმატებლობა. ნაწილობრივ ეს იყო მე-17 არმიის, სამი ბრძოლაში ჩაბმული არმიიდან ერთ-ერთის სავალალო შესრულების გამო. ამ არმიის არტილერიის ქვედანაყოფის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ფონ ბერენდტი მანამდე, მაიორის წოდებით, დაქვემდებარებაში იყო პოლკოვნიკ ბრუხმიულერთან და ახლა აღშფოთებული იყო მისი რჩევებით. გასაგები ბრძანებების მიუხედავად, ფონ ბერენდტმა მოულოდნელობის ეფექტი საფრთხის წინაშე დააყენა გამიზვნით; მისი ქვემეხების უმეტესობამ აგრეთვე განაპირობა ცეცხლის შეწყვეტა ერთ პუნქტში ნახევარი საათის განმავლობაში. ლუდენდორფი იყო უხეში: ,,მაცოცხლებელი ენერგია, რომელიც მომდინარეობდა პოლკოვნიკ ბრუხმიულერისგან, არ იყო საკმარისი. ეს არის ომში, როგორც ცხოვრებაში ზოგადად, ღონისძიებების მიმდინარეობაზე პიროვნულობის გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენის მეორე მაგალითი.'' ფონ ბერენდტი მოხსნეს, ხოლო 26 მარტს კაიზერმა (იმპერატორმა) პირადად შეამკო ბრუხმიულერი მუხის ფოთლებიანი ორდენით ,,დამსახურებისთვის''.

9 აპრილს გერმანელებმა კვლავ შეუტიეს ბრიტანელებს ლიზინთან არტილერიის გამოყენებით 3.3:1 თანაფარდობით და სიმჭიდროვით-100 ქვემეხი თითოეულ კილომეტრზე, რაც ომის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. უმაღლესმა სარდლობამ ბრუხმიულერი და მისი მთელი შტაბი მიაკუთვნა მე-6 არმიას ოპერაციისთვის, რომელმაც აგრეთვე მოიპოვა ტაქტიკური წარმატება, თუმცა დაკარგა მამოძრავებელი ძალა (იმპულსი) რეზერვის ნაკლებობის გამო, რათა განევითარებინათ მანამდე მიღწეული წარმატებები. შემდგომი თავდასხმები განვითარდა იგივე მოდელით. 27 მაისს ქალაქ დამესთან ბრუხმიულერი იყო არტილერიის ქვედანაყოფის უფროსი მთელი არმიის ჯგუფისთვის და მან მიაღწია მოულოდნელობის სრულ ეფექტს; მოსამზადებელი ცეცხლი იყო უფრო ზუსტი და უფრო ხანმოკლე, ვიდრე იყო მანამდე. ივნისსა და ივლისში ნუაიონსა და შამპან-მარნესთან საარტილერიო ცეცხლი იყო ნაკლებად წარმატებული; უმეტესად იმიტომ, რომ მოკავშირე ძალები უკვე ერკვეოდნენ ახალ ტაქტიკაში და დაწყებული ჰქონდათ მის წინააღმდეგ თავდაცვის ორგანიზება.

ე. წ. ,,კაიზერის ბრძოლამ'' დაამტკიცა, რომ ახალმა ხერხებმა შეძლეს ბრიტანეთის თავდაცვაში შეღწევა და გასაოცარი შედეგების მიღწევა, თუმცა ეს იყო წარუმატებლობა ოპერატიული და სტრატეგიული თვალსაზრისით. ლუდენდორფის გამანადგურებელმა დარტყმებმა ვერ მოახერხეს გარღვევა ლა-მანშის სანაპიროსა და პარიზის მიმართულებით. უფრო უარესი იყო ის, რომ ორივე მიმართულებაზე გერმანელმა მეთაურებმა დაკარგეს ბრძოლის კონტროლი უკვე ხუთი-ექვსი დღის შემდეგ. როცა ჯავშანსატანკო პოლკის დამრტყმელმა ქვედანაყოფებმა წინ წაიწიეს, ცუდად გაწვრთნილი რიგითების დიდი რაოდენობა მიჰყვა მათ მოძველებული მიჯრილი წყობით ბრიტანეთისა და საფრანგეთის საცეცხლე სიძლიერის კონტროლის ქვეშ. გერმანიის არმიას არ შეეძლო აგრეთვე ლოგისტიკური მხარდაჭერა იმ მიღწევებისა, რომლებიც მან მოიპოვა.

სურ. 56 ბრიტანული ტანკი

ლუდენდორფის გამარჯვებებმა გერმანიის არმია სისხლისაგან დაცალა: 1918 წლის მარტიდან ივლისამდე თითქმის მილიონამდე დანაკარგმა გამოიწვია კოლაფსების სერია და შექმნა ჩაკეტილი წრე. კიდევ უფრო ცუდი-სწორედ არმიის საუკეთესო ქვედანაყოფები განიცდიდნენ ყველაზე მეტ დანაკარგებს. ივნისისთვის ლუდენდორფმა მთლიანად გაანადგურა ოცდათექვსმეტი ელიტური ,,მოიერიშე'' დივიზიიდან ოცდაშვიდი დივიზია. მათი განადგურების შემდეგ დარჩნენ შედარებით მცირე რაოდენობის ქვეითი დივიზიები ბრძოლის გასაგრძელებლად. მზარდმა დანაკარგმა აიძულა გერმანელები დაყრდნობოდნენ მხოლოდ არტილერიას განადგურების პირას მყოფი პოზიციების შესანარჩუნებლად. ივლისიდან საომარ მოქმედებათა შეწყვეტამდე მათ დაკარგეს 760.000-ზე მეტი ადამიანი ბრძოლის ველზე მანამ, სანამ სავარაუდოდ მილიონმა ადამიანმა მიატოვა სამხედრო სამსახური ან უარი თქვა მასზე. 1918 წლის 1 აგვისტოს გერმანიას ჯერ-კიდევ ჰყავდა 98 ბრძოლისთვის მზადმყოფი დივიზია დასავლეთის ფრონტზე; 11 ნოემბრისთვის დარჩა მხოლოდ ოთხი დივიზია.

1918 წლის 4 ივლისს ბრიტანელებმა დაიწყეს თავდასხმა ჰამელში. ოპერაციის შედეგად ჩამოყალიბდა მექანიზებული სახმელეთო/საჰაერო ომის უფრო მეტად თანამედროვე მოდელი, მართალია ზომითა და წარმატებით მოკრძალებული, ვიდრე ის, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა კამბრეში წინა შემოდგომას. დამგეგმავებმა მოსამზადებელი საკითხები მოაგვარეს გასაიდუმლოებით. შეტევა დაიწყო მოსამზადებელი დაბომბვის გარეშე. ტანკები დაწინაურდნენ მცოცავი გადამღობი ცეცხლის უკან, რომელთაც უკან მოჰყვებოდნენ ქვეითები. ტანკები გადაადგილდებოდნენ თავისუფლად და თან ეძებდნენ დაუგეგმავ მიზნებს მანამ, სანამ არტილერია ჩაკეტავდა ფლანგებს და მოახდენდა ბატარეათაშორის ცეცხლზე კონცენტრირებას, განსაკუთრებით გერმანული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების წინააღმდეგ. ყველაზე შთამბეჭდავი გაუმჯობესება იყო საფრენ აპარატებსა და არტილერიას შორის ურთიერთმოქმედების კავშირის დამყარება თვალთვალისას და ღრმა დაბომბვის დაგეგმვისას. ჰამელთან ბრძოლამ დაამტკიცა, რომ არტილერიას და ტანკებს შეეძლოთ ერთად მუშაობა, ხოლო ქვეითებს მიენიჭათ მეორეხარისხოვანი როლი.

აგრეთვე ნათელი გახდა, რომ დასავლეთის ფრონტის განსაზღვრულ პირობებში არტილერიას შეეძლო ბრძოლის თითქმის დამოუკიდებლად მოგება, რაც თავისთავად ამცირებდა ქვეითების დანაკარგს. ბრიტანეთის არმიამ კვლავ გამოიყენა ,,ჰამელის'' მოდელი ფართო მასშტაბით 8 აგვისტოს ამიენზესთან ბრძოლაში-ტანკებისა და საფრენი აპარატების დიდი რაოდენობა, განსაკუთრებით ქვეითებისა და არტილერიის მიერ წარმოებულ ომში. ბრძოლა არ ყოფილა იმდენად გამრღვევი, რამდენადაც სამგანზომილებიანი გარშემორტყმა მთელს ფრონტზე; ის იყო, აგრეთვე, 1918 წლის ბოლო ბრძოლა, რომელშიც ტანკებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. 1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბრიტანეთის არმიამ დაკარგა ტანკების 62 პროცენტი; არტილერიას მოუხდა შედეგად მიღებული სიცარიელის შევსება. კერძოდ, ბრიტანეთში ჭურვების ყველაზე დიდი რაოდენობით ხარჯვას მთელს ომში ადგილი ჰქონდა 1918 წლის 28-29 სექტემბერს: ქვემეხების მსროლელებმა გაისროლეს 945.052 ჭურვი ე.წ. ჰინდერბურგის ხაზის გასარღვევად.

სურ. 57 პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847 - 1934). გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

დებატები გრძელდებოდა იმის თაობაზე, რომ გაუმჯობესებებმა სტრატეგიის, ტაქტიკის, შეიარაღების, ტექნოლოგიის, ხელმძღვანელობის, პირადი შემადგენლობის ეფექტურობისა და უფრო მეტად თავმოყრის სფეროში განაპირობეს თუ არა ბრიტანეთის წარმატება 1918 წლის ზაფხულში. კერძოდ, ბრიტანელებმა მოახდინეს არმიის შეტევისადმი ორი კონტრასტული მიდგომის ფორმულირება: არტილერიაზე დაფუძნებული თავდასხმა ერთის მხრივ და მექანიზებულ ოპერაციაზე მინდობა მეორეს მხრივ. მიუხედავად ამისა, არტილერიის როლი ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო. ერთ-ერთმა გერმანელმა ოფიცერმა, რომელიც სიტყვით გამოვიდა 1918 წლის 21 აგვისტოს გენშტაბის სხდომაზე, გამოხატა საკუთარი შეხედულება, რომ ბრიტანეთის საექსპედიციო ძალების შეტევამ, რომელიც ჩატარდა ტანკების, ქვეითებისა და არტილერიის კომბინაციით, ყოველთვის მიაღწია გამარჯვებას. მხოლოდ არტილერიისა და ქვეითების მეშვეობით შემტევმა ძალამ ოთხი შეტევიდან სამჯერ მიაღწია გამარჯვებას. ხოლო ქვეითებისა და ტანკების დახმარებით განხორციელებული შეტევები წარმატებას აღწევდა ოთხიდან მხოლოდ ერთხელ. ბოლო გაანალიზებისას არტილერიაზე დაფუძნებულმა მეთოდმა გამარჯვებას მიაღწია 1918 წლის ბრძოლებში; არტილერიის საცეცხლე სიძლიერემ ბრძოლის ველზე აღადგინა მანევრი, რაც ქვეითების საცეცხლე სიძლიერემ გაანადგურა 1914 წელს.

სურ. 59 ბრიტანული ტანკებისა და ქვეითების კოლონა მარშზე

სურ. 58 რუსული მძიმე ქვემეხი, სანაპირო არტილერია

არაპირდაპირი ცეცხლის წარმოებაში მომხდარი რევოლუციის საშუალებები და გაკვეთილები

ვერდენში და სომასთან გამომფიტავმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ ცეცხლის შესაბამისმა კონცენტრირებამ შესაძლებელი გახადა ორიდან სამ კილომეტრამდე წინ წაწევა ნებისმიერი მიმართულებით. მაგრამ ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა ტაქტიკური წარმატების მოპოვება მოულოდნელობის ეფექტის ან ოპერატიული წარმატების პერსპექტივის შეწირვის საფუძველზე. გასაოცრად მცირე დროში, აქამდე კონსერვატიულმა სამხედრო დაწესებულებამ-ბრიტანეთის არმიის გენშტაბმა დაადგინა ტექნიკური საშუალებები და შეიმუშავა ხერხების სერია, რათა ოპერატიული წარმატების მიღწევა კიდევ ერთხელ გაეხადა შესაძლებელი. ამ ამბის გმირები იყვნენ არტილერიის გენერლები: გენერალ-მაიორი სერ ჰერბერტ იუნეკი და ბრიგადის გენერალი სერ ჰენრიხ ტიუდორი, რომლებიც ცდილობდნენ გენშტაბის ხელმძღვანელობის იმაში დარწმუნებას, რომ არმია იღებდა გაკვეთილებს თითოეული ბრძოლიდან და აღარ გაიმეორებდა შეცდომებს. მათ ჰყავდათ მოწინააღმდეგეები, თუმცა ხერხებმა, რომლებიც მათ შეიმუშავეს გაუძლეს დროის გამოცდას და დღესდღეობითაც ისინი წარმოადგენენ თანამედროვე საარტილერიო საქმის საფუძველს.

1915 წლიდან საჰაერო თვალთვალი და ფოტოგრაფია მთელს საომარ მოქმედებათა თეატრზე იძლეოდა ზუსტად გამიზვნისა და მუდამ ცვლადი ტრანშეების რუკაზე განახლებით დატანის შესაძლებლობას. 1915 წელს ნიუ ჩაპელთან ფოტოგრაფიის პირველი გამოჩენის შემდეგ, ის გახდა სტანდარტული პრაქტიკა 1916 წლისთვის, თუმცა 1917 წლამდე სამხედრო ფოტოგრაფებმა ვერ დაძლიეს გამოსახულების დამახიჯება და ვერ მიაღწიეს შესაბამის სიზუსტეს. სამხედრო ტოპოგრაფიულ მომზადებაში წინსვლებმა ქვემეხების პოზიციების ზუსტად განსაზღვრა შესაძლებელი გახადა; ეს იყო მიღწევა, რომელმაც ომის სტატიკური ბუნება უფრო გაადვილა. ჯერ კიდევ უზუსტობებს ჰქონდა ადგილი მაშინაც კი, როცა ქვემეხის ზუსტი ადგილმდებარეობა და მიზანი ცნობილი იყო; ორივე მხარეს არტილერისტებმა შეიმუშავეს საშუალებები ამ შეცდომების მინიმუმამდე დასაყვანად; 1918 წლისთვის 18 გირვანქიანი ჭურვების მქონე ქვემეხმა ოთხ კილომეტრიან მანძილზე მიაღწია ოთხმოცი მეტრის ნომინალურ სიზუსტეს-სტანდარტი, რომელიც დღევანდელი საველე ქვემეხის სიზუსტის მსგავსია.

კავშირი ჭურვის დაცემის ადგილის გასასწორებლად რჩებოდა პრობლემურად; საარტილერიო ცეცხლი ჭრიდა სატელეფონო ხაზებს და რადიოკავშირი რჩებოდა პრიმიტიული.

სურ. 60 ფრანგული თვითმფრინავი

საჰაერო მეთვალთვალეებმა შეიმუშავეს დეტალური, თუმცა არასაიმედო სასიგნალო სისტემა ქვემეხებთან უშუალო დაკავშირებისათვის. 1918 წლისთვის საფრანგეთის არმიას ჰყავდა 50.000 ტელეფონის სპეციალისტი, თითოეულ საარტილერიო პოლკს ჰყავდა 200 მეკავშირე - ომის მოთხოვნების შედეგად მთელს საფრანგეთში მოხდა სახლების სატელეფონო ხაზების დემონტაჟი. მებრძოლებმა აგრეთვე შეიმუშავეს ელექტრონული ომის პირველი ხერხები: უსადენო და სატელეფონო კავშირის გადაჭერა.

არსებულმა ვითარებამ შეცვალა არტილერიის ძირითადი საშუალებები: მსხვილკალიბრიანი ქვემეხი და ჰაუბიცა წესად იქცა. 1914 წელს ბრიტანეთის არმიას ჰყავდა მხოლოდ ექვსი მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით აღჭურვილი ბატარეა სამოცდათორმეტ საველე არტილერიის ბატარეასთან შედარებით. მაგრამ 1918 წლის ნოემბრისთვის მას უკვე ჰყავდა 440 მსხვილკალიბრიანი ქვემეხებით აღჭურვილი ბატარეა 568 საველე არტილერიის ბატარეასთან შედარებით, ტრანსფორმაცია მართლაც რომ შტამბეჭდავი იყო. 1918 წლისთვის საბრძოლო მასალაში, რომელიც განკუთვნილი იყო ამ ქვემეხებისათვის იგულისხმებოდა ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებებისა და ქიმიური მუხტისა და ამფეთქების ფართო მრავალფეროვნება, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მყისიერი და დაყოვნებული ამფეთქები. მყისიერი ამფეთქი იძლეოდა ნამსხვრევების მსგავს ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერების ეფექტს, თუმცა არ მოითხოვდა ცეცხლის გასახსნელად იგივე უნარ-ჩვევას. თავის მხრივ, ის იყო ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც 1944 წელს რადიოლოკაციური ამფეთქი.



სურ. 61 ფრანგული 75 მმ-იანი ჰაუბიცა

1917 წლიდან შემდგომში სამხედრო-საჰაერო ძალამ, აგრეთვე რეკოგნოსცირებისა და საარტილერიო თვალთვალის უზრუნველყოფამ, ითამაშა მზარდი როლი სიღრმისეულ შეტევასა და კოორდინირებულ მიწა-ჰაერის ოპერაციებში. ბრიტანელებმა სომასთან დაბალ სიმაღლეზე მფრინავი საფრენი აპარატის მეშვეობით გაანადგურეს გერმანელთა ჯარები ხმელეთზე; 1917 წლის 31 ივლისს გერმანელების საფრენმა აპარატმა მიიღო ბრიტანეთის იმ ჯარების დაბომბვის ამოცანა,

რომლებიც უტევდნენ პილკემ რიჯს. გერმანელებმა მოახდინეს 730 საფრენი აპარატის მასირება ე.წ. ,,კაიზერის ბრძოლისთვის'' და შექმნეს სამხედრო ესკადრილიები. ეს საფრენი აპარატები დაფრინავდნენ დაბალ სიმაღლეზე მიჯრილი წყობით, რათა შეერყიათ მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთება. 1918 წლის 18 მარტს ობერ-ლეიტენანტმა რიტერ ფონ გრეიმმა განახორციელა პირველი წარმატებული ტანკსაწინააღმდეგო გაფრენა სომას თავზე. ფრანგებმა აგრეთვე შექმნეს ფრენის წყობა, ე.წ. ,,საჰაერო დივიზია" სახმელეთო ბრძოლის მხარდასაჭერად.

ბრიტანელებმა, უმთავრესად ვიცე-პოლკოვნიკ ჯონ ფიულერის თვალთახედვით, საფრენ აპარატს მიანიჭეს უმთავრესი როლი კამბრესთან ბრძოლაში. 1918 წლის აგვისტოს, ამიენსის თავდასხმისთვის ბრიტანეთის სარდლობამ საფრენ აპარატს მისცა ტანკების წინ ფრენის დავალება, რაც გულისხმობდა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების აღმოჩენასა და განადგურებას. 1918 წლის 4 ივნისს საფარნგეთის 120-მა ბომბდამშენმა ჩამოყარა 700 ბომბი გერმანელების რეზერვის იმ ძირითადი ნაწილის თავზე, რომელიც არტილერიისგან თავს აფარებდა ციცაბო ფერდობიან ღრმა ვიწრო ხეობაში. სამხედრო-საჰაერო ძალას აგრეთვე შეეძლო ქვედანაყოფების მომარაგება ჰაერიდან, მაგალითად, როგორც მოხდა ამის დემონსტრირება 1918 წლის ივლისში, როცა ჰაერიდან ტვირთის ჩამოყრით მოხდა საფრანგეთის ბლოკირებული ბატალიონის უზრუნველყოფა შეტოუ ვანდიერესში, სანამ შესაძლებელი გახდებოდა მისი გათავისუფლება ორი დღის შემდეგ. პოლკოვნიკ უილიამ (,,ბილი'') მიტჩელის შეთავაზება, რომ ამერიკელი ქვეითები პარაშუტებით დაშვებულიყვნენ ქ. მეცში ჰენდლი პეიჯის ბომბდამშენებიდან, იყო თანამედროვე სამგანზომილებიანი ოპერაციის მეორე მაუწყებელი, რაც შექმნიდა შოკისმომგვრელ ეფექტს მოწინააღმდეგის სიღრმეში. სამხედრო-საჰაერო ძალის როლის გაზრდასთან ერთად გაიზარდა კონტრსაჰაერო ოპერაციების მნიშვნელოვნება, რაც შეესაბამებოდა არტილერიის ბატარეათშორისი ცეცხლის გახსნის ოპერაციების ანალოგიურ ზრდას.

სურ. 62 მეფე გეორგ V ბრიტანეთის საექსპედიციო კორპუსის სამწყობრო დათვალიერებაზე, 1915 წ.

შესაბამისად, არტილერიამ და მეთაურობამ განიცადა ინსტიტუციური რევოლუცია: ახალმა მეთაურობამ, დაზვერვამ და დაგეგმვის ორგანიზებამ აიწია ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეზე. 1916 წლისთვის ბრიტანეთის არმიაში კორპუსის არტილერიის მეთაური ხელმძღვანელობდა მთელი დივიზიის არტილერიას საკუთარი კორპუსის ფარგლებში. მას უნდა გაეთვალა დრო ცეცხლის გეგმის ფარგლებში და გაენაწილებინა მეთვალთვალეები ბატარეებში მთელი შენაერთის ფარგლებში. 1918 წლისთვის არტილერიის მოქმედებების დაგეგმვა ხდებოდა არმიის დონეზე, შეტევის დაწყებისთანავე დივიზიის დონეზე ხდებოდა დეცენტრალიზებული დაგეგმვა, ხოლო დივიზიის არტილერიის ნახევარი დაწინაურდებოდა მოიერიშე ჯარებთან ერთად ოთხმოცდაათ წუთში ნულოვანი საათის შემდეგ.

გერმანელებს არ ჰყავდათ კორპუსის არტილერია 1916 წლის თებერვლამდე, და ის თავდაპირველად მოქმედებდა როგორც საბრძოლო მასალის უბრალო რეზერვი. არ არსებობდა კოორდინაცია დივიზიისა და კორპუსის არტილერიას შორის, ამიტომ არ შეეძლოთ მხარდაჭერისათვის ერთმანეთის მოხმობა. თუმცა, 1918 წლის გაზაფხულისთვის გერმანელებმა მოახდინეს არტილე-

რიის შვიდ ფუნქციურ ჯგუფად ორგანიზება, რომლებიც თავის მხრივ იყოფოდნენ ქვეჯგუფებად _ ტრადიციული სამეთაურო იერარქიიდან რევოლუციური გადახვევა. იმ დროსითვის გერმანელებს სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული ახლო და სიღრმისეულ ბრძოლებს შორის განსხვავება და ამ ორს შორის კოორდინირების საჭიროება. 1918 წლისთვის გერმანიის არტილერია არმიის დონის მეთაურობისგან იღებდა დროს, დავალებებსა და ცეცხლის გახსნის რაიონებს, თუმცა მიზნებს არჩევდნენ ჯგუფები და ქვეჯგუფები. წვრთნა და დაგეგმვა ყურადღებას ამახვილებდა მთელი საომარი მოქმედებების კოორდინირებასა და იმაზე, რომ საცეცხლე გეგმა ყოფილიყო საკმარისად მოქნილი, რათა შესაბამისობაში მოსულიყო ქვეითების ახალ ტაქტიკასთან.

სურ. 63 გერმანელთა საარტილერიო პოზიციების დაბომბვა. დასავლეთის ფრონტი

მებრძოლმა მხარეებმა შექმნეს უზარმაზარი ახალი ლოგისტიკური ორგანიზაციები არტილერიის უპრეცენდენტო მოთხოვნების უზრუნველსაყოფად. 1914 წლის არმიები უკვე წარმოადგენდნენ ინდუსტრიული რევოლუციის არმიებს, თუმცა ისინი წარმოადგენდნენ იმის უბრალო აჩრდილებს, რაც არტილერიის დიდმა ომმა წარმოშვა. ბრიტანეთის სამეფო არტილერია გახდა უფრო დიდი, ვიდრე იყო სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ხოლო 1917 წლისთვის მრავალ ომში ქვემეხების მსროლელთა თანაფარდობა ქვეითებთან მიმართებაში გაიზარდა 8:10-მდე. ბრიტანეთისა და გერმანიის შემთხვევაში ქვემეხების მსროლელთა თანაფარდობა ქვეითებთან მიმართებაში გაორმაგდა 1914-18 წლებში, ხოლო საფრანგეთის შემთხვევაში გასამმაგდა. მსგავსად, 1917 წლის აპრილში აშშ-ის არმიის ცხრა საველე არტილერიის პოლკი გაიზარდა 234 პოლკამდე ომის მოქმედებების დასრულებისთვის. 1914 წელს რუსეთის არმიას ჰქონდა 797 მსხვილკალიბრიანი საარტილერიო საცეცხლე საშუალება; 1917 წლისთვის - 2.550 საშუალება. ქვემეხების დიდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მებრძოლმა მხარეებმა შექმნეს ახალი საბრძოლო მასალისა და აღჭურვილობის გიგანტური ინდუსტრიები, რასაც მოჰყვა უზარმაზარი სოციალური შედეგები.

სურ. 64 გერმანელი ჯარისკაცები ფრონტზე შესვენების დროს

პირველი მსოფლიო ომი:
არაპირდაპირი ცეცხლი და სამხედრო რევოლუცია

პირველმა მსოფლიო ომმა მეოცე საუკუნის ომის სახე მრავალმხრივ შეცვალა. მან საფუძველი ჩაუყარა ტანკისა და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ორთაბრძოლას, საჰაერო ბრძოლას, სტრატეგიულ დაბომბვას, საჰაერო დაზვერვას და საჰაერო თავდაცვას, ხოლო მაცდუნებელმა პერსპექტივებმა აგრეთვე წარმოშვა ის, რომ საფრენი აპარატი შეიძლება მოქმედებდეს როგორც ,,საჰაერო არტილერია'' ჯავშანსატანკო ოპერაციების მხარდასაჭერად. ლოგისტიკა ეყრდნობოდა შიდა წვის ძრავას, ხოლო ოპერატიული და ტაქტიკური მართვა დამოკიდებული იყო ბრძოლის ველის ელექტრონულ კავშირზე. ქიმიური ომის ტრაგიკული მოვლენები გახდა ჩვეულებრივი. პოლიტიკურმა და ეთნიკურმა ფანატიზმა, აგრესიამ და თავდაცვამ გამოაცოცხლა ინდუსტრიული საზოგადოება, რათა მოეხდინა ცოცხალი ძალის მთლიანი მობილიზება და მისი ტრანსფორმირება შეიარაღების გიგანტურ ფაბრიკებად. ტექნოლოგიურ დონეზე არტილერია გახდა ომში დომინანტური, ხოლო არაპირდაპირი ცეცხლი _ არტილერიაში დომინანტური. ამ რევოლუციამ წარმოშვა ბრძოლის ველის დაზვერვისა და მართვის, კონტროლისა და კავშირის სისტემების უზარმაზარი მოთხოვნა სადაზვერვო ინფორმაციისადმი იმ ცეცხლის გეგმის სამართავად, რომელსაც ეს გეგმა ემსახურებოდა.

სურ. 65 ევროპა I მსოფლიო ომის დროს

არაპირდაპირი ცეცხლის რევოლუცია მოითხოვდა მებრძოლი არმიების რადიკალურ რეორგანიზებას: კავალერიის ვირტუალურ გარდაცვალებას და ახალი კორპუსებისა და გვარეობების შექმნას ან გაფართოებას ტყვიამფრქვევით, ტანკებით, საჰაერო თავდაცვით, ქიმიური იარაღით, კავშირგაბმულობით, მანქანათმშენებლობითა და საჰაერო ბრძოლით. როცა ამის დრო დადგა, გამოჩნდნენ ავიაციის ცალკეული სახეობები. ორგანიზაციული მოქნილობა, რაც ასე უცხო იყო 1914 წლამდე არსებული არმიების სულისკვეთებისთვის, გახდა რევოლუციის მნიშვნელოვანი კომპონენტი.

შლიფენის გეგმამ და 1914 წლის გერმანიის იმ თავდასხმამ, რომელიც წარმოიშვა ამ გეგმისგან, განასახიერა ომის ის სტილი - ორ განზომილებაში - რომელიც იყო ისეთივე მოძველებული, როგორც თავად ომი. ფრონტალური გარღვევა იყო მეთაურის ცოდნისა და შესაძლებლობების ნაკ-

რების (რეპერტუარის) მთავარი ნაწილი, თუმცა მოწინააღმდეგის განადგურება გარშემორტყმის მეთოდის გამოყენებით იძლეოდა სრული გამარჯვების გარანტიას. ასევე მოწინააღმდეგის ფლანგები წარმოადგენდნენ გადამწყვეტ წერტილებს; ცენტრს შეეძლო უკან დახევა ფლანგის ან ფლანგების მიმართულებით გადაადგილების მიზნით. გერმანელებმა გაითამაშეს მანევრის ეს სქემა ფართო მასშტაბზე 1914 წლის აგვისტო-სექტემბერში. ისინი დამარცხდნენ - და მალე ფლანგები აღარ არსებობდნენ, რადგან არმიების მასები, რომელთა უზრუნველყოფა ხდებოდა რკინიგზისა და ინდუსტრიული ეკონომიკის საშუალებით, ავსებდნენ მთელ ბრძოლის ველის სივრცეს ლა-მანშიდან შვეიცარიის საზღვრამდე.

შემდგომი ოთხი წლის არეულობა, უბედურება და სისხლისღვრა ფაქტიურად იყო ძიება ცდებისა და შეცდომების მეთოდით, რასაც თავისმხრივ ეხმარებოდა ტაქტიკური და ტექნიკური სრულყოფა იმ სისტემის ჩანაცვლების მიზნით, რომელიც გავრცელებული იყო ათასობით წლის მანძილზე. ახალი სტილი იყენებდა სამ განზომილებას და ფსიქოლოგიურ ასპექტს. მიზანი არ იყო ფლანგიდან შემოვლა, გარშემორტყმა და განადგურება, არამედ წინიდან გარღვევა და ამავე დროს ერთდროულად მოწინააღმდეგის ზურგის მთელ სიღრმეზე განადგურება. გარღვევის შესუსტება და არა გარშემორტყმა გახდა მიზანი, ხოლო არაპირდაპირი საცეცხლე სიძლიერე კი მთავარი საშუალება. ჯერ კიდევ არსებული მკაცრი აკრძალვები ზღუდავდა ახალი მოდელის ეფექტურობას; პირველი მსოფლიო ომის არმიებს არ ჰქონდათ საკმარისი რაოდენობის ტრანსპორტი ჯარების, ქვემეხებისა და მარაგის უსწორმასწორო ტერიტორიაზე გადასატანად თავდასხმის დროს, აგრეთვე თავდასხმის დაწყებისას არ ჰქონდათ დაკავშირების საშუალებები დეცენტრალიზებული კონტროლის უზრუნველსაყოფად ცეცხლის გეგმის მიხედვით. მექანიზებულმა ტრანსპორტმა, უშუალო საჰაერო მხარდაჭერამ და უსადენო კავშირმა საბოლოოდ გადაჭრა ეს სირთულეები, თუმცა დამანგრეველმა უკმარისობამ, რა პირობებშიც ისინი იყვნენ 1918 წელს, ხელი ვერ შეუშალა თანამედროვე ომის დაბადებას.

რა ისტორიულმა ფაქტორებმა განაპირობა ასეთი სიღრმისეული ცვლილებების გამოწვევა ორგანიზებული ძალადობის გამოყენების მეთოდებში? რა იყო 1917-18 წლების რევოლუციის საფუძველი? როგორ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ფუძემდებლური პრინციპები და ფიზიკური ნიშნები, ხერხები და ტაქტიკა? ომამდე სამხედრო იდეები და სტრუქტურა ეყრდნობოდა მთლიანად განსხვავებულ კონცეფციებს; მოითხოვებოდა რევოლუციის კატალიზატორი. ეს კატალიზატორი გახდა 1914 წლის ბრძოლების ულმობელი შოკი, რომელმაც გააბათილა ყველა არსებული დოქტრინა. რევოლუცია მოხდა, რადგან იმ დროის სამხედრო ორგანიზაცია არ ემორჩილებოდა ცვლილების იმ მრავალ ზეწოლას, რომელთა უგულებელყოფა ხდებოდა მშვიდობიანობის დროს, თუმცა არა ომის დროს. რუსეთ-იაპონიის ომის ზოგიერთმა დამკვირვებელმა იგრძნო მოახლოებული მიწისძვრის გამაფრთხილებელი რხევები; შტაბის წევრებმა და უმაღლესმა სარდლობამ ყურადღება არ მიაქცია ამ რხევებს. საცეცხლე სიძლიერისა და მანევრის ტექტონიკური პლატფორმები იცვლებოდა; არც სოციალურ და ტექნიკურ კონსერვატიზმს, არც წინა ომების არასწორად აღქმულ გაკვეთილებს და არც გენერალური შტაბის სათანადო თეორიებს არ შეეძლოთ მათი შეკავება.

არმიებს დაგეგმილი ჰქონდათ ქვეითების უფრო დიდი მასების გაშლა, რომელთა ტაქტიკური მობილურობა არსებითად უცვლელი იყო პალეოლითის ხანიდან მოყოლებული. მსგავსი შესაძლებლობის მქონე ძალის პირისპირ არმია შეიარაღებული იყო მზარდად ლეტალური, უფრო სწრაფი და შორ მანძილზე სროლის უნარის მქონე იარაღით. ამ სამხედრო მიწისძვრიდან მეორე დარტყმა მოხდა მომდევნო შემოდგომასა და ზამთარში, როცა ახლად შემუშავებული ტრანშეების ხა-

ზების საფუძველზე უფრო მეტად გაძლიერდა თავდაცვის სიძლიერე და უმოძრაობა გარდაუვალი გახდა. შედეგი იყო სისხლიანი გამოუვალი მდგომარეობა და იმ ახალი კონცეფციის მომწიფება, რომელმაც ბოლოს გამოიყენა ინდუსტრიული საცეცხლე სიძლიერე თავდასხმისთვის და მანევრი კიდევ ერთხელ გახადა შესაძლებელი.

სურ. 66 ვერდენთან ბრძოლის ერთი ეპიზოდი-1916 წ

1917-18 წლების რევოლუცია არ იყო რევოლუცია, რომლითაც ერთმა მებრძოლმა მხარემ მიიღო ასიმეტრიული უპირატესობა ყველა სხვა მეტოქესთან შედარებით. 1918 წლისთვის ორივე მხარე ჩაწვდა თანამედროვე ომის გეომეტრიასა და დინამიკას ურთიერთგანათლების სისხლიანი პროცესის მეშვეობით. ორივე მხარე სათანადოდ იცნობდა მოქმედებას ჩარჩოს ფარგლებში; ეკონომიკური სიძლიერის ბალანსმა და გერმანელების გასაოცარი სტრატეგიის შეუფასებლობამ ბოლოსდაბოლოს განსაზღვრა შედეგი. თუმცა ახალი მოდელის ფარგლებში, მიუხედავად ამისა, წარმოიშვა ორი მიდგომა. ორივე მიდგომა ეყრდნობოდა არტილერიის საცეცხლე სიძლიერეს და სამხედრო-საჰაერო ძალას, თუმცა პირველი მიდგომა, როგორც ვნახეთ კამბრესთან ბრძოლის დროს და უფრო ფართოდ ამიენის ბრძოლაში მომდევნო აგვისტოს, აერთიანებდა მანქანების დიდი რაოდენობით გამოყენებას თავად ბრძოლის ველზე. მეორე მიდგომა, რომლის გამოყენება მოხდა ,,კაიზერის ბრძოლაში'', მაშინ როცა ბრიტანელებმა 1918 წლის ივლისში შეტევა მიიტანეს ჰინდენბურგის ხაზზე, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე გამოყენებულ იქნა არტილერია. გერმანელებმა გამოიყენეს მეორე მიდგომა, რადგან მათ არ ჰქონდათ მექანიზებული საშუალებების გამოყენების ალტერნატივა, როგორიც ჰქონდა ამერიკის არმიას სენტ მიშელთან 1918 წლის სექტემბერში. ბრიტანელებმა დაასკვნეს, რომ მეორე მეთოდი იყო ნაკლებად ძვირადღირებული და 1918 წლის სექტემბრიდან ტანკების ნაკლებობამ ხელი შეუშალა პირველი მიდგომის განვითარებას. ამ დუალიზმში (გაორებაში), თანამედროვე ომის ჩარჩოს ფარგლებში საფუძველი ჩაეყარა ტაქტიკურ და ოპერატიულ დებატებს, რომელთა საფუძველზეც ფორმა მიეცა მეორე მსოფლიო ომის შედეგს. ურთიერთმოქმედება სტრატეგიულ ჩარჩოსა და არსებულ ტექნოლოგიას შორის ჯერ-კიდევ განსაზღვრავს ფუნდამენ-

ტურ არჩევანს - რომლის დანახვა შესაძლებელი გახდა 1918 წელს _ ომის ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე: საცეცხლე სიძლიერით მხარდაჭერილ მანევრსა და მანევრით მხარადჭერილ საცეცხლე სიძლიერეს შორის.

I მსოფლიო ომი: ზეწოლა და დამორჩილება

ტიმოთი ლუპფერი

გერმანული არმიის მთავარსარდლობის მიერ ე.წ. ,,პრინციპების (Principles)" გამოქვეყნება მისი მაღალ დონეზე მომზადებული შტაბის დიდი ძალისხმევის შედეგი იყო. თავისთავად, გამოქვეყნება არაფერს ნიშნავს, რადგან გამოცემულ დოქტრინას ყოველთვის არ იყენებენ. ახალი დოქტრინის მიღებას ბევრი დამაბრკოლებელი ფაქტორი უშლიდა ხელს. მან გერმანიის არმიაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გერმანელების, როგორც ავტორიტარული და მოუქნელი ხალხის პოპულარული კარიკატურების მიუხედავად, გერმანიის არმია ხელს უწყობდა ოფიცრებში დამოუკიდებელი აზროვნების დანერგვას, რადგან მეთაურებს თავად უნდა მოეფიქრებინათ როგორ მოქცეულიყვნენ კონკრეტული საბრძოლო ვითარების დროს. ზემოაღნიშნულ პრინციპებს საკმაოდ კრიტიკულად შეხვდა სამხედრო საზოგადოება. დამოუკიდებლად მსჯელობის დაფასების გარდა,

სურ. 67 გერმანელი ქვეითები შეტევაზე -1918 წ.

გერმანელ ოფიცერთა კორპუსი საკმაოდ პრაგმატული იყო და საქმეს, თეორიული მოგვარების ნაცვლად, ბრძოლის ველზე შექმნილი ვითარების მიხედვით უდგებოდა. კონცეფციის მიღება არ ხდებოდა დაჭერილი ფრაზის ან თეორიული აკურატულობის საფუძველზე. გერმანელ ოფიცერთა კორპუსი კონცეფციებს განიხილავდა ბრძოლის ველზე შექმნილი კონკრეტული პირობების მიხედვით, რომლებშიც ეს კონცეფციები უნდა გამოეყენებინათ. თავდაცვის ახალი დოქტრინა იმ პრობლემის წინაშე დადგა, რომელიც ყველა ახალ დოქტრინას უნდა გადაელახა. ის იმდენად ზოგადი უნდა ყოფილიყო, რომ დასავლეთის ფრონტის სხვადასხვა პირობებს ერთნაირად მორგებოდა, მაგრამ თან იმდენად კონკრეტული, რომ უზრუნველეყო გერმანული ძალების მოქმედების ერთობა და შედეგიანობა. ამის შემდეგ დოქტრინას უკვე ყველაზე რთული გამოცდა - ბრძოლა უნდა გაევლო.

იყო სხვა დაბრკოლებებიც. გერმანიის გენერალური შტაბის მაღალი რეპუტაციის მიუხედავად, წარმატებულ გერმანელ ოფიცრებსა და რიგითებს მაინც ჰქონდათ შემორჩენილი უნდობლობა უმაღლესი შტაბის, კერძოდ, შტაბის წევრების მიმართ. ამ გრძნობას, I მსოფლიო ომის დროს, ყველა

არმიაში ამძაფრებდა უძრავი პოზიციების ფიზიკური სტრუქტურა და ზურგში მოხერხებულ პოზიციებზე უსაფრთხოდ მყოფი ზემდგომი შტაბი. სამხედრო საზოგადოებას რომ ახალი დოქტრინა მიეღო და მოეწონებინა, ამისათვის გენერალური შტაბი ვერ დაეყრდნობოდა მხოლოდ საკუთარ ძალაუფლებას.

აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლუდენდორფს, რადგან მან დოქტრინა არ მიიღო, როგორც ბიბლია, არამედ მტკიცედ და მიზანმიმართულად ჩაატარა გერმანული არმიის რეორგანიზება ისე, რომ 1917 წელს მას უკვე ახალი დოქტრინის მიხედვით ებრძოლა. ლუდენდორფმა იცოდა, რომ საჭირო იყო გამოცემული დოქტრინის ე.წ. გამოყენებად დოქტრინად გადაქცევა, რადგან ის აცნობიერებდა, რომ ,,ფურცელზე დაწერილი ბრძანებები თავისთავად გამოუსადეგარია, ისინი ძვალსა და რბილში უნდა გაუჯდეთ ოფიცრებსა და რიგითებს.“

სურ. 68 ერიხ ფონ ლუდენდორფი (1865-1937). გენერალ-ფელდმარშალი, გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი 1916-1918 წლებში

ლუდენდორფმა მთელი თავისი ძალაუფლება ჩადო ამ ახალი დოქტრინის განხორციელებაში. ,,პოლემიკა მეტად გამძაფრდა ჩემს შტაბში; მე თავად უნდა მიმეღო მასში მონაწილეობა და თავდებად დავდგომოდი ახალ ტაქტიკას.“ ,,პრინციპების” პირველი გამოცემის გამოსვლას ფრანგებმა ვერდენის სექტორში საპასუხო შეტევებით უპასუხეს. ორი კვირით ადრე გამოქვეყნებული ,,პრინციპების” საწინააღმდეგოდ გერმანელმა მეთაურებმა არ გადაიყვანეს სარეზერვო ძალები საბრძოლო ზონის უკან, რათა სწრაფად ჩართულიყვნენ საპასუხო შეტევაში. მათ რეზერვები მეტისმეტად გვიან გამოიყენეს და ამით ფრანგებს საშუალება მიეცათ თავი მოეყარათ თავიანთი ძალებისათვის და ამ შეტევისგან სარგებელი მიეღოთ. ამის გამო ორი გერმანელი პასუხისმგებელი მეთაური - მეხუთე არმიისა და სარეზერვო კორპუსის სარდლები გაანთავისუფლეს თანამდებობიდან.

ლუდენდორფის სხვა ქმედებებმა გამოავლინეს, რომ მას შეეძლო ტოლერანტული ყოფილიყო, როდესაც უთანხმოებას შენიშნავდა და უყურადღებოდ არ ტოვებდა საპირისპირო აზრს. ლუდენდორფი კონსტრუქციულ კრიტიკას მის პიროვნებაზე შეტევად არ აღიქვამდა. ეს ტოლერანტობა გამოჩნდა მის რეაქციაში პოლკოვნიკ ფონ ლოსბერგის კრიტიკის მიმართ. ამ თვითდაჯერებულ ექსპერტ ტაქტიკოსს სჯეროდა, რომ ,,პრინციპები” მეტისმეტად ლიბერალური იყო, რადგან საშუალებას აძლევდა წინა ტრანშეებში მყოფ ჯარისკაცებს საჭიროების შემთხვევაში უკან გადმოსულიყვნენ. ის შიშობდა, რომ ამდენი მცირე ქვედანაყოფის გადაადგილება ქაოსს შექმნიდა. ლუდენდორფის რეაქცია დიდებული იყო. მან ფონ ლოსბერგის იდეები ,,სომის ბრძოლების მონაწილე პირველი არმიის გამოცდილებას“ მიაწერა და უფრო ფორმალურ მითითებად მიიღო, ვიდრე ცხარე კრიტიკად. ლუდენდორფი დარწმუნებული იყო ,,პრინციპების” მართებულობაში, მაგრამ იმასაც ხვდებოდა, რომ არ შეიძლებოდა ეფექტური დოქტრინა დოგმად ქცეულიყო. ბრძოლების შემდეგ საჭირო იყო ამ ,,პრინციპების” დახვეწა; ასე რომ ლუდენდორფი არ უარყოფდა დამოუკიდებელ აზრს. მოგვიანებით, 1917 წლის ბრძოლებში პოლკოვნიკმა ფონ ლოსბერგმა დიდი მოხერხებულობა გამოიჩინა და პრაქტიკულად გამოსცადა მოქნილი სიღრმისეული თავდაცვა.

ლუდენდორფს არ ჰქონდა პრეტენზია ახალი დოქტრინის ერთპიროვნულ ავტორობაზე. ის არასოდეს უწოდებდა მას ,,ჩემს," არამედ ,,ჩვენს" დოქტრინას. წახალისების მიზნით მან გარკვეული თანხა გადაუხადა დოქტრინის დამწერ ოფიცრებს, რაც ომის პირობებში მათი ოჯახებისთვის დიდი შეღავათი იყო. დოქტრინის განვითარებისთვის ასევე საჭირო იყო იდეებისა და გამოცდილებების საფუძველზე ერთობლივი საბოლოო პროდუქტის დადება. ეს გაუადვილებდა დაქვემდებარებულ მეთაურებს ახალი დოქტრინის მიღებას, რადგან ეცოდინებოდათ, რომ მისი შექმნისა და წარმატებისთვის თითო აგური მათაც ჰქონდათ დადებული. კონცეფციების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლკოვნიკმა ფონ ლოსბერგმა, მაგრამ ის ერთადერთი არ ყოფილა ამ საქმეში. ოფიცერთა დიდმა ჯგუფმა სერიოზული კომენტარები გააკეთა აღნიშნულ პრინციპებთან დაკავშირებით. მათ გამოთქვეს აზრი, რომ საბრძოლო ტაქტიკაში ცვლილებები დაგვიანებული იყო, თუმცა არ უთქვამთ, რომ ისინი არასწორად მიაჩნდათ.

სურ. 69 ფრონტზე შესევენების დროს (გერმანელი ჯარისკაცები)

გენერალურმა შტაბმა რამდენიმე სხვა დოკუმენტიც გამოაქვეყნა. კერძოდ, პრინციპების გამოცემიდან რვა კვირის შემდეგ, გამოიცა ომისათვის ქვეითების წვრთნების სახელმძღვანელო. წვრთნის ეს პროგრამა საველე არმიის წვრთნის ძველი პროგრამიდან იღებდა სათავეს. მასში შეტანილი იყო ფონ ლოსბერგის ანგარიში სომის ბრძოლებთან დაკავშირებით. ხოლო დანარჩენ წესდებებში აღწერილი იყო სპეციფიკური იარაღების, მაგალითად, ნაღმსატყორცნების და ტყვიამფრქვევების გამოყენების წესები.

პუბლიკაციების მოზღვავება მთლიანად სარგებლიანი არ ყოფილა, რადგან გამოცდილებების და დირექტივების მუდმივად ფურცელზე გადატანა უდიდეს საკანცელარიო მუშაობას მოითხოვდა.

საკანცელარიო მუშაობაში შექმნილი უზარმაზარი პრობლემების მიუხედავად ახალი პრინციპები და კონცეფციები მეტად დროული იყო კონკრეტული მიზეზების გამო. გერმანელები ახალ პოზიციებს აგებდნენ დასავლეთის ფრონტზე გარკვეული სექტორების უკან. 1916 წლის სექტემბრიდან ლუდენდორფმა წამოიწყო უკანდახევა ცხელი წერტილებიდან, რათა შეემოკლებინა დასავლეთის ფრონტი, დაეკავებინა თავდაცვისთვის უფრო მოსახერხებელი პოზიციები და რამდენიმე ქვედანაყოფი გაეშვა საპასუხო შეტევის საწარმოებლად. სარგებლის მიუხედავად, ეს უკანდახევა გამოიყენა მოწინააღმდეგე ქვეყნების პროპაგანდამ, რომელმაც შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გერმანია მარცხდებოდა. გერმანელებმა თავდაცვის ახალი პოზიციებისთვის მოსახერხებელი რელიეფის შერჩევა 1916 წლის შემოდგომაზე დაიწყეს სომის გამოცდილებისა და შემდეგ გამოცემული პრინციპების საფუძველზე. ომის დარჩენილ პერიოდში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა ამ თავდაცვითი რაიონების გაუმჯობესება. მოკავშირე ქვეყნების პრესა ამ სისტემას ხშირად ჰინდენბურგის ხაზს უწოდებდა, მაგრამ ეს სახელი ხუთიდან მხოლოდ ერთ კონკრეტულ სექტორს ერქვა. სიტყვა ,,ხაზის" გამოყენებაც არასწორი იყო, რადგან სამშენებლო პროგრამა საკმაოდ ფართო ზონებს ქმნიდა; გეგმა არ ითვალისწინებდა მხოლოდ ერთი უწყვეტი ხაზის შექმნას.

სამშენებლო მუშაობისა გარდა 1916-17 წლებში გერმანული არმია გადიოდა წვრთნას და რეორგანიზაციას მოქნილი სიღრმისეული თავდაცვის წესების მიხედვით. ცალკე დოქტრინა გამოუსადეგარი იქნებოდა, თუ წვრთნა არ დააკმაყოფილებდა შესრულებისათვის საჭირო სტანდარტებს. როგორც ,,პრინციპებში" (1917 წლის 1 მარტის გამოშვება) იყო აღნიშნული, ,,ჯარების მომზადება დამოკიდებულია მათი წვრთნების სტანდარტებზე."

სურ. 70 მეტყვიამფრქვევეთა გერმანული ასეული მაქსიმის სისტემის ტყვიამფრქვევებით. დასავლეთის ფრონტი

ლუდენდორფი ზედამხედველობდა საწვრთნელი სკოლების (ბაზების) დაარსებას 1917 წელს მოკავშირე ქვეყნების თავდასხმისათვის გერმანული არმიის მოსამზადებლად. იმ დროისათვის თავდაცვითი ხაზების უკან საწვრთნელი სკოლების ფუნქციონირება ახალი ხილი არ იყო. დასავლეთის ფრონტზე მებრძოლმა ყველა მოწინააღმდეგემ თავიანთი ხაზების უკან დაარსა სრულყოფილი სკოლები, რადგან უძრავი ფრონტი ამის საშუალებას აძლევდათ. 1915 წლის ადრეულ ეტაპზე გერმანელებმა შექმნეს ახალწვეულთა სასწავლო ნაწილები, სადაც დივიზიები წვრთნიდნენ მათ შემცვლელ ძალებს. ამ წვრთნების უდიდესი ნაწილი ფრონტთან ახლოს ტარდებოდა და არა გერმანიაში. ლუდენდორფი მხარს უჭერდა დამატებითი ტაქტიკური სკოლების შექმნასაც ზამთრის შესვენების დროს არმიის ახალ ტაქტიკაში მოსამზადებლად.

მაღალი წოდების მქონე მეთაურები და შტაბის ოფიცრები ახალ ტაქტიკას სოლესმესის (მოგვიანებით ის ვალენსიენესში გადაიტანეს) სკოლაში სწავლობდნენ. სოლესმესის სკოლაში სწავლა 1917 წლის თებერვალში დაიწყო, ხოლო სედანის კურსი - მარტში. ადგილობრივი ქვეითი და საარტილერიო ქვედანაყოფების ოფიცრები მოსაზრებების ურთიერთგაცვლას ახდენდნენ, შესაბამისად მსმენელთა კომენტარები სერიოზული განხილვის საგანი ხდებოდა.

საველე არმიებმა საკუთარი სკოლები დააარსეს უმცროსი ოფიცრების და რიგითების ახალი მეთოდების მიხედვით მოსამზადებლად. უმაღლესმა მთავარსარდლობამ დამატებითი რაიონები გამოყო იმ იარაღების მოხმარების სწავლებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ თავდაცვით ოპერაციებში. ესენი იყო: საარტილერიო საშუალებები, ნაღმსატყორცნები და ტყვიამფრქვევები. მთავარსარდლობა დიდ მარაგს აწვდიდა არმიას ნამდვილი ტყვიებით (ჭურვებით) სროლაში წვრთნების ჩასატარებლად. წვრთნებში ყველა საბრძოლო გვარეობა მონაწილეობდა. თუ დრო და სხვა მოთხოვნები ამის საშუალებას იძლეოდა, თავად ოფიცრებიც სხვადასხვა იარაღების მოხმარებაში გადიოდნენ მომზადებას. დივიზიები წვრთნიდნენ ტყვიამფრქვევების სნაიპერთა სპეციალურ ქვედანაყოფებს. ის ქვედანაყოფები, რომლებსაც ფრონტზე შექმნილი ვითარება არ აძლევდათ წვრთნის გასავლელად ზურგისაკენ გადანაცვლების საშუალებას, თავიანთ სექტორებში გადიოდნენ მომზადებას. გერმანული არმიის მთლიანი საწვრთნელი პროგრამა მეტად შთამბეჭდავი იყო.

სურ. 71 იმპერატორი ვილჰელმ II დასავლეთის ფრონტზე ინსპექტირებისას

წვრთანზე მოთხოვნა კონკურენციას უწევდა სხვა მოთხოვნებს. მაგალითად, ჯარისკაცები მუდმივად თხრიდნენ ახალ პოზიციებს და აახლებდნენ ძველებს. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები მშრომელთა ჯგუფებს იყენებდნენ, რომლებიც სამხედრო ტყვეებისგან და სამოქალაქო პირებისგან შედგებოდა, მშენებლობისთვის ცოცხალი ძალის მოთხოვნა იმდენად დიდი იყო, რომ ჯარისკაცების დამატებით შრომას საჭიროებდა. გერმანელებში ასევე იყო ქვედანაყოფების დასვენების მოთხოვნა. 1916 წლის ბოლოსთვის მეტ-ის-მეტად გადაიღალა გერმანული არმია და მისი მეთაურები მიხვდნენ, რომ წვრთნებს შორის დასვენების პერიოდებიც უნდა გამოეყოთ.

მეთაურები იმასაც აცნობიერებდნენ, რომ ისეთი ჯარისკაცები სჭირდებოდათ, რომლებიც ახალი ტაქტიკური მეთოდების გამოყენებას შეძლებდნენ. ტახტის მემკვიდრე პრინცი ვილჰელმი წერდა, რომ მოქნილი სიღრმისეული თავდაცვა დისციპლინით გამორჩეულ, კარგად გაწვრთნილ და მართულ კადრებს საჭიროებდა, რომელთა პოვნაც უფრო და უფრო რთულდებოდა ომის გაჭიანურების გამო. გერმანელი მეთაურები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველა ეს მოთხოვნა კომპრომისს საჭიროებდა.

1916-1917 წლის ზამთარი გერმანული არმიის რეორგანიზაციისა და სტანდარტიზაციის პერიოდი იყო. არმიაში გრძელდებოდა ქვეითი დივიზიის სამანევრო ქვედანაყოფების შემცირება სამ ქვეით პოლკამდე. ბატალიონის შემადგენლობაც შემცირდა, რათა გაზაფხულისთვის ცამეტი ახალი დივიზია შექმნილიყო. კავალერიის ქვედანაყოფები თანდათანობით იშლებოდა, ისინი თავიანთ ჯარისკაცებს ქვეით ჯარში სამსახურის უფლებას აძლევდნენ, ხოლო მათ ცხენებს ტრანსპორტირების გადაუდებელი მოთხოვნების დასაკამყოფილებლად იყენებდნენ.

ამ რეორგანიზაციამ და სტანდარტიზაციამ ახალი აღჭურვილობის საჭიროების საკითხი დასვა. არმიას საარტილერიო ქვემეხები სჭირდებოდა არა მხოლოდ განადგურებული, არამედ ზედმეტი სროლისგან გაცვეთილი ქვემეხების ჩასანაცვლებლად. ცნობილი გერმანული ჯავშნიანი ჩაფხუტები, რომლებიც შეზღუდული რაოდენობით გამოდიოდა და მათი ფასი სომასთან ბრძოლებში დამტკიცდა, ამჯერად სტანდარტული გახდა და მთელი არმიისთვის დაიწყეს მათი დამზადება. ამ პერიოდში არმიამ დახვეწა მსუბუქი ტყვიამფრქვევი და თითოეულ ქვეით ასეულს ოთხი, მოგვიანებით კი ექვსი ცალი დაურიგდა.

სურ. 72 გერმანელი ქვეითები ტყვიამფრქვევებით, დასავლეთის ფრონტი - 1916 წელი

რადგან მსუბუქმა ტყვიამფრქვევმა ფრონტისაკენ გადაინაცვლა, ახლა უკვე შეიძლებოდა მძიმე ტყვიამფრქვევი საბრძოლო ზონის შუა ნაწილში გადმოეტანათ. ტყვიამფრქვევი ქვეითი თავდაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი იარაღი იყო. როგორც ერთ-ერთი ოფიცერი იხსენებს:

,,ეფექტური მართვის წყალობით ერთი ტყვიამფრქვევიდან გახნილი მოულოდნელი ცეცხლი ბევრჯერ გამხდარა გადამწყვეტი ფაქტორი გამარჯვებასა და დამარცხებაში. კარგმა წვრთნამ უნდა უზრუნველყოს ტყვიამფრქვევის ცუდი მუშაობის კომპენსაცია.“

მსუბუქი ტყვიამფრქვევის ფრონტზე დომინანტურობამ ქვეითი ქვედანაყოფების დიდი რეორგანიზაცია გამოიწვია. ყველაზე მცირე სიდიდის ქვედანაყოფის დონეზე სექცია (Gruppe) ორი ათეულისგან (Trupps) შედგებოდა. პირველ ათეულში ერთი მსუბუქი ტყვიამფრქვევი, ორი მეტყვიამფრქვევე და ორი საბრძოლო მასალების მზიდავი შედიოდა. მეორე ათეული შვიდი მსროლელისგან (შაშხანის მსროლელი) და ერთი მეთაურისგან შედგებოდა. რადგან ტყვიამფრქვევი დომინანტური იარაღი გახდა, (შაშხანის) მსროლელთა ათეულის ძირითად ამოცანად ტყვიამფრქვევის დაცვა იქცა.

გერმანულ მრეწველობას აღარ შეეძლო ომისგან წარმოშობილი ბევრი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რის გამოც 1915-1916 წლებში არმია აღჭურვილობისა და საბრძოლო მასალის ნაკლებობას განიცდიდა. 1917 წლისათვის ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ლუდენდორფმა 1916 წლის აგვისტოში ეროვნული წარმოების გეგმა წარადგინა. ეს იყო ჰინდენბურგის პროგრამა, რომელშიც გენერალური შტაბის წევრები, პოლკოვნიკ ბაუერის და მაიორ ფონ ჰარბოუს ჩათვლით, იღებდნენ მონაწილეობას. ისინი წინასწარ განსაზღვრავდნენ არმიისთვის ნედლი მასალის მოთხოვნებს. ჰინდენბურგის პროგრამის ეფექტები კვლავ დავის საგანი გახდა, მაგრამ თავად პროგრამამ გერმანიის ომის ინდუსტრიაში პროდუქციის გამოშვების პიკს 1917 წელს მიაღწია და ლუდენდორფს საშუალება მისცა გერმანული არმია ახალი იარაღითა და აღჭურვილობით მოემარაგებინა.

1917 წლის თავდასხმითი ბრძოლისთვის გერმანული არმიის საგულდაგულო მომზადების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი ჯარისკაცებისათვის აგრესიული სულის შთაბერვა იყო. წინა ხაზზე ადრინდელ თავდაცვას მდგრადობა ახასიათებდა, მაგრამ არა აგრესიულობა. ახალ დოქტრინაში საპასუხო შეტევას უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა მოქნილი სიღრმისეული თავდაცვისათვის, ხოლო აუცილებელი იყო აგრესიული სული შთაებერათ იმ ჯარისკაცებისთვის, რომლებსაც მთელი ორი წლის მანძილზე პოზიციის დაცვისთვის ბრძოლა უწევდათ და პასიურობას იყვნენ მიჩვეულნი. დასავლეთში ჩასვლის შემდეგ ლუდენდორფმა აღმოაჩინა ამ საკითხის გადაჭრის გზები და არა მხოლოდ საპასუხო შეტევებისთვის, არამედ მომავალი თავდასხმითი ოპერაციისთვისაც. 1916 წლის სექტემბერში ლუდენდორფი ტახტის მემკვიდრის, პრინც ვილჰელმის საარმიო დაჯგუფებას ეწვია. აქ მას დახვდა საპატიო ყარაული, კაპიტან ვილი რორის მოიერიშე ბატალიონის მებრძოლების სახით და ლუდენდორფმა პირველად ნახა ,,სრულ საიერიშო აღჭურვილობასა და შესაფერის ტანსაცმელში გამოწყობილი ერთი ჯგუფი.“

მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფების კონცეფცია, როგორც მოქნილი სიღრმისეული თავდაცვისა, გენშტაბის ან ლუდენდორფის მოგონილი არ ყოფილა. ეს კონცეფციები აღმოაჩინეს, მოიწონეს, მათ განვითარებას ხელი შეუწყეს, კოდი მიანიჭეს და გაავრცელეს. თუმცა უცნობია მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფების ზუსტი წარმოშობა; ქვეითი ჯარისკაცების შერჩევა სპეციალური ამოცანების შესასრულებლად ზოგადად განვითარდა ყველაზე გაჭიანურებული ომების დროს. 1914 წლის აგვისტოში გერმანულმა ქვედანაყოფებმა არგონში გამოიყენეს სპეციალური მოიერიშე ქვედანაყოფები, ხოლო 1915 წელს ბავარიულმა დივიზიამ შეტევაში

გამოიყენა სპეციალურად გაწვრთნილი მოიერიშე ქვედანაყოფები. იმ ცნობილი ქვედანაყოფის შექმნა, რომელიც ლუდენდორფს საპატიო ყარაულად დახვდა, დაიწყო 1915 წლის მარტში, როგორც საბრძოლო ინჟინრების ექსპერიმენტული ქვედანაყოფისა. მათი პირველი იერიში ფრანგებზე მცირე ქვედანაყოფის დონეზე კრახით დასრულდა. 1915 წლის 8 აგვისტოს ეს ქვედანაყოფი უშუალო კონტროლის ქვეშ აიყვანა კაპიტანმა ვილი რორმა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით და დიდი ძალისხმევით გახდა ეს მოიერიშე (დამრტყმელი) ბატალიონი ცნობილი.

სურ. 73 ვილი რორი (1877-1930). კაპიტანი, მოიერიშეთა ბატალიონის დამაარსებელი და მეთაური

ვილი რორი სიახლეების მოყვარული ოფიცერი იყო. ის მშვენივრად ახერხებდა ტაქტიკისა და ექსპერიმენტების შერწყმას, მათ მორგებას ახალ რეალობასთან. მისმა ქვედანაყოფმა მალე მიაღწია წარმატებას ფრანგების წინააღმდეგ მცირე ქვედანაყოფის დონის ოპერაციებში. ომამდელი გერმანული ტაქტიკური დოქტრინისგან რორის მეთოდები იმით განსხვავდებოდა, რომ მან შემტევი ძალები მცირე ჯგუფებად დაყო რაიონის სიღრმეში და გრძელი საცეცხლე ხაზით წინ არ წაიყვანა ისინი, ხოლო ქვეითი ჯარისკაცები, სტანდარტული შაშხანების ნაცვლად, ინდივიდუალურად აღჭურვა სხვადასხვა სახის იარაღით. რორის მოიერიშე (დამრტყმელი) ბატალიონი იყენებდა ყუმბარებს, შაშხანებს, ტყვიამფრქვევებს, ნაღმსატყორცნებს, ცეცხლსაფრქვევებს და მსუბუქ საარტილერიო დანადგარებს. მისი ბატალიონი პრაქტიკას გადიოდა მხარდამჭერ საარტილერიო ქვედანაყოფებთან, რათა მოეხდინა ქვედანაყოფის გადაადგილებისა და მხარდამჭერი ცეცხლის კოორდინაცია. ნამდვილი ტყვიებით (ჭურვებით) წვრთნამ, რომელსაც თანმხლები ზიანიც მოყვებოდა, მასშტაბური ხასიათი მიიღო. მოიერიშე (დამრტყმელი) ბატალიონის ძირითადი ქვედანაყოფი იყო მოიერიშე ათეული (Stosstrupp or Sturmtrupp); სიტყვა Stosstrupp მაიორმა ჰერმან რედმენმა შემოიღო, რომელმაც შეიმუშავა ტაქტიკა ცეცხლსაფრქვევებისთვის და რომელიც ადრე ლაიფციგის საცეცხლე ბრიგადის მეთაური იყო.



სურ. 74 იმპერატორი ვილჰელმ II პირადად ხვდება კაპიტან ვილი რორს და მის მიერიშეებს. დასავლეთის ფრონტი

სურ. 75 მოიერიშეთა ჯგუფი

რორის ქვედანაყოფის წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ფრონტზე რორის ქვედანაყოფთან ახლოს მყოფი სხვა ქვედანაყოფების ოფიცრები და რიგითები მოხიბლულნი დარჩნენ ახალი ტაქტიკით და მათი თხოვნით, რორმა 1915 წლის დეკემბერში მათთვის ერთკვირიანი წვრთნის კურსი შემოიღო. 1916 წლის თებერვალში, ვერდენზე გერმანელების პირველი შეტევების შემდეგ, გერმანელების მეხუთე არმიამ, რომელზეც რორის ქვედანაყოფი იყო მიკუთვნებული, რორს უბრძანა შესვენებების დროს თავისი კადრებით გაეწრთვნა სხვა ქვეითი ქვედანაყოფები. მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფები ამ ორმაგ ამოცანას (გამწვრთნელი კადრის და ელიტური მოიერიშე ქვედანაყოფის) მთელი ომის მანძილზე ასრულებდნენ.

რორის პროგრესს თვალს ადევნებდა გენშტაბის პოლკოვნიკი მაქს ბაუერიც. 1916 წლის მაისში გენშტაბის უფროსმა, გენერალმა ფონ ფალკენჰაინმა დასავლეთის ფრონტზე მყოფ საველე არმიებს უბრძანა რორთან გასაწრვთნელად თოთხმეტი დღით მცირე ქვედანაყოფების მეთაურები გაეგზავნათ. უკან დაბრუნების შემდეგ, ამ მცირე ქვედანაყოფების მეთაურებმა თავიანთ დივიზიებში შექმნეს მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედნაყოფები. იყო გარკვეული შეზღუდვებიც. ქვედანაყოფებს ხშირად არ ჰქონდათ სათანადო აღჭურვილობა, დროც არ იცდიდა, ორგანიზების თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული იყო მოიერიშე ქვედანაყოფების მიერ საარტილერიო ცეცხლის კოორდინირებაში წვრთნა. 1916 წლის აგვისტოში გენშტაბის უფროსის ფალკენჰაიმის შეცვლამ ფონ ჰინდენბურგით და შემდეგ ლუდენდორფით გადამწყვეტი როლი შეასრულა მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფის მეთოდების განვითარებაში. რორის მოიერიშე (დამრტყმელი) ბატალიონის ნახვის შემდეგ ლუდენდორფმა ბრძანა, რომ მათ გერმანული არმიის დანარჩენი ნაწილისთვის უნდა ესწავლებინათ თავიანთი მეთოდები. წვრთნებმა ფართო მასშტაბები მიიღო. სწორედ მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფის მეთოდების წახალისებამ გააღვივა აგრესიული სული გერმანულ არმიაში 1917 წლის თავდაცვით ბრძოლებში, რაც 1918 წელს უკვე გერმანულ თავდასხმით ოპერაციებში გადაიზარდა. ტახტის მემკვიდრე პრინცი ვილჰელმი წერდა, რომ ომის დროს მოიერიშე (დამრტყმელი) ქვედანაყოფის მეთოდების ასეთი წახალისება ლუდენდორფის დამსახურება იყო.

სურ. 76 მიერიშეთა აღჭურვილობა

სურ. 77 რორის მიერიშეთა ემბლემა

გზა საბრძოლო მოქმედებებისაკენ საერთო-საჯარისო ძალების გამოყენებით-
პირველი მსოფლიო ომი

ჯონათან მ. ჰაუსი

1914 წელს ტაქტიკურ მოქმედებებში ბატონობდნენ არაპირდაპირი დამიზნების და ტყვიამ-ფრქვევების თავდაცვითი შესაძლებლობები. მოწინააღმდეგესთან პირველივე კონტაქტის შემდეგ, მეთაურები იძულებული გახდნენ შეეკავებინათ ჯარების აღტყინება და დაჟინებით მოეთხოვათ გულდასმითი საინჟინრო მომზადება თავდაცვაში და საარტილერიო მომზადება თავდასხმაში. ფრანგებზე და ბრიტანელებზე შოკის ეფექტი იქონია მათი ძალებისა და შეიარაღების სრულმა და-უცველობამ გერმანელების დიდი სიზუსტით განლაგებული ტყვიამფრქვევების და არტილერიის წინაშე. თავის მხრივ, გერმანელები იყვნენ გაოცებული ფრანგებისა და ბრიტანელების ქვემეხების სიზუსტითა და სწრაფსროლით. 1914 წლის ბოლოსთვის, ამ საცეცხლე სიძლიერემ შედეგად მოი-ტანა ინდივიდუალური სასროლი სანგრებისა და სასწრაფოდ მოწყობილი ტრანშეების (სანგრების) უწყვეტი ხაზები შვეიცარიიდან ჩრდილოეთის ზღვამდე. ამის შემდეგ, ყველა შეტევა ძალაუნებუ-რად, გარდაუვალად წარმოაგენდა ფრონტალურ შეტევას ამ ტრანშეებზე.

ტრანშეების (სასანგრო) ომის სტერეოტიპი ერთ დღეში არ წარმოშობილა. როგორც დასავლე-თის, ისე აღმოსავლეთის ფრონტებზე 1914 წლის აგვისტო-სექტემბერში წარმოებული ბრძოლები ხასიათდებოდა ჯარების მოძრაობითა და მანევრირებით. აღმოჩნდა, რომ ომისწინა პერიოდის ქვე-ითი ჯარის ტაქტიკა შესაფერის პირობებში ამართლებდა. მაგალითად, 8 სექტემბერს, პრუსიული გვარდიის კორპუსის ქვეითმა ჯარმა მოახერხა ფარულად შეღწევა (შეჟონვა_ინფილტრაცია) წინა ხაზზე და მოულოდნელი შეტევით, საარტილერიო მომზადების გარეშე, ფრანგების XI კორპუსის პოზიციების ხელში ჩაგდება. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების მე-8 არმიამ ალყა შემოარტ-ყა და ორმაგი გარშემორტყმის შედეგად მთლიანად გაანადგურა გენერალ სამსონოვის არმია. ფაქ-ტიურად, აღმოსავლეთის ფრონტი არც ყოფილა ისეთი უძრავი, როგორც დასავლეთისა, რაც გამოწ-ვეული იყო უფრო ფართო ფრონტების არსებობით. ამის მიუხედავად, ამ მოძრაობას მაინც გაუბე-დავი, არადამაჯერებელი შედეგები მოჰქონდა, სანამ ჯერ რუსეთის, ხოლო შემდეგ ავსტრია-უნგ-რეთის ჯარები, გადაღლილობის გამო, არ გამოიფიტნენ და დემორალიზება არ განიცადეს.

სურ. 78 იმპერატორი ნიკოლოზ II
რეკოგნოსცირებაზე. აღმოსავლეთის ფრონტი

მანევრის ამ მაგალითების საფუძველზე, ბევრი მეთაური განიხილავდა 1914 წლის საველე ნაგებობების ხაზს, როგორც ომში მომხდარ არაბუნებრივ, დროებით პაუზას. ბრიტანელმა და ფრანგმა მეთაურებმა ამ ომში უმეტესი დრო მოწინააღმდეგის თავდაცვაში შეღწევისა და პოზიციების განადგურების საშუალებების ძიებაზე დახარჯეს, რათა სამანევრო ომი აღედგინათ. იმის გამო, რომ გერმანელებმა 1914-1916 წლებში ძალისხმევის უდიდესი ნაწილის კონცენტრირება აღმოსავლეთის ფრონტზე მოახდინეს, მათ დასავლეთის ფრონტზე თავდაცვა ძალების ეკონომიის პრინციპით აწარმოეს, სულ რაღაც რამდენიმე შეტევასთან ერთად. ამგვარად, იმისთვის, რომ I მსოფლიო ომში გამოყენებული ტაქტიკის არსი გავიგოთ, უნდა შევისწავლოთ მოკავშირე ჯარების მიერ განხორციელებული შეტევების პრობლემები, ხოლო შემდეგ - გერმანელების თავდაცვითი დოქტრინის განვითარება. ორივე სახის პრობლემების გადაჭრა მოიცავდა გაცილებით მეტ ურთიერთქმედებას სხვადასხვა სახეობის ძალებს შორის, ვიდრე ორივე მხრიდან ოდესმე არსებულა; ზოგ შემთხვევაში ეს პრობლემები მოიცავდა ჯარების სხვადასხვა სახეობების კომბინაციასაც.

სურ. 79 რუსეთის არმიის ქვეითი

არტილერია და კოორდინირება

რადგან ქვეითი ჯარების შეტევებმა არ გაამართლა და ტრანშეების ომი ბრძოლის რეალობად იქცა, თავდაცვით პოზიციებზე შეღწევის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა მასირებული საარტილერიო ცეცხლი. უფრო მეტიც, რეალურად, ბრიტანელებმა და ფრანგებმა სასწრაფოდ დაივიწყეს ქვეითი მანევრისა და საარტილერიო ცეცხლის ერთობლივად გამოყენების იდეა და ამის ნაცვლად, კონცენტრირებულნი გახდნენ მოწინააღმდგის თავდაცვის სრულ განადგურებაზე მოსამზადებელი ცეცხლის საშუალებით. მართალია, მაღალი ეშელონების მგეგმავები ჯერ ისევ ხედავდნენ ქვე-

ითების როლს ბრძოლაში, მაგრამ ბევრმა ტაქტიკური დონის მეთაურმა ახალი მეთოდების გამოყენება გაიგო ისე, როგორც ეს აისახება ფრაზაში: ,,არტილერია იმარჯვებს, ქვეითი ჯარი იპყრობს".



სურ. 80 ფრანგული ტრანშეების სისტემა. 1917 წლის ივლისი, დასავლეთის ფრონტი

არტილერიის გამარჯვება ადვილად არ მოიპოვებოდა. ყველა ელოდა, რომ ომი ხანმოკლე იქნებოდა და მხოლოდ რამდენიმე არმიას თუ ჰქონდა საბრძოლო მასალის და მძიმე არტილერიის საკმარისი მარაგი მასიური საცეცხლე მომზადების ჩასატარებლად, რაც აუცილებელი იყო თუნდაც დროებითი საველე ფორტიფიკაციების დასანგრევად. ბრიტანეთში და რუსეთში სკანდალი ატყდა საკმარისი რაოდენობით საბრძოლო მასალებისა და ქვემეხების მიწოდებაში შეფერხებების გამო. მაშინაც კი, როდესაც საფრანგეთში დაიწყეს მეტი ქვემეხების წარმოება, საშუალო და მძიმე ქვემეხების პირველი მოდელები გამოირჩეოდა სროლის უკიდურესად დაბალი ტემპით, ხოლო 75მმ-იან უფრო სწრაფმსროლელ ქვემეხს მოქმედების ისეთი მცირე რადიუსი ჰქონდა, რომ საჭირო იყო მისი ძალიან წინ განთავსება და ხშირი გადანაცვლება წინ გაჭრილი ჯარების უკან, რათა მისი საშუალებით მოწინააღმდეგის ეშელონირებული (სიღრმითი) თავდაცვითი პოზიციები გაენადგურებინათ.

ამ პრობლემას ის ფაქტიც უნდა დავუმატოთ, რომ არტილერისტების უმეტესობა საკმაოდ გამოცდილი არ იყო არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის წარმოებაში. ბევრი პროცედურა, რომელიც ჩვენი თანამედროვე არტილერისტებისთვის ჩვეული ამბავია, 1914-1917 წლებში მტკივნეულად ვითარდებოდა. ინერგებოდა მეწინავე მეთვალთვალის გამოყენება, მიმდინარეობდა გაზომვები და კორექტირება ამინდის ეფექტებისა და ლულების გაცვეთის გათვალისწინებით, ხდებოდა საბრძოლო მასალის გამოყენება ერთი და იმავე სერიიდან, რათა გარანტირებული ყოფილიყო თანმიმდევრული ზალპების შედეგად ჭურვების მოხვედრა ძირითადად ერთსა და იმავე რაიონში. პირველი წესდება ფრანგულ ენაზე, რომელშიც აღწერილი იყო ეს პროცედურები, მხოლოდ 1915 წლის ნოემბერში გამოიცა. ბრიტანეთის სამეფო არტილერია განიცდიდა ახალი რუკების ნაკლებობას ჩრდილოეთ-დასავლეთ საფრანგეთის მთლიანი ტერიტორიის ასახვით, სანამ შეძლებდნენ კო-

ორდინატთა სისტემის შექმნას, ტოპოგრაფიული ბატარეის განთავსებისა და არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის კორექტირების მიზნით. მეომარი მხარეების ჯერ კიდევ სუსტი ავიაცია იძულებული იყო გამოეყო საფრენი აპარატები აერო-ფოტორუკების შესადგენად, ხოლო ამის გარდა, რამდენიმე თვითმფრინავი და სათვალთვალო აეროსტატი არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის კორექტირების მიზნით. და ბოლოს, გაუმჯობესებულმა რადიო-ტელეგრაფმა საშუალება მისცა საჰაერო მეთვალთვალეებს კავშირი ჰქონოდათ არტილერიის გამმიზვნელებთან. ეს სიახლეები უშუალოდ ომის დროს ვითარდებოდა და მათ სრულყოფის პროცესს მთელი ომის წლები დასჭირდა.

არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის ტექნიკური პრობლემის გარდა, შეიძლება ითქვას, უფრო დიდი პრობლემა იყო შეტევაში ქვეითებისა და არტილერიის მოქმედებების კოორდინირება. პირველი გეგმური შეტევები, რომლებიც ბრიტანელებმა და ფრანგებმა 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის დასაწყისში განახორციელეს, განსაკუთრებით რთული იყო კონტროლის თვალსაზრისით, რადგან როგორც არტილერისტები, ისე მეთაურები გამოცდილნი არ იყვნენ არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის წარმოებაში. როგორც აღმოჩნდა, უადვილესი პროცედურა იყო ფაზის ხაზების სერიების შექმნა, ისე რომ საარტილერიო სროლები მიმართული ყოფილიყო ფაზის ხაზის განაპირა (შორეულ) მხარეზე, ხოლო ამ დროს ქვეითები რჩებოდნენ საკუთარი განლაგების მხარეს. როცა მეთაური გასცემდა ბრძანებას, რომ არტილერიის ცეცხლი გადაეტანათ წინ, ახალი ფაზის ხაზის იქით, ამ დროს ქვეით ჯარს შეეძლო შედარებით უსაფრთხოდ გადაადგილებულიყო წინ.

სურ. 81 ფრანგი მეტყვიამფრქვევეები

სურ. 82 ფრანგი ქვეითები შეტევაზე

ასეთი ფაზის ხაზები ხელს უწყობდნენ მეთაურებს, არ გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი საგნები მათ ფრონტზე, მანევრის შესაძლებლობებზე მათი გავლენა და ამის ნაცვლად, აერჩიათ მარტივი წინ გადაადგილებები ყველა ქვედანაყოფის ერთ ხაზზე განლაგებით. ამან, შესაბამისად, ხელი შეუშალა საარტილერიო ცეცხლის მასირებას ან ქვეითი ჯარის თავმოყრას კრიტიკულ წერტილებში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ არ არსებობდა კავშირგაბმულობის ეფექტური პროცედურები, რომლებითაც მოწინავე ქვეით ქვედანაყოფებს საშუალება მიეცემოდათ დაკავშირებოდნენ მხარდამჭერ არტილერიას. 1915 წელს შამპანის კამპანიის დროს ფრანგებმა უკიდურეს ზომებს მიმართეს - მათ თეთრი ქსოვილის ნაჭრები ჯარისკაცებს ზურგზე დააკერეს, რათა მეთვალთვალეებს ჯარების წინ გადაადგილება შეემჩნიათ, მაგრამ საკუთარი საცეცხლე საშუალებებით გამოწვეულ მსხვერპლს ქვედანაყოფებში მაინც ჰქონდა ადგილი. გერმანელებმა ფერადი შუშხუნები და სასიგნალო ნათურები გამოიყენეს ქვეითებსა და არტილერიას შორის კავშირისათვის, მაგრამ ასეთი სიგნალები ხშირად ძნელი შესამჩნევი და ამოსაცნობი იყო ბრძოლის ველზე.

1916 წლის ივლისში, სომის ბრძოლიდან დაწყებული, არტილერიამ შეძლო შრაპნელით შეექმნა მოძრავი გადამღობი ცეცხლი, რომელსაც საკმაოდ მყარი სიჩქარით შეეძლო წინ გადაადგილება. ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვების ნაცვლად შრაპნელის გამოყენების გამო, ქვეითებისთვის შედარებით უსაფრთხო იყო წინ გადაადგილება არტილერიის გადამღობ ცეცხლთან ახლოს (დაახლოებით 100 მეტრით უკან), რადგან შრაპნელის მსხვრევითი ეფექტი მოქმედებდა წინ, თავისი ფრენის ხაზის გასწვრივ. მაგრამ მეორე მხრივ, შრაპნელს თითქმის არ ჰქონდა ეფექტი კარგად მომზადებული პოზიციების წინააღმდეგ - მისი მოქმედების მაქსიმალური ეფექტი იყო თავდამცველი ძალების იძულება, მთელი იერიშის დროს დარჩენილიყვნენ ცეცხლის ქვეშ. ამის გარდა, ქვეითებს მაინც არ შეეძლოთ მოძრავ გადამღობ ცეცხლთან თანაბარი ტემპით გადაადგილებულიყვნენ. საარტილერიო ცეცხლის უცვლელი სიჩქარე ხშირად უსწრებდა მძიმე ტვირთის მქონე ქვეითი ჯარისკაცების სიჩქარეს, რომლებიც გადაადგილდებოდნენ ჭურვებისგან გადათხრილ ველზე, რის გამოც თავდამცველებს ჰქონდათ დრო დაეტოვებინათ თავშესაფარი და ცეცხლი გაეხსნათ შეტევაზე გადმოსული ქვეითებისთვის იმის შემდეგ, რაც საარტილერიო ცეცხლი გადაივლიდა მათი სანგრის თავზე.

სურ. 83 დაჭრილი ბრიტანელი ჯარისკაცები

ქვეითებისა და არტილერიის მოქმედებების კოორდინირების პრობლემა მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტი იყო მართვის, კონტროლისა და კავშირგაბმულობის დიდი პრობლემისა, რომელიც I მსოფლიო ომში ყველა მეთაურისთვის ნამდვილი თავსატეხი გახდა. თავდასხმითი მოქმედებების უზარმაზარი მასშტაბები და დაქვემდებარებულ შტაბებში სათანადოდ მომზადებული ოფიცრების კადრების სიმცირე იმას ნიშნავდა, რომ ყველა ოპერაცია იგეგმებოდა საველე არმიის შტაბის დონეზე ან უფრო ზევით. ომის ადრეულ ეტაპზე არტილერიის სამოქმედო პროცედურების დაუმუშავებლობის გამო არტილერიის დაგეგმვა და კონტროლი ცენტრალიზებული იყო უმაღლეს დონეზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოველთვის, როცა ქვეითები მიაღწევდნენ მიზნად დასახულ ობიექტს ან ფაზის ხაზს, ისინი უნდა შეჩერებულიყვნენ და ნებართვა ეთხოვათ წინსვლის გაგრძელებაზე ან რეზერვების ბრძოლაში ჩართვაზე. შიკრიკს ხელით უნდა წაეღო თხოვნა, გადაადგილებულიყო ცეცხლის ქვეშ, მიეტანა ნებართვის თხოვნა ყველაზე დაბალი (ჩვეულებრივ, ეს იყო ბრიგადა, პოლკი, ან დივიზია) ეშელონის შტაბში, სადაც საველე ტელეფონების ქსელი დაცული იყო მოწინააღმდეგის კონტრცეცხლისგან. შემდეგ ამ სატელეფონო ხაზებით ნებართვის თხოვნა გადაეცემოდა სხვადასხვა დონის შტაბების გავლით, რათა ოპერაციის მართვაზე პასუხისმგებელ უფროს მეთაურს გადაწყვეტილება მიეღო. მას შემდეგ, რაც შტაბის შეფასებები ჩატარდებოდა და მეთაურის გადაწყვეტილება გამოცხადდებოდა, კავშირის ეს პროცედურა უკუსვლით გამეორდებოდა და ჯარები წინ წაწევის ნებართვას მიიღებდნენ. მაგალითად, ბრძოლაში ნეუ ჩაპელთან 1915 წლის 10 მარტს, ამ ომში საარტილერიო მომზადების ერთ-ერთი ყველაზე პირველი კონცენტრაციის შედეგად, გერმანელების არაღრმად ეშელონირებული თავდაცვითი პოზიციები განადგურდა. მაგრამ ბრიტანულ მეწინავე ქვედანაყოფებს მოუხდათ ფაზის ხაზთან შვიდი საათის განმავლობაში ლო-

დინი, სანამ კორპუსის მეთაურობისაგან ნებართვას მიიღებდნენ, რათა გაეგრძელებინათ წინსვლა. ამ შეყოვნების დროს გერმანელებმა შეძლეს რეზერვების გადაადგილება და თავდაცვითი პოზიციების აღდგენა ზუსტად ბრიტანელების წინსვლის მიმართულებაზე. შეტევის თავდაპირველი ტემპის დაკარგვის გამო ძალიან გაძნელდა წინსვლის განახლება.

სურ. 84 ბრიტანელი მეკავშირეები, დასავლეთის ფრონტი

ზოგ შემთხვევაში, კავშირგაბმულობის პრობლემები მაშინდელ ტექნოლოგიებთან იყო დაკავშირებული. ზემდგომ მეთაურს არ შეეძლო მართვის განხორციელება ფრონტთან ახლოს, თავისი დიდი სურვილის მიუხედავად. ის შეზღუდული იყო მხოლოდ საველე სატელეფონო სისტემით, რომელსაც მისთვის ინფორმაცია მოჰქონდა და მის ბრძანებებს გადასცემდა. მართალია, არსებობდა რადიოკავშირი, მაგრამ რადიოაპარატურა იყო მძიმე, სანდო არ იყო და საერთოდ, მას ეჭვის თვალით უყურებდნენ მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის საშუალებებით დაზვერვის შესაძლებლობის გამო. ეს შეზღუდვები, ქვეითებსა და არტილერიას შორის უშუალო კავშირის არარსებობასთან ერთად, დაქვემდებარებული მეთაურების ინიციატივას და მოპოვებული წარმატების განვითარებას შეუძლებელს ხდიდა, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰქონდა. ადვილი შესაძლებელი იყო, შეტევაზე გადასული ჯარები საკუთარი მხარდამჭერი არტილერიის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ, თუ ზემდგომ შტაბთან არ ექნებოდათ კოორდინაცია.

1918 წლისათვის არტილერიის სამოქმედო ტექნიკისა და კავშირგაბმულობის გაუმჯობესებისა გამო ინიციატივა პრაქტიკულად უფრო შესაძლებელი გახდა. მაგალითად, ავსტრალიელმა გენერალმა სერ ჯონ მონასმა შეიმუშავა კარგად მოფიქრებული სისტემა თავისი ჯარების წინსვლის პროგრესის დასადგენად. ქვედანაყოფებს წინ გადაადგილებისას თან მიჰქონდათ ფერადი შუშხუნები, ხოლო სპეციალურად გამოყოფილი საავიაციო ქვედანაყოფი ამ შუშხუნებს აფიქსირებდა, მოხსენებას წერდა, სადაც ამ ადგილმდებარეობებს მიუთითებდა და ფურცლებს მონასის შტაბთან პირდაპირ ჰაერიდან ყრიდა. ეს კორპუსის მეთაურს საშუალებას აძლევდა თვალყური ედევნებინა საკუთარი ძალების წინსვლისთვის ოცი წუთის ან ოდნავ მეტის დაგვიანებით, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ფლობდა ადგილობრივ საჰაერო უპირატესობას.

მოწინააღმდეგის თავდაცვაში შეღწევის პრობლემები

არაპირდაპირი დამიზნების არტილერიისა და მართვისა და კონტროლის პრობლემები მხოლოდ ორი ასპექტი იყო ძირითადი ტაქტიკური პრობლემისა, თუ როგორ განეხორციელებინათ შეღწევა და გამოეყენებინათ მოპოვებული წარმატება უფრო სწრაფად, ვიდრე მოწინააღმდეგე შეძლებდა გადაჯგუფებას შეღწევის თავიდან აცილების ან შეღწევის ადგილის იზოლირების მიზნით.

წინსვლის მიზნით, ერთი მხრიდან უნდა დაწყებულიყო მოწინააღმდეგის ტრანშეებიდან და საარტილერიო ბატარეებიდან წარმოებული თავდაცვითი ცეცხლის ნეიტრალიზება. ჯერ კიდევ ნეუ ჩაპელის ბრძოლის დროს, 1915 წელს, ბრიტანელებმა აჩვენეს, რომ ასეთი შეღწევა შესაძლებელი იყო კონცენტრირებული ან ხანგრძლივი საარტილერიო ცეცხლის დახმარებით. მოწინააღმდეგის ტრანშეების წინ მავთულხლართების და მსგავსი დაბრკოლებების მოშორება ცოტა არ იყოს გაძნელდა. შრაპნელს უმნიშვნელო ეფექტი ჰქონდა მავთულხლართზე; არც ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვების ომამდელი ამფეთქები იძლეოდა დეტონაციას იმ მცირე წინააღმდეგობაზე, რაც ხვდებოდათ ჯარისკაცებს მავთულხლართში გავლისას. 1917 წლისთვის ბრიტანელებმა შეიმუშავეს 106 მოდელის მყისიერი ამფეთქი, რომელსაც ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვის დეტონირება შეეძლო საკმაოდ სწრაფად, რათა მას მავთული გაერღვია. რეალურად, გერმანელებმაც აღიარეს, რომ არტილერიისა და ქვეითების ერთობლივი მოქმედებით შეიძლებოდა ტრანშეების პირველი და მეორე რიგის დაკავებაც კი; განსაკუთრებით ახლო საარტილერიო დაბომბვა და სათანადო ოპერატიული უსაფრთხოება (ოპერაციის საიდუმლოების დაცვა) უზრუნველყოფდა მოულოდნელობის ეფექტს.

პრობლემა თავს იჩენდა მაშინ, როცა შემტევი ძალები ცდილობდნენ წინ გადაადგილებას ნაწილობრივი გარღვევის შესაქმნელად და გასავითარებლად. ქვეითები, რომლებსაც უკვე განხორციელებული ჰქონდათ საწყისი იერიში, დაღლილი და ხშირად მთლიანად ძალაგამოცლილი იყვნენ, მაშინ როცა არტილერია უნდა წასულიყო წინ და მოწინააღმდეგის ტრანშეების მესამე რიგისთვის და საარტილერიო პოზიციებისთვის ცეცხლის დაშენა გაეგრძელებინა. მას შემდეგ, რაც ზემდგომმა მეთაურმა გაიგო წარმატების შესახებ, გადაწყვიტა მისი გამოყენება და გადასცა თავისი გადაწყვეტილება, რომ მთელი მისდამი დაქვემდებარებული ჯარი, მათი ქვემეხები და მარაგები უნდა გადაადგილებულიყვნენ შუალედური ნეიტრალური ზონის გავლით მოწინააღმდეგის ტრანშეებისკენ. ეს ზონა ფაქტიურად წარმოადგენდა ჭურვების ნამსხვრევებით მოფენილ ტალახის ზღვას. უმეტეს შემთხვევაში იმ დროისთვის, როცა შემტევი ძალა ასრულებდა ამ თავის გადაადგილებას, თავდამცველი ძალა ახერხებდა რეზერვების მოზიდვას და ტრანშეების ახალი რიგების შექმნას მოახლოებული შემტევი ძალის წინ. თავდამცველისთვის თავისი როლის შესრულება ბევრად უფრო ადვილი იყო, რადგან მის რეზერვებს შეეძლოთ რკინიგზით ან სატვირთო ავტომობილებით გადაადგილება, მაშინ როცა შემტევი ძალები რთულ ნიადაგზე ფეხით ძლივს მიდიოდნენ. უფრო მეტიც, თავდამცველს შეეძლო კონტრშეტევაზე გადასულიყო, შემტევი უკუეგდო და გარღვევის ადგილის ლიკვიდირება მოეხდინა, თუ ის არ იყო მომხდარი ფართო ფრონტზე, რადგან ეს ახლად დაპყრობილი ტერიტორია დაუცველი რჩებოდა თავდამცველი ძალების მხარდამჭერი საარტილერიო ცეცხლისაგან.

სურ. 85 იპრთან ბრძოლის ერთი ეპიზოდი. ბრიტანელთა ქვედანაყოფი გმირულად იგერიებს გერმანელების შეტევებს. ცენტრში - კაპიტანი არჩიბალდ ვეივოლი, შემდგომში ფელდმარშალი(22აპრილი-25მაისი, 1915 წ.)

იმ შემთხვევაშიც კი, თუ შემტევი ძალები თავდამცველ ძალებზე სწრაფად იმოძრავებდნენ და ფაქტიურად შეაღწევდნენ არსებულ ტრანშეების რიგებში და საქვემეხო პოზიციებში, მეორე ეშელონის ქვეითები მაინც დაღლილი იქნებოდნენ, თავისი მხარდამჭერი არტილერიის შორსმსროლელობის რადიუსს და კავშირგაბმულობის საშუალებების მოქმედების ზონას გასცდებოდნენ და მნიშვნელოვნად შეეზღუდებოდათ ფეხით გადაადგილების შესაძლებლობა. ამგვარად, საჭირო გახდებოდა კიდევ ერთი გავლა განლაგების (ფრონტის) ხაზებში. თეორიულად, ამ ეტაპზე უნდა ჩართულიყო ცხენოსანი კავალერია და გამოეყენებინა თავისი გადაადგილების უნარი, რომელიც უფრო მაღალი იყო, რათა ესარგებლა მოპოვებული წარმატებით, თუმცა, პრაქტიკულად, ეს მცდელობა სულ რამდენიმე ტყვიამფრქვევს შეეძლო მნიშვნელოვნად შეეფერხებინა.

ამგვარად, მოპოვებული წარმატების განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროში გაწელვა და ნეიტრალურ ზონაში მობილურობის პრობლემები წარმოადგენდა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ნებისმიერი შემტევი ძალისთვის. ამ პრობლემების გადაჭრა ბევრჯერ სცადეს სხვადასხვა გზებით. ზოგი საარტილერიო ბატარეა საიდუმლოდ გადაადგილდებოდა წინ, ბრძოლის დაწყებამდე და შეინიღბვის გამოყენებით განლაგდებოდა საკუთარი ძალების ტრანშეების პირველი რიგის უკან, რითაც უზრუნველყოფდა ხანგრძლივ, შეუფერხებელ საარტილერიო მხარდაჭერას ოდნავ უფრო მეტ სიღრმეზე. შეტევის განმახორციელებელმა ბრიგადებმა და პოლკებმა შეიმუშავეს გადახტომისებური გადაადგილების სისტემა: მეორე ეშელონის ბატალიონები გაივლიდნენ შეტევაზე გადასულ ბატალიონებში, რითაც უზრუნველყოფდნენ შეუფერხებელ წინსვლას. მაგრამ საბოლოო წერტილი მაინც იქ იყო, სადაც შემტევი ძალების მიერ საარ-

სურ. 86 მეფე გეორგ V დასავლეთის ფრონტზე ინსპექტირებისას -1916 წ.

ტილერიო მოსამზადებელი ცეცხლით, და თუკი მოახერხებდნენ, - მოულოდნელობით მიღწეული უპირატესობა გაბათილდებოდა (წაიშლებოდა) თავდამცველი ძალების უპირატესობით, რომელსაც მათ პოზიციების სიღრმე, ადგილის თავისებურებები და ოპერატიული მობილურობა აძლევდა.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა შესაძლებელი იყო, თუ შემტევი ძალები არ ეცდებოდნენ სრულ შეღწევას ერთბაშად, არამედ შეთანხმდებოდნენ ერთი კონკრეტული მიზნადდასახული ობიექტის აღებაზე. ძალიან დეტალური, პედანტური დაგეგმვა და მომზადება ასეთი მოულოდნელი მოქმედების წარმატებულად განხორციელების საშუალებას იძლეოდა არტილერიის შორსმსროლელობის და მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების საზღვრებში. ამის შემდეგ ხდებოდა თავდაცვის ხელახლა ორგანიზება გარდაუვალი კონტრშეტევის შესაჩერებლად. ფრანგი მეთაურები, მაგალითად ფილიპ პეტენი, განსაკუთრებით ხშირად იყენებდნენ ასეთ ტაქტიკას 1917-1918 წლებში, მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ჯარების საბრძოლო სულისკვეთება მნიშვნელოვნად დაეცა მეტისმეტად ბევრი ,,ბრმა" ფრონტალური შეტევის შედეგად. ასეთი წინასწარ დადგენილი მიზნის მქონე ბრძოლის შედეგად, რა თქმა უნდა, საბრძოლო სულისკვეთება შესამჩნევად გაიზარდა, შესაძლებელი გახდა გამარჯვების მიღწევა, თუნდაც შეზღუდულ ფარგლებში, მაგრამ ნაკლები დანაკარგით; მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთ ბრძოლას არ შეეძლო ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანა და ომის მოგება. საბოლოოდ, ძალების გამოფიტვის, ახალი შეიარაღების და ქვეითი ჯარის ახალი ტაქტიკის ერთობლივად გამოყენება აუცილებელი იყო ძნელად მისაღწევი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ელასტიური თავდაცვა

სანამ ბრიტანელები, ფრანგები, მოგვიანებით კი ამერიკელები შეღწევის პრობლემის გადაჭრის გზებს ეძებდნენ, გერმანელებმა თანდათან სრულყვეს თავიანთი თავდაცვითი პოზიციები ამ შეღწევის წინააღმდეგ. გერმანელების თავდაცვის დოქტრინის ასეთი ევოლუცია სწრაფად და ადვილად არ მომხდარა, მაგრამ შედეგად მიიღეს ელასტიური, სიღრმითი (ეშელონირებული) თავდაცვა, რომელმაც შეძლო არა მხოლოდ შეტევისათვის ხელის შეშლა, არამედ გერმანული ქვეითი ჯარის შესაძლებლობების განვითარება.

ომის დასაწყისში, ორივე მხარის ზემდგომი მეთაურები უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ წინა რიგის ტრანშეების მტკიცე თავდაცვას. რამდენადაც პოზიციის დაკავება დიდ ფასად ხდებოდა, ღალატად ითვლებოდა ასე ძვირად მოპოვებული მიწის ერთი გოჯის დათმობაც კი მოწინააღმდეგის შემტევი ძალებისთვის. უფრო მეტიც, ბევრ მეთაურს სჯეროდა, რომ სიღრმითი (ეშელონირებული) თავდაცვის შექმნა და ქვედანაყოფებისთვის საშუალების მიცემა უკან დაეხიათ მოწინააღმდეგისგან ზეწოლის პირობებში, ხელს შეუწყობდა სილაჩრეს, რადგან უკან დახევის მოლოდინში ჯარისკაცები თავდაცვით პოზიციებს თავდადებით აღარ დაიცავდნენ. მხოლოდ მოგვიანებით, თანდათან შეძლეს გერმანელმა ლიდერებმა აღქმა, რომ ძალების მასირება ტრანშეების წინა ხაზზე თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ფრანგებისა და ბრიტანელების შეტევის წინ წარმოებული საარტილერიო ცეცხლი ანადგურებდა თავდამცველებს და ზრდიდა შეღწევის შესაძლებლობას შემტევი ძალისთვის. ეს ყველაზე მეტად გამოჩნდა ნევ შაპელის ბრძოლაში, როცა გერმანელების თავდაცვის ერთი ხაზი საერთოდ გაუჩინარდა ბრიტანელების დაბომბვის შედეგად; მისგან არაფერი დარჩა ბეტონის ბლინდაჟების გარდა ხაზების უკან, რომელთა დანიშნულება იყო ბრიტანელების წინსვლის ბლოკირება დამატებითი ძალების მოსვლამდე.

სურ. 87 გერმანელი ჯარისკაცები, აღმოსავლეთის ფრონტი

სურ. 88 გერმანელი მეტყვიამფრქვევეები, 1915 წ.

ნეუ ჩაპელთან მიღებული შოკის შემდეგ გერმანელებმა განავითარეს სისტემა, რომელიც 1917 წლისათვის მოიცავდა კრიტიკულ სექტორებში ერთმანეთის უკან, მიყოლებით განლაგებულ ხუთამდე თავდაცვით ხაზს. პირველი ორი ან სამი ხაზი განლაგებული იყო, თუ ადგილის რელიეფი ამის საშუალებას იძლეოდა, პირიქითა, მოწინააღმდეგისგან შორეულ ფერდობზე. ეს არა მხოლოდ ამ ტრანშეებზე ცეცხლის კორექტირებას ურთულებდა მოწინააღმდეგეს, არამედ იმასაც ნიშნავდა, რომ შეტევაზე გადმოსული ბრიტანელი და ფრანგი ქვეითები საკუთარი ძალების მხედველობის არის, და აგრეთვე, კავშირგაბმულობის საშუალებების მისაწვდომობის გარეთ იმყოფებოდნენ, როცა გერმანელების თავდაცვით პოზიციებს აღწევდნენ. ამავე დროს, თუ პირიქითა ფერდობზე გერმანელების ტრანშეას აიღებდნენ, ის სრულიად გახსნილი, დაუცველი დარჩებოდა ზურგის პოზიციებიდან წარმოებული გერმანელების ცეცხლისა და კონტრშეტევის მიმართ. ტრანშეები ზურგში მიუწვდომელი იყო მოწინააღმდეგის მსუბუქი და საშუალო არტილერიისათვის და ამიტომ მათი ლიკვიდირება უფრო ძნელი იყო.

ადგილის არჩევის პრინციპის გარდა, გერმანელების თავდაცვის სისტემაში ხაზგასმული იყო სამი პრინციპი: მოქნილობა, დეცენტრალიზებული კონტროლი და კონტრშეტევა. მოქნილობის კონტექსტში, გერმანელების მეწინავე ტრანშეებში, რომლებიც ყველაზე მეტად იყო დაუცველი საარტილერიო ბომბდაშენისაგან, ცოცხალი ძალა შედარებით ნაკლები იყო - პირველ ორ ტრანშეაში დაახლოებით ერთი ბატალიონი ყოველი ოთხი არსებული ბატალიონიდან. ფრანგებს, პირიქით, თითოეული არსებული პოლკის ორი მესამედი განლაგებული ჰყავდათ ამ მეწინავე ხაზებზე და მათ ნაბრძანები ჰქონდათ, გაეძლოთ, რადაც უნდა დაჯდომოდათ. 1916 წლისთვის გერმანელები უფრო შორს წავიდნენ. მათ გადაწყვიტეს, რომ ტრანშეების რიგები კარგ თავშესაფარს წარმოადგენდა მხოლოდ სიწყნარის დროს. ბომბარდირების დაწყებისთანავე ზურგში განლაგებული გერმანული

სურ. 89 გერმანელი ქვეითები რთავენ საშობაო ნაძვის ხეს. აღმოსავლეთის ფრონტი-1916 წ.

ჯარი ბუნკერებში შედიოდა, ხოლო მეწინავე საბრძოლო დაცვის (ავანპოსტის) ჯარისკაცები გამოდიოდნენ ტრანშეებიდან და ჭურვების დაცემის შედეგად წარმოშობილ უახლოეს ორმოებში იმალებოდნენ. ბრიტანელები და ფრანგები ბომბავდნენ მიტოვებულ ტრანშეებს, სანამ მათი ცეცხლის ტალღა გადაივლიდა და ქვეითები დაიწყებდნენ წინსვლას. ამ დროს გერმანელები გამოდიოდნენ სამალავებიდან და ქვეითებს ცეცხლს უხსნიდნენ ჭურვების ორმოებიდან ან შემორჩენილი ტრანშეებიდან.

გერმანული სისტემის მეორე ასპექტი იყო დეცენტრალიზებული კონტროლი. ათეულებისა და ოცეულების მეთაურებს მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა ეძლეოდათ. მათ შეეძლოთ განეხორციელებინათ თავდაცვა ან შეყოვნება ნებისმიერ ადგილას, თავდაცვის მესამე ან მთავარი ხაზის წინ. მეწინავე, ანუ ,,წინა ხაზის ბატალიონის" მეთაური ხშირად ხელმძღვანელობდა მთელ თავდაცვას პოლკის სექტორში. 1917-1918 წლებში, ამ კიდევ უფრო ჩამოყალიბებულ სისტემაში, ამ ბატალიონის მეთაურს უფლება ჰქონდა, თავისი პოლკის დანარჩენი ორი ან სამი ბატალიონი კონტრშეტევისთვის გამოეყენებინა იმ მომენტში, რომელსაც თვითონ ჩათვლიდა შესაფერისად. ეს გადაწყვეტილების მიღების ციკლებში არსებულ განსხვავებას განსაკუთრებით გამოკვეთდა: მაშინ როცა შეტევაზე გადასული ბრიტანელები და ფრანგები იძულებული იყვნენ გამოეთხოვათ ბრძანებები და გამაძლიერებელი ძალები თავიანთი კორპუსების ან პოლკების მეთაურებისაგან, რომლებიც რამდენიმე მილის დაშორებით, ზურგში იმყოფებოდნენ, გერმანელების თავდაცვის ბატალიონის მეთაურს შეეძლო გაძღოლოდა პოლკის კონტრშეტევას ადგილზევე.

ფაქტიურად, ეს ეხება გერმანელების თავდაცვითი ტაქტიკის მესამე პრინციპსაც: კონტრშეტევების წარმოება ყველა ეშელონის მიერ, დაკარგული ადგილების დაბრუნების მიზნით, სანამ შემტევი ძალა მოასწრებდა ადგილზე გამაგრებას. იმ რაიონებში, სადაც კონტრშეტევა უფრო სახიფათოდ მიიჩნეოდა, მეორე ეშელონის დივიზია განლაგდებოდა ყოველი ან ყოველი მეორე წინა ხაზის დივიზიის უკან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მზად იყვნენ შეტევისათვის. როგორც კი მთავარი შეტევა დაიწყებოდა, გერმანელი თავდამცველები ცდილობდნენ შეღწევის ფლანგების შეჩერებას მაბლოკირებელი პოზიციების მეშვეობით; შემდეგ კი კონტრშეტევების შედეგად ლიკვიდირებას უკეთებდნენ შეღწევის შედეგად შექმნილ სოლს.

ასეთ ტაქტიკას არ იყენებდნენ ღამით. ბევრი გერმანელი მეთაური კატეგორიული წინააღმდეგი იყო მოქნილობისა და დეცენტრალიზებული კონტროლისა ელასტიურ თავდაცვაში. მაგალითად, პასშენდელთან 1917 წლის ივლის-აგვისტოში, მოცემულ რაიონში განლაგებული ჯარების მეთაურმა ბრძანება მისცა ყველა საბრძოლო დაცვის საგუშაგოს (ავანპოსტს), რომ ადგილზე დარჩენილიყვნენ და კონტრშეტევის დაწყებისთვის დაეცადათ. შედეგი კატასტროფული იყო, ბევრი ავანპოსტი იზოლირებული აღმოჩნდა. არსებობს გარკვეული ფაქტობრივი მასალა, რომ ბრიტანელებმა მცდარი გადაწყვეტილება მიიღეს, რომ ეს მძიმე დანაკარგით დამთავრებული ექსპერიმენტი გერმანელების თავდაცვით პოზიციების რეალური გასაღები იყო, ამიტომ კიდევ უფრო უძრავი, მტკიცე გახადეს მეწინავე ხაზის თავდაცვა, რომელიც ჩაიშალა 1918 წლის მარტში.

მოქნილობის, დეცენტრალიზებული კონტროლისა და კონტრშეტევის კომბინაციამ ყველა ეშელონის დონეზე გერმანელების თავდაცვითი სისტემა თითქმის უძლეველი გახადა, სანამ ჯარების გადაღლილობამ და დემორალიზებამ არ მისცა მოკავშირე ძალებს დიდი რიცხობრივი უპირატესობა.

მოკავშირე ძალები ნაკლები რაოდენობის შეტევებს იღებდნენ გერმანელებისაგან და ამიტომ მეტი დრო დასჭირდათ, რომ იმავე დასკვნებამდე მისულიყვნენ. 1915 წლის 8 ივნისს გაცემული

ფრანგული დირექტივა მოითხოვდა მეთაურებისგან, რომ ძალების უმეტესობა ზურგში ჰყოლოდათ და კონტრშეტევისთვის გამოეყენებინათ, მაგრამ ამ ბრძანებას ხშირად უგულვებელყოფდნენ. ასე გრძელდებოდა, სანამ გერმანელების მიერ განხორციელებულმა ხუთმა შეტევამ, 1918 წელს, არ ასწავლა ფრანგ საველე მეთაურებს, რომ ძირითადი ძალები სიღრმეში უნდა განელაგებინათ და მიეღოთ ნაკლები დანაკარგები მსუბუქად დაცულ მეწინავე პოზიციებზე.

ტექნოლოგიური ცვლილება

როგორც ყველა ფართომასშტაბიანმა ომმა, I მსოფლიო ომმაც დააჩქარა ახალი ტექნოლოგიების განვითარება. არტილერიასა და კავშირგაბმულობის საშუალებებში მომხდარი ცვლილებების გარდა, ბევრი ახალი შეიარაღება გაჩნდა მოწინააღმდეგის პოზიციებზე შეღწევის პრობლემების გადაჭრის გზების ძიების შედეგად. ამ ძალისხმევებიდან არც ერთი არ ყოფილა სავსებით წარმატებული, მაგრამ ყველა ცვლილება წარმოდგენილი იყო ახალი იარაღის ან დამხმარე საშუალების სახით, რომელიც ემატებოდა ტრადიციულ შეიარაღებას.

მომწამლავი გაზის გამოყენება იყო პირველი მცდელობა ტრანშეების თავდაცვის გასარღვევად. თუმცა ფრანგები 1914 წლის ბოლოს ექსპერიმენტებს ატარებდნენ სხვადასხვა სახის მომწამლავი გაზის მცირე მასშტაბით გამოყენებაში, გერმანელები იყვნენ პირველები, ვინც განახორციელა ქიმიური შეტევა. გერმანელებმა გაზი პირველად გამოსცადეს 1915 წლის იანვარში, რუსეთის ფრონტზე, ლოძთან. უნდა ითქვას, რომ ქიმიური ნივთიერების დიდი ნაწილი არ აორთქლდა დაბალი ტემპერატურის გამო. დასავლეთის ფრონტზე გაზის პირველი გამოცდა 1915 წლის 22 აპრილს მოხდა, ქალაქ იპრთან. აქ განხორციელებულმა მოულოდნელმა შეტევამ უკუაგდო ფრანგების კოლონიური ჯარები ხუთმილიან ფრონტზე, მაგრამ გერმანელები მომზადებული არ იყვნენ ასეთი წარმატების განვითარებისათვის. მათ არ ჰყავდათ მნიშვნელოვანი რეზერვები წინსვლის განსახორციელებლად, სანამ ფრანგები გარღვევის ლიკვიდირებას მოახდენდნენ. ამ მოვლენის შემდეგ ყველა მხარე დარწმუნდა, რომ პრიმიტიული აირსაწინაღო ნიღბები და ამინდის შეუსწავლელი პირობები აძნელებდა აქროლადი მომწამლავი ნივთიერებების წარმატებით გამოყენებას. როცა ბრიტანელებმა პირველად გამოიყენეს გაზი ლუსთან 1915 წლის 25 სექტემბერს, ქარის რეჟიმი ძალიან წყნარი იყო და აორთქლებული გაზი ძალიან ნელა, თანაც არასასურველი მიმართულებით მოძრაობდა, თითქმის მთელ ფრონტზე. ბრიტანული ქვედანაყოფები გადაადგილდებოდნენ მათ მიერვე გაშვებული მომწამლავი ნივთიერების გარემოცვაში და უფრო მეტ დანაკარგს განიცდიდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგე. გერმანელებსაც თავის მხრივ პრობლემები ჰქონდათ დასავლეთის ფრონტზე ქიმიური საშუალებების გამოყენებაში, რადგან ქარი ძირითადად

სურ. 90 ბრიტანელი(ავსტრალიელი) ქვეითები აირწინაღებით იპრის მეორე ბრძოლაში, 1917 წ. დასავლეთის ფრონტი

დასავლეთიდან ქროდა და გაზს ხშირად უკან აბრუნებდა. ქიმიური ომი მხოლოდ დანამატად, ტექნიკურ დამხმარე საშუალებად იქცა მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობის შესუსტებისათვის, მაგრამ არა მის თავდაცვაში შეღწევისათვის. 1917-1918 წლებში მომწამლავ გაზს უმეტესად ხმარობდნენ მოსამზადებელი ცეცხლის დროს ქიმიური და ფუგასურ-მსხვრევადი საარტილერიო ჭურვების შერევის მიზნით, იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგეს აიძულებდნენ, გამოსულიყო თავშესაფრიდან ისეთ ადგილებში, სადაც გაზი იყო დალექილი.

სურ. 91 რუსი ქვეითები აირწინაღებით ქიმიური შეტევის დროს. აღმოსავლეთის ფრონტი

სურ. 92 მომწამვლელი აირით დაბრმავებული ბრიტანელი ჯარისკაცები

I მსოფლიო ომი ის კონფლიქტი იყო, სადაც პირველად მოხდა მნიშვნელოვანი საჰაერო ბრძოლები. ომის დროს ავიაცია არნახული სისწრაფით განვითარდა, მაგრამ 1918 წლისთვის ჯერ ისევ ჩამოყალიბების სტადიაში იყო. პრესის მთელი ყურადღება გადატანილი იყო მოიერიშე თვითმფრინავების პილოტებზე, რომელთა მთავარი ამოცანა იყო ადგილობრივი საჰაერო უპირატესობის მიღწევა. ასეთი პირობები იმდროინდელ პრიმიტიულ თვითმფრინავს საშუალებას აძლევდა, შეესრულებინა თავისი ძირითადი ფუნქცია - რეკოგნოსცირება და საარტილერიო ცეცხლის კორექტირება. 1917 წლამდე გერმანელები და ბრიტანელები ოფიციალურად არ აღიარებდნენ ხმელეთზე შეტევების განვითარების შესაძლებლობას მოიერიშე თვითმფრინავების დახმარებით მეწინავე რაიონში. ორივე მხარეს მიაჩნდა, რომ ასეთი სახის დარტყმის მთავარი ეფექტი ჯარის დემორალიზება უფრო იყო, ვიდრე განადგურება. 1918 წლისთვის გამოჩნდნენ პირველი ბომბდამშენები საკმარისი რაოდენობის მარაგის ტვირთით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, საავიაციო ძალების მთავარი წვლილი გამოიხატებოდა რეკოგნოსცირებაში და არა დაბომბვაში.

სამხედრო ავტოტრანსპორტი აგრეთვე განვითარდა ამ ომის განმავლობაში. 1914 წლის რამდენიმე პრიმიტიული ავტომანქანა 1916 წელს ათასობით დიდმა სატვირთო მანქანამ შეცვალა. სატვირთო მანქანა, მართალია, საბრძოლო შეიარაღებაში არ შედიოდა, მაგრამ ცოცხალი ძალისა და მარაგების სწრაფ გადაადგილებას უწყობდა ხელს ერთმანეთისგან დიდ მანძილზე დაშორებულ პუნქტებს შორის. ამ მხრივ, მისი დახმარებით ოპერატიული მობილურობა ისევე საგრძნობლად გაიზარდა, როგორც ეს წინა თაობებში რკინიგზის შემთხვევაში მოხდა. ეს საშუალებას იძლეოდა ძალებისთვის სწრაფად თავი მოეყარათ და მოულოდნელი შეტევა განეხორციელებინათ იმ წერტილში, სადაც მოწინააღმდეგე ამას არ ელოდა, ან რეზერვის ძალები გადაეყვანათ მოწინააღმდეგის გამრღვევი დარტყმის შესასუსტებლად. სატვირთო მანქანებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ აგ-

რეთვე საბრძოლო მასალის მარაგისა და სხვა მატერიალური საგნების მისაწოდებლად, რომლებიც აუცილებელი იყო მსხვილი შეტევის გასავითარებლად.



სურ. 93 ფრანგული დირიჟაბლის გაშვება-1915 წ.

ტანკი იმთავითვე განსაზღვრული იყო, როგორც მნიშვნელოვანი იარაღი განსაკუთრებული ტაქტიკური პრობლემების გადასაჭრელად და ჩიხური სიტუაციებიდან გამოსასვლელად. ძირითადად, ტანკის დანიშნულება იყო საარტილერიო იარაღი და ტყვიამფრქვევები მიეტანა სათანადო ადგილას, ჭაობად ქცეული ნეიტრალური ზონის გავლით და უზრუნველეყო მეტი დაცვა, ვიდრე ეს მხოლოდ ქვეითი ჯარისგან შემდგარ ქვედანაყოფს შეეძლო. ამ იარაღის პირდაპირი დანიშნულება იყო ქვეითების დახმარება გარღვევის ადგილის შექმნაში ისე, რომ კავალერიას, რომელიც ხელსაყრელ დროს ელოდა 1914 წლიდან, შესაძლებლობა მისცემოდა მოპოვებული წარმატების განვითარებისათვის გერმანელების ზურგში.

უნდა გვახსოვდეს ეს მიზანი, რათა კარგად გავიგოთ, რა ნაკლი ჰქონდათ იმ ადრეულ ტანკებს. ბრიტანულ და განსაკუთრებით კი ფრანგულ მძიმე ტანკებს ჰქონდათ დაბალი სიჩქარე, დაბალი მექანიკური გამძლეობა (სანდოობა) და მაღალი მოწყვლადობა (დაუცველობა) მოწინააღმდეგის პირდაპირი დამიზნების ცეცხლის მიმართ მას შემდეგ, რაც თავდაპირველად მიღწეული მოულოდნელობის ეფექტი გაივლიდა. ბოლოსდაბოლოს, ამ სახეობის ქვედანაყოფს ევალებოდა მხოლოდ რამდენიმე მილით წინ წაწევა, ხოლო შემდეგ ბრძოლის კავალერიისთვის გადაბარება. უფრო მეტიც, ტანკების განვითარება დიდი საიდუმლოებით იყო მოცული და ეს საიდუმლოება, ქვეითი ჯარის მეთაურების სკეპტიციზმთან ერთად, ხშირად იმას ნიშნავდა, რომ მათი აზრით, ქვეითებს ძალიან მცირე მომზადება სჭირდებოდათ, რათა ტანკებთან ერთად ემოქმედათ. შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, ქვეითები ტანკებისაგან იზოლირებული აღმოჩნდებოდნენ ხოლმე და გერმანელ ქვეითებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეს ორი სახეობის ქვედანაყოფები ცალ-ცალკე დაემარცხებინათ. ზოგადად რომ ვთქვათ, ქვეითები, რომლებსაც სატანკო ქვედანაყოფებთან ერთად ბრძოლის წინ მომზადებისა და ბრძოლაში ერთად მოქმედების საშუალება ჰქონდათ, მათზე ლოცულობდნენ, ხოლო ქვეითები, რომლებიც ტანკებთან ერთობლივ მოქმედებებში წინასწარი მომზადების გარეშე იღებდნენ მონაწილეობას, მათ წყევლიდნენ.

სურ. 94 ბრიტანული ტანკის ეკიპაჟი

მცირე ადგილობრივმა შეტევებმა, რომლებიც ფლერთან (მდ. სომაზე) დაიწყო 1916 წლის 15 სექტემბერს, გაფანტეს მოულოდნელობის ის ეფექტი, რაც ტანკებს თავდაპირველად ჰქონდათ. 1917 წლის 20 ნოემბრამდე, როცა ბრძოლა კამბრესთან გაიმართა, ბრიტანულ ტანკებს სათანადო პირობები არ შექმნიათ, რომ წარმატებისთვის მიეღწიათ. საარტილერიო დაზვერვის ახალი ტექნიკის დახმარებით, ბრიტანელების ქვემეხებმა ისე დაიკავეს პოზიციები, რომ შეტევის წინ გასამიზნი სროლები არ უწარმოებიათ. ამის შემდეგ,

ხანმოკლე საარტილერიო დაბომბვასთან ერთად, ტანკებმა წინ წაიწიეს, მათ მიჰყვნენ ქვეითები, რომლებსაც ტანკები დაცვას უქმნიდნენ. ხანგრძლივი საარტილერიო მოსამზადებელი ცეცხლის გამოტოვებამ არა მხოლოდ მოულოდნელობას შეუწყო ხელი, არამედ მიწის ზედაპირი გადასაადგილებლად უფრო შესაფერის მდგომარეობაში დატოვა. სამ ბრიგადაში გაერთიანებულმა 474 მძიმე ტანკმა პრაქტიკულად გამოსცადა თავისი შესაძლებლობები ფართო (ექსტენსიურ) მოქმედებებში, ექვსი ქვეითი დივიზიიდან ხუთთან ერთად. ტანკები მოქმედებდნენ სამი ტანკისგან შემდგარი სექციების სახით: ერთი ტანკი იყენებდა ტყვიამფრქვევის ცეცხლს და მის შესაძლებლობას ჩაეხშო თავდაცვაში მყოფი ქვეითების მოქმედება, მაშინ როცა ორმა დანარჩენმა, რომლებსაც ბრიტანული ქვეითი ქვედანაყოფები ახლდნენ, გადაკვეთეს ტრანშეები. ამ ტაქტიკამ ყველგან გაამართლა ფლესკიერის მთიანი ქედის გარდა, კამბრეს სექტორის ცენტრში. აქ, 51-ე სამთო დივიზიის მეთაურმა, იმაში დარწმუნებულმა, რომ გერმანელების ცეცხლი ტანკებზე იქნებოდა კონცენტრირებული, თავის ქვეითებს ტანკებთან ას იარდზე ახლოს მისვლა აუკრძალა. ამის გარდა, სამეფო ავიაციის კორპუსმა შეცდომით მოახსენა, რომ მან დარტყმა განახორციელა მოცემულ რაიონში მოქმედ გერმანულ არტილერიაზე, მაშინ როცა მოწინააღმდეგის ერთი ბატარეა გადასული იყო ქედის პირიქითა ფერდობზე. ამის შედეგად, ბრიტანული ტანკები მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ, როცა ნელ-ნელა ქედის წვერს მიაღწიეს. გერმანელების არტილერიამ თექვსმეტი, მანევრირების უნარდაკარგული ტანკი რამდენიმე წუთში მწყობრიდან გამოიყვანა. ამ ინციდენტმა ბევრი დაარწმუნა, რომ ბრძოლაში ჯავშანტექნიკას ქვეითების გარეშე გადარჩენა არ შეეძლო. ეს აზრი არსებობდა 1918 წლამდე, მაშინაც კი, როდესაც ტანკების სისწრაფე და მანევრირების უნარი გაუმჯობესდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ხელთარსებული ტანკები თანაბრად ნაწილდებოდნენ კამბრეს ფრონტზე, ისე რომ რეზერვი არ რჩებოდა, რომელიც მოპოვებული დიდი წარმატების განვითარებას შეძლებდა. ამის გარდა, 1916-1917 წლების დამაუძლურებელი საბრძოლო მოქმედებების შედეგად, ბრიტანელებს ძალიან ცოტა რეზერვი ჰყავდათ კამბრეს ბრძოლაში გამოსაყენებლად - ისინი ამ მოქმედებას უფრო როგორც რეიდს განიხილავდნენ და არა როგორც შეღწევის ერთერთ მცდელობას. ამასთან გერმანელებმა თავიდან ააგეს თავდაცვითი პოზიციები, სანამ ბრიტანული კავალერია წინ წაიწევდა წარმატების გასავითარებლად. კამბრეში ბრიტანელების მიერ გახორციელებული შეტევიდან ათი დღის შემდეგ გერმანელებმა კონტრშეტევა განავითარეს და ადრინდელი ფრონტის ხაზი აღადგინეს. ეს კონტრშეტევა თავისებურად ასახავდა აგრეთვე ომის ბოლოდროინდელ მოვლენებს: მოულოდნელ მოქმედებას, ფერადი შუშხუნების გამოყენებას ფაზის ხაზებზე არტილერიის გადაადგილების მიზნით და მრავალჯერად, ტალღისებურ შეტევებს, რომელთა მიზანი იყო ბრიტანელების საყრდენი პუნქტების მოცილება, რომლებსაც შეტევის პირველმა ტალღამ გვერდი აუარა.

კამბრეს ბრძოლის წინაც კი, გერმანელებს დაწყებული ჰქონდათ ტანკსაწინააღმდეგო დოქტრინის შემუშავება. ბრიტანელი ჯავშანსატანკო მეთაურების შეხედულებებისაგან განსხვავებით, გერმანელი მეთურები გაცილებით მეტად იყვნენ დაინტერესებულნი სატანკო შეტევების ფსიქოლოგიური ეფექტებით, ვიდრე მათი დაბალი სიჩქარით, შეზღუდული საცეცხლე საშუალებებითა და თავისთავად ტანკების ჯავშნით. ფსიქოლოგიური ეფექტი და არა ქვეითების მხარდაჭერა იყო ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც კონცენტრირებული იყვნენ ომისშემდგომი წლების გერმანელი თეორეტიკოსები. მაგრამ 1917-1918 წლებში გერმანიას არ ჰქონდა საკმარისი რესურსები, რომ ტანკების წარმოებაში კონკურენცია გაეწია სხვა ქვეყნებისათვის. ამის ნაცვლად, მათ საყრდენად ჰქონდათ დაბრკოლებების გეგმები არსებულ მსუბუქი არტილერიის საშუალებებთან (75მმ

ქვემეხი) ერთად და რამდენიმე ჯავშანგამტარი ჭურვი ქვეითების სასროლი იარაღისათვის. ეს ჭურვები ეფექტიანი იყო ადრეული ბრიტანული ტანკების წინააღმდეგ, ხოლო 1918 წლისთვის გერმანელებს შემუშავებელი ჰქონდათ დიდი ზომის ტანკსაწინააღმდეგო შაშხანები უფრო გვიანი ბრიტანული მოდელების წინააღმდეგ. ტანკების ტერორთან შესაბრძოლებლად გერმანელი ჯარისკაცები გადიოდნენ შესაბამის მომზადებას. თუ შესაძლებელი იქნებოდა, გერმანელი ქვეითები დაიცდიდნენ შეტევაზე გადმოსული ტანკის გავლამდე, ცეცხლს უხსნიდნენ თანმხლებ ბრიტანელ ქვეითებს და ისროდნენ ხელყუმბარებს ტანკის შესაჩერებლად.

1918 წლისათვის ტანკები უკიდურესად დაუცველები იყვნენ თუ ქვეითები არ ახლდნენ, ან ავიაცია არ აწარმოებდა იერიშს სახმელეთო მიზნებზე. ამ ორივე დამხმარე ძალის მთავარი მიზანი იყო ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის პოზიციების აღმოჩენა და ჩახშობა. 1918 წლის აგვისტოში, ბაპომის ბრძოლის პირველი სამი დღის განმავლობაში, გერმანელების ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვამ და თვითონ ტანკების მექანიკურმა გაუმართაობამ შეტევაზე გადასული ბრიტანული ტანკების 81 პროცენტი მწყობრიდან გამოიყვანა. ყველა ის ტანკი, რომელიც ბრძოლის ველზე მექანიკური მიზეზებით გაუმართავი ხდებოდა, თითქმის უეჭველად, რამდენიმე წუთში, ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლით ნადგურდებოდა. და კვლავ, ასეთი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბდა ტანკების შესაძლებლობებისა და როლის გაცნობიერება, დიდი ხნის შემდეგ, როცა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა აღადგინეს ტანკის უპირატესობა.

სურ. 95 ბრიტანეთის არმიის ოფიცერი საველე ფორმაში

ფრანგებმა, ბრიტანელებმა და ამერიკელებმა (რომლებიც ფრანგულ მსუბუქ შეიარაღებას იყენებდნენ) შექმნეს მსუბუქი სატანკო ქვედანაყოფები 1918 წელს. ბრიტანელების ტანკი ,,uipeti (Whippet)" უფრო სწრაფი იყო, ვიდრე მძიმე ტანკების უმეტესობა (7.5 მილი საათში, 4.5 მილის საპირისპიროდ), თუმცა მას მაინც ვერ ვუწოდებდით სწრაფ საბრძოლო მანქანას. მსუბუქი ტანკების საიდუმლოდ გადატანა ერთი სექტორიდან მეორეში უფრო ადვილი იყო, რადგან შეიძლებოდა მათი დატვირთვა სატვირთო მანქანებზე და არ იყო აუცილებელი რკინიგზით გადატანა.

თუმცა სამეფო სატანკო კორპუსი ექსპერიმენტს ატარებდა ტანკების სპეციალური დანიშნულებით გამოსაყენებლად - რადიოაპარატურის, მარაგებისა და ტყვიამფრქვევების გადასატანადაც კი. I მსოფლიო ომში ყველა სატანკო ქვედანაყოფი წარმოადგენა მხოლოდ სატანკო შენაერთს, დაახლოებით ბრიგადის ზომისა, რომელსაც სჭირდებოდა ქვეითი ქვედანაყოფების მიმაგრება და არა საერთო-საჯარისო ძალების შენაერთს, რომელიც მექანიზებული ოპერაციის გახორციელებას დამოუკიდებლად შეძლებდა. ქიმიური ომის საშუალებებს, მოტოტრანსპორტსა და ტანკებს ორი სახის მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდათ I მსოფლიო ომის პოზიციურ საბრძოლო ველზე, გარდა მათი ინდივიდუალური ტაქტიკური მახასიათებლებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე ეფექტებისა. ერთი მხრივ, მათმა განვითარებამ უფრო რთული გახადა შეტევისა თუ თავდაცვისათვის სხვადასხვა სახის შეიარაღების კომბინაციის პრობლემა. მან გაზარდა წინასწარი დეტალური დაგეგმვის და ცენტრალიზებული კონტროლის ტენდენცია იმ დროს, როცა ქვეითებისა და არტილერიის ურთიერთქმედება ჯერ ისევ განვითარების პროცესში იყო. მეორე მხრივ, იმ არმიას, რომელიც წარმატებით გაართმევდა თავს სხვადასხვა ძალების სათანადო

შეხამებას, მეტი შესაძლებლობა ექნებოდა, ბოლოსდაბოლოს, დაემარცხებინა თავისი მოწინააღმდეგე მისი დაუძლურებამდე მიყვანით, თუნდაც ვერ მოეხერხებინა მის პოზიციებზე შეღწევა.

ქვეითების როლის აღორძინება

მომხდარი ცვლილებები, რომლებიც გამოიხატებოდა არტილერიის, ომის ქიმიური საშუალებების, ავიაციის და ჯავშანტექნიკის განვითარებით, ძირითადად განპირობებული იყო მოსაზრებით, რომ 1914 წელს ქვეით ჯარს არ შესწევდა უნარი წინ გადაადგილებულიყო მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ. მაგრამ I მსოფლიო ომის განმავლობაში, ქვეითმა ჯარმა ევოლუცია განიცადა და მიუახლოვდა ისეთ წერტილს, საიდანაც შეძლო თავისი დამახასიათებელი შესაძლებლობები დაებრუნებინა, რაც გამოიხატებოდა დამოუკიდებლად ტერიტორიის დაპყრობასა და შენარჩუნებაში.

1914 წელს ქვეითი ბატალიონის შეიარაღებაში, შეიძლება ითქვას, მხოლოდ შაშხანები შედიოდა, რასაც ემატებოდა გადაადგილების უნარის თითქმის სრულიად არმქონე რამდენიმე მძიმე ტყვიამფრქვევი. მაგრამ როგორც კი ცხადი გახდა საცეცხლე სიძლიერის მნიშვნელობა ბრძოლის ველზე, ყველა არმიის ქვეითმა ჯარმა გააცნობიერა საკუთარი საცეცხლე საშუალებების გაძლიერების აუცილებლობა. ასეთი ძალისხმევის პირველი შედეგი იყო სატრანშეო ნაღმმტყორცნი. ნაღმმტყორცნები საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, როგორც მძიმე არტილერიის ერთ-ერთი სახე, მაგრამ 1914 წელს გერმანულმა არმიამ შეზღუდული რაოდენობით მსუბუქი, ადვილად გადასატანი და იაფი ნაღმმტყორცნები – minewerfers - შემოიტანა; ეს იარაღი წარმოადგენდა სახაზინე ნაწილის საშუალებით დასატენ, დაბალი ტრაექტორიის ნაღმმტყორცნს. სხვა არმიებმა სწრაფად გადაიღეს minewerfers ასლი და 1915 წლის მარტში ინგლისელმა ინჟინერმა უილფრიდ სთოუქსმა შექმნა დღესაც ქვეითების შეიარაღებაში არსებული ყველა ნაღმმტყორცნის წინაპარი - 3 დიუმიანი, ლულიდან დასატენი, სთოუქსის ნაღმმტყორცნი. ეს იარაღი საწარმოებლად გაცილებით ადვილი იყო, ვიდრე საარტილერიო იარაღი და ამიტომ ფართოდ გამოიყენებოდა ყველა არმიაში მთელი ომის მანძილზე. მაგრამ უფრო დიდი კალიბრის ნაღმმტყორცნებს მაინც არტილერისტების შეიარაღებას აკუთვნებდნენ და არა ქვეითებისა, ხოლო გერმანიაში მას საინჟინრო იარაღის კლასიფიკაციას აძლევდნენ; აქედან გამომდინარე, ისინი განთავსებულნი იყვნენ ბატარეებში და ბატალიონებში, და არა ქვეითებთან ერთად.

სურ. 96 ავსტრიელი ჯარისკაცები, აღმოსავლეთის ფრონტი

1915 წელს ფრანგებმა დაიწყეს ქვეითებისთვის ახალი შეიარაღების წარმოება: განსაკუთრებით აღსანიშნავია მსუბუქი ავტომატისა (ავტომატური შაშხანა) და ხელის ყუმბარმტყორცნის გამოშვება. ამას ემატებოდა ჩვეულებრივი ხელყუმბარები, რაც აძლევდა ფრანგ ქვეითებს უფრო მობილურ საცეცხლე საშუალებებს და მოკლე მანძილზე (150 მეტრამდე) მსროლელობის მქონე არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის იარაღს. 1916 წლის 27 სექტემბერს ფრანგებმა მოახდინეს ქვეითი ასეულის რეორგანიზება. ახლა ის შედგებოდა შტაბისგან, რომელშიც შედიოდა კავშირგაბმულობის საშუალებები და წინ წარგზავნილი სპეციალური ქვედანაყოფი (საბრძოლო ინჟინრები), ამას ემატებოდა ოთხი ოცეული, თითოეული მათგანი კი შედგებოდა ორი სექციისაგან. ამ თორმეტკაციანი სექციის სტრუქტურაში იყვნენ ხელით ყუმბარმსროლელები (გრენადერები), ყუმბარსატყორცნი შაშხანებით და უბრალო შაშხანებით შეიარაღებული მსროლელები, რომლებიც ორგანიზებული იყვნენ მეავტომატეების (ავტომატური შაშხა-

ნით მსროლელების) ბირთვის გარშემო, რაც შეადგენდა საცეცხლე მხარდაჭერის ძირითად ჯგუფს (საცეცხლე ბაზას). სამი ასეთი ქვეითი ასეული და ერთი ასეული, რომელშიც შედიოდა რვა მძიმე ტყვიამფრქვევი და ერთი 37 მმ-იანი ქვემეხი ქვეით ბატალიონს ქმნიდა, როგორც ის თანამედროვე ქვეითებმა შეიძლება აღიქვან. სხვა არმიებმაც მიიღეს მსგავსი შეიარაღება და ძალთა სტრუქტურა, თუმცა გერმანელებს 1917 წლამდე შეაგვიანდათ. გერმანელების ყურადღება მთლიანად მიპყრობილი იყო მძიმე საქვემეხო არტილერიის სიზუსტეზე და ამიტომ ისინი უხალისოდ იღებდნენ შეიარაღებაში მსუბუქ ტყვიამრფქვევებსა და ავტომატურ შაშხანებს, სანამ უკვე სასოწარკვეთლმა ქვეითებმა, ფრონტის წინა ხაზზე არ დაიწყეს ფრანგებისთვის წართმეული ავტომატური შაშხანების გამოყენება.

სურ. 97 გერმანული ქვეითი ასეული გადაადგილდება ფრონტის ხაზისაკენ

შედეგად, მიღებული ცვლილებები ქვეითი ჯარის ტაქტიკაში ნელა ინერგებოდა. 1915 წლის მაისში უცნობმა ფრანგმა კაპიტანმა, სახელად ანდრე ლაფარგმა არაოფიციალურად, პირადად თვითონ, გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც შეთავაზებული იყო ბევრი სიახლე, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ სტრანშეო ნაღმმტყორცნებს, არამედ ბრძოლებს მსროლელთა მცირე ქვედანაყოფების გამოყენებით, ეგრეთწოდებულ მსროლელთა მწკრივებს ან ზუსტ მსროლელთა (სნაიპერთა) ჯგუფებს. ეს ჯგუფები, შეიარაღებულნი მსუბუქი ტყვიამფრქვევებით, ყუმბარსატყორცნი შაშხანებით და ხელყუმბარებით, 50 მეტრით წინ უნდა გაძღოლოდნენ მთავარი იერიშის ტალღას. მათი ამოცანა იყო დამფარავი ცეცხლის წარმოება მთავარი შემტევი ძალის დასაცავად და თუ იქნებოდა ამის საშუალება - გერმანელების მეწინავე პოზიციებზე შეღწევა (ინფილტრაცია), რათა ჩაეხშოთ და ფლანგიდან მოეჭრათ მათი სატყვიამფრქვევო წერტილები. საფრანგეთის მთავრობამ ეს ბროშურა გაავრცელა, მაგრამ ოფიციალურად არ დაუმტკიცებია; ბრიტანელებმა ეს მოსაზრებები საერთოდ უგულვებელყვეს და უკანასკნელ რიგებში იყვნენ მათ შორის, ვინც შეტევისათვის წინსვლის ხაზობრივი წყობა აღიარა. ოფიციალურად ფრანგებმა მხოლოდ 1916 წელს შეამცირეს მსროლელთა მწკრივების სიმჭიდროვე ერთი ადამიანით ყოველი ორ, ხოლო მოგვიანებით – ერთი ადამიანით ყოველ ხუთ ნაბიჯში, ნაცვლად ყოველი ერთი ნაბიჯისა და ახალი შეიარაღება გააერთიანეს ქვეითი ჯარის ძალთა სტრუქტურაში. ამასობაში, გერმანელებმა 1916 წლის ზაფხულში ხელთ იგდეს ლაფარგის ბროშურის ასლი და მისი გარკვეული ნაწილების საკუთარ ტაქტიკურ დოქტრინაში გამოყენება შეძლეს.

სურ.98 დაჭრილი გერმანელი ტყვეები. დასავლეთის ფრონტი

I მსოფლიო ომის განმავლობაში გერმანელების თავდასხმითი ტაქტიკის ევოლუცია შედარებით ნელი იყო, ვიდრე ელასტიური თავდაცვის ევოლუცია. თუმცა გერმანელებმა უკვე 1916 წელს, ვერდენთან მსროლელთა ჯგუფები, მეტყვიამფრქვევეები და ინჟინრები გამოიყენეს, რათა შეღწევისთვის (ინფილტრაციისთვის), ფრანგების ავანპოსტების გვერდის ავლით, მათ მიღმა მიეღწიათ შეტევის საწყის ეტაპზე. შეღწევის (ინფილტრაციის) მათი საკუთარი ტაქტიკა განვითარდა ფაქტიურად მაინც 1917 წელს, რუსეთისა და იტალიის ფრონტებზე, რიგასთან და კაპორეტოსთან ბრძოლებში. ამ ტაქტიკას ზოგჯერ უწოდებენ (შესაძლოა, შეცდომითაც) ,,ჰუტიეს ტაქტიკას.” გენერალი ოსკარ ფონ ჰუტიე მეთაურობდა ასეთ შეტევებს რუსეთისა და იტალიის ფრონტებზე 1917 წლის განმავლობაში, ვიდრე სათავეში ჩაუდგებოდა ერთ-ერთ საველე არმიას გერმანელების ფართო საგაზაფხულო შეტევის დროს 1918 წელს, მაგრამ მას არ შეუქმნია ეს ცნებები. ზოგმა გენერალმა შემდეგ საერთოდ უარყო ,,ინფილტრაცია” ანუ ,,სუსტი წერტილის” ტაქტიკა და შესაძლოა, 1918 წლის გამარჯვებები ფაქტიურად იყო რუსებისა და იტალიელების წინააღმდეგ ბრძოლებში მიღებული გამოცდილების გონივრული გამოყენება, და არა რაიმე მოულოდნელი სიახლის შემოტანა ტაქტიკაში. ნებისმიერ შემთხვევაში ცნობილია, რომ გერმანელების გენერალური შტაბის უფროსმა ერიხ ფონ ლუდენდორფმა გამოსცა შეტევაზე გადასვლის 1918 წლის 8 თებერვლით დათარიღებული ინსტრუქციების მთელი სერია, რომლითაც წარიმართა გერმანელი ქვეითების დამოუკიდებელი შეტევა, სადაც გამოყენებული იყო ტყვიამფრქვევები, შაშხანები, ხელყუმბარები, მსუბუქი ნაღმმტყორცნები და მათი თანმხლები პირდაპირი დამიზნების საარტილერიო საშუალებები. 1918 წლის ადრეულ პერიოდში, სამოცდაათმა დივიზიამ გაიარა მოსამზადებელი კურსი თავდასხმის ახალ ტაქტიკაში.

სურ. 99 ოსკარ ფონ ჰუტიე(1857-1934), გენერალ-ლეიტენანტი. განახორციელა ინფილტრაციის ოპერაციები დასავლეთის ფრონტზე

შედეგად, 1918 წლის მარტსა და აპრილში გერმანელებმა გასაოცარი წარმატება მოიპოვეს. მათ მიერ წარმოებული ტაქტიკა წარმოადგენდა გერმანელების მიერ მთელი I მსოფლიო ომის დროს მიღწეულ განვითარებებს ჯარების სხვადასხვა სახეობების გამოყენების მხრივ. ამ ტაქტიკის უკან იდგა აგრეთვე სულისკვეთებაც, რომელმაც ჯავშატექნიკასთან ერთად დიდი როლი ითამაშა მოგვიანებით, გერმანულ ბლიცკრიგში.

მობილურობის დაბრუნება, 1918.

1918 წელს გერმანელების მიერ გამოყენებული შეღწევის (ინფილტრაციის) ტაქტიკა შეიძლება ოთხი სათაურის ქვეშ გავაერთიანოთ: ბრუხმიულერის საარტილერიო მომზადება; საერთო-საჯარისო ძალებით შეტევა ან მოიერიშე (შტურმის) ბატალიონის შექმნა და გამოყენება; წინსვლის ხაზობრივი წყობის უარყოფა წინააღმდეგობის მთავარი ცენტრებისთვის გვერდის ავლის ტაქტიკის სასარგებლოდ; და შეტევები მოწინააღმდეგის ზურგის რაიონების დეზორგანიზების მიზნით.

პოლკოვნიკმა გეორგ ბრუხმიულერმა, მანამდე უცნობმა ოფიცერმა, რომელიც 1913 წელს, ნერვული მდგომარეობის გამო წავიდა ჯარიდან, და ამის მიუხედავად, ომის დროს კვლავ გაიწვიეს ჯარში, დახვეწილ ხელოვნებამდე აიყვანა გერმანელების არტილერიის სამოქმედო მეთოდები (ტექნიკა). ბრუხმიულერის საარტილერიო მომზადების არსი მდგომარეობდა გულდასმით ჰარმონიზებაში მოკლე, მაგრამ ინტენსიური საარტილერიო დაბომბვისა, რომლის დანიშნულება იყო მოწინააღმდეგის იზოლირება, დეზორგანიზება და დემორალიზება. ყოველი დიდი შეტევის წინ ბრუხმიულერი და მისი თანაშემწეები ატარებდნენ მეცადინეობებს, როგორც ქვეითი, ისე არტილერიის ახალგაზრდა მეთაურებისთვის, რომლებსაც უხსნიდნენ, როგორ უნდა წარმართულიყო მოვლენები. შედეგად, იქმნებოდა არა მხოლოდ საქმის არსის და ურთიერთქმედების მნიშვნელობის უპრეცედენტო გაგება, არამედ ბრძოლაში ქვეითი ჯარის როლისადმი დიდი ნდობა. ამის გარდა, ბრუხმიულერმა გაანაწილა სხვადასხვა სახის იარაღი მიზნების სპეციფიკური თავისებურებების მიხედვით. მაგალითად, ყოველ სატრანშეო ნაღმმტყორცნს მიცემული ჰქონდა ცეცხლის წარმოების დავალება მხოლოდ მოწინააღმდეგის ფრონტის 25-30 მეტრ მონაკვეთზე, ხოლო თითოეულ საარტილერიო ბატარეას მიცემული ჰქონდა დავალება ჩაეხშო მოწინააღმდეგის კონკრეტული ბატარეა, ან შეტევა ეწარმოებინა მოწინააღმდეგის პოზიციების 100-150 მეტრის მანძილზე. ბრუხმიულერი თავს არიდებდა დიდი ფართობის მიზნებს და ცეცხლის კონცენტრირებას ახდენდა ისეთ წერტილებზე, როგორიც იყო არტილერიის ცეცხლის წარმართვისა და კორექტირების პუნქტები, სამეთაურო პუნქტები, რადიო და სატელეფონო კავშირის ცენტრები, ზურგში ჯარების კონცენტრირების ადგილები, ხიდები და მთავარი მისასვლელი მარშრუტები. ის დიდი სიზუსტით და ყურადღებით აფიქსირებდა ასეთ წერტილებს აეროფოტოგამოსახულებებზე. შედეგი იყო მოწინააღმდეგის მოჭრა კავშირგაბმულობის საშუალებებისაგან და მისი მეწინავე ქვედანაყოფების იზოლირება. ეფექტს აძლიერებდა მოულოდნელობა. 1916-1917 წლებში ყველა არმიაში განვითარდა საარტილერიო დაზვერვის ტექნიკა. ამ ტექნიკის გამოყენებით ბრუხმიულერი თავისი ბატარეების განთავსებას და გამიზვნას ახერხებდა ქვეითების მეწინავე სანგრების უშუალო სიახლოვეს, მათ უკან განლაგებული პუნქტებისგან საიდუმლოდ.

სურ. 100 გერმანელი კავალერისტები

1918 წლის 21 მარტს, გერმანელების შეტევის დასაწყისში, ბრუხმიულერმა დაიწყო დაბომბვა. არტილერია ათი წუთის განმავლობაში ისროდა ქიმიურ ჭურვებს, რათა ბრიტანელები იძულებული გაეხადა ეხმარათ დამცავი ნიღბები. ამას მოჰყვა ოთხი საათისა და ოცდახუთი წუთის ხანგრძლივობის დაბომბვა შერეული სახის – ქიმიური და ფუგასურ-მსხვრევადი ჭურვებით. მოსამზადებელი ცეცხლი გადაჰქონდათ უკან და წინ ისე, რომ ბრიტანელებმა არ იცოდნენ, კონკრეტულად როდის იყო ცეცხლი აწეული იმისთვის, რომ ქვეითებს განე-

ხორციელებინათ წინსვლა. ამასობაში, ავტომატური შაშხანებით შეიარაღებული ჯგუფები, სანამ დაბომბვები მიმდინარეობდა, მაქსიმალურად მიუახლოვდნენ ბრიტანულ პოზიციებს. როცა გერმანელებმა წინ წაიწიეს, ისინი მოძრაობდნენ გადამღობი ცეცხლის ფარდის უკან, რასაც მოგვიანებით ინტენსიური ნისლი დაემატა. მოულოდნელობის, სიმჭიდროვის, ინტენსიურობის და დაკვირვებით შერჩეული მიზნების კომბინაცია უმაგალითო იყო.

საერთო-საჯარისო ძალების მოიერიშე ანუ შტურმის ბატალიონი წარმოადგენდა ყველა სახის შეიარაღების გაერთიანებას, რაც კი პოზიციური ომის მიმდინარეობის წლებში იყო მიღწეული; იმ შეიარაღებისა, რომლის თავმოყრა შეეძლო ბატალიონის მეთაურს. ტიპიური მოიერიშე ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა:

3-4 ქვეითი ასეული;

1 სატრანშეო ნაღმმტყორცნების ასეული;

1 თანმხლები საარტილერიო ბატარეა ან ნახევარ-ბატარეა, 77 მმ-იანი ქვემეხებით;

1 ცეცხლსაფრქვევების სექცია;

1 კავშირგაბმულობის ცალკეული ქვედანაყოფი;

1 წინ წარგზავნილი (საბრძოლო ინჟინრების) სექცია.

პოლკის მეთაურს შეეძლო დამატებითი მეტყვიამფრქვევეების ქვედანაყოფებისა და ველოსიპედისტების მიმაგრება. თანმხლები საარტილერიო საშუალებები არ მონაწილეობდნენ საარტილერიო მომზადებაში, არამედ ქვეითების უკან იყვნენ და იცდიდნენ, რომ დაუყოვნებლივ დაეწყოთ მოძრაობა. საბრძოლო ინჟინრების ერთ-ერთი უმთავრესი დავალება იყო დახმარებოდნენ ქვემეხებს გადადგილებაში დაბრკოლებებითა და ჭურვების ორმოებით გართულებულ ზედაპირზე. როცა წინააღმდეგობის მთავარ ცენტრს მიაღწევდნენ, ქვეითები გახსნიდნენ ჩამხშობ ცეცხლს, ხოლო ქვემეხები, ნაღმმტყორცნები და ცეცხლსაფრქვევები ცდილობდნენ ამ წინააღმდეგობის ცენტრის განადგურებას. მიუხედავად საგანგებოდ შექმნილი ქვემეხის დაბალი ლაფეტისა, 77 მმ-იანი ქვემეხების გათვლაში მსხვერპლის მაჩვენებელი მაინც მაღალი იყო, თუმცა ბრიტანელი თავდამცველების დეზორგანიზებული მდგომარეობის გამო ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათი იყო.

გერმანელების ტაქტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ პირველი ეშელონის მოიერიშე ქვედანაყოფებს უნდა შეესრულებინათ წინააღმდეგობის ცენტრების გვერდის ავლა, ეცადათ მოწინააღმდეგის პოზიციებზე შეღწევა კოლონებად ან ჯგუფებად გასასვლელების გასწვრივ ან საბრძოლო საგუშაგოებს (ავანპოსტებს) შორის. რამდენიმე მსროლელს წინ უნდა გაესწრო ამ გაფანტული კოლონებისთვის, მაგრამ მსროლელთა მწკრივებსა და ხაზოვან ტაქტიკას თავს არიდებდნენ. ადგილობრივ მეთაურს ჰქონდა უფლება გაეგრძელებინა წინსვლა მოწინააღმდეგის თავდაცვაში არსებული გასასვლელებით, ფლანგებზე მიმდინარე მოვლენების მიუხედავად. მეორე ეშელონი, ასევე აღჭურვილი მსუბუქი საარტილერიო და საინჟინრო საშუალებებით, პასუხისმგებელი იყო მოწინააღმდეგის პოზიციების განადგურებაზე, რომლებსაც გვერდი აუარეს. ეს დეცენტრალიზებული, მოწინააღმდეგის თავდაცვის სუსტი წერტილის გამოყენებით განხორციელებული შეტევების სისტემა მეორე ხარისხის სირთულის საკითხი იყო გერმანელებისთვის, მათი მოქნილი თავდაცვის გამოცდილების გამო. კაპორეტოსთან ბრძოლებში 1917 წელს, ახალგაზრდა ერვინ რომელმა გამოიყენა ასეთი ტაქტიკა თავდაცვის მეწინავე პოზიციებისთვის გვერდის ასავლელად და ხელთ იგდო იტალიური ქვეითი პოლკი.

სურ.101 ერვინ რომელი, კაიზერის არმიის კაპიტანი, შემდგომში გენერალ-ფელდმარშალი

გერმანელების შეღწევის (ინფილტრაციის) ტაქტიკის ბოლო ასპექტი იყო მოწინააღმდეგის ზურგის დეზორგანიზება. საარტილერიო მომზადება იწყებოდა კავშირგაბმულობის და სამეთაურო ცენტრების განადგურებით; შეღწეული (ინფილტრირებული) ქვეითები შეტევას აწარმოებდნენ აგრეთვე საარტილერიო პოზიციებზეც. ბრიტანელმა თავდამცველებმა, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ გერმანელების ფართო შეტევას 1918 წელს, დაკარგეს ყოველგვარი ორგანიზაცია და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მათ ოთხი დღის განმავლობაში 38კმ-ით უკან დაიხიეს. პოლკოვნიკმა ჯონ ფიულერმა, ერთ-ერთმა გამოჩენილმა ბრიტანელმა სატანკო ტაქტიკოსმა, შენიშნა, რომ ბრიტანული ჯარი საერთოდ დაიშალა და ზოგი ზურგიდან წინა ხაზისკენ გარბოდა. ბრიტანელების მთავარმა შტაბმა მათ მეწინავე ქვედანაყოფებზე გერმანელების მრავალრიცხოვანი შეტევების შესახებ მხოლოდ ზოგიერთ ამ ქვედანაყოფებთან კონტაქტის გაწყვეტის წინ გაიგო. ზემდგომმა მეთაურებმა, ამის შემდეგ, უბრძანეს შემორჩენილ ძალებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში წარმატებით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს, რომლებსაც მოწინააღმდეგემ გვერდი აუარა, უკან დაეხიათ და აღედგინათ კონვენციური ხაზოვანი ფრონტი.

სურ. 102 ვილჰელმ II (ცენტრში), ჰინდენბურგი და ლუდენდორფი განიხილავენ 1918 წლის გაზაფხულის შეტევას დასავლეთის ფრონტზე

გერმანელების ეს საგაზაფხულო ფართო შეტევა საერთოდ ჩაიშალა ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო, რომელთა შორის იყო მოპოვებული წარმატების განვითარებისათვის მობილურობის უნარის ნაკლებობა და მკაფიო სტრატეგიული მიზნების არქონა. შედეგად, ლუდენდორფმა ამ შეტევების სერიით დაქსაქსა თავისი ძალები; მიაღწია რა ტაქტიკურ წარმატებებს, მან ვერ მიაღწია მნიშვნელოვან ოპერატიულ ან სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 1918 წლის გერმანელების შეტევებში გამოყენებული ტაქტიკა და ორგანიზაცია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ,,ბლიცკრიგი" ტანკების გარეშე, რომელსაც შედეგად მოჰქონდა თავდამცველის დეზორგანიზება და დემორალიზება უფრო, ვიდრე სისტემური განადგურება. ამის გაკეთება არმიის წინააღმდეგ განსაკუთრებით ადვილი იყო I მსოფლიო ომში, სადაც ჯარების განლაგების სტატიკური ხასიათი და სატელეფონო კავშირები შეხამებული იყო დეტალურად ორგანიზებულ დაგეგმვასთან, რაც აუცილებელი იყო მუდმივმოქმედი ინსტრუქციის მიხედვით ბრძოლებისათვის; ყოველივე ამის შედეგად თავდამცველისთვის ძალიან ძნელი იყო სწრაფ ცვლილებებზე რეაგირება. ორივე მხარემ აღმოაჩინა, რომ მათმა ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, როგორ ებრძოლათ ღია ადგილას და დაუყოვნებლივ იწყებდნენ სანგრების თხრას, როგორც კი შეაღწევდნენ მოწინააღმდეგის თავდაცვით პოზიციებზე.

1918 წლის გაზაფხულზე გერმანელების თავდასხმითი მოქმედებები იყო ნათელი მაგალითი იმისა, რომ ბრძოლის ველზე მობილურობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ფაქტიურად,

1918 წელს, ყველა არმიას უკეთ შეეძლო შეტევა, ვიდრე მანამდე გავლილი სამი წლის მანძილზე. 1918 წლის 15 ივლისიდან დაწყებული, ბრიტანელებმა, ფრანგებმა და ამერიკელებმა წამოიწყეს შეტევების უწყვეტი სერია, რომელშიც თავმოყრილი იყო მოკავშირე ძალების მიერ მთელი ომის განმავლობაში შემოტანილი ყველა სიახლე. ქვეითები იყენებდნენ აღდგენილ მობილურობასა და საცეცხლე სიძლიერეს, აგრეთვე ტანკებს, რომლებიც მათ წინ მიდიოდნენ და უზრუნველყოფდნენ მოწინააღმდეგის საყრდენი პუნქტების ჩახშობას. ავიაციას შეზღუდული უზრუნველყოფა შეეძლო ხმელეთზე იერიშის მისატანი საავიაციო საშუალებებით და რეკოგნოსცირების საშუალებებით, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ბრძოლის წინ, ისე ბრძოლის დროს. საჰაერო რეკოგნისცირება ფოკუსირებული იყო მოწინააღმდეგის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებზე, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენდა წინსვლის დროს. არტილერია, ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით, იმ დროისთვის ბევრად უფრო რთული და გაუმჯობესებული იყო, ვიდრე 1914 წელს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ სხვადასხვა შეიარაღების მქონე და სხვადასხვა დანიშნულების ჯარებმა ისწავლეს ურთიერთქმედება, ყოველ შემთხვევაში, გულდასმით დაგეგმილ, მუდმივმოქმედი ინსტრუქციის მიხედვით წარმოებულ ოპერაციებში. მეთაურებს აღარ შეეძლოთ მხოლოდ ერთ ან ორ სახეობაზე დაყრდნობა ბრძოლაში, მათ უნდა მოეხდინათ კოორდინირება თითოეული ხელთარსებული საშუალებისა, რათა გადაელახათ ტრანშეების ჩიხური სიტუაცია.

ზემოთქმულის მიუხედავად, საფრანგეთის ტერიტორიაზე 1918 წელს განხორციელებულ შეტევების სერიას არასდროს მოუტანია ბრძოლის ველზე გარდამტეხი შედეგი და გერმანელები დამარცხდნენ უფრო მეტად გახანგრძლივებული დაუძლურების და დემორალიზების გამო, ვიდრე მოწინააღმდეგის მხრიდან რომელიმე გადამწყვეტი შეღწევის ან წარმატების განვითარების შედეგად. ამ განვითარების მაგალითად შეიძლება დასახელდეს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. ერთ-ერთი მათგანის დროს, 1918 წელს, ბრიტანულმა არმიამ შეაღწია მომზადებულ თავდაცვაში, და შემდეგ განავითარა ეს წარმატება, ხოლო საბოლოო შედეგებმა თავი იჩინეს პალესტინაში და არა საფრანგეთში, სადაც ბრიტანელებმა დაამარცხეს გერმანიის მოკავშირე თურქეთი. ეს გამარჯვება ცნობილი გახდა არმაგედონის ან მეგიდოს მეორე ბრძოლის სახელით, რადგან ის განვითარდა იმავე რაიონში, სადაც მოხდა ნამდვილი არმაგედონის ბრძოლა, ჩვ. წ. ა-მდე 1479 წელს.

ბრიტანული ჯარის მეთაურმა სერ ედმუნდ ალენბაიმ განავითარა განუხრელი წინსვლა ეგვიპტიდან პალესტინის გავლით, თურქების დამარცხების მიზნით, რომლებსაც მეთაურობდა გერმანელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი და თურქეთის არმიაშიც რამდენიმე გერმანული ქვედანაყოფი იყო. თურქეთის მთავრობამ თავისი რესურსები სადღაც სხვაგან გადაიყვანა, ასე რომ, 1918 წელს ბრიტანელებს თურქებზე ორჯერ მეტი ჯარი ჰყავდათ. შემდეგ ალენბაიმ კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა დეტალურად მოფიქრებული შეცდომაში შემყვანი გეგმის წყალობით, რომლის განხორციელების შედეგად თურქები დარწმუნდნენ, რომ ბრიტანელები შეტევას აპირებდნენ ფრონტის აღმოსავლეთით, იორდანიის დაბლობზე. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ მათ შეტევა წამოიწყეს დასავლეთიდან, ზღვის სანაპიროსთან ახლოს. ის ფაქტი, რომ ბრიტანელებს უზარმაზარი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, მნიშვნელობას არ უკარგავს არმაგედონის მეორე ბრძოლას გამოყენებული ტაქტიკური მეთოდებისა და მიღწეული სტრატეგიული მიზნების თვალსაზრისით.

სურ. 103 ოტო ლიმან ფონ სანდერსი (1855-1929). გენერალ-მაიორი, ოსმალეთის არმიის სარდალი სირია-პალესტინის ფრონტზე

ალენბაიმ ყველა ხელმისაწვდომი ელემენტი გამოიყენა არარეგულარული ჯარით დაწყებული - მოწინააღმდეგის ზურგის რაიონებში დივერსიული ქმედებებით დამთავრებული. კერძოდ, 1918 წლის 17 სექტემბერს, დაგეგმილ შეტევამდე ორი დღით ადრე, ცნობილმა თომას ლოურენსმა და არაბეთის პრინცმა ფეიზალიმ განახორციელეს შეტევების ტალღა თურქეთის რკინიგზის მიმართ, ყურადღების გადატანისა და საბრძოლო მოქმედებების ფრონტის იზოლირების მიზნით. სამეფო ავიაციის ძალებმა რამდენიმე დღით მწყობრიდან გამოიყვანეს თურქების კავშირგაბმულობის ხაზები. 19 სექტემბერს ბრიტანელმა ქვეითებმა წინ გადაადგილება დაიწყეს თხუთმეტწუთიანი საარტილერიო გადამღობი ცეცხლის უკან. ამ მოკლე მომზადებით მათ მიაღწიეს მოულოდნელობას და თავიდან აიცილეს ხმელეთის ზედაპირის დაზიანება. უფრო მეტიც, ჯარებისა და მარაგების თავმოყრის ხანგრძლივმა შეყოვნებებმა საშუალება მისცა ბრიტანეთისა და ბრიტანული თანამეგობრობის ქვეით ჯარს გაევლო წვრთნები და მიეღწია მოქნილობის მაღალი სტანდარტებისთვის. საფრანგეთში მიმდინარე კამპანიისაგან განსხვავებით, მოპოვებული წარმატების განმავითარებელ ძალებს არ უწევდათ ბრძოლაში ჩაბმის ნებართვის ლოდინი. ამის ნაცვლად, ერთმა ავსტრალიურმა და ორმა ბრიტანულმა საკავალერიო დივიზიამ დაიწყო ბრძოლა თითქმის მოიერიშე ქვეითებთან ერთად, მაშინვე განავითარეს რა წინასწარ დადგენილ მიზნებზე შეტევა. ასეთი დეცენტრალიზებული კონტროლის გამო, მე-4 საკავალერიო დივიზიამ შეასრულა განლაგების ხაზებში გავლა და დაიწყო წარმატების განვითარება იმ ოთხი საათის ფარგლებში, რაც სულ დასჭირდა საწყის შეტევას.

სურ. 104 სერ ედმუნდ ალენბაი(1861-1936). ბრიტანეთის არმიის ფელდმარშალი

კამპანიის ძირითად მიზნებს წარმოადგენდა ელ აფულთან და ბეისანთან არსებული სარკინიგზო კვანძების დაკავება, ფრონტიდან ორმოცი მილით უკან; მეორე რიგის მიზანი იყო ნაზარეთის აღება, სადაც გერმანულ-თურქული ჯარის შტაბი მდებარეობდა. ამ პუნქტების ხელში ჩაგდება მეწინავე თურქულ ქვედანაყოფებს მარაგების მიწოდების, მეთაურებთან კავშირისა და უკან დახევის გზებს მოუჭრიდა. მთავარი დავალება იყო კავალერიის მიერ კარმელის მთის სიმაღლეების სწრაფად გადავლა, რათა თურქებს ვერ მოესწროთ რეაგირება და გასასვლელი გზების ბლოკირება. ეს დავალება პირველივე საღამოს შესრულდა. მეორე დილას, მე-4 საკავალერიო დივიზიის ბრიგადა პირისპირ შეხვდა გაძლიერებულ თურქულ ქვეით ბატალიონს, რომელიც მარშით მიემართებოდა ნაგვიანევი ძალისხმევის განსახორციელებლად მუსმუსთან გასასვლელების ბლოკირების მიზნით. ჯავშანმანქანიდან გახსნილი ტყვიამფრქვევის ცეცხლისა და ცხენოსანი კავალერიის შუბების კომბინა-

ციამ თურქების ბატალიონი დაამარცხა ისე, რომ მათ საბრძოლოდ გაშლაც ვერ მოასწრეს. მთავარი შეტევის დაწყებიდან 25 საათის შემდეგ ბრიტანელების სხვა საკავალერიო ბრიგადამ ალყა შემოარტყა ნაზარეთს, რომელიც უკვე იზოლირებული და ძალაგამოცლილი იყო საავიაციო იერიშების შედეგად. მართალია, გერმანელმა მეთაურმა არეულობაში გაქცევა მოახერხა, მაგრამ ბრიტანელებმა ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის შტაბის მთელი დოკუმენტაცია. თურქეთის მეშვიდე და მერვე არმიები, რამდენიმე ასეული უშიშარი მებრძოლის გარდა, მასობრივად ტყვედ ჩაბარდნენ და მხოლოდ ნოემბერში დადებულმა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებამ შეაჩერა ბრიტანელების მიერ მათი განუწყვეტელი დევნა.

სურ. 105 თურქ მეტყვიამფრქვევეთა ასეული, სირია-პალესტინის ფრონტი

მეორე არმაგედონის მნიშვნელობას სამი მხარე ჰქონდა. პირველი: მან წარმოადგინა შეღწევიდან, ვიდრე თავდამცველი მოწინააღმდეგე რეაგირებას მოახერხებდა, დაუყოვნებლივ წარმატების განვითარებაზე და მოწინააღმდეგის დევნაზე გადასვლის იშვიათი უნარი. ამ წარმატების გასაღებს, დიდი რიცხობრივი უპირატესობის გარდა, წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ წარმატების განმავითარებელი ძალები არ ელოდებოდნენ ნებართვას ზემდგომი შტაბებიდან, არამედ ბრძოლაში ებმებოდნენ დივიზიის მეთაურების გადაწყვეტილებისა და წინასწარ მოფიქრებული და შეთანხმებული გეგმის შესაბამისად. მეორე: ალენბაიმ მთელი თავისი ძალები და შეიარაღება გამოიყენა ისე, რომ მათ მოქნილად და გაერთიანებულად (ინტეგრირებულად) ემოქმედათ, რისი შეხამებაც I მსოფლიო ომში მხოლოდ გერმანელებმა მოახერხეს. და ბოლოს: მეორე არმაგედონმა გავლენა იქონია ბრიტანელი კავალერიის ოფიცრების მთელ თაობაზე, რომელთაც ეს ბრძოლა მიაჩნდათ მობილურობის, სიღრმითი ბრძოლის ეტალონად. მას შემდეგ, რაც საფრანგეთში განხორციელებული ტრანშეების ომის ჩიხური სიტუაციით გამოწვეულმა იმედგაცრუებამ გაიარა, პალესტინაში მიღწეულმა წარმატებამ მოიტანა ოცნების ასრულების შეგრძნება. როცა ეს კავალერიის ოფიცრები ჯავსანსატანკო მეთაურები გახდნენ, მათ ხაზგასმით გამოყვეს მობილური, მსუბუქი ჯავშანმანქანების აუცილებლობა. შედეგად, ბრიტანელების ჯავშანსატანკო ნაწილების უმეტესობა 1939 წელს აღჭურვილი იყო შეუფერებელი (არადეკვატური) ქვემეხებით, ჯავშანტექნიკით და არ იყვნენ მზად სხვა საბრძოლო სახეობებთან ურთიერთქმედებისათვის.

ორგანიზაციული შედეგები

ქვეითი ბატალიონის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების გარდა, I მსოფლიო ომში შეიარაღებისა და ტაქტიკის სწრაფმა განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ტაქტიკური ქვედანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურა. ავტომატური იარაღის რაოდენობა ქვეით დივიზიაში გაიზარდა. 1914 წელს დადგენილი იყო ნორმა: 24 მძიმე ტყვიამფრქვევი, ხოლო 1918 წელს ჯამური მაჩვენებლები ასეთი იყო:

გერმანია - 144 ავტომატური შაშხანა და 54 -108 ტყვიამფრქვევი;

საფრანგეთი - 216 ავტომატური შაშხანა და 72-108 ტყვიამფრქვევი;

ბრიტანეთი - 192 ავტომატური შაშხანა და 64 ტყვიამფრქვევი;

იტალია - 288 ავტომატური შაშხანა და 72 ტყვიამფრქვევი;

ამერიკის შეერთებული შტატები - 768 ავტომატური შაშხანა და 260 ტყვიამფრქვევი.

არტილერია ვითარდებოდა თითქმის იმავე დრამატული სისწრაფით, თუმცა დამატებითი ქვემეხების უმეტესობა თავმოყრილი იყო არადივიზიურ ქვედანაყოფებში და მათი რაოდენობა დამოკიდებული იყო მხარდასაჭერი დივიზიის ამოცანაზე. ერთ-ერთი მთავარი გერმანელი ტაქტიკოსი გენერალი ვილჰელმ ფონ ბალკი ომამდე და ომის შემდეგაც ამბობდა:

,,არტილერიის პროპორციებთან დაკავშირებით შეკითხვა აღარ დაისმის ასე: ,,რამდენი ქვემეხია საჭირო ყოველ ათას კაცზე?" არამედ ის ასე უფრო ჟღერს: ,,რამდენი ქვეითი ჯარისკაცი იქნება საჭირო არტილერიის ცეცხლის შედეგად მოპოვებული წარმატების შემდგომი განვითარებისათვის?"... აღარ არსებობს ძირითადი სახეობები. ყველას თავისი გამოყენება აქვს და ყველა აუცილებელია."

უფრო რთულმა პრობლემებმა სხვა ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებებიც მოიტანა. მაგალითად, ფრანგებმაც და გერმანელებმაც აღმოაჩინეს, რომ დივიზიის ტრადიციული, კონსერვატიული სტრუქტურა, რომელშიც შედიოდა ორი ბრიგადა, თავიანთი ორ-ორი პოლკით, შეუფერებელი იყო პოზიციური ომისთვის. დიდი სიგანის ფრონტების გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელი იყო ასეთი ომისთვის, არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ გააჩნდა საკმარისი ცოცხალი ძალა და ქვედანაყოფები, რომ ორი პოლკის შემადგენლობის დივიზიები პირველ ხაზზე განელაგებინა, ხოლო ორი - მეორე ხაზზე. მეორე მხრივ, თუ სამი პოლკი იქნებოდა პირველ ხაზზე, ხოლო მეოთხე, როგორც საერთო რეზერვი, ორი ქვეითი დივიზიის მეთაურთაგან ერთი იქნებოდა ზედმეტი, უსაქმოდ დარჩებოდა. ამგვარად, გერმანელებმა ერთ დივიზიის მეთაურს ჩააბარეს მთელი ქვეითი ჯარის კონტროლი, და 1916 წელს ფრანგებმაც და გერმანელებმაც დივიზიაში ქვეითი პოლკების რაოდენობა ოთხიდან სამამდე შეამცირეს. ბრიტანელები ომში ჩაებნენ სამბრიგადიანი ძალთა სტრუქტურით, რომელიც შეინარჩუნეს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს, როცა ცოცხალი ძალის პრობლემა ძალიან სწრაფად დადგა, თვითონაც გაიზიარეს მოდელი და ბრიგადის სტრუქტურა შეამცირეს ოთხი ბატალიონიდან სამამდე. ამ შემცირებამ დამატებითი წვლილი შეიტანა ქვეითების სტრუქტურაში არტილერიის და სხვა ქვედანაყოფების პროპორციის გაზრდაში, თუმცა, გერმანელებმა თავიანთი არტილერიის ნაწილი არადივიზიურ ქვედანაყოფებში გადაიტანეს. ამგვარად, 1914 წელს ფრანგული ქვეითი დივიზია შედგებოდა 87 პროცენტით ქვეითებისაგან, 10 პროცენტი იყო არტილერია და 3 პროცენტი - მხარდამჭერი ელემენტები, ხოლო 1918 წლის ვერსია ასეთი იყო: 65% - ქვეითები, 27% არტილერია და 8% მხარდამჭერი.

სურ. 106 ვუდრო ვილსონი,
აშშ-ს პრეზიდენტი
1913-1921 წლებში

ამ ტენდენციას არ მიჰყვებოდა მხოლოდ ერთი - ამერიკის შეერთებული შტატების არმია, რომელიც არა მხოლოდ დაჟინებით იდგა ოთხ პოლკიან სტრუქტურაზე, არამედ, რეალურად, კიდეც გაზარდა ქვეით მსროლელთა ასეულები 1917 წლის განმავლობაში. მათ შედეგად მიიღეს დივიზია, რომლის სიდიდე მერყეობდა 24 ათასი ადამიანიდან 28 ათასამდე და მეტიც. ეს იყო გიგანტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო სიდიდის ევროპულ დივიზიაში შედიოდა 8 ათასი ადამიანი და ნაკლები. ფაქტიურად, ფრანგი და ბრიტანელი მეთაურები, რომლებიც ახორციელებდნენ კონტროლს ამერიკულ დივიზიებზე, უარს ამბობდნენ მათ გამოყენებაზე თავიანთი ჩანაფიქრის (დიზაინის) მიხედვით, ამის ნაცვლად კი განალაგებდნენ მათ ხაზობრივად - სამი პოლკით წინ, ხოლო მეოთხე - ან მეორე ეშელონში, ან კორპუსის რეზერვში. მაგალითისთვის, აშშ-ს 42-ე ქვეით დივიზიას დაევალა სექტორის თავდაცვა, რომელიც მანამდე დაკავებული ჰქონდა მთლიან ფრანგულ კორპუსს სამი დივიზიის შემადგენლობით. მაგრამ პრინციპში, ამერიკული სტრუქტურის დანიშნულება იყო ხანგრძლივი თავდასხმითი და თავდაცვითი მოქმედებების წარმოება, ტრანშეების ომისთვის დამახასიათებელი მაღალი დანაკარგის მიუხედავად. აშკარად გამოხატული ჩანაფიქრი იყო, რომ ამერიკული ბრიგადის მეთაურს, რომლის ერთი პოლკი იყო მოწინააღმდეგესთან კონტაქტში, ხოლო მეორე იმყოფებოდა უკან, შეეძლო თავისი პოლკების გადახტომებით გადაადგილება და ამგვარად, შეტევის შენარჩუნება თითქმის უსასრულოდ; ამგვარად ის გადაწყვეტილების მიღების ციკლისთვის განკუთვნილ დროს იგებდა და ამ დროში ცვლიდა იერიშისგან გადაღლილ ქვედანაყოფებს. მოკავშირეების ყველა ზემდგომი მეთაურისაგან განსხვავებით, ამ პოლკოვნიკს, ან ბრიგადის გენერალს დამხმარეები (ადიუტანტები) ცოტა ჰყავდა და თავისუფლება ჰქონდა მიცემული ემართა ჯარები წინა ხაზის ადგილმდებარეობებიდან. დივიზიის მეთაურისთვის ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ერთი რეზერვი - ორი ბატალიონისგან შემდგარი საინჟინრო პოლკი, რომელიც ხშირად ძალით იყო ჯარში გაწვეული, როგორც ქვეითი ქვედანაყოფი.

სურ. 107 აშშ-ს საექსპედიციო
კორპუსის მე-17 ბატალიონის შეტევა
გერმანელთა პოზიციებზე, 1918 წლის
15 ივლისი, დასავლეთის ფრონტი

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები ბევრი რამით განხვავდებოდნენ თავიანთი მოკავშირეებისაგან, I მსოფლიო ომის ყველა მონაწილე იქიდან ბევრი საერთო შთაბეჭდილებით გამოვიდა: უზარმაზარი პრობლემები ლოგისტიკისა და ცოცხალი ძალის მხრივ; დეტალური დაგეგმვის და კოორდინირების აუცილებლობა; წინსვლის სირთულე იმ შემთხვევაშიც კი, როცა ყველა სახეობის ძალები რეალურად მჭიდრო ურთიერთქმედებებს ახორციელებდნენ. ზედმიწევნით დაგეგმვისა და კონტროლის განხორციელების პირობებში, მოკავშირეებმა შეძლეს შეიარაღების ყველა სისტემა შეთანხმებულად გამოეყენებინათ, რითაც თითოეული მათგანის ეფექტიანობა გაიზარდა. გერმანელებმა აჩვენეს, რომ ყველა მეომარ მხარესთან შედარებით, მათ უკეთ შეძლეს ამ კომბინაციის მიღწევა და ახალი შეიარაღებისა და ტაქტიკის ყველაზე სწრაფად ამთვისებლები აღმოჩნდნენ.

სურ. 108 ომი დამთავრდა

თავი III
საქართველოს შეიარაღებული ძალები 1918 წელს, ბრძოლა ოსმალური ექსპანსიის წინააღმდეგ

1. თემის მოკლე შინაარსი:

მოცემული თემის ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს 1918-1919 წლებს. მიუხედავად ძალიან ხანმოკლე პერიოდისა, ძნელია უფრო მნიშვნელოვანი თარიღის დასახელება სამხედრო ისტორიის სფეროდან, ვიდრე 1918 წელი იყო. გლობალური სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდნენ, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის უკიდურესად რთული აღმოჩნდა ამ მოვლენების ადეკვატურად აღქმა, მათში სრულად გარკვევა და არსებული შედეგების ობიექტურად შეფასება.

მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სახე რამდენჯერმე შეიცვალა. რუსეთის იმპერიის ამ ყოფილ ნაწილში ათწლეულობით დაგროვილმა ნაციონალურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, იდეოლოგიურმა, ტერიტორიულმა და ყველა სხვა სახის გადაუჭრელმა პრობლემამ სწორედ ამ წელს იფეთქა განსაკუთრებული ძალით, რაც ამიერკავკასიის ხალხთა სისხლიან დაპირისპირებებში გამოიხატა. ამ მოვლენებს განსაზღვრავდნენ რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები. საუბარი I მსოფლიო ომს ეხება, რომლის მიმდინარეობის ფონზე კალეიდოსკოპური სისწრაფით ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და მთავრობები, გამალებით იქმნებოდნენ ეროვნული შეიარაღებული ძალები, მყარდებოდნენ და უმალ ირღვეოდნენ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები და კავშირები, ღია თუ ფარული ალიანსები. რეგიონის გადაუჭრელმა ეთნო-ტერიტორიულმა

და იდეოლოგიურმა პრობლემებმა კი მრავალ ლოკალურ დაპირისპირებასა და ომს დაუდეს სათავე.

შესასწავლი თემა ერთდროულად და ერთი და იმავე სიღრმით მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო-პოლიტიკურ და წმინდა სამხედრო საკითხებს. საერთო ჯამში, სწორედ ამ სამი დიდი ფაქტორის ზედდებამ განსაზღვრა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა - საქართველომ თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა.

უნდა ითქვას, რომ ოტომანთა იმპერიის სამხედრო-სამთავრობო ტრიუმვირატმა, ე.წ. ,,ახალგაზრდა თურქებმა" (სამხედრო მინისტრი - ისმაილ ენვერ ფაშა, სამხედრო-საზღვაო მინისტრი - აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი - მეჰმედ თალაათ ფაშა) და მისმა მთავარმა მოკავშირემ, კაიზერის გერმანიის სამხედრო სარდლობამ (გენერალი ლიმან ფონ სანდერსი), კავკასიის ფრონტის საომარი ოპერაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ჯარების საბრძოლო მზადყოფნისა და ლოგისტიკის საკითხებში აშკარად წააგო პაექრობა რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან (ფრონტის სარდალი - მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, ფრონტის შტაბის უფროსი - გენერალი ნიკოლოზ იუდენიჩი). სწორად დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციების შედეგად რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა 1915-1917 წლებში ოტომანთა იმპერიის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები _ არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი, ბაიბურთი დაიკავეს. გავიდნენ მუშთან, ბითლისთან და სტრატეგიული პლაცდარმი შექმნეს ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე გასასვლელად. ამავე დროს, ფაქტიურად ზურგში მოექცნენ მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ თურქეთის მე-6 არმიას (სარდალი ჰალილ ფაშა ქუთი) და მისი შენაერთები იზოლაციისა და სრული გარშემორტყმის საშიშროების წინაშე დააყენეს. რუსეთ-თურქეთს შორის ისტორიული დაპირისპირების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს იყო რუსული სამხედრო შენაერთების ყველაზე უფრო ღრმა შეჭრა (250კმ-დე) ოსმალთა იმპერიის ტერიტორიებზე.

პეტერბურგში მომხდარმა ბოლშევიკურ-ავანტიურისტულმა გადატრიალებამ კი სულ სხვა მიმართულება მისცა I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში ალბათ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური და ანტიეროვნული ლოზუნგი: ,,გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!," რამაც შეუქცევადი პროცესების დაწყება გამოიწვია მსოფლიო ომის ფრონტებზე.

1918 წლის 3 მარტს რუსეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის რუსეთისათვის სამარცხვინო, კაპიტულანტურ, ამიერკავკასიისათვის კი აბსოლუტურად მიუღებელ შეთანხმებას, რომლის ძალითაც, იგნორირება გაუკეთა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ ინტერესებს, საბჭოთა რუსეთმა იურიდიულად აღიარა არდაგანის (არტაანი), ყარსის, არზრუმის რაიონები და ბათუმი თურქეთისათვის გადაცემის ფაქტი. კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა მკვეთრად დაიძაბა. ფაქტია, რომ შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით თურქთა მიერ აუცილებლად დაიწყებოდა დიდი შეტევითი ოპერაციის მომზადება აღმოსავლეთის მიმართულებაზე.

ცარიზმის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიასთან მიმართებაში იქმნება ხელისუფლების ორგანოები - 1917 წლის 9 მარტს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (,,ოზაკომი"), რუსეთის დუმის წევრის ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით. 1917 წლის 11 ნოემბერს, ბოლშევიკთა მიერ რუსეთში ხელისუფლების მოპოვების შემდეგ კი თბილისში ყალიბდება ამიერკავკასიის

კომისარიატი (სეიმი), თავმჯდომარე - ნიკოლოზ ჩხეიძე. 1918 წლის 22 აპრილს იქმნება ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, ანუ ამიერკავკასიის ფედერაცია, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით, მთავრობის თავმჯდომარე - აკაკი ჩხენკელი.

ფაქტობრივად დაშლილი კავკასიის ფრონტის შესანარჩუნებლად დაიგეგმა ე.წ. ,,ამიერკავკასიის ინტერნაციონალური არმიის" შექმნა, რომელიც სომხური და ქართული კორპუსებისაგან უნდა შემდგარიყო. სწორედ აქედან იწყება ქართული შეიარაღებული ძალების შექმნის პროცესიც. რეგულარულ ქვედანაყოფებთან პარალელურად, 1917 წლის ბოლოს იქმნება ამიერკავკასიის ,,წითელი გვარდია," როემლსაც მოგვიანებით ,,სახალხო გვარდია" ეწოდა.

1918 წლის დასაწყისისათვის ოსმალთა მე-3 არმია იწყებს საბრძოლო მოქმედებებს აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. დაწყებული სამხედრო კონფლიქტის პოლიტიკური დაერეგულირების მიზნით დაპირისპირებულ მხარეებს შორის ტრაპიზონში იწყება სამშვიდობო მოლაპარაკებები, რომელიც მალე წყდება. კავკასიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, უილიამ ალენის მიხედვით - ,,ძალიან გასაკვირი იქნებოდა, რომ ენვერ ფაშას ,,ახალგაზრდა თურქთა" მთავრობას არ ესარგებლა რუსეთის რევოლუციით და არ გამოეყენებინა ეს შანსი პანთურანული იდეის ფრთაშესხმისათვის კავკასიასთან მიმართებაში..." და მართლაც, შეტევაზე გადმოსული ოსმალთა მე-3 არმიის შენაერთები მოკლე ხანში ახდენენ ერზინჯანისა და არზრუმის ოკუპაციას. მალე კი იკავებენ ყარსს, ალექსანდროპოლისსა და ტრაპიზონს. ტრაპიზონში დაწყებული მოლაპარაკებების შემდეგი რაუნდი უკვე ბათუმში გრძელდება 1918 წლის 21 მაისს, მაგრამ თურქები მალე ართვინსა და ბათუმს, ოდნავ მოგვიანებით კი - ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებსაც იკავებენ.

ჩოლოქი-ნატანების ხაზზე ქართული ქვედანაყოფები გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით, სწორად დაგეგმილი და აღსრულებული თავდაცვითი ოპერაციის შედეგად ახერხებენ ოსმალთა წინსვლის შეჩერებას, რითაც საბოლოოდ იქნა აღკვეთილი საქართველოს ტერიტორიებზე მათი შემდგომი სამხედრო ექსპანსია. თემაში ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე განვიხილავთ სწორედ ამ ორ ბრძოლას - ბათუმის დაცვას და ჩოლოქი-ნატანების ბრძოლას. გავავლებთ გარკვეულ პარალელებს მათ შორის. განვიხილავთ და გავაანალიზებთ ამ ბრძოლების როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებს სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეებზე.

წარმოქმნილი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისის ფონზე ამიერკავკასიის ფედერაცია იშლება და ამიერკავკასიაში სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩნდება - საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკები. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე, 1918 წლის 27 მაისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №1 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ამიერკავკასიის არმიის ყოფილი სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე ინიშნება... იქმნება საქართველოს სამხედრო სამინისტრო და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი.

ამ პერიოდის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა გერმანიის მიერ საქართველოზე პროტექტორატის აღება და მათ შორის სამთავრობო ხელშეკრულების გაფორმება 1918 წლის 28 მაისს.

ქართულ-გერმანული ხელშეკრულების საფუძველზე 1918 წლის ივნისში საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული საოკუპაციო ჯარების კონტიგენტი შემოდის გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრეზენშტაინის სარდლობით. თემის შესწავლისას განვიხილავთ ქართულ-გერმანული ურ-

თიერთობების ისტორიულ და სამხედრო-პოლიტიკური ასპექტებს, გერმანულ ფაქტორს საქართველოს პირველი რესპუბლიკის სინამდვილეში.

ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციასა და თურქეთის წარმომადგენელებს შორის 1918 წლის 21 მაისს ბათუმში დაწყებული მოლაპარაკებები მხოლოდ 4 ივნისს დასრულდა. ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის საზავო ხელშეკრულებას ოტომანთა იმპერიას ერთის მხრივ და უკვე სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებს შორის, მეორეს მხრივ. ახალმა ხელშეკრულებამ განსაზღვრა თურქეთსა და ახლადშექმნილ სახელმწიფოებს შორის გამავალი ახალი სასაზღვრო ხაზიც, რომლის ძალითაც სომხეთმაც და საქართველომაც თავისი ისტორიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს.

გერმანულ-ქართული ქვედანაყოფების ერთობლივი ძალისხმევით აღკვეთილ იქნა ოსმალთა შემდგომი წინსვლა თბილისის მიმართულებით სანაინი-წითელი ხიდის მიდამოებში. საბოლოოდ კი, თურქულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს და მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიები დაიკავეს, სახელდობრ - სოფლები: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარა-ქენდი, შემდეგ ალექსანდროპოლისის რკინიგზის 117-ე ვერსი ქობერსა და ქოლაგერანს შორის, სოფელ მარცამდე და ლორუთამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თურქთა აგრესია აღკვეთილ იქნა და შესაბამისად იგი ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს, რომლებიც შემდეგ პუნქტებში განლაგდნენ: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდარბეკი, მღართი, ქობერის ასაქცევი, წათერი და ქორინჯი. ამ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად - პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი.

თემის შესწავლისას, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, გაანალიზებული იქნება დაპირისპირებულ მხარეთა ძირითადი სტრატეგიები, სამხედრო ხელოვნების კუთხით მნიშვნელოვანი ტაქტიკური სიახლეები.

2. სწავლების მიზნები:

სწავლების საბოლოო მიზანი

მოქმედება: შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას ამიერკავკასიაში განვითარებული მოვლენები I მსოფლიო ომის მიმდინარეობის ფონზე 1918 წელს და 1919 წლის შუა პერიოდამდე; საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და საბრძოლო მოქმედებები თურქთა შეიარაღებული ექსპანსიის წინააღმდეგ, გერმანული ფაქტორის არსებობა საქართველოს I რესპუბლიკის სინამდვილეში.

პირობა:

- აქტიური, საუდიტორიო დისკუსია;
- წაიკითხეთ მოწოდებული მასალა და მითითებული ლიტერატურა, შეისწავლეთ და გაიაზრეთ განსახილველი პერიოდი და მიმდინარე გლობალური მოვლენების ფონზე გააანალიზეთ საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესი, ქართული ჯარის საბრძოლო მოქმედებები.

სტანდარტი:

1. არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი.
2. სამხედრო ხელოვნების ძირითადი ასპექტების ანალიზი.

სწავლების დონე:

შემეცნებითი: ცოდნა, ანალიზი.

3. მსმენელის დავალებები:

წაიკითხეთ:

1. გიორგი მაზნიაშვილი. მოგონებანი 1917-1925. ბათუმი. 1990. გვ. 3-59.
2. გიორგი კვინიტაძე. მოგონებები. თბილისი. 1998. გვ. 3-64.
3. ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი; თბილისი. 2007. გვ. 103-164.

დამატებითი მასალა:

1. საქართველოს სამხედრო ისტორია, ტ. II, თბ., 2013 წ.

მზად იყავით სააუდიტორიო დისკუსიისა და შემდეგი საკითხების განსახილველად:

1. კავკასიის ფრონტზე არსებული ოპერატიული მდგომარეობა 1917 წლის ბოლოს.
2. ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში და მისი ზეგავლენა I მსოფლიო ომის მსვლელობაზე.
3. ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და ამიერკავკასია.
4. თურქული შეიარაღებული ექსპანსიის დასაწყისი ამიერკავკასიაში.
5. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.
6. რომელმა ძირითადმა მოვლენებმა და ფაქტორებმა განაპირობეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა?
7. საქართველოს შეიარაღებული ძალები 1918 წელს.
8. საბრძოლო მოქმედებები თურქთა წინააღმდეგ - ბათუმის დაცემა, ჩოლოქის ბრძოლა და ბრძოლა წითელ ხიდთან.
9. ყარსის რესპუბლიკა, ახალციხის განთავისუფლება და არდაგანის ოპერაცია.

ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები თურქული და ისლამური შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ 1918-1919 წლებში

ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი არჩილ ჩაჩხიანი[1]

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. ძნელია უფრო მნიშვნელოვანი თარიღის დასახელება მსოფლიო ისტორიის სფეროდან, ვიდრე 1918 წელი იყო. ამ პერიოდში გლობალური სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის უკიდურესად რთული აღმოჩნდა ამ მოვლენების ადეკვატურად აღქმა, მასში სრულყოფილად გარკვევა და შედეგების ობიექტურად შეფასება. მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სახე რამდენჯერმე შეიცვალა. რუსეთის იმპერიის

[1] ა. ჩაჩხიანი, *საქართველოს სამხედრო ისტორია*, ტ. II. თბ., 2013 წ.

ამ ყოფილ ნაწილში ათწლეულობით დაგროვილმა ნაციონალურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, იდეოლოგიურმა, ტერიტორიულმა და ყველა სხვა სახის გადაუჭრელმა პრობლემამ სწორედ ამ წელს იფეთქა განსაკუთრებული ძალით, რაც ამიერკავკასიის ხალხთა სისხლიან დაპირისპირებებში გამოიხატა. კალეიდოსკოპური სისწრაფით ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და მთავრობები, გამალებით იქმნებოდნენ ეროვნული შეიარაღებული ძალები, მყარდებოდნენ და უმალ ირღვეოდნენ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები და კავშირები, ღია თუ ფარული ალიანსები. რეგიონის გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული და იდეოლოგიური პრობლემები კი მრავალი ლოკალური დაპირისპირებისა და ომის მიზეზად იქცა.

I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის პოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრებისა და მიზეზების კვლევას უამრავი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა, სადაც რუსეთ-თურქეთის ისტორიული დაპირისპირების ფონზე საფუძვლიანადაა გაშუქებული ყველა დასახელებული საკითხი. ამ რაკურსში ვიტყვით მხოლოდ ერთს - მეფის (ცარისტული) რუსეთისა და ოსმალეთის (ოტომანთა) იმპერიების საუკუნეობრივმა მტრულმა დამოკიდებულებამ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით პიკს მიაღწია.

სურ. 109 მეჰმედ V, ოსმალეთის
სულთანი 1909-1918 წლებში

ოსმალთა იმპერიის სამხედრო-სამთავრობო ტრიუმვირატმა (სამხედრო მინისტრი - ისმაილ ენვერ ფაშა, სამხედრო-საზღვაო მინისტრი - აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი - მეჰმედ თალაათ ფაშა) და მისმა მთავარმა მოკავშირემ, კაიზერის გერმანიის სამხედრო სარდლობამ (გენერალი ლიმან ფონ სანდერსი) კავკასიის ფრონტის საომარი ოპერაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ჯარების საბრძოლო მზადყოფნისა და ოპერაციების აღსრულების თვალსაზრისით რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან პაექრობა აშკარად წააგო (ფრონტის სარდალი - მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, ფრონტის შტაბის უფროსი - გენერალი ნიკოლოზ იუდენიჩი).

სურ. 110 მეჰმედ თალაათ ფაშა (1874-1921).
ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე

სურ. 111 ისმაილ ენვერ ფაშა(1881-1922).
ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და
პოლიტიკური მოღვაწე

სურ. 112 აჰმედ ჯემალ
ფაშა(1872-1922). ოსმალეთის
იმპერიის სამხედრო და
პოლიტიკური მოღვაწე

სწორად დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციების შედეგად რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა 1915-1917 წლებში ოტომანთა იმპერიის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები - არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი და ბაიბურთი დაიკავეს. გავიდნენ მუშთან, ბითლისთან და

სტრატეგიული პლაცდარმი შექმნეს ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე გასასვლელად. ამავე დროს, ფაქტობრივად, ზურგში მოექცნენ მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ თურქეთის მე-6 არმიას (სარდალი გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი) და მისი შენაერთები იზოლაციისა და გარშემორტყმის საშიშროების წინაშე დააყენეს. რუსეთ-თურქეთს შორის ისტორიული დაპირისპირების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს იყო რუსული სამხედრო შენაერთების ყველაზე უფრო ღრმა შეჭრა (250კმ-დე) ოსმალთა იმპერიის ტერიტორიაზე. მაგრამ პეტერბურგში მომხდარმა ბოლშევიკურ-ავანტიურისტულმა გადატრიალებამ სულ სხვა მიმართულება მისცა I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას.

სურ. 113 რუსეთის არმიის ქვეითები შეტევაზე,
კავკასიის ფრონტი

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური და ანტიხალხური ლოზუნგი: ,,გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“

,,კლასთა ბრძოლის,“ ,,პროლეტარიატის დიქტატურის,“ ,,კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა“ და ,,მსოფლიო პროლეტერული რევოლუციის“ თეორიებით შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიკური მთავრობისა და მისი მეთაურის - ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის მოწოდებით 1917 წლის ბოლოდან დაიწყო I მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასობრივად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადაყვანა. თუმცა ამ მოწოდებას სამხედრო მეთაურთა ნაწილი არ დაემორჩილა და ბოლშევიკურ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

1917 წლის 9 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთის, მეორე მხრივ კი გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის მონაწილეობით დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთის ომიდან გამოსვლის თაობაზე. საბჭოთა მხარეს ა. იოფე ხელმძღვანელობდა. 15 დეკემბერს მოლაპარაკებები შეწყდა, მაგრამ მალევე განახლდა. ამჯერად საბჭოთა დელეგაციას რუსეთის საგარეო საქმეთა (მოგვიანებით - სამხედრო საქმეთა) სა-

ხალხო კომისარი ლევ ბრონშტეინ-ტროცკი ჩაუდგა სათავეში. ტროცკიმ უარი განაცხადა ხელშეკ-რულების ხელმოწერაზე, შედეგი - ,,არც ომი, არც მშვიდობა".



სურ.114 ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენცია. 1918 წლის მარტი

1918 წლის 3 მარტს რუსეთის დელეგაციამ, ამჯერად გ. სოკოლნიკოვის ხელმძღვანელობით, ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის რუსეთისათვის სამარცხვინო, კაპიტულანტურ, ამიერკავკასი-ისათვის კი აბსოლუტურად მიუღებელ შეთანხმებას, რომლის ძალითაც, იგნორირება გაუკეთა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ ინტერესებს, საბჭოთა რუსეთმა იურიდიულად აღია-რა ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების თურქეთისათვის გადაცემის ფაქტი. ჩვენთ-ვის საინტერესო პუნქტებს კი ასეთი სახე ჰქონდა:

,,პრეამბულა:

გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, ბულგარეთი და თურქეთი ერთი მხრივ, ხოლო რუსეთი მეო-რე მხრივ ვაცხადებთ, რომ საომარი მოქმედებების საგანი ჩვენს შორის ამოწურულია. აქედან გა-მომდინარე, ვიღებთ გადაწყვეტილებას ამ მომენტიდან ვიცხოვროთ მშვიდობასა და ურთიერთ-პატივისცემაში.

მუხლი IV

§ 2. რუსეთი ვალდებულია აღმოსავლეთ ანატოლიიდან დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები და დაუბრუნოს იგი მის კანონიერ მფლობელს - თურქეთს.

§ 3. არდაგანის, ყარსის, არზრუმის რაიონები და ბათუმი, ასევე, დაუყოვნებლივ უნდა განთავი-სუფლდეს რუსული ჯარებისაგან. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს აღნიშნული რაიონების ეროვნულ და საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პრეროგატივაა. რეორგა-ნიზაციები ამ რეგიონში უნდა გააგრძელონ მეზობელმა ქვეყნებმა და განსაკუთრებით თურქეთმა.

მუხლი XIV

წარმოდგენილი მოლაპარაკება რატიფიცირებულ უნდა იქნას შემლებისდაგვარად სწრაფად ბერლინში წარსადგენად. რუსეთი იღებს ვალდებულებას, სამთა კავშირის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნისთანავე, ორი კვირის განმავლობაში მოახდინოს დოკუმენტის რატიფიცირება. მოლაპარაკება ძალაში შედის რატიფიცირებისთანავე.“

ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა დროებით, მცირე ხნით და დიდი დანაკარგების ფასად, მაგრამ მაინც მოაგვარა საგარეო პრობლემები. ამით მას შესაძლებლობა მიეცა, გაეგრძელებინა ბრძოლა ,,ოქტომბრის მონაპოვრების“ განმტკიცებისა და განვრცობისათვის.

ცარიზმის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიასთან მიმართებაში შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები - 1917 წლის 9 მარტს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (,,ოზაკომი“) რუსეთის სათათბიროს წევრის ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით. 1917 წლის 11 ნოემბერს, ბოლშევიკთა მიერ რუსეთში ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი (სეიმი) ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

სურ. 115 თვითმფრინავის გადატანა ავტომანქანით. კავკასიის ფრონტი, 1916 წ.

კავკასიის ფრონტზე, ისევე როგორც I მსოფლიო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე, ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო და მორალურ მდგომარეობაზე. დაიწყო უმართავი პროცესები: ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, გაუთავებელი მიტინგები, ბოლშევიკური აგიტაცია, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის საწესდებო ურთიერთობების მოშლა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, დეზერტირობა, ოკუპირებული ტერიტორიებისა და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, სისხლიანი ანგარიშსწორებები. ასობით და ათასობით ჯარისკაცმა მასობრივად დაიწყო ფრონტების მიტოვება და რუსეთში დაბრუნება რევოლუციური მონაპოვრების დაცვის საბაბით.

სურ. 116 ილია ოდიშელიძე (1865-1925). ინფანტერიის გენერალი, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე

კავკასიის ფრონტმაც დაშლა დაიწყო. მთელი რუსეთი და ამიერკავკასია ქაოსმა მოიცვა.

1917 წლიდან კავკასიის ფრონტის სარდლის თანამდებობა ნომინალურად ეროვნებით რუს გენერლებს, ჯერ პრჟევალსკის, შემდეგ კი ლებედინსკის ეკავათ, მაგრამ რეალური ძალაუფლება ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ქართველ გენერალს, ილია ოდიშელიძეს ჰქონდა მინიჭებული.

ფრონტის ხაზის შენარჩუნებისათვის კავკასიის ფრონტის სარდლობის წინაშე ეროვნულ პრინციპზე აგებული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანა დადგა. კავკასიის არმიის სარდლობა საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა.

ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესიც კავკასიის ფრონტზე და მთლიანად რეგიონში განვითარებული პროცესების პარალელურად ვითარდებოდა. საერთო ქაოსთან საბრძოლველად და წესრიგის უზრუნველსაყოფად, 1917 წლის ბოლოს შეიქმნა ,,საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია," რომლის მთავარ დანიშნულებას კავკასიის ფრონტიდან დაძრული რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცთა მასებისაგან თბილისის დაცვა წარმოადგენდა. მოგვიანებით მას წითელი, შემდეგ სახალხო გვარდია ეწოდა. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა და მისი სამეთაურო შემადგენლობაც ამ პარტიის აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული.

სურ. 117 ვალიკო ჯუღელი(1887-1924). პირველი რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გამოირჩეოდა პირადი მამაცობით

გვარდიის უმაღლეს მმართველ ორგანოს მთავარი შტაბი წარმოადგენდა, რომელსაც უცვლელად სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში. გვარდია პოლიტიზირებული, ფაქტობრივად, ერთპარტიულობის პრინციპზე აგებული პრეტორიანული შენაერთი იყო და მისი პირადი შემადგენლობის იდეოლოგიაც, როგორც რიგითი, ისე სამეთაურო შემადგენლობისა, გასაგები მიზეზების გამო სოციალისტური და ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნული. გვარდიას გააჩნდა რეგიონალური შტაბები, მუდმივი ნაწილები და დროებითი მობილიზაციის რაზმები.

ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს: ,,ქართული საარმიო კორპუსის ბირთვი 1917 წლის ბოლოს ფრონტიდან დაბრუნებული ორი ქართული პოლკი (ერთი ქვეითი, ერთი საკავალერიო) და ქუთაისში შემდგარი ერთი სათადარიგო ბატალიონი (ათასეული) უნდა გამხდარიყო."

საერთო ჯამში, ორგანიზაციულად, ქართული კორპუსი დივიზიურ-პოლკური სტრუქტურით, სამი ქვეითი დივიზიით განისაზღვრა. ქვეითი პოლკების პირადი შემადგენლობა 1200-1500 კაცს შეადგენდა. ქართული კორპუსის სარდლად თავდაპირველად სახელოვანი გენერალი ვასილ გაბაშვილი დაინიშნა.

სურ. 118 ვასილ გაბაშვილი(1853-1933). გენერალ-
ლეიტენანტი, სამხედრო მოღვაწე

I ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქუთაისში, ხოლო II დივიზიისა - აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით თბილისში. 1918 წლისათვის მათ შესაბამისად, გენერლები, გ. არჯევანიძე და გ. მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

ოსმალთა სამხედრო აგრესიის დასაწყისი

I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე თურქებს მე-3 არმია ჰყავდათ გაშლილი. 1916-1917 წლებში არმიამ რეორგანიზაცია განიცადა. მას სათავეში გენერალი მეჰმედ ვეჰიფ ფაშა ჩაუდგა. შემადგენლობა:

პირველი კავკასიური კორპუსი (მე-9, მე-10, 36-ე დივიზიები);

მეორე კავკასიური კორპუსი (მე-5, მე-11, 37-ე დივიზიები);

პირადი შემადგენლობა - 45 000 კაცი, არტილერია - 160 ქვემეხი.

1917 წლის 17 ნოემბერს გენერალმა პრჟევალსკიმ ვეჰიბ ფაშასაგან მიიღო წინადადება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების შესახებ. ვეჰიბ ფაშას ეს წინადადება ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და დაადგინა მიეღო ოსმალთა წინადადება. დროებითი ზავის დადების მიზნით მოსალაპარაკებლად ერზინჯანში ამიერკავკასიის წარმომადგენლობითი დელეგაცია გაემგზავრა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასია იწყებდა რუსეთისაგან დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას თურქეთთან და იქმნებოდა პრეცედენტი საერთაშორისო არენაზე ახალი პოლიტიკური სუბიექტის გამოჩენისა. ამ მხრივ ოსმალებისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა იქმნებოდა. ოსმალეთის მოპირის-

პირედ აღმოჩნდა სამხედრო თვალსაზრისით სუსტი და პოლიტიკურად არამყარი ძალა. 1917 წლის 5 დეკემბერს ერზინჯანში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება დაიდო.

სურ. 119 სანგარსავალი, კავკასიის ფრონტი, 1917 წ.

ოსმალეთის პოლიტიკის სტრატეგიული ჩანაფიქრი ამიერკავკასიისათვის ,,დამოუკიდებლობის" ფარდის შექმნას ითვალისწინებდა, რათა ამ ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ სუბიექტთან მოლაპარაკება საერთაშორისო სამართლის ნორმებით ,,კანონიერი" ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ოსმალეთი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა მოლაპარაკების დაწყებასა და საბოლოო შეთანხმებებისთვის მისთვის მისაღები პირობებით მიღწევას, ვინაიდან წინააღმდეგობის გამწევი რეალური პოლიტიკური ძალა მას არ ეგულებოდა. მოვლენების განვითარებამ ოსმალთა ეს სტრატეგიული ვარაუდი დაადასტურა. 1918 წლის 1 იანვარს გენერალმა ილია ოდიშელიძემ მიიღო ვეჰიბ ფაშას წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთი ამიერკავკასიას განიხილავდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ენვერ ფაშას სახელით ითხოვდა, განემარტათ, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ამიერკავკასიის მთავრობასთან.

სურ. 120 ოსმალეთის არმიის გენერალი და ოფიცერი

1917 წლის ბოლოდან კავკასიის ფრონტი ფაქტობრივად დაშლილი იყო და ნომინალურად სომხური და ქართული კორპუსებისაგან შედგებოდა. სომხურ კორპუსს ეკავა ძალიან გაწელილი ფრონტის ხაზი ვანის ტბა-ერზინჯანი-ტრაპიზონის დასავლეთით, ხოლო ქართველებს - ლაზეთის შავიზღვისპირეთის უბანი.

გასაკვირი იქნებოდა, რომ ენვერ ფაშას ,,ახალგაზრდა თურქთა" მთავრობას არ ესარგებლა რუსეთის რევოლუციით და არ გამოეყენებინა ეს შანსი პან-თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის კავკასიასთან მიმართებაში.

კავკასიის ფრონტის სარდლობა არ იყო მზად და უნარიც აღარ შესწევდა ეფექტურად წინ აღდგომოდა თურქული შენაერთების გარდაუვალ წინსვლას. აღმოსავლეთისაკენ სვლა და თურქული ექსპანსია კი ოტომანთა იმპერიისათვის გარკვეული კომპენსაცია უნდა ყოფილიყო მესოპოტამიის ფრონტზე არაბული მიწების დაკარგვის სანაცვლოდ.

ოტომანთა მხრიდან აღმოსავლეთის მიმართულებაზე შეტევითი მოქმედებების დაწყების საბაბად კი თურქეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არზრუმსა და ერზინჯანში, სომხური კორპუსის ქვედანაყოფებისა და პარტიზანული რაზმების მოქმედებები იქცა, კერძოდ: ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი ძარცვა, ანგარიშსწორებები, დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა.

ვეჰიფ ფაშამ რამდენჯერმე გააპროტესტა სომხური ქვედანაყოფებისა და შეიარაღებული ბანდების მიერ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის სისხლიანი დარბევები და 1918 წლის 5 თებერვალს დაიწყო მე-3 არმიის შენაერთების შეტევითი ბრძოლები აღმოსავლეთის მიმართულებაზე. მე-5 და 36-ე დივიზიებმა სწრაფად შეძლეს ერზინჯანის ოკუპაცია, მალე კი სომხური კორპუსის ნაწილებმა ბაიბურთი და არზრუმი დატოვეს.

სურ.121 მეჰმედ ვეჰიბ ფაშა(1877-1940). ოსმალეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი

17 თებერვალს მეჰმედ ფაშამ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა გენერალ ოდიშელიძეს: ,,საფრონტო გზავნილი №15251, 17 თებერვალი, 1918 წელი. გენერალ ოდიშელიძეს.

კავკასიის არმიისა და ჩემი სახელით ვაცხადებ, რომ ჩემს მოვალეობად ვთვლი წინ აღვუდგე უდანაშაულო მუსლიმანი მოსახლეობის განადგურებას.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

მისი ბრწყინვალება გენერალი ვეჰიფ ფაშა, ოტომანთა კავკასიის არმიის სარდალი".

საომარი მოქმედებების შეჩერებაზე მოლაპარაკებები ამიერკავასიის მთავრობასა და ოსმალთა წარმომადგენლებს შორის ტრაპიზონში დაიწყო, რომელიც მალე ჩიხში შევიდა. ოტომანთა არმიის მე-2 კორპუსმა თებერვლის ბოლოს ტრაპიზონიც აიღო, რომელსაც დემორალიზებული ქართული კორპუსის ქვედანაყოფები იცავდნენ.

ძალთა გადაადგილება, განლაგება, შეიარაღება. ოსმალთა წარმატებული სვლა გრძელდებოდა. ტრაპიზონის აღების შემდეგ შეტევითი მოქმედებები ორი, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის მიმართულებებზე განვითარდა. ვეჰიბ ფაშა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებასა და ყარსის, არდაგანისა (არტაანი) და ბათუმის დაცლას მოითხოვდა. ოსმალთა ჯარის შემოტევის პარალელურად აქტიურად ამოქმედდა სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობა - დაიწყო მოხალისეთა ე.წ. ,,ჩეთეს" რაზმების ჩამოყალიბება. მათ იარაღითა და ოფიცრებით ოსმალეთი ეხმარებოდა. ოსმალები სწრაფად მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგის შეტევის ძირითადი მიმართულება ბათუმი იყო, რომელსაც 4.000-მდე ოსმალო და 2.000-მდე მოლაშქრე უტევდა ,,ჩეთეს" რაზმებიდან. ფრონტის ამ მიმართულებაზე ოსმალების პირისპირ განთავსებულნი იყვნენ ქართული სამხედრო ფორმირებები, ბათუმის ციხესიმაგრე თავისი ფორტებით: ,,ანარია," ,,სამება," ,,კახაბერი," ,,ერგე," ,,ბარცხანა," ,,ბურუნთაბიე," ,,სტეფანოვკა" და სხვა. მთელი ეს სისტემა ერთიან გამაგრებულ რაიონს წარმოადგენდა. ციხესიმაგრის ფორტებზე 70-მდე ქვემეხი იყო განლაგებული.

1918 წლის მარტის დამლევს ბათუმის მისადგომებს იცავდნენ არასრულად დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილები - მესამე ცხენოსანი პოლკის ერთი ასეული, მეოთხე ქვეითი პოლკის სამი ასეული, გვარდიული რაზმი კაპიტან გ. აფხაზავას მეთაურობით, 250-კაციანი ოფიცერთა რაზმი პოდპოლკოვნიკ ა. დევიძის მეთაურობით, ბათუმის პოლკის ორი არასრული ასეული _

სულ 80 კაცი; მეხუთე ქვეითი პოლკის ორი არასრული ასეული ოთხი ტყვიამფრქვევით პოლკოვნიკ გ. შერვაშიძის მეთაურობით ზღვიდან იცავდა ბათუმს. 1918 წლის მარტისთვის ბათუმის ნავსადგურში რეიდზე იდგნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხედრო სანაოსნო საშუალებები, რომლებიც ამიერკავკასიის მთავრობის კუთვნილებად გამოცხადდა. ესენი იყვნენ: დამხმარე კრეისერი ,,კაროლ-კარლი," ოთხი სადარაჯო კატარღა, ოთხი ერთეული მძიმე ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ჰიდროთვითმფრინავი (მათი საბრძოლო გამოყენება ვერ მოხერხდა ძრავების მოუწესრიგებლობის გამო).

ამ ძალების გარდა, დაწყებული მობილიზაციის საფუძველზე ყალიბდებოდა პირველი ქვეითი პოლკი გენერალ დავით ართმელაძის მეთაურობით, ქართველ ოფიცერთა ლეგიონი კაპიტან დ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, მესამე ცხენოსანთა პოლკის მეორე ასეული და სამთო-ცხენოსანი ბატარეა.

არსებული ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, ბათუმის თავდაცვის შტაბის ხელმძღვანელი გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი მიიჩნევდა, რომ პირადი შემადგენლობა სახალხო ლაშქართან ერთად, სულ 12.000 კაცი, საკმარისი იქნებოდა ბათუმის შენარჩუნებისათვის. ამასთანავე, სამხედრო ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ რეზერვის თავმოყრა აუცილებლად ჩაქვის რაიონში უნდა მომხდარიყო, რომ გარედან შემოვლის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ბათუმის ალყაში მოქცევა ვერ მოეხერხებინა. ამასთან, სამოქალაქო ხელმძღვანელობის თვითნებობა და სამხედრო ოპერაციების მართვაში უხეში ჩარევა (ნ. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი და სხვა) აშკარა დაუდევრობაში გადაიზარდა.

გენერალი გ. კვინიტაძე წერს: ,,ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ჯარისკაცებისათვის აეხსნათ თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არავინ იბერტყავდა. ამგვარად, ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჟკაცობა წინაპრებისა, რომლებიც ათეული საუკუნეობით სიცოცხლეს წირავდნენ და გააფთრებულად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს.

მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვრებზე. ეს თემა ჯარისკაცებს უკვე მობეზრებული ჰქონდათ, მთავრობის წევრთა გაუთავებელი სიტყვები მათზე აღარავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა.

ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დავიწყებული ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობდა."

ქართული ქვედანაყოფების მასობრივი დემორალიზაციისა და საბრძოლო სულისკვეთების მოშლის ფონზე, ოსმალებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირი, აგრეთვე ქართული საარმიო ნაწილების მიერ მიტოვებული ერგეს მთა. მუსლიმ მოხალისეთა ,,ჩეთეს" რაზმებმა ჩაქვის მთიანი ზოლიდან შემოვლით დაიკავეს სოფელი ხალთა, მალე დაეცა ,,ერგეს" ფორტიც, გადაიკეტა სამტრედიისაკენ მიმავალი სატრანსპორტო მაგისტრალები და სარკინიგზო ხაზი, მხოლოდ ზღვის მონაკვეთი იყო საიმედოდ ჩაკეტილი. 10 აპრილს ვეჰიბ ფაშას მიერ გამოგზავნილმა ოფიცერმა ბათუმის კომენდანტს, გენერალ ზაქარია მდივანს ულტიმატუმი გადასცა, რომელიც 48 საათის განმავლობაში ქალაქის დაცლასა და საქართველოს ჯარების გაყვანას 1877 წლის საზღვრებში მოითხოვდა. ამავე დღეს მეამბოხე გაბოლშევიკებული მეზღვაურების გავლენით კრეისერი ,,კაროლ-კარლი" და სამხედრო-სანაოსნო საშუალებების დიდი

ნაწილი საზღვაო რეიდიდან თვითნებურად მოიხსნენ, ბათუმის აკვატორია დატოვეს და ზღვაში გავიდნენ. პარალელურად, აჭარისწყლის მაღლობები და ბორჩხა-მარადიდის მიმართულება ოსმალთა მომხრე ,,ჩეთეს“ რაზმებმა მთლიანად გადაკეტეს. ბათუმი ზღვიდან მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა. მიუხედავად შექმნილი მძიმე ოპერატიული და ტაქტიკური ვითარებისა, ბათუმის დაცვის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმის პირობების მიღებაზე უარი განაცხადა.

სურ. 122 ზაქარია მდივანი(1867-1933). გენერალ-მაიორი

13 აპრილს ოსმალებმა ბათუმზე შეტევა განაახლეს და ბათუმის სიმაგრის მესამე დაცვით ხაზს სამი მხრიდან შეუტიეს: სოფელ ერგედან კახაბრის ფორტს, ჭოროხის პირიდან ზღვის სანაპიროს გასწვრივ და სოფელ ფერიადან ანარიის ფორტს. თუმცა ოსმალთა პირველი შეტევის მოგერიება მოხერხდა. ქართველმა სამხედრო ხელმძღვანელებმა ძალების გადაჯგუფება და კონტრშეტევის დაწყება შეძლეს. ზღვის სანაპიროსა და ანარიის ფორტის უბნებზე ოსმალებმა უკან დაიწიეს. 14 აპრილს ვითარება შეიცვალა. ბათუმის მთელ გარნიზონში გავრცელდა დეზინფორმაცია მხარეთა შორის დაზავებისა და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.Aშედეგად, ბათუმის გორაკების კალთებიდან, ასევე ჭოროხის ნაპირებიდან ქართული სამხედრო დანაყოფები მოიხსნენ და ქალაქისაკენ უსისტემოდ დაიძრნენ. მხოლოდ ანარიის ფორტის მებრძოლთა ასეული კაპიტან გ. შავგულიძის მეთაურობით იცავდა პოზიციებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მეთაურთან ერთად გმირულად დაეცნენ კაპიტანი ი. დოლიძე,2 პრაპორშჩიკები ა. ხარაიძე, გ. ვანიძე და სხვები.

ფრონტის ხაზმა რკინიგზის საბარგო სადგურთან გადმოინაცვლა. ბათუმის ევაკუაცია სტიქიურად ჩატარდა, ამის გამო ქალაქიდან რამდენიმე სამხედრო ნაწილი ვერ გაიყვანეს და ისინი ტყვედ ჩავარდნენ. ტყვედ ჩავარდნენ, აგრეთვე, გენერლები ალექსანდრე გედევანიშვილი და ზაქარია მდივანი.

დარჩენილმა ქართულმა ქვედანაყოფებმა უკან დაიხიეს მუხაესტატეს პოზიციებზე, იქ სადაც ყირიმისა და 1877-1878 წლების ომებში წარმატებით იბრძოდნენ ქობულეთსა და ოზურგეთს შორის. ამასობაში ზღვის დაუცველ მონაკვეთზე ოსმალებმა ბათუმის აკვატორიაში დესანტი გადასხეს - ჰალიპოლისის დივიზიის ქვედანაყოფები. აშკარად ჩანდა, რომ ოსმალები საქართველოს სიღრმეში შემოჭრისათვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ.

ტაქტიკური ანალიზი. ბათუმის დაცვისას გამოყენებული იყო პასიური თავდაცვის სისტემა, კარგა ხნის მოძველებული ,,საკორდონო სტრატეგია,“ რაც ითვალისწინებდა საფორტიფიკაციო საინჟინრო ნაგებობების დახმარებით მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებების გადაკეტვას. არ იყო ორგანიზებული აქტიური თავდაცვა. ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ გამოიყენეს 4 ჰიდროთვითმფრინავი. ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უარყოფითად იმოქმედა საბრძოლო ხომალდების მიერ ბათუმის აკვატორიის თვითნებურად დატოვებამ და ბრძოლაგამოვლილ ჯარისკაცებში დისციპლინის დაბალმა დონემ. ყოველივემ ამან კი ბათუმის დაკარგვა განაპირობა.

საერთო ჯამში, ქართული მხარის წარუმატებლობა და ბათუმის დაცემა რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია:

- პირადი შემადგენლობის რევოლუციურმა განწყობამ და უდისციპლინობამ;
- არაკომპეტენტური სამოქალაქო ხელისუფლების სამხედრო საქმეში ჩარევამ (ოპერაციის მართვა) და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებამ;
- თავდაცვის მოძველებულმა სისტემამ, ე.წ. ,,საკორდონო სტრატეგიამ“ (მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებების გადაკეტვა);
- ქართული მხარის არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა;
- ადგილობრივი მოსახლეობის, ე.წ. ,,ჩეთეს“ რაზმების მოქმედებებმა;
- საბრძოლო საშუალებების (ჰიდროთვითმფრინავები) გაუმართაობამ;
- ბათუმის აკვატორიიდან კრეისერ ,,კაროლ კარლის“ თვითნებურმა მოხსნამ.

სამოქმედო რაიონი. საბრძოლო მოქმედებათა რაიონი მაგისტრალური გზებით ცუდად იყო უზრუნველყოფილი. ერთლიანდაგიანი რკინიგზა კი მიუყვებოდა შავი ზღვის სანაპიროს ბათუმი-ფოთისა და ბათუმი-სამტრედიის მიმართულებით. რეგიონი საავტომობილო გზების ქსელით ღარიბი იყო, ჯარებისა და არტილერიის ოპერატიულად გადაადგილებისათვის ნაკლებად მოსახერხებული. ყოველივე აღნიშნული საომარი მოქმედებების შემთხვევაში ჯარების სწრაფად გადაჯგუფებას ართულებდა და მანევრირების შესაძლებლობასაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა, როგორც საბრძოლო მოქმედებების, ისე მათი ლოგისტიკური უზრუნველყოფის მხრივ. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილმდებარეობა ხელსაყრელი იყო სარეიდო რაზმების გამოყენებისა და ჩასაფრებებისთვის.

შემდგომი ვითარება. ქართული მხარის ამოცანა იყო ოსმალეთის ჯარების წინსვლის შეჩერება, რათა მათ მდინარე ჩოლოქი არ გადმოელახათ. ბათუმის დაკარგვით საქართველომ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დაკარგა - ერთადერთი ნავსადგური, ევროპაში გასასვლელი კარიბჭე. ჩოლოქის გადალახვის შემდეგ ოსმალებს შეტევის ორი მიმართულებით დაწყების შესაძლებლობა ეძლეოდათ: ბათუმი-ფოთი, ბათუმი-ოზურგეთი, რომლის შეჩერებაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვდა. სამხედრო ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მდინარე ჩოლოქისა და ნატანების ნაპირებზე წმინდა ნიკოლოზის ფორტიდან სოფელ შემოქმედამდე გამაგრებული თავდაცვითი რაიონი მოეწყოთ. ამ უბანზე ფრონტის სიგრძე 24 კმ-ს შეადგენდა. ფრონტის ხელმძღვანელობა მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაევალა. სივრცე ჩოლოქსა და ნატანებს შორის გაშლილი და რელიეფურად დაუცველი იყო. პირადი შემადგენლობის სიმცირის გამო, პრაქტიკულად გამორიცხული იყო წინ წაწევა და კინტრიშის პოზიციაზე გამაგრება.

ჩოლოქი-ნატანების პოზიციას მხოლოდ ერთი უპირატესობა ჰქონდა: ზღვის სანაპირო ზოლიდან ოზურგეთამდე, მდინარე ჩოლოქისა და მდინარე ნატანების ჭაობიანი იყო და არტილერიისა და კავალერიისათვის თითქმის გაუვალი. ფრონტის მარჯვენა მხარე გრძელდებოდა და ემიჯნებოდა შავ ზღვას, რომლის მაღალი კონტინენტური შელფი მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო საშუალებებს ნაპირთან მიახლოების შესაძლებლობას არ აძლევდა. ფრონტის მარცხენა ფრთას აჭარის მთების სიმაღლეებამდე თავისუფალი გასასვლელი მხოლოდ ორი მიმართულებით ჰქონდა: ჩოლოქისა და ნატანების ხიდებით და მარცხენა მხარეს ლიხაურის ხეობით ქალაქ ოზურგეთამდე. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიმართულებებზე მიიტანდნენ იერიშს ოსმალები.

სურ. 123 გიორგი მაზნიაშვილი(1871-1937). გენერალ-მაიორი, გამოჩენილი მხედართმთავარი და მამაცი მეომარი

15 აპრილის მდგომარეობით, გ. მაზნიაშვილის განკარგულებაში სამტრედიიდან 3 ეშელონით ფრონტის ხაზზე გადაიყვანეს დამატებითი ძალები. კერძოდ: პარტიზანული რაზმი შეიარაღებული შაშხანებითა და 4 ტყვიამფრქვევით, მეთაური ა. ფურცელაძე; შორაპნის მუშათა რაზმი - 84 კაცი (ძირითად ავანგარდს შეადგენდა); 1 საარტილერიო ბატარეა 6 ზარბაზნით კაპიტან ი. კარგარეთელის მეთაურობით ორ პოზიციაზე განლაგდა სადგურ ნატანების უკან მარჯვნივ და მდინარე ნატანების ხიდთან; გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებაში გადავიდა 1 ჯავშანმატარებელი ვალოდია გოგუაძის მეთაურობით.

ბრძოლის მსვლელობა. ოსმალები ბათუმიდან გამოსვლას არ ჩქარობდნენ. ამან საშუალება მისცა გენერალ მაზნიაშვილს, მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო დანაყოფები ხელსაყრელ პოზიციებზე განელაგებინა. მდინარე ჩოლოქის მარჯვნივ, ზღვის ნაპირამდე განლაგდა შორაპნის მუშათა რაზმი. ჩოლოქის ხიდის მარცხენა მხარეს პოზიცია დაიკავა ე.წ. პარტიზანულმა რაზმმა ფურცელაძის მეთაურობით. ორივე რაზმს მიეცა ბრძანება, დაუყოვნებლივ დაეწყოთ სანგრების გათხრა და დამცავი ღობურების მომზადება. სააგიტაციო მუშაობა ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბრძოლო პოზიციებზე გამოვიდოდა ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. ამ მომენტიდან დაიწყო პარტიზანული რაზმების ფორმირება და ფრონტის მთელ პერიმეტრზე სანგრების მომზადება.

სურ. 124 ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძე და ჯავშანმატარებლის რაზმი

2 აპრილის დილისთვის გენერალი გ. მაზნიაშვილი უკვე აკონტროლებდა პოზიციებს თითქმის 16 ვერსის (17 კმ.) მანძილზე სადგურ ნატანებიდან სოფელ ვაშნარამდე.

გენერალი მაზნიაშვილი წერს: ,,2 აპრილს დილით მე უკვე დაჭერილი მქონდა ყველა პოზიციები სოფელ ვაშნარამდე, რომელიც მდებარეობს სადგ. ნატანებიდან 16 ვერსის მანძილზე. მართალია, პოზიციებს შორის ზოგიერთი ადგილი გაუმაგრებელი იყო, მაგრამ ყოველ წუთას ველოდი ტფილისიდან დამხმარე ჯარებს.

მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიხოლოგია ქართველი მეომრისა, კარგად ვიცოდი, რომ თუ გავუძლებდით მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველი შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორდებოდა ბათუმის ისტორია და იძულებული გავხდებოდი დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კვლავ მეწყო შეგროვება გაფანტული ჯარებისა, რომელიც ასეთი სიძნელით იქნა შეგროვილი ასეთ მოკლე ხანაში.~

სადგურ სამტრედიაში საინტენდანტო და სანიტარული ნაწილები განთავსდა. გენერალმა ვ. გაბაშვილმა კორპუსის შემადგენლობიდან მიავლინა რამდენიმე კადრის ოფიცერი გენერალ გ. მაზნიაშვილთან შტაბის დაკომპლექტების, მოლაშქრე რაზმებისა და პარტიზანული მოქმედებების ხელმძღვანელობისათვის. პოლკოვნიკ ს. ყარალაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი მეორე პოლკის მებრძოლები სადგურ ლანჩხუთში შევსებისა და რეზერვში მომზადებისათვის გადაიყვანეს.

გენერალმა მაზნიაშვილმა ხორცი შეასხა მოულოდნელობის პრინციპზე დაფუძნებულ ტაქტიკურ ჩანაფიქრს. მისი ბრძანებით, ჩოლოქის ხიდიდან ტყიან მასივში რკინიგზის ხაზის მოკლე განშტოება ერთ დღე-ღამეში აიგო, სადაც ჯავშანმატარებელი ფარულად შეიყვანეს.

15 აპრილს ჩოლოქის პოზიციებს 1.300 - კაციანი მოხალისეთა რაზმი დაემატა ხაშურიდან. ამასთან, ცხენოსანთა ბატარეამ პორუჩიკ ს. ყარაევის მეთაურობით ბათუმიდან ბრძოლით გამოაღწია და სადგურ სუფსასთან დაიკავა პოზიცია. გენერალ გ. მაზნიაშვილის ბრძანებით ეს ბატარეა ოზურგეთში პოლკოვნიკ ს. წერეთლის განკარგულებაში გადაიყვანეს.

16 აპრილს, გამთენიისას, 3 საათზე ოსმალები ოჩხამურის ხიდთან გამოჩნდნენ. ბრძოლაში ქართული არტილერია ჩაერთო. სანგრებში მყოფ მებრძოლებს ბრძანება მიეცათ, არ ესროლათ, სანამ მტერი ველზე ტყიან მასივსა და მდინარე ჩოლოქს შუა არ გაიშლებოდა. ოსმალები ბრძოლას გაერიდნენ და ოჩხამურისა და მდინარე ჩოლოქს შორის მდებარე ტყის მასივს შეეფარნენ, რაც ჯავშანმატარებლის პოზიციისთვის ხელსაყრელი იყო. საბრძოლო ასპარეზზე ჯავშანმატარებლის გამოჩენა მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ოსმალებმა ეშმაკობა იხმარეს: მატარებლის საწინააღმდეგოდ მძიმე დრეზინა (რკინიგზაზე ტექ. დარღვევის გამოსავლენი მოწყობილობა) გაუშვეს, იგი მატარებლის წინ მიმავალ პლატფორმას შეეჯახა და პლატფორმასა და ლიანდაგს შორის ჩაიხერგა. სანგარში მყოფი ჯარისკაცები ბრძანების შესაბამისად დუმდნენ. დუმდა ჯავშანმატარებელიც. ეს ერთგვარი ცრუ მანევრი იყო. ოსმალებმა იფიქრეს, ქართულმა ჯარის ნაწილებმა სანგრები მიატოვეს და გაიქცნენო. მათ გადაწყვიტეს, უმოქმედოდ მყოფი ჯავშანმატარებლისთვის ალყა შემოერტყათ. როდესაც ველზე ოსმალო ასკერები (თურქი ჯარისკაცი) გამოეფინნენ, ჯავშანმატარებლიდან მათ ყველა საბრძოლო საშუალებიდან მოულოდნელი ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლაში სანგრებში განლაგებული სამხედრო დანაყოფებიც ჩაებნენ. ოსმალებმა უკან დახევა დიდძალი დანაკარგით დაიწყეს. ქართველი მებრძოლები კონტრიერიშზე ორგანიზებულად გადავიდნენ. ტყვიამფრქვევებისა და ჯავშანმატარებლის საშტატო საბრძოლო იარაღის მხარდაჭერით კონტრიერიში ოჩხამურამდე გაგრძელდა.

ქართულ მხარეს 4 ჯარისკაცი მოუკლეს, დაიჭრა 30 მებრძოლი. ოსმალთა საბრძოლო დანაკარგები კი ძალიან დიდი იყო - 1000-ზე მეტი მოკლული. დაზვერვის მონაცემებით, 16 აპრილს ქობულეთიდან ბათუმის საველე ჰოსპიტალში 600-ზე მეტი დაჭრილი ოსმალო გადაიყვანეს. ოჩხამურ-ნატანების ოპერაციაში ოსმალებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ქართველების ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის წარუმატებელი ბრძოლის პირველი ეტაპის რევანში იყო.

სურ. 125 ქართველი კავალერისტები

ტაქტიკური ანალიზი. ოჩხამურ-ნატანების ბრძოლის დროს გენერალმა გ. მაზნიაშვილმა გონივრულად მოაწყო თავდაცვითი პოზიციები და ეფექტურად გამოიყენა თავდაცვის შემადგენელი ელემენტი - კონტრიერიში. თავდაცვისას მდგრადობის გაზრდის მიზნით ჯარებმა ჩასანგრება დაიწყეს. საინჟინრო დაბრკოლებების (მავთულხლართები) გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მოწინააღმდეგის ძალთა სამანევრო სივრცე და გადაადგილების ტემპი.

ჩოლოქის ბრძოლაში ქართული მხარის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები იყო:

- თავდაცვითი პოზიციების სწორად შერჩევა;
- პოზიციების მომზადება (ინდივიდუალური და ჯგუფური სანგრები, ბლინდაჟები, გადამღობი ღობურები);
- ძალებისა და საშუალებების სწორად განაწილება;
- მოწინააღმდეგისათვის სამანევრო სივრცის შეზღუდვა;
- ჯავშანმატარებლის შენიღბვა და მისი ცრუ მანევრი;
- ჯავშანმატარებლის საბრძოლო საშუალებების ეფექტურად გამოყენება;
- ქართული ქვედანაყოფების კონტრშეტევაზე გადასვლა.

ოზურგეთისა და ახალციხის მიმართულება. ოჩხამურ-ნატანების წარმატებული ოპერაციის პარალელურად, ქართული მხარისათვის დრამატულად განვითარდა მოვლენები ფრონტის მარცხენა (ოზურგეთის) უბანზე, რომელსაც პოლკოვნიკი ს. წერეთელი ხელმძღვანელობდა. მის დაქვემდებარებულ ძალებს ძირითადად მე-4 ქვეითი პოლკის ქვედანაყოფები შეადგენდნენ. პოზიციები განალგებული იყო სოფელ ლიხაურთან, შემოქმედთან და ვაშნარის გზის გასწვრივ. მაგრამ ღამით მათ ზურგიდან მოუარეს მუსლიმთა „ჩეთეს“ რაზმებმა, ხოლო გამთენიისას სილაურ-ლიხაურის გზით შემოუტიეს ოსმალთა რეგულარულმა ნაწილებმა. მე-4 პოლკის ქვედანაყოფებმა

თითქმის უბრძოლ¬ველად მიატოვეს პოზიციები და პოლკოვნიკ ს. წერეთლის ბრძანებით ნასაკირალისაკენ დაიხიეს. მათვე გაჰყა მოსახლეობა. 19 აპრილს ოსმალებმა უბრძოლველად დაიკავეს მიტოვებული ოზურგეთი.

სურ. 126 გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ქართველ ოფიცრებთან ერთად

ოზურგეთის დაკარგვით სტრატეგიულად ურთულესი ვითარება შეიქმნა. ოსმალებს უკეთესი პოზიციები ჰქონდათ. მათ შეეძლოთ ნასაკირალის უღელტეხილის გვერდის ავლით და შემოქმედი-ხიდისთავი-ჩოხატაურის გავლით სამტრედიასა და საჯავახოში შეჭრილიყვნენ და ოჩხამურ-ნატანების რაიონში მოქმედი გენერალ გ. მაზნიაშვილის ნაწილები ალყაში მოექციათ, შემდეგ კი საჯავახოს მხრიდან მდინარე რიონის ვაკე რელიეფის გამოყენებით ქუთაისის მიმართულებით შეტევა დაეწყოთ. მაგრამ მდინარე ჩოლოქთან განცდილი მარცხით შეყოვნებულმა ოსმალებმა ვითარების სრულად გარკვევამდე თავისი ჯარების წინსვლა ოზურგეთში შეაჩერეს. გენერალ გ. მაზნიაშვილს ამით საპასუხო ზომების მიღების საშუალება მიეცა. კერძოდ, პოლკოვნიკი ს. წერეთელი პირველ მსოფლიო ომში მებრძოლი სახელგანთქმული გენერლით გრიგოლ სუმბათაშვილით შეცვალა და მეორე ქვეითი პოლკის ბატალიონებით ნასაკირალის მიმართულებით სწრაფი მარში განავითარა, რომელსაც პოლკოვნიკი ს. ყარალაშვილი მეთაურობდა. ნაგომარის უღელტეხილი კი ახალციხის ფრონტიდან გადმოყვანილმა ე.წ. ,,ფედერალისტთა“ რაზმმა გაამაგრა.

24 აპრილს დილით ქართულმა საჯარისო ნაწილებმა გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით ოზურგეთის მიმართულებით კონტრშეტევა დაიწყეს. ოსმალები თანდათან ყოველი მხრიდან შევიწროვდნენ, ისინი ოზურგეთის დატოვებას აპირებდნენ, მაგრამ მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამ მოახდინა. გენერალ მაზნიაშვილს მთავრობის ბრძანება მოუვიდა, რომლითაც სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას სთხოვდნენ, ვინაიდან გერმანელების პოლიტიკური ზეწოლის გამო ოსმალები დროებით ზავზე და ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების ბათუმში განახლებაზე დათანხმდნენ.

ქართული მხარისათვის მძიმე შედეგებით დასრულდა ოსმალური ნაწილების შემოტევა ახალციხის მიმართულებაზეც. მაისის შუა რიცხვებისათვის თურქული ნაწილები სამცხე-ჯავა-

ხეთში შევიდნენ და, მცირე ბრძოლების შემდეგ, 16-18 მაისს ახალციხე-აბასთუმნისა და ბოგდანოვკა-ახალქალაქის ოკუპაცია შეძლეს. ახალციხეში თურქულმა ავანგარდმა ჩრდილოეთისაკენ წაიწია და მდინარე მტკვრის გასწვრივ აწყურს მიაღწია, ახალქალაქში აღმოსავლეთის მიმართულებაზე კი - ტაბაწყურის ტბას. 1918 წლის მაისის ბოლოსათვის ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქებს ჰქონდათ ოკუპირებული.

გერმანელები ამიერკავკასიაში

თურქთა სამხედრო წარმატებები კავკასიაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მათ დიდ მოკავშირეებს - გერმანელებს. ისინი ინდიფერენტულნი არ დარჩენილან თურქთა ექსპანსიის მიმართ. 1918 წლის აპრილისათვის გერმანელებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ უკრაინა და შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონი. 20 აპრილისათვის კი მათ ხარკოვს მიაღწიეს და მალე სევასტოპოლსა და როსტოვშიც შევიდნენ. კავკასიასა და საქართველოსთან მიმართებაში მათ კონკრეტული მიზნები ამოძრავებდათ - ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი, სხვა ნედლეული. და ყველაზე მთავარი _ გერმანელებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ის, რომ ოსმალური შენაერთების ამიერკავკასიაში შეყვანით, მნიშვნელოვნად შესუსტდა გერმანული პოზიციები პალესტინის ფრონტზე. ამას ხაზგასმით აღნიშნავდა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, ფელდმარშალი ერიხ ფონ ლუდენდორფი.

1918 წლის 11 მაისიდან სამშვიდობო კონფერენციამ ტრაპიზონიდან ბათუმში გადაინაცვლა. წარმატებული სამხედრო მოქმედებების ფონზე თურქული დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ ორბეიმ და გენერალმა ვეჰიბ ფაშამ განაცხადეს, რომ თურქთათვის ძველი პირობები მისაღები აღარაა. ამიერკავკასიის დელეგაციას მათ ახალი მოთხოვნები წაუყენეს:

- თურქთა მიერ ახალციხის, ახალქალაქისა და ალექსანდროპოლისის ოკუპაცია;
- ალექსანდროპოლისი-ეჩმიაძინი-ნახიჭევანი-ჯულფას რკინიგზის ხაზზე კონტროლის დამყარება თურქული ქვედანაყოფების ჩრდილოეთ ირანში გადაყვანის მიზნით;
- ამიერკავკასიის მთელი რკინიგზის ხაზის კონტროლი ბრიტანელებთან ომის დასრულებამდე.

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის დელეგაცია გენერალ ოტო ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხენკელმა ფონ ლოსოვს თურქთა აგრესიის აღკვეთაში დახმარება სთხოვა. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში იმ ქართულ-გერმანულმა ურთიერთობებმაც ითამაშეს როლი, რომლებიც I მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩაისახა, როდესაც ქართველმა ეროვნულმა მოღვაწეებმა მკვეთრად პროგერმანული პოზიცია დაიკავეს. ისინი რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის ერთადერთ რეალურ გზად მომავალ ომში გერმანიის გამარჯვებას თვლიდნენ. ამ მიზნის მისაღწევად მზად იყვნენ, იარაღის მოწოდების შემთხვევაში 50 000-იანი ქართული შენაერთი რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყვანათ.

გერმანული დელეგაციის რჩევითა და მოთხოვნით, საქართველოს ტერიტორიებზე თურქთა ექსპანსიის აღსაკვეთად საჭირო იყო სახელმწიფოების დონეზე თანასწორუფლებიანი გერმანულ - ქართული ურთიერთობების გაფორმება. რჩებოდა ერთადერთი გზა - ქართველთა ეროვნულ საბჭოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა.

სურ. 127 ოტო ფონ ლოსოვი(1868-1938). გენერალ-მაიორი, გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე

ბათუმიდან ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ 25 მაისის წერილში ა. ჩხენკელი იუწყებოდა: ,,გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი - დავუპირისპიროთ თურქების შემოსევას გერმანიისაგან ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო... უკვე მომზადებულია ხელმოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმება.“

გერმანელთა მხარდაჭერის იმედით, 1918 წლის 26 მაისს, 17.10 საათზე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის საგანგებო სხდომაზე ქართველთა ეროვნული საბჭოს წევრებმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს. ახლადშექმნილი რესპუბლიკა გერმანელთა პროტექტორატით აღიჭურვა. გენერალმა ფონ ლოსოვმა ოფიციალურად განაცხადა ამის შესახებ თბილისის მთავრობის სასახლის ფანჯრიდან. 2 დღის შემდეგ, 28 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა. ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე, 1918 წლის 27 მაისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №1 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ამიერკავკასიის არმიის ყოფილი სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2 დღეში, 1918 წლის 28 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ფოთში, გემ ,,SS mina hornis“ ბორტზე ფრიდრიხ ვერნერ ფონ შულენბურგის მხარდაჭერით ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გერმანიის სარდლობის წარმომადგენლებთან, რომლითაც აღიარებული იყო გერმანიის პროტექტორატი ოტომანთა სამხედრო წინსვლის აღსაკვეთად. ხელშეკრულების პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

- გერმანელების მხრიდან საქართველოს რკინიგზითა და პორტებით შეუზღუდავი სარგებლობა;
- გერმანიის საექსპედიციო ძალების მიერ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების დაკავება;
- გერმანული ვალუტის თავისუფალი მიმოქცევა;
- ერთობლივი სამთო-მომპოვებელი კორპორაციის დაარსება;
- დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების გაცვლა;
- საერთაშორისო აღიარებაში დახმარების გაწევა;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

გერმანიის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა, ქართული მხრიდან კი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა.



სურ. 128 ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ შულენბურგი(1875-1944). გერმანელი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე

1918 წლის 3 ივნისს ფოთში პირველი გერმანული სამხედრო გემი შემოვიდა. გერმანიის საექსპედიციო ძალები თითქმის მთლიანად ბავარიელებისაგან შედგებოდა - ბავარიის მე-7 საკავალერიო ბრიგადა, გაძლიერებული 29 - ე ქვეითი პოლკით, მე-10 მოიერიშე ბატალიონი, მეტყვიამფრქვევეთა ქვედანაყოფი და 176-ე ნაღმმტყორცნელთა ასეული, ცოცხალი ძალა 3.000 კაცი. გერმანული სამხედრო-პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელად საქართველოში გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი დაინიშნა.

ექსპედიციის ზედამხედველობასა და ორგანიზებაში მონაწილეობდა გენერალ-ფელდმარშალი ერიხ ფონ ლუდენდორფი. მოგვიანებით იგი პერსონალურად შეხვდა საქართველოს წარმომადგენლებს (ზურაბ ავალიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე) ბერლინში კაიზერ ვილჰელმ II-თან ვიზიტის მოსაწყობად.

გერმანიის საექსპედიციო ძალებს მალე შეუერთდნენ კავკასიაში მყოფი გერმანელი ტყვეები, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები გერმანელი ეროვნების მოქალაქეები. გერმანულ კონტინგენტში ჩართული იყო გერმანიის საიმპერატორო არმიის ,,ქართული ლეგიონი.“ მათ შორის მრავალი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი იყო ,,ქართული ლეგიონის თამარის ორდენის“ კავალერი. გაერთიანებული ქართულ-გერმანული საჯარისო გარნიზონები ფოთში, ოჩამჩირეში, ქუთაისსა და ბორჩალოში განლაგდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, შერეულმა ქართულ-გერმანულმა ქვედანაყოფებმა ამიერკავკასიის რკინიგზაც დაიკავეს. ყველა სადგურზე ქართულ-გერმანული დროშა აფრიალდა.

სურ. 129 გრაფი შულენბურგი გერმანიის საკონსულოს აივანზე. თბილისი, 1911 წ.

ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციასა და თურქეთის წარმომადგენელებს შორის 1918 წლის 21 მაისს ბათუმში დაწყებული მოლაპარაკებები 4 ივნისს დასრულდა. ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის საზავო ხელშეკრულებას, ერთი მხრივ, ოტომანთა იმპერიასა და, მეორე მხრივ, სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებს შორის. ახალმა ხელშეკრულებამ განსაზღვრა თურქეთსა და ახლადშექმნილ სახელმწიფოებს შორის გამავალი ახალი სასაზღვრო ხაზიც, რომლის ძალითაც სომხეთმაც და საქართველომაც თავისი ისტორიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს.

საქართველოს საზღვრების აღწერილობა შემდეგი იყო: ,,ქვემოთ მოყვანილი სასაზღვრო ხაზი გამოყოფს ერთმანეთისაგან ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს. საზღვარი იწყება იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი უერთდება შავ ზღვას და ემთხვევა ოტომანთა იმპერიასა და რუსეთს შორის 1877 წლამდე არსებულ ძველ საზღვარს. შემდეგ იგი აღწევს შავნაბადას მთამდე და მთების მწვერვალების გავლით მიემართება ხალხამასა და მეფისწყაროს მთებამდე (1856 წლის საზღვრებით).

სურ. 130 ფრიდრიხ კრეს ფონ კრეზენშტაინი(1870-1948). არტილერიის გენერალი, გერმანიის სამხედრო მოღვაწე

ამის შემდეგ იგი უხვევს სამხრეთისაკენ, გადის ფარსადაღის მთის წვერზე აბასთუმნიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აღწევს კარხულდაღის მთას. აქედან ჯერ 5 კილომეტრზე მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით აღწევს გორკელს, აწყურიდან სამხრეთით 2 კილომეტრზე კვეთს მდინარე მტკვარს და ქაიბაშის, ორთათავის, ქარაიას მთის წვერების გავლით აღწევს ტაპისხორსკას (ტაბაწყური. ა.ჩ.) ტბას და იქიდან სამხრეთით გრძელდება მოლითის მონასტრამდე. საზღვარი ისე კვეთს ამ ტბას, რომ მოლითის მონასტრიდან უშუალოდ გავლებული სწორი ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც ერთნახევარი კილომეტრით ჩამორჩება ტბის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილს, რჩება ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე. შემდეგ კი მიდის თავკოთელიის მთამდე. აქ იგი უხვევს სამხრეთით და შავნაბადას, ყარაკუხუს, სამსარის მთიანი მასივის მწვერვალებზე გავლით, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დევექერანის მთების წვერებზე გადის. შემდეგ მიემართება სამხრეთისაკენ და აჩრიკარის, ბაშრირანისა და ნურახმანის მწვერვალებზე გადის. ნურახმანის მთიდან მთის წვერებზე გავლით იგი გრძელდება სამხრეთი-

საკენ და ტფილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზს კვეთს სოფელ აღბულახიდან ხუთ კილომეტრზე.

აქედან სწორი ხაზით მიემართება ხანვალისაკენ, სადაც თითქმის სწორი ხაზით აღწევს ყველაზე მაღალ წერტილს ალაგეზს და ისევ სწორი ხაზით კვეთს ეჩმიაძინ-სარდარაბადის შოსეს, ეჩმიაძინიდან დასავლეთით 7 კილომეტრზე. შემდეგ იგი 7 კილომეტრზე გარს უვლის ამ ქალაქს და ალექსანდროპოლის-ჯულფას რკინიგზის ხაზის პარალელურად მიემართება რკინიგზის ხაზიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 16 კილომეტრში სამხრეთით ბაშკიარანთან კვეთს გზას, რომელიც აქედან რკინიგზისაკენ მიემართება. შემდეგ იგი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 1 კილომეტრზე უვლის გვერდს სოფელ აშაღი-ყარაბაღლარს. შაბაღლუს, ყარაქაჩისა და აშაღი-ჩენაქიჯის გავლით აღწევს ელფინჩაის, რომელსაც მიყვება იგი არფამდე. დაწყებული აქედან იგი ემთხვევა მდინარე არფაჩაის კალაპოტს, მიდის ქაიალუმდე და მდინარე ქაის გასწვრივ აღწევს აღტაბანის მწვერვალს. შემდეგ იგი გრძელდება ყარათურნას, არაჯის, ყარაქლისის მთის წვერებზე, აღწევს ბელიონჩაის წყალგამყოფამდე, მიყვება მდინარის კალაპოტს, აღწევს სამხრეთით არაზას, რომელიც რუსეთ-სპარსეთის ყოფილი საზღვრის ხაზზე მდებარეობს.

სასაზღვრო ხაზის საბოლოო დაზუსტება განხორციელდება ადგილზე, ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ.“

სურ. 131 სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე და გენერალი კრეზენშტაინი სამხედრო სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად-1918 წ.

ოსმალთა შემდგომი ექსპანსია ამიერკავკასიაში

მიუხედავად დადებული ზავისა, თურქთა შენაერთის მეთაურმა ვეჰიბ ფაშამ 10 ივნისს ალექსანდროპოლისის რეგიონში განლაგებულ თურქეთის მე-9 ქვეით დივიზიას საბრძოლო ბრძანება მისცა შეტევითი ოპერაციის დასაწყებად თბილისის მიმართულებაზე. თურქული მეწინავე ნაწილები საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ ქართულ-გერმანულ ნაწილებთან ვორონცოვკასთან

და ბორჩალოსკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გერმანელთა ორი ასეული და მოხალისეები ქართველ გვარდიელებთან ერთად წინ აღუდგნენ თურქთა შეტევას.

ბერლინმა სასწრაფო ოფიციალური მოთხოვნა წაუყენა თურქეთის მმართველ ტრიუმვირატს. გერმანელებმა აგრესიული მოქმედებებისა და 4 ივნისის საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო ვეჰიფ ფაშას, როგორც უმართავი და არაპროგნოზირებადი გენერლის, გადაყენება მოითხოვეს. გერმანულმა სარდლობამ არ აპატია თურქ გენერალს გერმანელთა იგნორირება და ბათუმის კონფერენციის საზავო პირობების დარღვევა. შედეგად გენერალი ვეჰიფ ფაშა სასწრაფოდ გაიწვიეს კონსტანტინოპოლში. იგი გენერალმა იაყუბ შევქი ფაშამ შეცვალა.

წითელ ხიდთან და ალავერდთან, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში გამართული ბრძოლების შედეგად, ქართულ-გერმანულმა საჯარისო ფორმირებებმა წარმატებით აღკვეთეს თურქული ნაწილების წინსვლა და მოახერხეს სამხრეთისაკენ მათი გადასროლა.

პორუჩიკი ვ. გოგუაძე წერს: ,,თათრებს გაეძარცვათ ალავერდის ქარხანა და რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი მზადა ჰქონდათ წასაღებად. ყველა ნადავლი უკანა ჯავშნიანს ჩავაბარე და მე სანაინზე გავილაშქრე. სანაინზე 200 კაცი ტყვედ ავიყვანეთ და ეშელონს გავეკიდეთ. მათ ორთქლმავალი გაფუჭებოდათ და ამის შედეგად მათ სადგურ კობერთან დავეწიეთ. მე ბრძანება არ მქონდა კობერს იქით წავსულიყავი. ეშელონს ზარბაზანი ვესროლეთ და დავამტვრიეთ. ოსმალოს ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ.

სანაინში ხელთ ვიგდეთ სურსათი და ცხენის ჯოგი. აქვე ვიშოვნეთ სარიკამიშიდან ჩამოტანილი ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები. ყოველივე ეს თბილისს გავაგზავნე ტყვეებთან ერთად. საღამოს ექვს საათზე სანაინში მოვიდა ჩვენი ჯარი. ჯავშნოსანმა სხვების დაუხმარებლად დაიცვა ოცდაათი ვერსის მანძილი... ბორჩალოს მცხოვრებნი, ბერძნები და სომხები, გამარჯვებას გვილოცავდნენ და იარაღითაც გვეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში.“

სანაინი-წითელი ხიდის რაიონში გამართულ ამ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაიღუპნენ, რომლებიც მხედრული პატივით მიაბარეს ქართულ მიწას.

სურ. 132 გერმანული ქვედანაყოფი გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე. 1918 წლის ივნისი



სურ. 133 გერმანული ქვედანაყოფები წითელ ხიდთან, 1918 წლის ივნისი

ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ ამ მარცხის გამო თურქულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს და საბოლოო ჯამში მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიები დაიკავეს. სახელდობრ, სოფლები: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარა-ქენდი, ალექსანდროპოლისის რკინიგზის 117-ე ვერსი ქობერსა და ქოლაგერანს შორის, სოფელ მარ-ცამდე და ლორუთამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თურქთა აგრესია აღიკვეთა და შესაბამისად იგი ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს, რომლებიც შემდეგ პუნქტებში განლაგდნენ: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდარბეკი, მღართი, ქობერის ასაქცევი, წათერი და ქორინჯი. ამ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად - პოდპოლკოვნიკი გ. რამაზაშ-ვილი.

სურ. 134 გენერალი გიორგი კვინიტაძე ქართველ და გერმანელ ოფიცრებთან ერთად, 1918 წლის ივნისი

გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლობამ და მთლიანად გერმანულმა სამხედრო კონტინგენტმა, უკანასკნელი ჯარისკაცის ჩათვლით, მთელი 1918 წლის განმავლობაში დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში, აღკვეთა რა თურქთა აგრესია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში გერმანელებმა თავიანთი მოღვაწეობის ყველა ასპექტში ნათელი კვალი დატოვეს საქართველოში.



სურ. 135 გერმანელთა ოცეული გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე, 1918 წ.

პანთურანული იდეების ხორცშესხმისათვის ენვერ ფაშამ მოქმედებების ტაქტიკა შეცვალა. სომხეთის დიდი ნაწილის ოკუპაციისა და ალავერდთან განცდილი მარცხის შემდეგ თურქული ქვედანაყოფები დილიჟანის გავლით განჯაში შევიდნენ, სადაც 1918 წლის 28 მაისიდან აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იყო დაფუძნებული. ადგილობრივი აზერბაიჯანული ნაწილების შეერთებით შეიქმნა ე.წ. „კავკასიის ისლამის არმია," რომელიც ეთნიკურად მთლიანად თურქულ-აზერბაიჯანული იყო, სამხედრო შტაბების ჩათვლით. ,,ისლამის არმიის" ბირთვს თურქთა მე-5 დივიზია შეადგენდა. არმიას სათავეში ენვერ ფაშას უმცროსი ძმა, გენერალი ნური ფაშა ჩაუდგა. ამრიგად ,,ისლამის არმია" შედგა თურქთა 5.000-იანი რეგულარული ჯარისა და 10-12 ათასი აზერბაიჯანელი მოხალისისაგან. 1918 წლის 15-16 სექტემბერს კი ,,ისლამის არმია" ბაქოში ბრძოლებით შევიდა და დაამხო გენერალ დანსტერვილის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მიერ ზურგგამაგრებული ესერულ-დაშნაკური ე.წ. ,,ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა." თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი პანთურქისტებისათვის წარმატებული გამოდგა.

მუდროსის ზავი და I მსოფლიო ომის დასასრული

1918 წლის შემოდგომიდან I მსოფლიო ომის საომარ მოქმედებათა თეატრებზე ოთხთა კავშირისათვის მდგომარეობა გაუარესდა. დასავლეთის ფრონტზე გერმანელები ბრძოლებში მარცხდებოდნენ. სექტემბერში ბულგარეთმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა და ზავი ითხოვა. სირია-პალესტინის ფრონტზე კი ბრიტანელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ გაარღვიეს ოსმალთა ფრ-

ონტი და იერუსალიმი დაიკავეს. ბრიტანული შენაერთები მესოპოტამიის ფრონტზეც წარმატებით იბრძოდნენ. მისმა შენაერთებმა ბაღდადის ოკუპაცია შეძლეს. 27 ოქტომბერს ფრონტებზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქეთმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა და ზავი ითხოვა. საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში გაიმართა, ამიტომ ისტორიაშიც ,,მუდროსის ზავის" სახელით შევიდა. მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „ორსიტის" ბორტზე დაიწყო და „აგამემნონზე" გაგრძელდა. თურქეთის მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა მუსტაფა რაუბ ორბეი - თურქეთის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხრიდან - ადმირალი ს. ა. კელტორფი. მუდროსის ზავის ძირითადი პუნქტები შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გაიხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს თავისუფალი მიმოსვლის საშუალება მიეცემათ.
2. დაუყოვნებლივ დაიშლება თურქეთის შეიარაღებული ძალები. დაიშვება მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა.
3. დაუყოვნებლივ გამოიყვანენ კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქების საოკუპაციო ჯარებს.
4. ანტანტის წევრი ქვეყნები სრულ კონტროლს აიღებენ თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე.
5. აუცილებლობის შემთხვევაში ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირების უფლებას.
6. საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 2400 საათზე ადგილობრივი დროით.

ზავის მოთხოვნათა შესაბამისად, თურქეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ახალციხე, ბათუმი, ყარსი, განჯა, ბაქო და, საერთოდ, ამიერკავკასიის ის ტერიტორიები, რომელთა ოკუპაციაც მათ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ შეძლეს. შესაბამისად, გერმანიისა და თურქეთის ჯარებს აქ ბრიტანელები უნდა ჩანაცვლებოდნენ. გარდა ამისა, ბრიტანელებმა დამატებით შეძლეს ურფის, მარაშის, ანტეპის ოკუპაცია, სამსუნი, ბაღდადი და სირია კი უკვე დაკავებული ჰქონდათ. ფრანგებმა დაიკავეს ადანა, იტალიელებმა - ანტალია და კონია. ანტანტის წევრი ქვეყნების შეთანხმებით, მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა, სადაც სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო შენაერთები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანელთა საჯარისო კონტინგენტის სარდალი, გენერალ-მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი, ენზელიდან ნოემბრის პირველ რიცხვებში ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქულ ნაწილებს 2 კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში - მთელი ამიერკავკასია. ბრიტანელთა მიერ წაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქულმა საჯარისო შენაერთებმა იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დაცლა.

სამცხე-ჯავახეთთან მიმართებაში კი საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილება ქართული ჯარებით მისი დაკავების შესახებ.

,,ტელეგრამა №4142 (34). 04.09.1918. 9 საათი და 47 წუთი. 1-ლი დივიზიის მეთაურს (გენერალ მაკაევს). ვუბრძანებ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს სასწარაფოდ დაიკავონ აწყური-აბასთუმნის ხაზი.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე."

სურ. 136 პირველი რესპუბლიკის გენერალიტეტი და მთავრობის წევრები გოლოვინის(რუსთაველის) გამზირზე აღლუმის დროს, 1918 წ.

1918 წლის ნოემბრიდან საქართველოს მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და დაიწყო გადაუდებელი ზომების გატარება სამცხე - ჯავახეთის ქართული ჯარებით დასაკავებლად. მთავრობამ მიმართულების სარდლად და მხარის გენერალ - გუბერნატორად გენერალ - მაიორი აბელ (ბალო) მაყაშვილი დანიშნა. 1918 წლის 5 დეკემბერს ახალციხესა და ახალქალაქში საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი დივიზიის ორი პოლკი და სხვა საბრძოლო რაზმები შევიდნენ. მაზრებში საქართველოს დე ფაქტო იურისდიქცია აღდგა. რეგიონის საზღვრად ყოფილი ტფილისის გუბერნიის საზღვრები ჩაითვალა.

მუდროსის ზავის პირობების შესაბამისად კი, 1918 წლის ბოლოდან ბათუმსა და ბათუმის ოლქში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარებმა, 27-ე დივიზიის ნაწილებმა დაიწყეს შემოსვლა გენერალ-მაიორ გ. ფორესტ-უოკერის სარდლობით.

სურ. 137 აბელ მაყაშვილი (1860-1920). გენერალ-მაიორი, სამხედრო მოღვაწე

პანისლამიზმი და „ყარსის რესპუბლიკა“

მუდროსის ზავის დადებისა და თურქული ნაწილების ამიერკავკასიიდან გასვლისთანავე, პანთურქისტები დაუყოვნებივ ამუშავდნენ ამიერკავკასიის მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებზე. მათ ახალი ტიპის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლებსაც თურქთა მიერ ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მოსახლეობაზე ოსმალური კონტროლი უნდა შეენარჩუნებინათ. თურანული იდეის საბოლოო მიზანს კავკასიის

მუსლიმი მოსახლეობის კონსოლიდაცია, ერთიანი მუსლიმური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი ისევ თურქეთთან შეერთება წარმოადგენდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მიერ ოფიციალურად იყო წარდგენილი მოთხოვნა ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის შესახებ.

,,ეროვნული ისლამური საბჭოები“ დაფუძნდა ყარსის ოლქის მთავარ დასახლებულ პუნქტებში - ოლთისში, ყაგიზმანში, იგდირში, სარიყამიშში, არდაგანში და თავად ყარსში. ასევე საქართველოს თურქულენოვანი და მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე - ახალქალაქში, ახალციხეში, ბათუმში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ,,ყარსის საბჭო,“ რომელიც 1918 წლის 5 ნოემბერს შეიქმნა. დეკემბერში მას სახელი შეეცვალა და ,,ეროვნული საბჭო“ ეწოდა. 1919 წლის იანვარში ის ,,ყარსის ეროვნული საბჭო“ გახდა. საბოლოოდ, 1919 წლის მარტში მას ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა“ დაერქვა. 1919 წლის 25 მარტს მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვა ,,დროებითი“ და მას ,,სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკა“ ეწოდა. მთავრობის მეთაურს პრეზიდენტის ტიტული მიენიჭა. ,,რესპუბლიკის“ პრეზიდენტად ყარსის მკვიდრი ჯიჰანგირ ოღლუ იბრაჰიმ აიდინ ბეგი აირჩიეს. ამ ,,სახელმწიფოს“ შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, სურმალის, ალექსანდროპოლისისა და ეჩმიაძინის მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. შემუშავდა ამ ე.წ. ,,სახელმწიფოს“ სიმბოლოც - ორფეროვანი წითელ-მწვანე დროშა ვარსკვლავითა და ნახევამთვარით. სახელმწიფო ენა - თურქული. გამოქვეყნდა ახლადშექმნილი ,,რესპუბლიკის“ პარლამენტის მოწოდებებიც.

მოწოდება კავკასიის მუსლიმანებს

,,ყოვლისშემძლის დახმარებით ჩვენ დავაფუძნეთ და გავხსენით ყარსში პარლამენტი, შემდგარი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმანებისაგან, რომლებიც 1919 (1335) წლის 18 იანვარს შეიკრიბნენ ყარსში. დავადგინეთ, რომ მომავალში პარლამენტში მიიღებიან არამუსლიმანებიც და ერთხმად გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ ქვემოთ მოყვანილი განცხადება.

ყარსის დროებითი მთავრობა და პარლამენტი მუსლიმების აზრთა, სურვილთა და ბედის გაერთიანებისათვის, სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმთა ყურადღებას მიაპყრობს შემდეგზე: ამ ოლქების თავისუფლება და კეთილდღეობა მდგომარეობს მხოლოდ ერთიანობაში. წვრილი და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან, უეჭველად წარმოადგენენ თავისი მეზობლების დამპყრობლური ზრახვებისა და დასჯის საგანს და საბოლოოდ მათ მოელით დაქუცმაცება, ჩაყლაპვა, დახრჩობა და სიკვდილი.

ყარსის ინგლისელმა სამხედრო გუბერნატორმა განაცხადა, რომ ის ძალებს არ დაიშურებს ჩვენს დროებით მთავრობასთან მუშაობაში და შესაბამის დახმარებას გაუწევს მას. მოცემულ მომენტში, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმთათვის, რომლებიც შეადგენენ 1 350 000 სულს, ერთადერთი გზა კეთილდღეობისა და პროგრესისაკენ შემდეგია: გაერთიანდნენ ერთიანი რწმენითა და ერთიანი სინდისით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი შევინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი არსებობა და სიწმინდეები. მხოლოდ ასეა შესაძლებელი დავიცვათ ჩვენი შვილები ამ ეპოქის ძალმომრეობისაგან და ვუზრუნველვყოთ ისინი ცოდნისა და კეთილდღეობის სხივებით...

ჩვენი ერთიანობა - ჩვენი ძალაა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. უფალი ღმერთია ჩვენი მფარველი... გაუმარჯოს სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას! გაუმარჯოს მუსლიმთა ერთიანობას! გაუმარჯოს პარლამენტს!

მოწოდება ბათუმის ვილაიეთის მცხოვრებლებს

1919 წლის (1335) 18 იანვარს ჩვენი ვილაიეთის საუბნო წარმომადგენლები შევიკრიბეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედის გადასაწყვეტად და საბოლოოდ დავადგინეთ შემდეგი: არსაიდან და არავისგან დახმარების მომლოდინე, ჩვენ ვკრებთ მთელ მუსლიმ მოსახლეობას, ქალაქისა და სოფლისას, მთელი სამხეთ-დასავლეთ კავკასიისას და ვამტკიცებთ, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა თვითმმართველობის, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მივაღწევთ ავტონომიას.

ამ საფუძველზე ჩვენ ვიწვევთ ბათუმის ვილაიეთის მოსახლეობას, რომ შეუერთდნენ ჩვენ ძმებს ყარსიდან, არდაგანიდან და სხვა მუსლიმური ოლქებიდან, რათა ერთ გზას მივმართოთ ხელიხელჩაკიდებულებმა ჩვენი დეპუტატების არჩევისათვის, რომლებიც უნდა გავამგზავროთ ყარსში, სადაც ჩვენ გავხსენით პარლამენტი, რათა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ყველა მუსლიმს შეეძლოს საქვეყნოდ აცნობოს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

ვაცნობებთ პატივცემულ მოსახლეობას, რომ ჩვენ, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მუსლიმებმა ყარსში მუსლიმთა ეროვნული საბჭო დავაარსეთ, სადაც ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ინტერესების გასატარებლად. ჩვენი თავები ნაციონალური საბჭოს დაქვემდებარების ქვეშ დავაყენეთ და არც ეხლა და არც მომავალში არ ვაღიარებთ სხვა რომელიმე ხელისუფლებას. და ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის კეთდება, როგორც ეს ზემოთ იქნა წარმოდგენილი. ზოგიერთ საკითხში ჩვენ აუცილებლად უნდა დავამყაროთ ურთიერთობები ინგლისელთა სარდლობასთან.

მოყვანილია წარმომადგენელთა ხელმოწერები: არტანუჯის - თევფიკ ეფენდი ეფენდი ზადე; შავშეთის - ალი აღა ემინ აღა ოღლი; ქვემო აჭარის - ხუსული აღა აბდა აზა ზადე; ზემო აჭარის - ალი რიზა ეფენდი და რაშიდ აღა არიფ ემინ ოღლი; გონიოს - ალი ეფენდი აბდი ეფენდი ზადე; ართვინის - აქიბ ბეი ათა ბეი ზადე; ბათუმის - ჰუსეინ ბეი ბიდენ ზადე;

დამატება: ჩვენ, ბათუმის უბნის არჩეულმა დეპუტატებმა ყარსის წარმომადგენელ სურუბ ბამ ათა ბეისთან ერთად 20 იანვარს მივმართეთ ინგლისელ კომენდანტს და გავმართეთ მოლაპარაკებები ჩვენი საქმეების შესახებ. მისგან კეთილგანწყობილი პასუხი მივიღეთ. გენერალმა თქვა: ,,მე მუსლიმთა ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედებ.“ ალი ეფენდი აბდი ალი ზადე, ალი რიზა ეფენდი.''

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური საბჭოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ე.წ. ,,ახალციხის ისლამური საბჭო” იყო, რომელიც მალე ,,ახალციხის ეროვნულ საბჭოდ“ და შემდეგ ე.წ. ,,ახალციხის ეროვნულ მთავრობად“ გარდაიქმნა. გარდა ახალციხელი მოღალატე ბეგებისა, ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ახალქალაქელი და ხერთვისელი ბეგები, რომელთაც ე.წ. ,,ყარსის მთავრობა“ აფინანსებდა. მთავრობის შემადგენლობა:

- მინისტრი-პრეზიდენტი ომარ ფაიქ ნემანზადე (ყიფიანი);
- სამხედრო მინისტრი სერვერ ბეგ ათაბაგი (ჯაყელი);
- მიწათმოქმედების მინისტრი ზია ბეგ ავალიშვილი;
- შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი მურზა მუსაკიევი.

,,ყარსის მთავრობის“ ერთ-ერთი სულისჩამდგმელი სერვერ ბეგ ქვაბლიანელი - Принц Коблианский (ჯაყელი), სამცხე-საათაბაგოს ათაბაგთა უკანასკნელი შთამომავალი, ქვაბლიანის პრინცი იყო. მათ სამკვიდრო სოფელს ბენარა წარმოადგენდა. დაიბადა 1886 წლის 8 აგვისტოს ახალციხეში, გარდაიცვალა 1962 წელს ქ. იზმირში. ჯაყელთა შტოს ეს გადაგვარებული შთამომავალი ძალაუფლების დაკარგვის შიშით ყოველგვარ ავანტიურაზე თანახმა იყო და საქართველოს მტრად იქცა.

ამის საბაბი საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მიწის რეფორმაც გახდა, რაც მისთვის ადგილ-მამულებისა და სახლების ჩამორთმევაში გამოიხატებოდა ახალციხესა და აბასთუმანში.

პოლიტიკური თვალსაზრისით და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ,,ყარსის რესპუბლიკის“ გამოცხადება უკანონო აქტი იყო. ის შეიქმნა საქართველოსა და ნაწილობრივ სომხეთის ტერიტორიებზე.

სურ. 138 სახალხო გვარდიის რაზმი, 1918 წელი

,,ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალები

ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა ,,ახლად შექმნილი რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების ჩამოსაყალიბებლად. და მართლაც, კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი ჰალიდ ბეი ამ მოვლენების აქტიურ მხარდამჭერად და ორგანიზატორად მოგვევლინა. ,,ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებულ ძალებში მე-3 დივიზიის ბევრი ოფიცერი ჩაერთო. დეოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიებზე დარჩენილი ოსმალური ქვედანაყოფებიც დაუყოვნებლივ ჩაებნენ ,,ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. ,,რესპუბლიკა“ პროფესიონალი სამხედრო კადრების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. თუმცა, რეალურად ,,ყარსის რესპუბლიკის“ შეიარაღებული ძალები მხოლოდ ყარსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს აკონტროლებდნენ. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას დაშნაკური სომხეთის სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები დაუპირისპირდნენ.



სურ. 139 ყარსის რესპუბლიკის(თურქეთის მე-3 დივიზიის) შეიარაღებული ძალების ოფიცერი და ჯარისკაცები

ე.წ. ,,ახალციხის მთავრობის“ მეთაურის, რენეგატი ბეგის ომარ ფაიქ ნემანზადეს (ყიფიანი) მიმართვა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეთაურის ჰალიდ ბეგისადმი:

,,I. თუ შესაძლებელი იქნება მე-3 დივიზია ნუ დატოვებს დისლოკაციის ადგილს;

II. ჰალიდ ბეგმა შუამდგომლობა გაუწიოს მე-9 არმიის სარდალ იაყუბ შევქი ფაშასთან, რათა ამ უკანასკნელმა ,,ახალციხის დროებითი მთავრობის“ არსებობის გარანტია უზრუნველყოს.“

თურქეთის მე-9 არმიის სარდალი იაყუბ შევქი ფაშა ჰალიდ ბეგს: ,,გავეცანი ,,ახალციხის დროებითი მთავრობის“ ხელმძღვანელის ომარ ფაიქ ბეის მოთხოვნას მე-3 დივიზიის ახალციხეში დატოვებასთან დაკავშირებით. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მათი თხოვნა აღარ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობის მდგომარეობიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენი ჯარი იძულებულია დატოვოს დაკავებული ტერიტორია. ახალციხისა და ახალქალაქის მოსახლეობას ნურაფრის ნუ შეეშინდებათ. თავიანთი ორგანიზაციების შექმნითა და მმართველობით წყნარად და მშვიდად დაელოდონ მსოფლიოში მოვლენების განვითარებას. მსოფლიო პოლიტიკაში ცვლილებები ყოველდღე ხდება, არავინ იცის თუ რა შეიძლება მოხდეს სულ მოკლე ხანში.

მე შევხვდი ახალციხიდან და ახალქალაქიდან მოსულ წარმომადგენლებს. გავუზიარე ჩემი შეხედულებანი და მიღებული ინფორმაცია. ჩემს მიერ მითითებული პირობებით ყველა პიროვნების მუშაობას დამაკმაყოფილებლად ვთვლი.“

ყარსის კონგრესზე გადაწყდა შექმნილიყო რესპუბლიკის 8.000-იანი ჯარი, რომელსაც დახმარებას ოსმალეთის არმია გაუწევდა. კონგრესზევე გაცხადდა ამ ჯარის დანიშნულებაც:

- წინააღმდეგობა გაუწიოს სომხებს მდინარე არაქსის გასწვრივ, ხოლო მდინარე მტკვრის გასწვრივ და აჭარაში -ქართველებს….

1918 წლის თებერვლის მონაცემებით, ,,ყარსის მთავრობის“ ხელმძღვანელობა თავისი 8000-კაციანი ჯარისათვის ოსმალეთის მთავრობისაგან მოითხოვდა: 7 მილიონ ლირას სესხად; 4 ბატარეის სრულ შეიარაღებასა და სწრაფმსროლელ საველე ქვემეხებს; 30.000 ყუთ სხვადასხვა საბრძოლო მასალას; ერთი შტაბის ოფიცერს; 30.000 ხელ ტანსაცმელსა და საცვალს; 20 ექიმსა და საკმარისი რაოდენობის წამალს.

სამხედრო მოქმედებების დასაწყისი. პირველი შემოტევა ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის“ სამხედრო ქვედანაყოფებმა და ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობისაგან შემდგარმა რაზმებმა 1919 წლის 17 იანვარს სოფელ ბადელიასთან დაიწყეს. მცირერიცხოვანმა ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგის შეტევა ვერ მოიგერიეს. საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ოპერატიული შეტყობინება ახალციხიდან:

,,თბილისი, სასახლე, ვალიკო ჯუღელს. ბორჯომიდან. 17.01.1919

დღეს დილით არდაგანის საზღვარზე სოფელ ბადელიასთან მაჰმადიანებმა გადმოლახეს საზღვარი და ტყვედ წაიყვანეს ჩვენი სანაპირო ჯარისკაცები. მთელი დღე სროლები იყო. ახალ-

ციხის გარნიზონი უმნიშვნელოა, რომელიც ქალაქიდან არ შეიძლება რომ მოვაშოროთ. წამოველ ბორჯომში და მიმყამს აქაური გვარდიელები, გამოვიწვიეთ ხაშურიდანაც. საჭიროა საგრძნობი ძალა, რომ სისუსტე არ დაინახონ. საქმე იმაშია, რომ ომარ ეფენდის (ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანი) და მისი ამხანაგების კაცები აგენტები ცხარე აგიტაციას ეწევიან. მთავრობის დეკრეტი ავტონომიის შესახებ რეაქციონერული მიზნებისათვის გამოიყენეს. მე ბევრი ვეხვეწე მთავრობას დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ მეტეხიდან განთავისუფლებული ბეგები. მაგრამ ისინი დღესაც თბილისში დაბრძანდებიან და მაქედან საქმეს გვიფუჭებენ აქეთ (საუბარია ბინალი ბეგ ვაჩნაძესა და ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანზე). საჭიროა არა იმდენად ჯარი, რამდენადაც გვარდია, რომელიც მოივლის მთელს მაზრას და გასწმენდს რეაქციონერებისაგან, თორემ ეხლა ზურგშიც კი მტრები გვყამს. ჩვენი ორგანიზაცია გთხოვთ სახალხო გვარდიის შტაბს მიაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ნაწილი მაინც თქვენი შეიარაღებული ძალისა.“

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმეში ქართული საჯარისო ქვედანაყოფებიც ჩაერთვნენ. გენერალმა აბელ მაყაშვილმა აჯანყების მოთავეებს ულტიმატუმი წაუყენა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს გამოსვლები ,,ორი-სამი მოთავის ორგანიზებული ავანტიურა“ იყო, ლოკალურ ხასიათს ატარებდა და მდგომარეობის მოგვარება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოხერხდებოდა. რეალობა კი გაცილებით მძიმე და სერიოზული იყო. ,,ეს ავანტიურა“ ნამდვილი სამხედრო მოქმედებების დასაწყისი იყო, რომლის მიზანსაც ძირძველი ქართული მიწების ე.წ. ,,ყარსის რესპუბლიკასთან“ მიერთება წარმოადგენდა. მთელი ეს სამხედრო-პოლიტიკური პროცესები კი თავის დროზე ოსმალთა გენშტაბის მიერ შემუშავებული ერთიანი გეგმის მიხედვით ვითარდებოდა.

გენერალ მაყაშვილის მიერ მხოლოდ რეალური სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი არსებული სიტუაციის ადეკვატურად შეფასება. მან მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისაგან დახმარება და რეგიონში დამატებითი ქართული ქვედანაყოფების შეყვანა მოითხოვა. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, რესპუბლიკის მთავრობისა და სამხედრო უწყების მიერ დროულად ვერ მოხერხდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შესაბამისი რაოდენობის ძალების თავმოყრა. საქმე იმაში იყო, რომ ამავე პერიოდში, აფხაზეთის რეგიონში, გენერალ დენიკინის ,,დობროარმიის“ აგრესიის აღსაკვეთად, ქართული შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილის, ძირითადად, სახალხო გვარდიის რაზმების კონცენტრაცია დაიწყო.

არა იმდენად წარუმატებელი სამხედრო ხელმძღვანელობის, არამედ პირველ რიგში იდეოლოგიური არათავსებადობის გამო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის გადაწყვეტილებით გენერალი მაყაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონის ქართული საჯარისო გარნიზონის სარდლად 1919 წლის 3 თებერვალს ჩოლოქის ბრძოლისა და სომხეთ-საქართველოს ომის გმირი, მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა. მაგრამ, საქმეს ამანაც ვერ უშველა. მცირერიცხოვანმა და დემორალიზებულმა ქართულმა გარნიზონმა მოწინააღმდეგის სამხედრო აგრესის აღკვეთა ვერ შეძლო. ისლამისტთა შეიარაღებულმა ძალებმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს, შეტევითი მოქმედებები განავითარეს და ტაქტიკური წარმატება ოპერატიულში გადაზარდეს. ქართულმა ქვედანაყოფებმა ფოცხოვი, ახალციხე და ახალქალაქი დატოვეს და უკან, ბორჯომისაკენ დაიხიეს.

,,ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს. №1.

12.02.19. ქ. თფილისი. სრულიად საიდუმლო.

1. გენერალ მაზნიევის ახალციხის რაზმის მრავალდღიანი ბრძოლების შემდეგ, რაც გაიმართა ზურგში აჯანყებითა და თურქი ასკერების გამოჩენის შედეგად, რაზმი იძულებული იყო 11 თებერვლის საღამოსათვის უკან დაეხია ქვემო აწყურის მიდამოებისაკენ... ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილებისათვის, თავი შევიკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან. აქედან გამომდინარე, ვბრძანებ:
2. გენერალ მაზნიევს:

ა. ამოარჩიოს, მყარად დაიმკვიდროს და გამაგრდეს იმ ხაზზე, რაც მას ეხლა უკავია გურკელი-საკუნეთი-ბლორძა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საარტილერიო თავდაცვას.

ბ. უწყვეტად აწარმოოს დაზვერვა მოწინააღმდეგის ძალებისა და განლაგების გამოსარკვევად.

გ. მოემზადოს შეტევაზე გადსვლისათვის ახალციხის ასაღებად, როგორც კი ამისათვის საკმარისი ძალები მოიყრიან თავს.

დ. ახალქალქის რაზმთან ეჭიროს უწყვეტი კავშირი.

ე. თავისი შტაბი განალაგოს აწყურში.

სასწრაფო მოხსენებები მოწოდებულ იქნას 9 და 19 საათზე ყოველდღიურად.

ჩემი მოადგილეები არიან: გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი და გენერალ-მაიორი იმნაძე. სამხედრო მინისტრის თანაშემწე - გედევანოვი. გენშტაბის უფროსი - ანდრონიკოვი. ოპერატიული სექციის უფროსი - ზაქარიაძე.''

წარუმატებელი ხელმძღვანელობისათვის თანამდებობიდან გენერალი მაზნიაშვილიც გადააყენეს, მის მაგივრად ახალციხე-ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და გარნიზონის სარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა.

შეტევითი მოქმედებებისათვის მზადება. გენერალი კვინიტაძე შეტევითი ოპერაციის მომზადებისათვის ზრუნვას დანიშვნისთანავე შეუდგა. ქართული მხარის მიერ ბორჯომში შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა დაიწყო. შეტევითი ოპერაციის სრულყოფილად მომზადებისათვის ქართული სარდლობის მხრიდან საჯარისო დაზვერვისა და აგენტურული მონაცემების მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

,,ახალციხის ჯარების სარდალს ვალეს რაზმის მეთაურისაგან

პატაკი №27.

06.02.19. ვალე.

,,...ექიმმა ჯაყსუდან მნიშვნელოვანი ცნობები მოიტანა: მთელი მოსახლეობა, დაწყებული 30 წლიდან, შეიარაღებულია; თავად ექიმმა ნახა რეგულარული თურქული ჯარი - დაახლოებით 200 კაცი, კავალერისტები და ქვეითები.

იგი ესაუბრა თურქ ოფიცრებს და თავისი თვალით ნახა მათ შორის სამი რუსი ოფიცერი, ერთ-ერთი მათგანი გიორგის ჯვრის კავალერი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსი ოფიცერი აქ დაახლოებით ათი კაცია. სხვათა შორის ერთი მათგანი მონაწილეობას იღებდა უდეში გამართულ ბრძოლებში. მეორე რუსმა ოფიცერმა განაცხადა, რომ მიუხედავად უდეში გამართული დიდი ბრძოლებისა, მათი დანაკარგები მცირეა. მესამემ კი განაცხადა, რომ დღეს მათ ძლივს შეაკავეს ფოცხოველები, რომ არ წამოსულიყვნენ აჯანყებულთა დასახმარებლად. მათ მოუწიათ რამდენიმეს დაპატიმრება და ორი მათგანი დაჭრეს კიდეც...

ახლა უკვე ცხადია, რომ ყველაფერი ეს ძალიან სერიოზულია და არ წარმოადგენს წვრილმანს, როგორც ეს ადრე გვეგონა.“

სურ. 140 გიორგი კვინიტაძე (1874-1970). გენერალ-მაიორი, გამოჩენილი მხედართმთავარი და სამხედრო მოღვაწე

გარკვეული რაოდენობის რეგულარული ნაწილებისა და გვარდიის რაზმების თავმოყრის შემდეგ ახალციხის მიმართულებით შეტევის დაწყება მარტის პირველ რიცხვებში გადაწყდა. გენერალი კვინიტაძე წერს: ,,პირველ ყოვლისა, უნდა გაგვენადგურებინა აჯანყების ბირთვი და აგვეღო ახალციხე. მერე მაზრის ყოველი უბნის, ყოველი სოფლის წინააღმდეგ მოგვიწევდა ბრძოლა. ეს ჩემი ძალების დაფანტვას გამოიწვევდა, ნაწილობრივ წარუმატებლობაც გველოდა და ზურგიც განუწყვეტელ საფრთხეში იქნებოდა. ამგვარი მოქმედებები ბევრ დროს წაიღებდა და რაც მთავარია უეჭველად დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. ამიტომ გადავწყვიტე ბირთვის აღებისთანავე დაუყოვნებლივ და სწრაფად გამევლო ახალციხის რაიონი ადიგენისა და ფოცხოვის მიმართულებით... ამგვარ ვითარებაში სწრაფი და გადამწყვეტი წარმატება - საუკეთესო გამოსავალია.“

ოპერაციის დაგეგმვის პროცესში უთანხმოება წარმოიშვა გვარდიისა და საჯარისო ნაწილის მეთაურებს შორის. უთანხმოების მიზეზი შეტევის დაწყების თარიღი და პოზიციების დაკავების საკითხი იყო. ქართული შენაერთები განლაგებული იყვნენ ტყიან მასივში. შეტევის დაუყოვნებლივ დაწყებას გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენლები, გენერალი ფელიცინი და ჯიბლაძე მოითხოვდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ აწყურის დაუყოვნებლივი დაკავებით უკეთეს პოზიციაზე გავიდოდნენ. გენერალი კვინიტაძე და მისი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი ნაადრევად მიიჩნევდნენ შეტევის დაწყებას და ძალთა შემდგომი თავმოყრის მომხრენი იყვნენ, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: ქართული შენაერთების ტყიან მასივში ჩაყენება მოწინააღმდეგეს ხელს შეუშლიდა თვალთვალში. მას ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის ადგილისა და მოძრაობის შემჩნევა გაუჭირდებოდა. აწყურში შესვლის შემთხვევაში კი მოწინააღმდეგე მომიჯნავე მთაგორიან (თრიალეთის ქედის) პოზიციებზე დაიხევდა და ქართული სამხედრო ნაწილების ზემოთ მოექცეოდა, რითაც სტრატეგიული თვალსაზრისით კარგ პოზიციებზე აღმოჩნდებოდა.

სურ. 141 გენერალი გიორგი კვინიტაძე ოფიცრებთან ერთად

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაეგრძელებინათ სამხედრო და გვარდიული დანაყოფების შევსება სრულ დაკომპლექტებამდე. ქართული შეიარაღებული ფორმირებები განლაგდნენ შემდეგნაირად: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილის გას-

წვრივ - გვარდიული ნაწილები, გვარდიის პასუხისმგებლობის ზონად განისაზღვრა პოზიციები სლესის ციხიდან მარცხნივ, დასავლეთით; საჯარისო ნაწილები ჩადგნენ მთიანი რელიეფით გამოკვეთილ მასივზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გადაადგილება ხდებოდა მთის ბილიკებით, ვინაიდან დაბლობზე ნიადაგი დაჭაობებული იყო და თოვლის ინტენსიური დნობა გზების შეკეთების საშუალებას არ იძლეოდა.

სურ. 142 ქართული სამხედრო სკოლის ნაცვალთა ასეული-1919 წ.

ამ დროისათვის აწყურ-ახალციხის მიმართულებაზე პოზიციები 3.000 გვარდიელსა და 5.000-იან რეგულარულ ჯარს ეკავა. გვარდიის შენაერთის საერთო მეთაურად გენერალი ალექსანდრე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) დაინიშნა. შეტევას ისიც აყოვნებდა, რომ გვარდიულ და საარმიო შენაერთებს მტკვრის ორივე ნაპირი დაკავებული ჰქონდათ. შეტევის დროს ორივე შენაერთის ტყვია-წამლის უწყვეტი მომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა ხიდის აგება, რაც საინჟინრო ქვედანაყოფებმა უმოკლეს დროში მოახერხეს.

სურ. 143 დავით ართმელაძე(1865-1938). გენერალ-მაიორი

საბრძოლო მოქმედებების დაწყება. 1919 წლის 5 მარტს ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია დაიწყო. აწყურზე შეტევა გვარდიისა და არმიის ორ კოლონად, დიდი წარმატებით განვითარდა. აწყურის აღებას ერთი საათიც არ დასჭირვებია, მოწინააღმდეგემ არაორგანიზებულად დაიხია უკან. ტყვედ ჩავარდა მოწინააღმდეგის 20 მებრძოლი და ერთი მეთაური. მტერი უსისტემოდ

დაიქსაქსა, ნაწილი ახალციხისკენ წავიდა, ნაწილი მარჯვნივ და მარცხნივ მთებს შეეფარა. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე ბრძოლას არ წყვეტდა. შეტევა 6 მარტსაც გაგრძელდა. გენერალ დ. ართმელაძის უბანზე საარმიო დანაყოფები შეტევაზე გამთენიისას გადავიდნენ. რელიეფის სირთულე, მთაგორიანი და ტყე-ბორცვიანი მასივი ჯარის მოძრაობას აფერხებდა. ქართული შენაერთები საბრძოლო ტაქტიკის მოთხოვნების სრული დაცვით მოქმედებდნენ. განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგეს მხარდამჭერი და სარეზერვო ქვედანაყოფები. მტრის პოზიციებს ქართული არტილერია ბომბავდა. მოწინააღმდეგემ ყველა მიმართულებით უკან დახევა დაიწყო. 7 მარტს შეტევის საერთო ხაზი რეზერვით გაძლიერდა. გადაიკეტა ახალციხისაკენ მიმავალი მთავარი საავტომობილო გზა. მეწინავე პოზიციებზე გამოიყვანეს 2 ჯავშანმატარებელი, რომლებიც ტყვიამფრქვევების უწყვეტი ცეცხლით განაგრძობდნენ წინსვლას. ისინი ქვეითი მხარდამჭერი ასეულის თანხლებით 7 მარტს ახალციხეში შევიდნენ. ქალაქის კომენდანტად გენერალი დ. რატიშვილი დაინიშნა.

მოწინააღმდეგემ უკან, ფოცხოვისკენ დაიხია და იქ გამაგრდა. 13 მარტს ქართულმა საჯარისო ნაწილებმა ფოცხოვს ალყა შემოარტყეს. მოწინააღმდეგემ დაზავება ითხოვა და სრული მორჩილება გამოაცხადა, რასაც იარაღის ჩაბარება მოჰყვა. ამოიღეს 4.000 თურქული შაშხანა, მაგრამ საქმეში ინგლისის სარდლობა ჩაერია და კატეგორიულად მოითხოვა, ქართულ სამხედრო შენაერთებს ფოცხოვის ტერიტორია დაეტოვებინათ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ბრიტანელი პოლკოვნიკები, სტიუარტი და რიდი. ინგლისის მხარე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ქართული სამხედრო შენაერთები არდაგანის ტერიტორიაზე არ შესულიყვნენ.

შემდგომი შეტევის ობიექტად ახალქალაქი დაისახა, რომელიც ქართულმა ქვედანაყოფებმა 19 მარტს გაათავისუფლეს. 22 მარტს გენერალ კვინიტაძის მიერ ოპერაციის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულება პატაკით ეცნობა არმიის სარდალს, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილს.

,,ტიფლისი, კომანდარმს. ასლი შინაგან საქმეთა მინისტრს.

№748.

1919 წლის 22 მარტი, 11 საათი 15 წუთი, ახალციხიდან.

,,...19 მარტს პოდპოლკოვნიკ კუჭუხიძის რაზმი 1-ლი პოლკიდან 40 ხიშტის შემადგენლობით და 100 მესაზღვრე შევიდენ ახალქალაქში. ქართული ჯარის არყოფნის პერიოდში ახალქალაქის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობა სომხებისა და მუსულმანების შემადგენლობით იასინ ბეგ ფალავანდოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც კავშირები აქვს სერვერ ბეგთან. ინგლისის წარმომადგენლის განცხადებით, რომელიც მან პოდპოლკოვნიკებს კუჭუხიძესა და ხერხეულიძეს წარუდგინა, მათ არა აქვთ უფლება, დააპატიმრონ თვითმმართველობაში შესული პირები.

საიმედო თარჯიმნის უქონლობის გამო, ძალიან გაჭირვებულია ინგლისის წარმომადგენლთან ურთიერთობა. იქ არსებული სომეხი თარჯიმანი კი, როგორც ჩანს სარგებლობს თავისი მდგომარეობით და ბოროტად იყენებს მას. მისი საშუალებით სომხები აწვდიან ინფორმაციას ინგლისელებს და ღია პროპაგანდას ეწევიან იმის შესახებ, თითქოს ქართველები იქ დროებით არიან მაზრაში და იქ მალე მოვა სომხური ჯარი.

ინგლისელები ცდილობენ ისეთი ტონით ილაპარაკონ თითქოს ისინი არიან იქ განკარგულების გამცემნი. ჩვენი ჯარის გასვლის შემდეგ სომეხთა მიერ გაძარცვულია ადგილობრივი ლაზარეთის ცეიხჰაუზი.

ქალაქის მაცხოვრებელი ქართველები ძალიან შევიწოებულნი არიან სომეხთა მიერ. მაზრაში ამოხოცილი, გაძარცვული და პატივაყრილია ბევრი ქართველი. სოფლელთა განცხადებით ეს ძალადობები სომეხთა მიერ იქნა პროვოცირებული.“

არდაგანის ოპერაცია. ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის მეორე ფაზას არდაგანის აღება წარმოადგენდა, რადგან არდაგანი კვლავ პრობლემად რჩებოდა. აქ თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალები და ოსმალთა ემისრები. გენერალ კვინიტაძეს კარგად ესმოდა, რომ ,,სიმშვიდე ახალციხესა და ახალქალაქში იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ვის ხელში იქნებოდა არდაგანი. არდაგანიდან ჩვენთან შემოჭრა მტერს, ორი - ახალციხისა და ახალქალაქის მიმართულებიდან შეეძლო. ახალაქალაქის მიმართულებიდან შემოჭრის შემთხვევაში, იგი თბილისსაც დაემუქრებოდა. ვითარება არდაგანზე იერიშის მიტანას გვკარნახობდა, უნდა მოგვესპო იმ მხრიდან მოსალოდნელი საშიშროება და საბოლოოდ დაგვემშვიდებინა ჩვენი სასაზღვრო ოლქები.“

არდაგანზე შეტევა 2 მიმართულებიდან დაიგეგმა - ხონიორის უღელტეხილის გადავლით ახალციხისა, ხოლო კარწახის გავლით ახალქალაქის მიმართულებებიდან. ოპერაციის სრულყოფილად მომზადებისათვის, კერძოდ სრულყოფილი სადაზვერვო მონაცემების მოპოვების მიზნით, ქართული მხარის მიერ საქმეში ავიაციაც ჩაერთო:

სურ. 144 ქართველი მფრინავები

,,მოხსენება №821

საჰაერო დაზვერვით გამოკვლეულია ფოცხოვის რაიონი. ხალხის მნიშვნელოვანი თავმოყრა შემჩნეულია სოფლების ჯაყსუსა და დიგურის რაიონებში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში. შემჩნეულია გაკვალული ბილიკები დიგურიდან ხონიორისაკენ, კახიჯვრის ქედის გა-

დავლით... ზენდარის რაიონში შემჩნეულია რამდენიმე კოცონი. აპარატს ცეცხლი გაუხსნეს ზენ-დარის, დიგურის და ბადელიას რაიონში.''

სრულ მზადყოფნაში იქნა მოყვანილი 3.000 კაციანი სამხედრო ნაწილი, რომელიც ორ კოლონად გაიყო. პირველ კოლონას, გენერალ ართმელაძის მეთაურობით ხონიორის უღელტე-ხილით უნდა დაეწყო მოძრაობა არდაგანისაკენ. მეორე კოლონას კი, გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით - ახალქალაქის მხრიდან. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელს გენერალი კვინიტაძე წარმოადგენდა. 18 აპრილს თოვლის საფარის შემცირებასთან ერთად ქართული ნაწილები უღელ-ტეხილზე გადავიდნენ. 19 აპრილს გენერალ ართმელაძის შენაერთს ხანმოკლე ბრძოლა მოუწია არდაგანის მისადგომებთან, 20 აპრილს კი, არდაგანი აღებულ იქნა. გენერალი სუმბათაშვილი ახალქალაქი-არდაგანის გზატკეცილით თითქმის უბრძოლველად მიიწევდა წინ. აჯანყების მო-თავე სერვერ ბეგ ათაბაგი ჯაყელი თურქეთში გაიქცა... ამრიგად, მოწინააღმდეგე აღარ არსებობ-და, საბრძოლო ოპერაციები შეწყდა.

,,ყარსის რესპუბლიკის მთავრობასთან“ მიმართებაში ბრიტანელებმა დამოკიდებულება თანდათანობით შეიცვალეს, მათი თურქოფილური განწყობები გაქრა. 1919 წლის 20 აპრილს, მას შემდეგ, რაც ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა არდაგანი აიღეს, დიდი ბრიტანეთის საოკუპა-ციო ხელისუფლებამ, გავლენის შენარჩუნების მიზნით, ჯარები ქალაქ ყარსში შეიყვანა. ე.წ. ,,ყარ-სის რესპუბლიკის“ ლიკვიდაცია ამით დასრულდა. ბრიტანელებმა ,,ყარსის მთავრობის“ 12 წევრი დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. ხელისუფლება პირადად ბრიტანელი გუბერ-ნატორისა და მის მიერ ჩამოყალიბებული საბჭოს ხელში გადავიდა.

გენერალი კვინიტაძე წერს: ,,არდაგანის აღების შემდეგ ჩვენმა ჯარმა გაქცეული მოწინააღმ-დეგის ნაწილებს მტკვრის სათავეებამდე მისდია. იმის იქით წინსვლის უფლება აღარ დავრთე. ჩვენი მზვერავები ინგლისელებს გადაეყარნენ. თურმე ჩვენს მიერ არდაგანის აღების დღეს ინგ-ლისელებს ყარსში ჯარი ჩამოუყვანიათ და ე.წ. სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიის ყარსის მთავრობა დაუპატიმრებიათ. ჩვენ ის შევარყიეთ - ინგლისელებმა კი ბოლო მოუღეს...“ ოს-მალთაგან ზურგგამაგრებული ისლამური აგრესია აღიკვეთა. საზღვარზე მდებარე სოფლები ქარ-თულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს. მათ საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად - პოლკოვნიკი რამაზაშვილი.

1919 წლის 27 მაისს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გაუქმებასთან დაკავშირებით გენერალმა კვინიტაძემ გენერალ-გუბერნატორისა და ჯარების სარდლის თანამდებობა დატოვა. გარნიზონის პირად შემადგენლობასთან გამომშვიდობების მიზნით მან #57 ბრძანება გამოსცა. ძნელია, მას გულგრილად გაეცნოს მკითხველი:

,, ბრძანება ახალციხის რაზმისადმი #57. 27.05.19 ახალციხე.

ძვირფასო თანამებრძოლებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო, მე თქვენ გშორდებით. მთლია-ნად გამსჭვალული ვარ ღრმა აღფრთოვანებით თქვენი სიმამაცით ამ ველზე და ყველგან ჩვენს უძველეს მესხეთში, ჩვენი სამშობლოს ძვირფას აკვანში. თქვენ აიძულეთ ყველა, რომ ისევ გახსე-ნებოდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც ამავე ბრძოლის ველზე თავიანთ სისხლს ღვ-რიდნენ ჩვენი სამშობლოს გულისათვის.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა, ეს ჩემი ყოფნაა აქ, თქვენთან, ახალციხის ფრონტ-ზე. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა ისეთი ყოჩაღი ხალხის სარდლობა, რომლებიც თქვენა ხართ. ქება და დიდება თქვენ.

დაე ეს იყოს ჩვენი პატარა სამშობლოსათვის მანათობელი ვარსკვლავი ჩვენს შემდგომ ცხოვრებაში.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთი გავიღოთ ჩვენი სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქება და დიდება თქვენ, ახალციხისა და ახალქალაქის გმირებო.

მშვიდობით, დაე თქვენთან იყოს მუდამ გამარჯვება, გიყვარდეთ სამშობლო.

ახალციხის რაზმის სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე.“

ტაქტიკური ანალიზი. ახალციხე-არდაგანის შეტევისას მოპოვებული გამარჯვება გენერალ გ. კვინიტაძისა და იმ გენერლებისა თუ ოფიცრების დამსახურებაა, რომლებმაც გონივრულად დაგეგმეს ოპერაცია და კოორდინირებული მოქმედებებით შეტევის ყველა ეტაპზე წარმატებას მიაღწიეს. ქართულმა სარდლობამ შესანიშნავად მოახერხა შესაბამისი ძალების თავმოყრა, პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინისა და დაკარგული საბრძოლო სულისკვეთების აღდგენა.

ქართული მხარის მიერ ოპერაციის მომზადებისას კარგად დაიგეგმა აგენტურული მუშაობა, სწორად იყო რეალიზებული ოპერატიული და საჯარისო დაზვერვის მონაცემები. ფოცხოვისა და არდაგანის მიმართულებაზე შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ავიაციის გამოყენება.

ქართულმა მხარემ ტექნიკურ და საბრძოლო საშულებებში იმ უპირატესობის რეალიზაცია შეძლო, რაც მას დაპირისპირებულ მხარესთან შედარებით გააჩნდა. საუბარია ქართული არტილერიისა და ჯავშანმატარებლების ეფექტურ გამოყენებაზე.

სურ. 145 გენერალი ილია ოდიშელიძე ახალციხის ფრონტზე დაჭრილ ჯარისკაცთან თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში, 1919 წ.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის მეორე ფაზაში, არტაანზე შეტევის წინ, გვარდიის ნაწილების აფხაზეთის ფრონტზე გადაგზავნის გამო ქართული საჯარისო ნაწილების პირადი შემადგენლობის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ქართულმა მხარემ მაინც დიდი წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანას.

შეტევითი ოპერაციის ტემპი და სიღრმე ფოცხოვისა და არდაგანის მიმართულებაზე მაღალი იყო, ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგები კი - მინიმალური. სწორად დაგეგმილი და აღსრულებული ოპერაციის შედეგად ქართულმა მხარემ ისლამისტთა სამხედრო აგრესია დროულად აღკვეთა. 1919 წლის აპრილის ბოლოს ისლამური ფსევდოსახელმწიფო - ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა“ ლიკვიდირებულად გამოცხადდა, ქართული მეწინავე ნაწილები არდაგანში შევიდნენ, ყარსი კი ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს. საქართველოს დემოკრატიულმა რეპუბლიკამ ძირძველ ქართულ მიწებზე - სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთის ნაწილზე დე ფაქტო იურისდიქცია აღიდგინა. ახალციხე-ახლაქალაქის მაზრები და არდაგანის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

საკითხავი ლიტერატურა

1. კახა კაციტაძე, სტრატეგიის საფუძვლები, თბ., 2007 წ.
2. საქართველოს სამხედრო ისტორია, ტ. II, თბ., 2013 წ.
3. XX საუკუნის ომების ენციკლოპედია, ეკსმო-პრესი, 2000 წ.
4. ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2017 წ.
5. გივი კიღურაძე, ახალი ისტორია, წიგნი II, თბ., 1973 წ.